

Georgian National Academy of Sciences



Thomas V. Gamkrelidze

**Language
&
The Linguistic Sign**
(Selected Writings)

Tbilisi * 2008

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია



თეზაუზი განმარტებით

ენა

ღ

ენოგრივი ნიშანნი

(სტატიების კრებული)

თბილისი * 2008

რედაქტორი: *ეთერ სოსელია*
თანარედაქტორი: *ნოდარ გომიშვილი*

რელაქტორისაბან

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს აკადემიკოს **თამაზ გამყრელიძის** განმეორებით დაბეჭდილი ცალკეული სტატიების რიგით მესამე **კრებულს**.

პირველი ანალოგიური ხასიათის **კრებული**, რომელშიც წარმოდგენილია ძირითადად ქართულად დაწერილი საენათმეცნიერო სტატიები, გამოიცა **ზურაბ სარჯველადის** რედაქტორობითა და წინასიტყვაობით 2000 წელს¹; ამავე ტიპის მეორე **კრებული** გამოსცა 2006 წელს ინსბრუკის უნივერსიტეტმა (ავსტრია)²; იგი შედგენილია სხვადასხვა ჟურნალიდან ამოკრებილი, ძირითადად დასავლურ ენებზე დაწერილი სტატიებისაგან.

თამაზ გამყრელიძის შრომების წინამდებარე **კრებულში** წარმოდგენილია, მცირე გამოჩენის გარდა, ძირითადად რუსულ სამეცნიერო პერიოდიკაში გამოქვეყნებული სტატიები; ყოველივე ეს საშუალებას იძლევა დაინტერესებულ ქართველ მკითხველს შედარებით სრულად მიეწოდოს **თამაზ გამყრელიძის** ლინგვისტური ნააზრევი...

კრებული სრულდება **თამაზ გამყრელიძის** სტატიებით დიდი ქართველი ენათმეცნიერების შესახებ — **აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი წერეთელი**.

¹ თამაზ გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი, 2000: «**თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა**»; «**სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა**».

² Thomas V. Gamkrelidze, Selected Writings. *Linguistic Sign, Typology, and Language Reconstruction*. edited by Ivo Hajnal, with an Introduction by Rüdiger Schmitt, Innsbruck 2006: «**Innsbrucker Beiträge zur Sprachwissenschaft**».



ენობრივი ნიშანი და „ღამატაპიტიოზის პრინციპი“*

ენობრივი ნიშნის ბუნების გარკვევა და იმ მიმართების დახასიათება, რომელიც ენობრივი ნიშნის არსს განსაზღვრავს, უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ენათმეცნიერებასა და ნიშანთა სისტემის ზოგად თეორიაში — სემიოტიკაში, რომლის ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბეს ცნობილმა მეცნიერებმა — ფილოსოფოსმა ჩ.ს.პერსმა და ლინგვისტმა ფ.დე სოსიურმა. რამდენადაც ენათმეცნიერება სემიოტიკის ერთ-ერთ მთავარ დარგს წარმოადგენს, მისი მონაცემების გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც ენობრივი სისტემების ზოგადი დახასიათების, ისე თვით ენობრივი ნიშნის ბუნების გარკვევის თვალსაზრისითაც.

ნიშანთა ზოგადი კლასიფიკაციისას პერსი მკაცრად გამიჯნავს ერთმანეთისაგან ნიშნის ორ მხარეს: ერთ მხარეს შეადგენს

* ამ საკითხებზე პირველი პუბლიკაციისათვის იხ. Thomas V. Gamkrelidze, The problem of "l'arbitraire du signe" (*«Language»*, v.50, N1, 1974: 102-110).

მატერიალურ მახასიათებელთა ერთობლიობა — „აღმნიშვნელი“ (signans), ხოლო მეორე მხარეს — „აღსანიშნი“ (signatum), ანუ ის, რის უშუალო ინტერპრეტაციასაც წარმოადგენს ნიშანი. იმისდა მიხედვით, თუ როგორია მიმართება ამ ორ მხარეს შორის, განიხილვა ნიშანთა სამი ძირითადი ტიპი:

- (ა) ხატი (იკონა) — ესაა ნიშანი, რომელშიც აღმნიშვნელს ახასიათებს გარკვეული მსგავსება აღსანიშნთან; ამ დროს აღმნიშვნელი ერთგვარად წარმოადგენს აღსანიშნის ფორმალურ ასახვას, გაძეობას (მაგალითად, ცხოველის გამოსახულება როგორც იკონური ნიშანი თვით ცხოველისა);
- (ბ) ინდექსი — ესაა ნიშანი, რომელშიც აღმნიშვნელი აღსანიშნს უკავშირდება მიზეზ-შედეგობრივი თუ სხვა მიმართების საფუძველზე (მაგალითად, ეს მიმართება შეიძლება იყოს უწყვეტობა, თანამიმდევრობა დროსა და სივრცეში), რომლის განმსაზღვრელი პრინციპია *aliquid stat pro aliquo* — ისეთი რამ, რაც თავის მხრივ გულისხმობს სხვა რაღაცის არსებობას (მაგალითად, კვამლი არის ნიშანი-ინდექსი ცეცხლისა);
- (გ) სიმბოლო — ესაა ნიშანი, რომელშიც აღმნიშვნელი უკავშირდება აღსანიშნს გარკვეული პირობის, შეთანხმების საფუძველზე; ეს კავშირი ნებისმიერია (არაა დამოკიდებული იმაზე, არსებობს თუ არა რაიმე მსგავსება ან ფიზიკური უწყვეტობა ნიშნის ორ მხარეს შორის) და რეალიზებულია შეთანხმების წესის მიხედვით (Peirce 1931—35, vol. 2; შდრ. Jakobson 1970, a, b).

ენათმეცნიერების უძველეს პრობლემას წარმოადგენს, გაარკვიოს ბუნება იმ კავშირისა (მიმართებისა), რომელიც არსებობს აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის, სიტყვის ფორმასა (ბგერით მხარე-

სა) და მის მნიშვნელობას შორის. ეს არის ის უძველესი პრობლემა, რომელიც ცხარე დისკუსიის საგანი გახდა ჯერ კიდევ ენათმეცნიერული აზრის გარიჟრაჟზე და რომელიც შეიძლება შემდეგი შეკითხვის სახით ჩამოყალიბდეს: როგორია კავშირი სიტყვის ფორმასა და მნიშვნელობას შორის, იგი ბუნებით განისაზღვრება (*physei*) თუ პირობით, შეთანხმებით (*thesei*)? ფაქტობრივად, ამავე შეკითხვაზე პასუხის გაცემას გულისხმობს ვერბალური ნიშნის ბუნების გარკვევა თანამედროვე ენათმეცნიერებაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქცენტი ამჯერად გენეტიკურ ასპექტზე მეტად პრობლემის ფუნქციონალურ მხარეზეა გადატანილი. სწორედ აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი განსაზღვრავს ვერბალური ნიშნის არსისა და ბუნების შესახებ დღეისათვის არსებულ მეცნიერულ დაპირისპირებასა და განსხვავებულ თვალსაზრისებს.

იმ ლინგვისტთა შორის, რომლებიც მხარს უჭერენ ვერბალური ნიშნის პირობითობას, უპირველესად უნდა დავასახელოთ ამერიკელი W.D. Whitney (1827—94); მისი დოქტრინა მოგვიანებით მიიღო და განავითარა ფ.დუ სოსიურმა (შდრ. Godel 1957:193), რომელმაც განაცხადა, რომ ნიშანში აღმნიშვნელისა (*signifiant*) და აღსანიშნის (*signifié*) კავშირი ნებისმიერია. ნიშნის ნებისმიერობის (*l'arbitraire du signe*) პრინციპი არის უპირველესი და ერთ-ერთი ძირითადი სოსიურის ლინგვისტურ მოძღვრებაში. სოსიურის მიხედვით, „აღნიშნული პრინციპი უმნიშვნელოვანესია ენათმეცნიერებაში და მასზე დაყრდნობით მიღებული დასკვნების რაოდენობა შეიძლება უსასრულო იყოს“¹ (1967:152). 1916 წელს გამოქვეყნდა სოსიურის *კურსი* (ავტორის გარდაცვალების შემდეგ) და მთელ შემდგომ პერიოდში

¹ სოსიურის თვალსაზრისის შესახებ იხ. Coseriu (1967), რომელიც დაწვრილებით, კრიტიკულად მიმოიხილავს თეზას ენობრივი ნიშნის ნებისმიერობისა და პირობითობის შესახებ სხვადასხვა ფილოსოფიურ და ლინგვისტურ თეორიაში. კოსერიუს მიხედვით, ეს თეზა, რომელიც საოცრად აქტუალური იყო სოსიურის წინა პერიოდის ლინგვისტიკასა და ფილოსოფიაში, სათავეს იღებს არისტოტელეს დოქტრინიდან ბგერასა და მნიშვნელობას შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფუნქციონალური კავშირის (*kata synthekēn*) შესახებ.

ლინგვისტთა უძრავლესობისათვის სოსიურის თეზა ნიშნის ნებისმიერობის შესახებ — აღმნიშვნელსა (სოსიურის ტერმინოლოგიით — *signifié*) და აღსანიშნს (სოსიურის ტერმინოლოგიით — *signifiant*) შორის პირობითი კავშირის შესახებ, სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას შორის შინაგანი მოტივაციის არარსებობის შესახებ — გახდა მათი მეცნიერული თეორიების განმსაზღვრელი².


აღსანიშნავია, რომ ზემოთ წარმოდგენილმა თვალსაზრისმა ნიშნის ბუნების შესახებ ვერ მოიპოვა საყოველთაო აღიარება და თანამედროვე ენათმეცნიერებაში გამოჩნდნენ სოსიურის ოპონენტები, რომლებმაც განსხვავებული შეხედულებები შემოგვთავაზეს (შდრ. Engler 1962, 1964; Spang-Hanssen 1954; Koerner 1972).

ნიშნის თანამედროვე თეორიაში, შესაბამისი აბსტრაქციის ტიპის მიხედვით, განირჩევა სამი განსხვავებული დონე: სემანტიკა (შეისწავლის მიმართებას აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის), სინტაქტიკა (შეისწავლის მიმართებებს ნიშნებს შორის ნიშანთა მიმდევრობებში) და პრაგმატიკა (შეისწავლის მიმართებას ნიშანსა და მის მომხმარებელს შორის). დონეების ამგვარი გარჩევა შეიძლება მთლიანად გადმოვიტანოთ ენობრივ სისტემებში ვერბალური ნიშნის მიმართაც (შდრ. Morris 1964; Мельчук 1968: 426-427). ამავე დროს, სისტემის შესწავლა სემანტიკურად და სინტაქტიკურად შეიძლება თავისი შედეგებით არ დაემთხვეს ამავე სისტემის შესწავლას პრაგმატიკული ასპექტით. თვალსაზრისი, რომელსაც ბენვენისტი გეთავაზობს, გულისხმობს მშობლიურ ენაზე მოლაპარაკისათვის ბუნებრივი და აუცილებელი კავშირის არსებობას აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის, რაც, ფაქტობრივად, პრობლემის პრაგმატიკულ პლანში გადატანას ნიშნავს — როცა სისტემის შეფასება იმის მიხედვით ხდება, თუ კონკრეტული მომხმარე-

² ზოგიერთი მეცნიერი ნიშნის პირობითობას ლინგვისტურ უნივერსალიად მიიჩნევს: ენაში მიმართება მნიშვნელობის მქონე ერთეულსა და მის დენოტატს შორის (ანუ რასაც მოცემული ერთეული აღნიშნავს) არ განისაზღვრება ფიზიკური თუ გეომეტრიული მსგავსებით (Hockett 1963:8).

ბელი, საკუთარი ფსიქოლოგიური ასოციაციებიდან გამომდინარე, როგორ აღიქვამს და გამოიყენებს მოცემულ სისტემას. ამგვარად, ნიშნის პირობითობის საწინააღმდეგო არგუმენტები, რომლებსაც ბენვენისტი გეთავაზობს, მთლიანად პრაგმატიკის სფეროს განეკუთვნება და პრინციპულად ვერ ცვლის აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის არსებული მიმართების ბუნებას, რომელიც ძირითადად სემანტიკური (და ნაწილობრივ – სინტაქტიკური) შესწავლის შედეგად დგინდება.

ენობრივი ნიშნის ბუნება, ისევე როგორც ნებისმიერი სემიოტიკური სისტემის ნიშნისა, უნდა განისაზღვროდეს არა მარტო იმ მიმართების საფუძველზე, რომელიც მის ორ კომპონენტს შორის არსებობს, არამედ უეჭველად უნდა იქნეს გათვალისწინებული მოცემული ნიშნის მიმართებები იმავე სისტემის სხვა ნიშნებთან როგორც აღმნიშვნელების, ასევე შესაბამისი აღსანიშნების დონეზე. მაშასადამე, ნებისმიერი სემიოტიკური სისტემის ნიშნის განსაზღვრისას უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ ვერტიკალური მიმართება, რომელიც იზოლირებულად აღებული ნიშნის ორ კომპონენტს შორის არსებობს, არამედ ის ჰორიზონტალური მიმართებებიც, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულ ნიშანთა შესაბამის კომპონენტებს შორის დასტურდება, ე.ი. ერთი მხრივ, მიმართებები აღმნიშვნელებს შორის და, მეორე მხრივ, მიმართებები შესაბამის აღსანიშნებს შორის. ჰორიზონტალური მიმართებები, ვერტიკალურისაგან განსხვავებით, ხასიათდება ორმაგი ბუნებით, რაც გულისხმობს პარალელურ მიმართებებს ურთიერთდაკავშირებულ ნიშანთა ორი კომპონენტის შესაბამის დონეებს შორის: მიმართებებს აღსანიშნებს შორის (შინაარსის პლანში) და მიმართებებს აღმნიშვნელებს შორის (გამოხატულების პლანში). ჰორიზონტალური მიმართების ორმაგი ბუნება სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს (იხ. ნახ. 1):



ნახ. 1

ამგვარი განსხვავებული თვალსაზრისი ვერბალური ნიშნისა და მისი არსის განმსაზღვრელი მიმართებების შესახებ, რომელიც ენობრივ ნიშანს განიხილავს ერთდროულად სემანტიკურსა და სინტაქტიკურ ასპექტში, ახდენს ნიშნის ნებისმიერობის საწინააღმდეგოდ გამოთქმული მთელი რიგი არგუმენტების ანუღიერებას.

სოსიურის თეზა არასრულია იმ აზრით, რომ იგი მხოლოდ ნიშნის ორ კომპონენტს შორის არსებულ ვერტიკალურ მიმართებას ემყარება და არ ითვალისწინებს ჰორიზონტალური მიმართებების ბუნებას. რამდენადაც ვერბალური ნიშანი ორევე ტიპის მიმართებებით განსაზღვრული ენობრივი ერთეულია, მისი დახასიათება მხოლოდ ერთი ტიპის მიმართებებით ყოველთვის არასრული იქნება³.

საყურადღებოა, რომ საპირისპირო თეზა აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის არსებული კავშირის მოტივირებულობისა და იკონური ბუნების შესახებ, რომელიც სოსიურის ნებისმიერობის დოქტრინის საწინააღმდეგოდ გამოითქვა, მხოლოდ ნიშნებს შორის არსებული ჰორიზონტალური მიმართებებით შემოიფარგლება. არც შეიძლება, რომ იგი ითვალისწინებდეს ვერტიკალურ მიმართებებს,

³ კურსის იმ ნაწილში, რომელიც ენობრივი ნიშნის ღირებულებას (*valeur linguistique*) ეხება, სოსიურს შემოაქვს ნიშნებს შორის არსებული ურთიერთმიმართებების ცნება (როგორც ნიშნის ღირებულების განმსაზღვრელი); თუმცა „ენობრივი ნიშნის ღირებულება“ არ ეხება ვერბალური ნიშნის კომპონენტებს შორის არსებული მიმართების ბუნებას. ამ უკანასკნელს ავტორი ცალკე განიხილავს, იზოლირებულად აღებული ნიშნისა და კავშირებით (შდრ. Engler 1962:46-49, 62).

რომლებიც ნიშნის ორ კომპონენტს შორის კავშირის პირობითი, ნებისმიერი ბუნებისთვისაა დამახასიათებელი: კონკრეტული აღსანიშნი შეიძლება გამოიხატოს მოცემული ენის ბგერათა (ფონემათა) ფონოტაქტიკური წესებით დასაშვები ნებისმიერი მიმდევრობით⁴. ნიშნის კომპონენტებს შორის მიმართების ეს სპეციფიკური ხასიათი განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ენათა არსებული მრავალფეროვნებისა და დიაქრონიული ფონეტიკური ცვლილებებისათვის.

საზოგადოდ, ბუნებრივ ენაში ბგერასა და მნიშვნელობას, ფონეტიკურ სიმბოლიზმსა და სიტყვის ბგერით შემადგენლობას შორის გარკვეული შესაბამისობის აღმოჩენის მიზნით განხორციელებული ნებისმიერი მცდელობა ვერ მიგვიყვანს დადებით შედეგებამდე. ექსპერიმენტის პირობებში შესაძლებელია დავადგინოთ ბგერასა და მნიშვნელობას შორის შესატყვისობის უნივერსალური მოდელეები⁵, თუმცადა ბუნებრივი ენის კონკრეტულ სიტყვებში ეს ბგერები როდი ნაწილდება იმ სიმბოლური მნიშვნელობების გამოსახატავად, რასაც ისინი იზოლირებულად, ექსპერიმენტის პირობებში ავლენენ⁶.

ამ კუთხით, ვერტიკალური მიმართებები პრინციპულად განსხვავდება ენობრივი ნიშნის შესაბამის კომპონენტებს შორის არსებული ჰორიზონტალური მიმართებებისაგან, რომელთა დამახასია-

⁴ ეს არ ეხება არც ონომატოპოეტურ (ფონეტიკურად მოტივირებულ) ფორმებს და არც მორფოლოგიურად ან სემანტიკურად მოტივირებულ სიტყვებს (შდრ. Ullman 1963: 175-176). აქ იგულისხმება მხოლოდ ე.წ. პირველადი ნიშნები, სიტყვის საბოლოო შემადგენლები — *prōta onomata*, პლატონის Cratylus-ის მიხედვით; ან *l'arbitraire absolu*, სოსიურის მიხედვით, *l'arbitraire relatif*-ის საპირისპიროდ.

⁵ ასე მაგალითად, ვოკოიდები, რომლებიც ვოკალურობის შკალაზე ახლოს არიან *a*-სთან (კომპაქტური ხმოვნები), უმეტესწილად აღნიშნავენ „დიდს“; ხოლო ვოკოიდები, რომლებიც ახლოს არიან *i*-სთან (დიფუზური ხმოვნები), ჩვეულებრივ, გადმოსცემენ „პატარის“ მნიშვნელობას. ექსპერიმენტის პირობებში, მჟღერი ~ ყრუ თანხმოვანთა წყვილის შემთხვევაში, მჟღერი აღიქმებოდა როგორც დიდი (შდრ. Sapir 1929; Chastain 1964).

⁶ შდრ. ინგლ. *big* ~ *small*. რუს. *великий* ~ *малый*. ქართ. დიდი ~ პატარა და ა.შ. (შდრ. Ullman 1963: 179). ბგერით სიმბოლიზმთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: Т.Гудава 1958; Ultan 1970, 1; Fischer-Jorgensen 1978.

ათებელ სპეციფიკურ თვისებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმართების ორმაგი ბუნება წარმოადგენს. ეს უკანასკნელი გულისხმობს პარალელურ ურთიერთდამოკიდებულებებს (ანუ მიმართებებს) ერთმანეთთან დაკავშირებული ნიშნების როგორც აღსანიშნების, ისე აღმნიშვნელების დონეზე.

ამასთანავე, აღსანიშნებს შორის სხვადასხვა მიმართება შინაარსის პლანში (მაგალითად, რაოდენობრივი მიმართება: 'ერთი' vs. 'მრავალი'; სივრცეში ან დროში დამორების მიმართება: 'ახლოს' vs. 'შორს', 'ადრე' vs. 'გვიან'; ზომის მიმართება: 'დიდი' vs. 'პატარა'; მსგავსება-განსხვავების მიმართება, იანსიმდეცხრულობის, ნათესაობის და სხვა მიმართებანი⁷) გამოიხატება ურთიერთდაკავშირებული სიტყვების შესაბამის აღმნიშვნელებში ფონემური მსგავსების, ფონემური მონაცვლეობის, სიტყვის ფონოლოგიური სიგრძის თავისებური კორელაციებით, გარკვეული სინტაქსური თვისებებით (რომლებიც ელემენტთა რიგს უკავშირდება) და ენის გამოხატულების პლანის სხვა უნივერსალური მახასიათებლებით. ამგვარი მიმართებანი აღსანიშნების დონეზე ერთგვარად განაპირობებს სპეციფიკურ მიმართებებს შესაბამის აღმნიშვნელებს შორის. გამოხატულების პლანის ეს თვისება გვიჩვენებს, რომ ფორმალური მიმართება აღმნიშვნელებს შორის დამოკიდებულია შესაბამის აღსანიშნებს შორის არსებულ მიმართებაზე; ამგვარად, შეიძლება

⁷ ამგვარი ბაზისური მიმართებანი აღსანიშნებს შორის ენის შინაარსის პლანის ის ძირითადი კონცეპტუალური მიმართებებია, რომლებიც ზოგადი და უნივერსალურია, რამდენადაც დამახასიათებელია ნებისმიერი ენის შინაარსის პლანისთვის. ისინი აღნიშნავენ, ძირითად, სიღრმისეულ მიმართებებს ადამიანებს შორის (მათი ენისა და კულტურის მიუხედავად) მნიშვნელობათა საერთო სისტემაში, სადაც ადამიანთა გამოცდილება ორგანიზებულია მსგავსი სიმბოლური განზომილებების გასწვრივ (შდრ. Osgood 1963: 244). რა თქმა უნდა, შესაძლებელია ტიპოლოგიური შესწავლა იმ ბაზისური კონცეპტუალური მიმართებებისა, რომლებიც ენის შინაარსის პლანს ქმნიან და ცალკეულ კონკრეტულ ლინგვისტურ სისტემებში რეალიზდებიან განსხვავებული სემანტიკური მიმართებების სახით. მიღებული ტიპოლოგიური სურათი იქნებოდა ერთგვარი სემანტიკური მეტასისტემა იმის შესასწავლად, თუ რა ტრანსფორმაციებს განიცდიან ბაზისური კონცეპტუალური მიმართებები ცალკეული კონკრეტული ენის შინაარსის პლანში და რა სახით რეალიზდებიან შესაბამისი ერთეულები გამოხატულების პლანში.

ვილაპარაკოთ მიმართებათა ერთი სერიის მოტივირებულობაზე: ენის გამოხატულების პლანის მიმართებანი მოტივირებულია შინაარსის პლანის გარკვეული მიმართებებით. აღმნიშვნელებს შორის არსებული მიმართებების ამგვარ დამოკიდებულებას შესაბამის აღსანიშნებს შორის არსებულ მიმართებებთან არ ახასიათებს ის დიაგრამული კორელაცია, რომელსაც **ჩარლზ პერსი** გვთავაზობს. ამ უკანასკნელის მიხედვით, მიმართებანი აღსანიშნების დონეზე იკონურად აისახება შესაბამის აღმნიშვნელებს შორის მიმართებათა ბუნებაზე; თუმცა აღნიშნული კორელაციის მანიფესტაცია ხორციელდება არა სემანტიკურ ერთეულთა პრინციპულ მახასიათებლებში, არამედ უფრო მიმართებათა ამ ორი სერიის პირობითი კავშირის ფორმაში, რაც აისახება მოტივირებულ გამოხატულებაში, რომელსაც, თავის მხრივ განსაზღვრავს მიმართებანი აღსანიშნების დონეზე და აღმნიშვნელების დონისთვის დამახასიათებელი გარკვეული ფორმალური თვისებები (როგორცაა, ფონემური მსგავსება, ფონოლოგიური სიგრძე, ფონემური მონაცვლეობა და სხვ.). ამგვარად, მიმართებანი აღსანიშნების დონეზე თავისებურ ასახვას პოვებს მიმართებებში შესაბამისი აღმნიშვნელების დონეზე⁸.

⁸ აღმნიშვნელებს შორის არსებული მიმართების დამოკიდებულება შესაბამის აღსანიშნებს შორის არსებულ მიმართებაზე (რაც ურთიერთდაკავშირებული ნიშნების უნივერსალურ თვისებას წარმოადგენს) როდი იკარგება დიაქრონიული ცვლილებების პროცესში. ამკარაა, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულ ნიშნებში ფონეტიკური ცვლილებები რეალიზდება არა ნებისმიერი და იზოლირებული ბგერათვადასვლების სახით, არამედ იგი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ფონეტიკური ტრანსფორმაციების რეგულარულ პროცესს, რომელიც გამოიხატება აღმნიშვნელებს შორის არსებული ზოგადი ფორმალური მიმართების ბუნების (რაც გულისხმობს, რომ იგი მოტივირებულია შესაბამის აღსანიშნებს შორის მიმართებით) შესანარჩუნებლად; ამგვარი ფონეტიკური ტრანსფორმაციების შედეგად აღმნიშვნელებს შორის არსებული ფორმალური მიმართების ზოგადი ბუნება მთლიანობაში უცვლელი რჩება, მაშინ როცა აღნიშნული მიმართების ფონემური გამოხატულების სპეციფიკური ფორმები დიაქრონიული ცვლილებების პროცესში შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს. ამგვარად, ის ფაქტი, რომ მიმართებანი აღმნიშვნელებს შორის მოტივირებულია შესაბამის აღსანიშნებს შორის არსებული მიმართებებით, ერთგვარად არეგულირებს ურთიერთდაკავშირებულ ნიშნებში ფონეტიკური ცვლილებების საზღვრებს (შდრ. წარმოდგენილი თეზის საპირისპიროდ, ნიშნის ნებისმიერობის პრინციპიდან გამომდინარე, სოსიურის თეალსაზრისი ფონეტიკური ცვლილებების შეუზღუდავი ბუნების შესახებ; Saussure 1968: 344).

სწორედ ამგვარი ინტერპრეტაცია უნდა მიეცეს იმ ენობრივ მასალას, რომელსაც იაკობსონი და ენობრივი ნიშნის მოტივირებულობის მხარდამჭერი სხვა მეცნიერები გვეთავაზობენ (შდრ. Wescott 1971) აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის შინაგანი, იკონური კავშირის (განსაკუთრებით, გრამატიკულ კონცეპტებსა და შესაბამის ფონოლოგიურ გამოხატულებებს შორის) საილუსტრაციოდ, რითაც ისინი უპირისპირდებიან სოსიურის თეზას ნიშნის ნებისმიერობის შესახებ. ამდენად, გასაგები უნდა იყოს, რომ ფონემური მსგავსება რიცხვით სახელთა ისეთ წყვილებს შორის, როგორიცაა რუს. *десять* 'ცხრა' ~ *десять* 'ათი', სვან. *wošxw* 'ოთხი' ~ *wox-wišd* 'ხუთი', გერმ. *zwei* 'ორი' ~ *drei* 'სამი', ტიგრინული *šo'atte* 'შვიდი' ~ *šomonte* 'რვა', რაც ჩამოყალიბდა შესაბამის ფორმათა ასიმილაციის შედეგად, განპირობებულია გარკვეული მიმართულებით აღსანიშნების დონეზე: მთელ რიცხვთა მიმდევრობაში მიმართება ორ უშუალო მეზობელ რიცხვს შორის აისახება შესაბამისი აღმნიშვნელების ფონეტიკურ მსგავსებაში.

ნათესაობის ტერმინთა ფონეტიკური სიახლოვე, როგორიცაა, მაგალითად, ინგლ. *father-mother-brother*, ან ფრანგ. *père-mère-frère*, მხოლოდ ფონეტიკურად მიანიშნებს შესაბამისი აღსანიშნების სემანტიკურ სიახლოვეზე, რაც გულისხმობს ამ უკანასკნელთა შორის გარკვეული მიმართების არსებობას. ამგვარად, მიმართულებები აღსანიშნების დონეზე აისახება გამოხატულების პლანისთვის დამახასიათებელ ფონეტიკურ მიმართებებში შესაბამისი აღმნიშვნელების დონეზე; აღსანიშნების პლანი განსაზღვრავს ფორმალურ მიმართებათა სპეციფიკურ ბუნებას აღმნიშვნელების პლანში. ამ აზრით, შეიძლება ვთქვათ, რომ მიმართებათა ერთი სერია მოტივირებულია მეორის მიერ, რომ მიმართებანი აღმნიშვნელებს შორის დამოკიდებულია შესაბამის აღსანიშნებს შორის არსებულ მიმართებებზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა ფონეტიკურად მსგავსი სიტყვების ჯგუფი, რომლებიც ერთ განსაზღვრულ სემანტიკურ ველს განეკუთვნებიან, მაგალითად, გერმ. *Bube, Bengel*,

Bursche, Baby, Balg, სადაც გარკვეული სემანტიკური მიმართება აღსანიშნებს შორის აისახება შესაბამის აღმნიშვნელებში კონკრეტული ფონემური ერთეულის მონოტონური გამეორებით, რაც განსაზღვრავს სპეციფიკურ ფონეტიკურ მიმართებას აღმნიშვნელების დონეზე⁹.

ანალოგიური ინტერპრეტაცია უნდა მიეცეს ენობრივ ფაქტებს მორფოლოგიის სფეროდან, რომლებსაც განიხილავს იაკობსონი (1965). ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა კორელაცია მხოლობითისა და მრავლობითის ფორმებს შორის. ენებში, ძირითადად, მრავლობითის ფორმები იწარმოება შესაბამისი მხოლობითისაგან გარკვეული მორფემის დამატებით; ამავე დროს, არ არსებობს ენა შებრუნებული კორელაციით, ანუ სადაც მხოლობითის ფორმას ჰქონდეს სპეციალური მორფემა და იწარმოებოდეს მრავლობითისაგან, რომელშიც გრამატიკული რიცხვის აფიქსი არაა წარმოდგენილი (Greenberg 1963b:74). ეს კორელაცია, რომელიც მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმათა ფონოლოგიურ სიგრძეში სხვაობით გამოიხატება (მოკლე ფორმა — მხოლობითი vs. შედარებით გრძელი — მრავლობითი), წარმოადგენს აღსანიშნების დონეზე არსებული რაოდენობრივი მიმართების ('ერთი' vs. 'მრავალი') სპეციფიკურ მანიფესტაციას. ამგვარი მიმართებანი აღსანიშნებსა და შესაბამის აღმნიშვნელებს შორის საფუძვლად უდევს ენის მორფოლოგიურ სტრუქტურას მთლიანობაში (შდრ. იაკობსონის მიერ განხილული ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები ინდოევროპულსა თუ სხვა ენებში). გარკვეული თვისების ინტენსივობის ზრდის მიმართება, რომელიც აღსანიშნების დონეზე არსებობს, აისახება აღმნიშვნელების დონეზე ზედსართავი სახელის ხარისხის შესაბამის ფორმებში ფონოლოგიური სიგრძის გრადუალური ზრდით: ლათ. *altus ~ altior ~ altissimus*; ინგლ. *high*

⁹შდრ. Deeters (1955:31). სიტყვათა ჯგუფების შესახებ, რომლებშიც მსგავსი მნიშვნელობა მსგავს ბგერებს უკავშირდება (მაგალითად, *twist, twirl, tweak, twill, tweed, tweeze, twiddle, twine, twinge*), ახ. Bolinger (1950:117-136). საინტერესოა ენობრივი მონაცემებისათვის აგრეთვე იხ. Сыромятников 1972.


~ *higher* ~ *highest*; ქართ. მაღალი ~ უმაღლესი და ა.შ (შდრ. Jakobson 1965:30).

მაგავსი მაგალითები, რომელთა რიცხვი მნიშვნელოვნად შეიძლება გაიზარდოს სხვადასხვა ენის მონაცემთა გათვალისწინებით, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ჰორიზონტალურ მიმართებებს შორის არსებობს სპეციფიკური დამოკიდებულება, ანუ მიმართებები აღსანიშნების დონეზე ერთგვარად დამოკიდებულია შესაბამის აღმნიშვნელებს შორის არსებულ მიმართებებზე. ამასთანავე, ეს დამოკიდებულება თავისი ბუნებით არაა იკონური (იკონურობა სხვადასხვა ტიპის სქემატურ რეპრეზენტაციებს ახასიათებს). ამ შემთხვევაში პრინციპულად უნდა ითქვას, რომ განხილული დამოკიდებულება პირობითია; მიუხედავად იმისა, რომ სპეციფიკური ფორმალური მიმართება აღმნიშვნელების დონეზე განპირობებული და მოტივირებულია მიმართებებით შესაბამის აღსანიშნებს შორის, ამ ორი დონის ჰორიზონტალურ მიმართებებს შორის დამოკიდებულება არაა იკონური: ერთი მხრივ, გვაქვს რაოდენობრიობის, თვისების ინტენსივობის, უშუალო მეზობლობის და ა.შ. მიმართებები, ხოლო მეორე მხრივ, შესაბამის აღმნიშვნელებში წარმოდგენილია მიმართებანი ფონოლოგიური სიგრძის ან ფონეტიკური მსგავსების მიხედვით¹⁰.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: ენობრივ ნიშანთა გამოხატულების პლანის დამოკიდებულება შინაარსის პლანთან შემოიფარგლება მხოლოდ ჰორიზონტალური მიმართებებით, რომლებიც, პრინციპულად უნდა ითქვას, — ნებისმიერი და არამო-


¹⁰ ენობრივ ნიშნებში დიაგრამული დამოკიდებულების შემთხვევები დასტურდება სინტაქსის სფეროში, სადაც სინტაქსური ჯგუფის წევრთა მიმდევრობა შეიძლება, გარკვეული აზრით, წარმოადგენდეს შესაბამისი რეფერენტების თანმიმდევრული რიგის იკონურ ასახვას. მაგალითად, ზმნათა მიმდევრობა იულიუს კეისრის ცნობილ აფორიზმში *vēni, vxi, vxi* იკონურად ასახავს შესაბამის მოვლენათა თანმიმდევრულ რიგს; ასევე, გამონათქვამში: *'Le Président et le Ministre prirent part à la réunion'* სინტაქსური წევრების მიმართება მიმდევრობაში *'Président'* ~ *'Ministre'* ასახავს შესაბამის რეფერენტებს შორის არსებულ იერარქიულ მიმართებას (Jakobson 1965:27, თუცა შდრ. Bolinger 1968:16).

ტიფირებულია. აქვე, განმარტების მიზნით, გვინდა შევნიშნოთ ფიგურების ექსპერიმენტთან დაკავშირებით, სადაც აღმნიშვნელებად გამოიყენებოდა რეალურად არარსებული, ხელოვნურად შექმნილი სიტყვები *takete* და *maluma*: ცდისპირებს უჩვენებდნენ ორ გეომეტრიულ ფიგურას — ტალღოვანსა და კუთხოვანს (Köhler 1947:224-225; იხ. ნახ. 2):



ნახ. 2


ცდისპირებს უნდა შეერჩიათ სახელი თითოეული ფიგურისათვის მოცემული ორი სიტყვიდან (*takete* და *maluma*). ცდისპირთა დიდი უმრავლესობა კუთხოვან ფიგურას *takete*-ს არჩევდა, ტალღოვანს კი — *maluma*-ს, რაც სქემატურად შემდეგნაირად წარმოიდგინება (იხ. ნახ. 3):



ნახ. 3

ამ და მსგავს ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებში გამოვლენილი კავშირები აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის დამახასიათებელია არა ვერტიკალური მიმართებებისათვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჰორიზონტალური მიმართებებისათვის ნიშნებს შორის.

პათოლოგიაში ცნობილია, რომ „ნორმალური“ ჰორიზონტალური მიმართებანი ნიშნებს შორის შეიძლება დაირღვეს და მათ სანაცვლოდ, ვერტიკალურ მიმართებათა დაკარგვით, ჩამოყალიბდეს „დიაგონალური“ მიმართებანი (Буачидзе 1984); იხ. ნახ. 4:



ნახ. 4

ამგვარი „დიაგონალური“ მიმართებანი შესაძლოა შეესაბამებოდეს სემანტიკურ გადაწვევებს ენის ისტორიული განვითარების პროცესში. ის, რაც პათოლოგიად გვევლინება სინქრონიაში, არაა გამორიცხული, რომ ახასიათებდეს სემანტიკური განვითარების ისტორიულ პროცესს დიაქრონიაში.

ამგვარად, ენობრივ ნიშანთან დაკავშირებული *thesei~physei* პრობლემის განხილვა იზოლირებულად, მხოლოდ ვერტიკალური, ან მხოლოდ ჰორიზონტალური მიმართებების პლანში, უთუოდ არა-

სრული იქნება და, შესაბამისად, ენობრივი ნიშნის არსის შესახებ (აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის არსებული მიმართების ბუნების შესახებ) მიღებული დასკვნებიც ურთიერთსაწინააღმდეგო აღმოჩნდება; როდესაც ლინგვისტური ნიშანი გაგებულია როგორც ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მიმართებათა ერთიანობა, აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის არსებული მიმართების შესახებ გამოთქმული ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებანი წარმოგვიდგება არა როგორც საპირისპირო, არამედ როგორც „კომპლემენტარული“ ერთმანეთის მიმართ, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და მთელი სისრულით წარმოაჩენენ ენობრივი ნიშნის არსს. დამოკიდებულებას ამგვარ დებულებებს შორის, რომელთაგან თითოეული, თავის მხრივ, სწორია, მაგრამ ცალმხრივი, რადგანაც მიღებულია შესაბამისი ერთეულის იზოლირებულად განხილვის შედეგად, *ნილს ბორი კომპლემენტარულ კორელაციას* უწოდებს¹¹.

ამდენად, თანამედროვე ენათმეცნიერებაში გავრცელებული ორი საპირისპირო თვალსაზრისი, რომ „ენობრივი ნიშანი პირობითია (კონვენციონალურია)“ და „ენობრივი ნიშანი მოტივირებულია“ — როდია ურთიერთგამომრიცხავი. ისინი ერთმანეთს ავსებენ და, მაშასადამე, წარმოგვიდგებიან როგორც ურთიერთშემავსებელი (*კომპლემენტარული*) დებულებები (ამ ტერმინის *ნილს ბორისეული* გაგებით).

ბიბლიოგრაფია:

- Benveniste, Émile. 1939. Nature du signe linguistique: Acta Linguistica 1, 23-29. (Reprinted in: Readings in Linguistics, vol. 2, ed. by Eric P. Hamp, Fred W. Householder, and Robert Austerlitz, 104-108: Chicago, 1966).
- Bohr, Niels. 1948. On the notions of causality and complementarity: Dialectica 2, 312-319.
- Bohr, Niels. 1958. Atomic physics and human knowledge, New York; Wiley.

¹¹ კომპლემენტარობის პრინციპის შესახებ იხ. Bohr 1948, 1958. ლინგვისტური პრობლემების მიმართ აღნიშნული პრინციპის გამოყენებისათვის შდრ. Jakobson 1971: 689-690.

- Bolinger, Dwight. 1950. Rime, assonance, and morpheme analysis. *Word* 6.117-36.
- Buačidze, Manana. 1984. Iskaženie otnošenij mezdu «označajuščim» «označaeмым» v linguičeskix znakax pré afázii (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის «მოამბე», 1984, ტ. 116, №2, გვ. 429-432).
- Büchner, K. 1936. *Platons Kratylos und die moderne Sprachphilosophie*. Berlin.
- Chastaing, M. 1964. Nouvelles recherches sur le symbolisme des voyelles. *Journal de Psychologie Normale et Pathologique* 1.75-88.
- Cherry, Colin. 1957. *On human communication: A review, a survey, and a criticism*. Cambridge, Mass.: MIT Press.
- Čikobava, Arnold. 1959. *Problema jazyka kak predmeta jazykoznanija*. Moscow.
- Coseriu, Eugenio. 1967. L'arbitraire du signe: Zur Spätgeschichte eines aristotelischen Begriffes. *Archiv für das Studium der Neueren Sprachen und Literaturen* 204.81-112.
- Davis, R. 1961. The fitness of names to drawings: A cross-cultural study in Tanganyika. *British Journal of Psychology* 52.259-68.
- Deeters, Gerhard. 1955. Gab es Nominalklassen in allen kaukasischen Sprachen? *Corolla Linguistica, Festschrift Ferdinand Sommer*, ed. by H. Krahe, 26-33. Wiesbaden: Harrassowitz.
- Engler, Rudolf. 1962. Théorie et critique d'un principe saussurien: l'arbitraire du signe. *Cahiers Ferdinand de Saussure* 19.5-66. 1964. Compléments à l'arbitraire. *Cahiers Ferdinand de Saussure* 21.25-32.
- Godel, Robert. 1957. *Les sources manuscrites du Cours de linguistique générale de F. de Saussure*. Genève.
- Greenberg, Joseph H. 1963a. *Universals of language*, ed. by ... Cambridge, Mass: MIT Press. 1963b. Some universals of grammar with particular reference to the order of meaningful elements. In Greenberg, 1963a: 58-90.
- Gudava, Togo. 1958. Ob odnom vide zvukopodražanija v megrel'skom dialekte zanskogo jazyka. *Tezisy Dokladov XVI Naucnoj Sessii Instituta Jazykoznanija AN GSSR*. Tbilisi.
- Hockett, Charles F. 1963. The problem of universals in language. In Greenberg, 1963a: 1-22.
- Jakobson, Roman. 1965. A la recherche de l'essence du langage. *Diogenes* 51.22-38. 1970a. Language in relation to other communication systems. *Linguaggi nella Società e nella Tecnica*, 3-16. Milano (Reprinted in *Jakobson's Selected Writings* 2.697-708, 1971.). 1970b. *Linguistics. Main trends of research in the social and human sciences*, 1: Social Sciences, 419-63. Paris & The Hague: Mouton/Unesco. 1971. *Linguistics in relation to other sciences. Selected Writings*, 2.655-95. The Hague: Mouton.
- Köhler, Wolfgang. 1947. *Gestalt psychology: An introduction to new concepts in modern psychology*. New York.
- Koerner, E. F. K. 1972. *Contribution au débat post-saussurien sur le signe linguistique: introduction générale et bibliographie annotée*. The Hague: Mouton.
- Materialy ... 1969. *Materialy seminarov po probleme motivirovannosti jazykovogo znaka*. Leningrad.

- Mel'čuk, Igor'. 1968. Stroenie jazykovyx znakov i vozmožnye formal'no-smyslovye otnošenija meždu nimi. *Izvestija Akademii Nauk SSSR, serija literatury i jazyka*, 28.426-38.
- Morris, Charles. 1938. *Foundations of the theory of signs*. International Encyclopaedia of Unified Science Series, 1:2. Chicago. 1964. *Signification and significance. A study of the relations of signs and values*. Cambridge, Mass.: MIT Press.
- Nichols, Johanna. 1971. Diminutive consonant symbolism in Western North America. *Lg.* 47.826-48.
- Osgood, Charles E. 1963. Language universals and psycholinguistics. In Greenberg, 1963a:236-54.
- Peirce, Charles Sanders. 1931-35. *Collected Papers*. Cambridge, Mass.: Harvard University Press.
- Robins, R. H. 1967. *A short history of linguistics*. London: Longmans.
- Sapir, Edward. 1929. A study in phonetic symbolism. *Journal of Experimental Psychology* 12.225-39.
- Saussure, Ferdinand de. 1967-68. *Cours de lingnistique générale*. Edition critique par Rudolf Engler. Wiesbaden: Harrassowitz. (Fasc. 1-2, 1967; fasc. 3, 1968).
- Schneider, W. 1930. Über die Lautbedeutsamkeit. *Zeitschrift für Deutsche Philologie* 63.138-79.
- Spang-Hanssen, Henning. 1954. Recent theories on the nature of the language sign. *Travaux du Cercle Linguistique de Copenhague*, 9.
- Syromjatnikov, N. A. 1972. Opređenje rodstvennosti kornej. *Voprosy Jazykoznanija*, 2, 109-23.
- Ullmann, Stephen. 1963. Semantic univerals. In Greenberg 1963a: 172-207.
- Ullan, Russell. 1970. Size-sound symbolism. *Working Papers on Language Universals* 3.1-31 (Stanford University).
- Wescott, Roger W. 1971. Linguistic iconism. *Lg.* 47.416-28.
- Zeichen und System der Sprache*. 1961-62. Veröffentlichungen des I. Internationalen Symposiums 'Zeichen und System der Sprache' vom 28.9 bis 2.10.1959 in Erfurt. 2 vols. Berlin.





თანამედროვე დიაქრონიული ლინგვისტიკა და ქართვალური ენები*

ენათმეცნიერების ისტორიაში XX საუკუნის მეორე ნახევარში შეინიშნებოდა მომეტებული ინტერესი დიაქრონიული ლინგვისტიკის საკითხების მიმართ, ერთგვარი შემობრუნება ინდოევროპული შედარებითი ენათმეცნიერებისაკენ, რამაც თავისი ზეგავლენა იქონია ზოგადლინგვისტური აზრის განვითარებაზე, კერძოდ: ბოლო ათწლეულში სინქრონიულ და დიაქრონიულ ლინგვისტიკებს შორის სოსიურისეული ანტონიმიის დაძლევის შედეგად ყალიბდება იმგვარი ლინგვისტური თეორია, რომელსაც მეტი ამხსნელობითი ძალა აქვს, ვიდრე ემპირიულ ენობრივ მონაცემებზე დაფუძნებული აღწერითი ტაქსონომიური გრამატიკების წმინდა სინქრონიულ თეორიას.

* პირველად გამოქვეყნდა 1971 წელს: Т.В.Гамкрелидзе, Современная диахроническая лингвистика и картвельские языки («Вопросы Языкознания», 1971, №2: стр. 19—30).

თანამედროვე ენათმეცნიერების მთავარი თავისებურება ის არის, რომ მოხდა იმ უპირატესობის დაძლევა, რომელიც სინქრონიულ ლინგვისტიკას ენიჭებოდა დიაქრონიულ ლინგვისტიკასთან შედარებით (რაც დე სოსიურის „თეორიული ენათმეცნიერების კურსმა“ დაამკვიდრა), გადალახული იქნა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ენათმეცნიერებაში გაბატონებული ტენდენციები, შესაძლებელი გახდა სინქრონიული და დიაქრონიული ლინგვისტიკის სინთეზი სინქრონიული ლინგვისტიკის ცნებების, მეთოდებისა და ოპერაციების დიაქრონიულ ლინგვისტიკაში გადატანით. თანამედროვე დიაქრონიული ლინგვისტიკა წარმოადგენს ახალი ცნებებით, ლინგვისტური ანალიზის ახალი ხერხებითა და მეთოდებით (რაც თავის დროზე სინქრონიულ ლინგვისტიკაში იყო შემუშავებული) გამდიდრებულ თეორიას დროში მიმდინარე ენობრივი ცვლილებების შესახებ¹. ამ აზრით, სინქრონიული ლინგვისტიკის განვითარებაში, სინქრონიული ლინგვისტური ანალიზის მეთოდოლოგიის სრულყოფამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე დიაქრონიული ლინგვისტიკის ფორმირებაში, ერთგვარად განაპირობა მათი შერწყმა და ერთიანი, გამთლიანებული ლინგვისტური თეორიის ჩამოყალიბება, რომელიც ენას განიხილავს როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ასპექტში².

დიაქრონიული ლინგვისტიკის საბოლოო ამოცანას წარმოადგენს ადრეულ ენობრივ მდგომარეობათა რეკონსტრუქცია, რათა შესაძლებელი გახდეს ისტორიულად დადასტურებული მონათესავე ენობრივი სისტემების ჩამოყალიბებისა და განვითარების გზის

¹ W.P.Lehmann, Saussure's dichotomy between descriptive and historical linguistics («*Directions for Historical Linguistics*. A Symposium», Austin – London, 1968, გვ. 12 და შმდ.); U. Weinreich, W.Labov, M.J.Herzog, A theory of language change. — იქვე, გვ.126 და შმდ.; “Empirical foundations for a theory of language change”. — იქვე; O.Szemérenyi, Trends and tasks in comparative philology, London, 1962, გვ. 6 და შმდ.

² A.Martinet, The unity of linguistics («*Word*», vol. 10, № 2-3, 1954); მისივე: Linguistique structurale et grammaire comparée [*Travaux de l'Institut de linguistique*. Faculté des lettres de l'Université de Paris] (1956), 1957, გვ. 9].

დადგენა. ენები ითვლება მონათესავედ, ანუ ერთი და იმავე წინაპარი ენისაგან მომდინარედ (რომელსაც ფუძე-ენას უწოდებენ) მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა შესაძლებელი ხდება რეგულარული ფონეტიკური შესატყვისობების დადგენა ამ ენათა როგორც ძირულ, ისე აფიქსალურ მორფემებს შორის, რაც, თავის მხრივ, ფონემურ გარდაქმნათა რეგულარულ ხასიათს ასახავს. „ფონეტიკურ გარდაქმნათა რეგულარობის პრინციპი“, რომელსაც XIX საუკუნის შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება აღიარებს, ლინგვისტური მეცნიერების ჭეშმარიტად მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება, რომელმაც ხელი შეუწყო ისტორიული ენათმეცნიერების შემდგომ აქტიურ განვითარებას³. ფონეტიკურ გარდაქმნათა რეგულარობის პრინციპისა და აღნიშნული პრინციპით განსაზღვრული ლინგვისტური ანალიზის მეთოდების წყალობით „მეცნიერება ენის შესახებ“ (რაც იმ დროისათვის უპირატესად ისტორიულ ლინგვისტიკას გულისხმობდა) გადაიქცა ერთ-ერთ ზუსტ მეცნიერულ დისციპლინად ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა შორის.

ფონეტიკურ გარდაქმნათა რეგულარობის პრინციპი და მასზე დაფუძნებული რეგულარული ფონეტიკური შესატყვისობანი მონათესავე ენებს შორის, რაც XIX საუკუნის შედარებით ენათმეცნიერებაში ძირითადად ძველი ინდოევროპული ენების მასალების მიხედვით იქნა დადგენილი, როგორც შემდგომმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, ძალაშია არა მხოლოდ დამწერლობის ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ენების მიმართ, არამედ იმ ენების მიმართაც, რომელთაც დამწერლობა ან ახლად შექმნილი აქვთ, ან საერთოდ არ გააჩნიათ.

ინდოევროპულ შედარებით ენათმეცნიერებაში საკმაოდ დიდხანს არსებობდა სკეპტიკური დამოკიდებულება იმ ენების წინარე ისტორიის აღდგენის მიმართ, რომელთა ძველი წერილობითი ძეგლები არ იყო შემონახული. შესაბამისად, შედარებითი მეთოდის გამოყენების არეალი შემოიფარგლებოდა უძველესი დამწერლობის მქონე

³ Ch.F.Hockett, Sound change («*Language*», vol. 41, №2, 1965, გვ. 186 და შმდ).

ენებით და, ამდენად, აღნიშნული მეთოდი ისეთ კერძო მეთოდად იქცა, რომლის გამოყენების შესაძლებლობას საკვლევ ენათა კულტურული ტრადიციები განსაზღვრავდა.

შედარებითი მეთოდის გამოყენების არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების შტუდი-ათა კვლევის სფეროში მოექცა მრავალი განსხვავებული სისტემის წერილობითი ისტორიის არმქონე ენა, რის შედეგადაც ცხადი შეიქნა რეგულარულ ფონეტიკურ შესატყვისობათა უნივერსალური ხასიათი. ამ კუთხით, გადამწყვეტი მნიშვნელობისა აღმოჩნდა ლ.ბლუმფილდის შრომები პროტოალგონკინური ენის შესახებ, რომლის რეკონსტრუქცია შესაძლებელი გახდა დამწერლობის არმქონე ჩრდილოამერიკულ ენათა ჯგუფების ურთიერთშედარებისა და შეპირისპირების საფუძველზე. ბლუმფილდის გამოკვლევებმა ფაქტობრივად უარყო ინდოევროპულ შედარებით ენათმეცნიერებაში გაბატონებული აზრი, რომ ენათა შედარება და რეკონსტრუქცია არაეფექტურია ამ ენათა განვითარების ადრეული საფეხურების ამსახველი წერილობითი ძეგლების გარეშე⁴. მეტად ღირებული აღმოჩნდა, ასევე, ნ.ტრუბეცკოის შრომები, რომლებშიც მოცემულია ჩრდილოკავკასიურ ენათა ფონოლოგიური სისტემების შედარებითი ანალიზი და დადგენილია რეგულარული შესატყვისობანი დამწერლობის ტრადიციის არმქონე ენათა (მხოლოდ ზოგიერთ მათგანს აქვს ახლად შექმნილი დამწერლობა) თანხმობან ფონემებს შორის⁵.

თეორიული შედარებითი გრამატიკისათვის მეტად ღირებულია ქართველურ (სამხრეთკავკასიურ) ენათა მონაცემები, რომელთაგან მხოლოდ ქართული გვევლინება უძველესი წერილობითი ტრადიციის მქონედ (ისტორიულად დასტურდება ჩვ. წ. მე-5 საუკუ-

⁴ იხ.: Э.Бенвенист, Классификация языков («Новое в Лингвистике», III, М., 1963); M.R.Haas, The prehistory of languages, The Hague—Paris, 1969, გვ.21 და შმდ.

⁵ იხ.: N.S.Trubetzkoy, Studien auf dem Gebiete der vergleichenden Lautlehre der nordkaukasischen Sprachen («Caucasica», Fasz. 3, 1926).

ნიდან); ქართველურ ენათა ჯგუფს ერთგვარი გარდამავალი პოზიცია უჭირავს ინდოევროპული ტიპის ენებსა (რომელთა შედარებითი გრამატიკა უპირატესად უძველეს წერილობით ძეგლებს ემყარება) და დამწერლობის არმქონე ალგონკინური ტიპის ენებს (რომელთა თანამედროვე ენობრივ მდგომარეობათა შედარება-შეპირისპირება ხორციელდება საერთო ამოსავალი ენობრივი სისტემის რეკონსტრუქციის მიზნით) შორის.

უკანასკნელი ტიპის ენებისათვის ამოსავალი ენობრივი სისტემის რეკონსტრუქცია მიიღწევა ისტორიულად დადასტურებული მონათესავე ენობრივი სისტემების შეპირისპირების გზით და, ამავედროულად, რეტროსპექტული მოძრაობით ერთი ენობრივი მდგომარეობიდან მეორე, უფრო ადრეული მდგომარეობისაკენ, რასაც თან ახლავს თითოეული მდგომარეობის სტრუქტურული ვერიფიკაცია ტიპოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით⁶. აღნიშნული რეტროსპექტული მოძრაობა ერთი ენობრივი მდგომარეობიდან მეორისაკენ გრძელდება მანამ, ვიდრე არ მიიღწევა ის ენობრივი მდგომარეობა, რომლისგანაც გამოიყვანება ისტორიულად დადასტურებული ყველა ენობრივი სისტემა თანმიმდევრული და ტიპოლოგიურად გამართლებული ტრანსფორმაციების დაშვებით. ამგვარი ტრანსფორმაციების მეშვეობით შესაძლებელია ვივარაუდოთ ამოსავალი ენობრივი სისტემის გადასვლა შემდგომ ენობრივ მდგომარეობაში, რომელიც ამოსავალი სისტემის სტრუქტურულ გარდაქმნათა შედეგს წარმოადგენს.

ზემოთ პოსტულირებული სტრუქტურული ტრანსფორმაციები შეიძლება დავახასიათოთ როგორც „ვერტიკალური“ ან „დიაქრონიული“ („კორიზონტალური ტრანსფორმაციებისაგან“ განსხვავებით, რომლებიც ახალ კონსტრუქციებს წარმოქმნიან იმავე სისტემის ფარგლებში). სწორედ მათი მეშვეობით დედუცირდება მონათესავე ენათა განსხვავებული სისტემები თეორიულად პოსტულირე-

⁶ იხ.: P.Якобсон, Типологические исследования и их вклад в сравнительно-историческое языкознание («Новое в Лингвистике», III, М., 1963).

ბული ამოსავალი სტრუქტურული მოდელებიდან; ეს უკანასკნელნი იმ ენობრივ სისტემას ასახავენ, რომელიც ისტორიულად დადასტურებულ მონათესავე ენათა საერთო წინაპარ ენად მიიჩნევა.

„ვერტიკალური“ ანუ „დიაქრონიული ტრანსფორმაციები“, რომელთა მეშვეობით ისტორიულად დადასტურებული ენობრივი ფორმები თეორიულად კონსტრუირებული გარკვეული ფორმებიდან გამოიყვანება (ეს უკანასკნელნი ქრონოლოგიურად აღრეულ საფეხურებად — „არქეტიპებად“ მიიჩნევა ისტორიული ფორმების მიმართ), თავისი ამხსნელობითი ძალით შეიძლება შევადაროთ ტრანსფორმაციულ-წარმოშობი გრამატიკის „კორიზონტალურ ტრანსფორმაციებს“, რომელთა მეშვეობით ენის ზედაპირული სტრუქტურის რეალურად არსებული კონსტრუქციები გამოიყვანება თეორიულად პოსტულირებული ბაზისური კონსტრუქციებიდან, რომლებიც ენის სიღრმისეულ სტრუქტურას ქმნიან⁷.

ე.წ. გადაწერის წესების ტერმინებში ფორმულირებულ „დიაქრონიული ტრანსფორმაციებში“, რომელთა რიგს განსაზღვრავს აღწერის სიმარტივე და არაწინააღმდეგობრიობა, აისახება აღწერილი დიაქრონიული პროცესების თანამიმდევრობა დროში (რელატიური ქრონოლოგია)⁸.

2. დიაქრონიული ანალიზის ზემოთ წარმოდგენილი პრინციპების მეშვეობით შესაძლებელი ხდება როგორც ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურების რეკონსტრუირება, ასევე ამ ენათა ჩამოყალიბებისა და ისტორიული განვითარების გზის აღდგენა. ქართველურ (სამხრეთკავკასიურ) ენათა — ქართულს, მეგრულს, ლაზურსა და სვანურს — შორის დადგენილი ფონემური შესატყვი-

⁷ იხ.: Th.V.Gamkrelidze, A typology of Common Kartvelian («*Language*», vol. 42, № 1, 1966, გვ. 69 და შმდ.; სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურების შესახებ იხ.: N.Chomsky, Deep structure, surface structure and semantic interpretation («*Studies in General and Oriental Linguistics presented to Shirô Hattori*», Tokyo, 1970, გვ. 52 და შმდ).

⁸ შმდ.:M.Halle, Phonology in generative grammar («*Word*», vol. 18, № 1—2, 1962, გვ.54).

სობანი იმ საფუძველს წარმოადგენს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ეს ენები განვიხილოთ როგორც მონათესავენი, მომდინარენი საერთო წინაპარი ენისაგან, რომელსაც პირობითად საერთო-ქართველურს ვუწოდებთ.

თავად საერთო-ქართველური ენობრივი სისტემა, რომლის დაშლისა და დიფერენციაციის შედეგად ჩამოყალიბდა ცალკეული ისტორიული ქართველური ენა, არ განეკუთვნება ისტორიულად დადასტურებულ ენათა რიგს. იგი წარმოგვიდგება როგორც ერთგვარი სტრუქტურულ-თეორიული ოდენობა, როგორც ისტორიულ ქართველურ ენათა სხვადასხვა დონეებს შორის ფორმალურ-ფუნქციონალური შესატყვისობების საფუძველზე აგებული გარკვეული ენობრივი მოდელი; აღნიშნული შესატყვისობანი საშუალებას იძლევა შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდების გამოყენებით აღვადგინოთ ტიპოლოგიურად ვერიფიცირებადი ენობრივი სტრუქტურები. ივარაუდება, რომ ეს სტრუქტურული მოდელები პირველადი მიახლოებით ასახავენ სივრცესა და დროში ოდესღაც არსებული საერთო-ქართველური ფუძე-ენის სისტემას, რომლის დაშლაც დამოუკიდებელ ერთეულებად გახდა დასაწყისი ისტორიული ქართველური ენების ჩამოყალიბებისა და ფორმირებისა.

საერთო-ქართველურ ენაში გამოიყოფა ფონემათა გარკვეული კლასები, რომლებიც პარადიგმატულ ოპოზიციათა სპეციფიკურ რიგებს ქმნიან. თუკი სისტემაში ფონემათა კლასიფიკაციის საფუძველად ავიღებთ მარცვლის წარმოქმნის უნარს, მაშინ საერთო-ქართველური ენის ფონოლოგიურ სისტემაში ფონემათა სამი ძირითადი კლასი გამოიყოფა: 1) იმ ფონემათა კლასი, რომლებიც სინტაგმატურად ფუნქციონირებენ როგორც მხოლოდ მარცვლოვანი ელემენტები (საკუთრივ *ხმოვნები*); 2) იმ ფონემათა კლასი, რომლებიც სინტაგმატურად ფუნქციონირებენ როგორც მხოლოდ არამარცვლოვანი ელემენტები (საკუთრივ *თანხმოვნები*); 3) იმ ფონემათა კლასი, რომლებიც სინტაგმატურად ფუნქციონირებენ ხან

როგორც მარცვლოვანი, ხან როგორც არამარცვლოვანი ელემენტები ფონეტიკური გარემოცვის შესაბამისად, ე.ი. გარკვეულ პოზიციებში ისინი ქმნიან მარცვალს, სხვა პოზიციებში კი — არა (სონანტები). სონანტები საერთო-ქართველურ ფონოლოგიურ სისტემაში ფონემათა განსაკუთრებულ კლასს შეადგენს, რომელიც დისტრიბუციული თავისებურებით ხასიათდება და ამ მხრივ საკუთრივ ხმოვანთა და თანხმოვანთა კლასებს უპირისპირდება. ფონემათა ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს საერთო-ქართველური ენის ფონოლოგიურ სისტემას დიფერენციაციის უშუალოდ წინა პერიოდში:

თანხმოვნები: ბ ფ დ თ ძ ც ჯ ჩ გ ქ (კ) -
 ჰ ტ წ ჭ კ ყ
 ზ ს (შ) შ ლ ნ კ

ხმოვნები: ე ე̄ ა ა̄ ო ო̄
სონანტები: ო უ რ ლ მ ნ

ხშულ-მსკდომთა და აფრიკატთა ყოველ სამეულში შედის *მეღე-რი* /ბ, დ, ძ.../, *ყრუ* (ასპირირებული) /ფ, თ, ქ.../ და *გლოტალიზებული* /პ, ტ, კ.../ ფონემები. აფრიკატებსა და სპირანტ ფონემებში ლოკალური რიგის მიხედვით გამოიყოფა ფონემათა შემდეგი რიგები: წინა რიგი — /ძ, ც, წ, ზ, ს/, შუა რიგი — /ძ₁, ც₁, წ₁, ზ₁, ს₁/ და უკანა რიგი — /ჯ, ჩ, ჭ (ყ), შ/. ფუძე-ენის ეპოქაშივე შუა რიგის ფონემებმა („სისინ-შიშინებმა“) შემდეგი ცვლილებები განიცადეს: საერთო-ქართველურის დასავლურ დიალექტურ არეალში (მეგრულ-ლაზურსა და სვანურში) მოხდა მათი გადაწევა უკანა რიგის ფონემებში („შიშინებში“), ხოლო აღმოსავლურ დიალექტურ არეალში (ქართულში) განხორციელდა მათი შერწყმა წინა რიგის ფონემებთან („სისინებთან“).

რაც შეეხება სონანტებს, მათი მანიფესტაცია ხდება ერთ-ერთი ალოფონის სახით: მარცვლოვან [ო, უ, რ...] ბგერებად ან უმარცვ-

ლო [ღ, უ, რ...] ბგერების სახით, მორფემაში სათანადო სონანტის პოზიციის შესაბამისად. სონანტთა მარცვლოვანი ალოფონები დასტურდება შემდეგ პოზიციებში: #–C, C–#, ხოლო უმარცვლო ალოფონები — შემდეგში: #–V, V–C, V–V, V–#. ალოფონთა დისტრიბუციულ მოდელში შეინიშნება ერთგვარი დიალექტური მერყეობა C–V პოზიციასთან დაკავშირებით, სონანტთა მარცვლოვანი თუ უმარცვლო ალოფონის გამოვლენის თვალსაზრისით.

მარცვლოვანი სონანტების ვოკალიზაციის შედეგად ისტორიულ ქართველურ ენებში (განსაკუთრებით კი მეგრულ-ლაზურში) ჩამოყალიბდა მიმდევრობა V+Cs, ანუ ხმოვანი (როგორც წესი, ესაა რომელიმე მოკლე ხმოვანი: *ო, უ* ან *ი*) და მომდევნო სონორი (არამარცვლოვანი) თანხმოვანი: *რ, ლ, მ* ან *ნ*. სვანურში მარცვლოვანი სონანტების ადგილას გაჩნდა სრული ხმოვანი, რომლის ტემბრს განსაზღვრავდა ფუძის პირველადი გახმოვანება. რიგ შემთხვევებში (განსაკუთრებით კი ქართულში) მარცვლოვანმა სონანტებმა დაკარგეს მარცვლის წარმოქმნის უნარი და მოხდა მათი თანხვედრა შესაბამის უმარცვლო ელემენტებთან.

ყველა ამ პროცესის შედეგად ისტორიულ ქართველურ ენებში მოიშალა პოზიციური დაპირისპირება მარცვლოვან და შესაბამის უმარცვლო ელემენტებს შორის, რის გამოც ცალკეულ ქართველურ დიალექტებში სონანტთა კლასი, როგორც განსაკუთრებული კლასი ფონემებისა, უკვე აღარ არსებობდა და საერთო-ქართველურიდან მომდინარე შესაბამისი ფონემური ერთეულები დანარჩენ კლასებში გადანაწილდნენ.

საერთო-ქართველურ ენობრივ სისტემაში სონანტთა მარცვლოვანი და უმარცვლო ალოფონების მონაცვლეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხმოვანთა მორფონოლოგიური მონაცვლეობის მექანიზმთან, ე.წ. აბლაუტურ მონაცვლეობასთან ანუ აპოფონიასთან. მორფემებში სონანტთა ალოფონური მონაცვლეობა განპირობებული იყო ხმოვანთა რაოდენობრივი მონაცვლეობით, რომელიც, თავის მხრივ, მთლიანად განსაზღვრავდა საერთო-ქართველურ

სინტაგმატურ სტრუქტურას. ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობა, აფიქსაციასთან ერთად, აწარმოებდა საერთო-ქართველურში სხვადასხვა გრამატიკულ თუ ლექსიკურ ფორმას. ხმოვანთა რთულ მიმდევრობაში რა ფორმით იქნებოდა ესა თუ ის მორფემა წარმოდგენილი, განისაზღვრებოდა ხმოვანთა მონაცვლეობის გარკვეული წესით.

ქართველურ ფორმათა უძველესი ტიპების შინაგანი და შედარებითი რეკონსტრუქციის საფუძველზე აღდგენილი სახელური და ზმნური ფუძეების სტრუქტურული ანალიზი საშუალებას იძლევა აღიწეროს საერთო-ქართველურის ის ძირითადი მოდელები, რომლებიც განსაზღვრავენ ძირეული და სუფიქსური მორფემების სტრუქტურასა და მათ სინტაგმატურ შეთავსებადობას.

ქართველური ძირეული მორფემის ძირითადი კანონიკური ფორმა გამოიხატება ფორმულით CVC-, სადაც საკუთრივ თანხმოვნის აღმნიშვნელი სიმბოლო C შეიძლება ჩავანაცვლოთ S სიმბოლოთი, რომელიც აღნიშნავს სონანტს არამარცვლოვანი ფუნქციით. მაშასადამე, ძირეულ მორფემაში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ფონემათა შემდეგი მიმდევრობანი: CVC-, CVS-, SVC-, SVS- მოკლედ V ხმოვნით (რომელმაც შეიძლება მიიღოს ერთ-ერთი ამ მნიშვნელობათაგან: **ვ, ა, ო**) C და S ელემენტებს შორის:

$$R \rightarrow \left\{ \begin{array}{cc} C & C \\ & V \\ S & S \end{array} \right\}$$

ქართველური ძირეული მორფემის სპეციფიკურ ტიპს შეადგენენ ძირები, რომლებშიც ცალი თანხმოვნის ან სონანტის ნაცვლად წარმოდგენილია დეცესიური რიგის ე.წ. ჰარმონიული კომპლექსები. ძირის სტრუქტურის თვალსაზრისით, თანხმოვანთა აღნიშნული კომპლექსები წარმოგვიდგება როგორც ჰომოგენური ერთეული, რომელიც ცალი თანხმოვნის იდენტურია ძირის სტრუქტურაში.

სუფიქსური მორფემის სტრუქტურა გამოიხატება კანონიკური ფორმით -VC და -VS, აგრეთვე -V:

$$\text{Suff.} \rightarrow -V \left. \begin{array}{l} C \\ S \end{array} \right\}$$

ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობა წარმოგვიდგება საერთო-ქართველური სიტყვა-ფორმების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად.

საერთო-ქართველურში ყოველი მორფემა — ძირეული თუ აფიქსური — გვხვდება განსხვავებული ალომორფების სახით, რომლებსაც აბლაუტის სათანადო საფეხურები განსაზღვრავს. იმის მიხედვით, თუ რა მორფოლოგიური ტიპის წარმონაქმნია, მორფემა შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ხმოვნიანი, ისე უხმოვნი ალომორფის სახით. შესაბამისად, განირჩევა მორფემის ვარიანტები (ალომორფები) განხმოვანების სრული და ნულოვანი საფეხურით.

მორფემათა აბლაუტური საფეხურები, რომლებიც განაპირობებენ ალომორფულ მონაცვლეობას ერთი ფლექსიური ან დერივაციული პარადიგმის ფარგლებში, განისაზღვრება წრფოვ მიმდევრობაში მორფემათა განლაგების სინტაგმატური წესით.

როდესაც ძირს ერთვის დერივაციული სუფიქსი, მიიღება ფუძე, რომელიც ორი ძირითადი აბლაუტური მდგომარეობით ხასიათდება: *I მდგომარეობა* — ძირეულ მორფემას, განხმოვანების ნორმალურ საფეხურზე, ერთვის სუფიქსური მორფემა განხმოვანების ნულოვან საფეხურზე; *II მდგომარეობა* — სუფიქსური მორფემა, განხმოვანების ნორმალურ საფეხურზე, ერთვის ძირეულ მორფემას განხმოვანების ნულოვან საფეხურზე:

I მდგომარეობა

II მდგომარეობა

**ღერ-კ* □ 'ღრეკა' (გარდაუვალი) **ღრ-ეკ* □ 'ღრეკა' (გარდამავალი)

**შერ-ტ* □ 'შრეტა' (გარდაუვალი) **შრ-ეტ* □ 'შრეტა' (გარდამავალი)

**კერ-ბ* 'შეკრება' (გარდაუვალი) **კრ-ებ* 'შეკრება' (გარდამავალი)

თუკი ფუძეს I ან II მდგომარეობაში ერთვის სრულხმოვნიათ სუფიქსი, მაშინ იმ მორფოლოგიური წესის თანახმად, რომლის მიხედვითაც მრავალმორფემიან მიმდევრობაში დაუშვებელია გახმოვანების ნორმალურ საფეხურზე იყოს ერთზე მეტი მორფემა (მონოგოკალურობის პრინციპი), ფუძე შეიცვლება და წარმოდგენილი იქნება გახმოვანების ნულლოვან ან რელუქციის საფეხურზე:

I მდგომარეობა

II მდგომარეობა

**ღერ-კ* → **ღრ-კ-ა*

**ღრ-ეკ* → **ღრ-იკ-ე*

**შერ-ტ* → **შრ-ტ-ა*

**შრ-ეტ* → **შრ-იტ-ე*

**კერ-ბ* → **კრ-ბ-ა*

**კრ-ებ* → **კრ-იბ-ე*

შინაგანი და შედარებითი რეკონსტრუქციით აღდგენილი საერთო-ქართველური აბლაუტური მოდელები ასახავენ იმ ენობრივ მდგომარეობას, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა საერთო-ქართველური ენის ცალკეულ დიალექტებად დანაწევრებისა და ისტორიული ქართველური ენების სახით დადასტურებული დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულების ფორმირების პერიოდს.

საერთო-ქართველური ენის ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემის ამსახველი ამ სტრუქტურული მოდელიდან ტიპოლოგიურად ვერიფიცირებადი სტრუქტურული გარდაქმნების ანუ ტრანსფორმაციების მეშვეობით პირდაპირ გამოიყვანება ისტორიული ქართველური ენების შესაბამისი მოდელები.

3. საერთო-ქართველური ენის საკარაულო სისტემა და ისტორიულ ქართველურ ენებად მისი გარდაქმნის გზები დაწვრილებითაა განხილული ჩვენს ერთობლივ ნაშრომში, გ.მაჭავარიანთან თანაავტორობით: „სონანატა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სისტემის ტიპოლოგია“⁹. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ისტორიულ ქართველურ ენებში მკაცრი ფონემური შესატყვისობების დადგენისა და დეტალური შედარებითი ანალიზის შედეგს.

როგორც ცნობილია, ქართველმა ენათმეცნიერებმა — *ი.ყიფშიძე, ა.შანიძე, გ.ახვლედიანი, ა.ჩიქობავა, ვ.თოფურია* და სხვ. — წარმატებით შეისწავლეს და გაანალიზეს ცალკეული ქართველური ენები, აღწერეს მათი ფონეტიკური სისტემები და გრამატიკული სტრუქტურები (განსაკუთრებით ქართულისა, აგრეთვე მგურულისა, ლაზურისა და სვანურისა). მიუხედავად ამისა, ქართველური ენების შედარებით-ისტორიული შესწავლა — მათ შორის ფორმალურ-ფუნქციური შესატყვისობების დადგენა, მათი დიაქრონიული ინტერპრეტაცია და უძველესი ენობრივი სტრუქტურების რეკონსტრუქცია — ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა დიაქრონიული ლინგვისტიკის იმდროინდელ საერთაშორისო დონეს.

უკანასკნელ დრომდე ქართველოლოგიაში სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა ქართველურ ენებს შორის ბგერითი შესატყვისობების გამოვლენას. მას შემდეგ, რაც ალ.ცაგარელმა და ნ.მარმა

⁹ თბილისი, 1965 (შემდგომ ტექსტში — „სონანატა სისტემა...“).

დაადგინეს ბგერით შესატყვისობათა პირველი სქემები¹⁰, ქართველურ ენათა შედარებით შესწავლაში პროგრესი თითქმის არ შეინიშნებოდა და დიაქრონიული ანალიზისას ძირითადად ოპერირებდნენ ქართველოლოგიის პიონერების მიერ შემოთავაზებული სქემებით.

ქართველურ ენებში აღნიშნული სქემებიდან დადასტურებული გადახრები, რომლებიც, ერთი შეხედვით, შემთხვევითი და არასისტემური ჩანდა, იძლეოდა საფუძველს ჰიპოტეზისათვის ქართველური ენების თითქოსდა „შერეული ბუნების“ შესახებ¹¹; ასევე იმის შესახებ, რომ თითქოს სპეციფიკური და მრავალმნიშვნელოვანია შესატყვისობანი ქართველურ და სხვა კავკასიურ ენებს შორის, რომელთა კვლევის მეთოდთა უნდა განსხვავდებოდეს ინდოევროპული თუ სემიტური ენების შედარებითი ანალიზის მეთოდებისაგან.

თვალსაზრისმა სვანური ენის „შერეული ბუნებისა“ და მგერულ-ლაზურის („ზანურის“) შესახებ, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს უძველესი ქართულის (ან ძველი იბერიულის) ერთ-ერთი დიალექტის ტრანსფორმაციის შედეგს¹², თავის მხრივ, განაპირობა შემდეგი კონცეფციის გაჩენა: რომ ბგერითი შესატყვისობანი წარმოადგენს შესაბამისობას „დიფერენცირებულ მასალაში“, ხოლო

¹⁰ იხ.: Ал.Цагарели, Мингрельские этюды. II – Опыт фонетики мингрельского языка, СПб., 1880; Н.Я.Март, Тубал-каинский вклад в сванском («Известия Имп. АН», IV серия, № 18, СПб., 1912); მისივე: Из поездок в Сванетию («Христианский Восток», II, вып. I, СПб., 1914); მისივე: Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания (ЗВРАО, XXII, 1–2, СПб., 1914).

¹¹ შდრ. თვალსაზრისი სვანურის, როგორც ქართველური და აფხაზურ-ადიღური ენების (resp. დიალექტების) შეჯვარების რთული ისტორიული პროცესის შედეგად წარმოქმნილი ენის, შესახებ; სვანური ენა განხილულია როგორც გარკვეული „აგრეგატი“, რომელიც შედგება ჰეტეროგენული კომპონენტებისაგან: ზანურის (შიშინები), ქართულისა და აფხაზურ-ადიღური დანაშრეულებისაგან. ამით აიხსნება „სვანურ შესატყვისობათა სპორადულობა“ (არნ.ჩიქობავა, ქართველური ენები, მათი ისტორიული შედგენილობა და უძველესი ლინგვისტური სახე. — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, II, თბილისი, 1948, გვ. 261–262, რუს. ენაზე).

¹² იხ.: არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 261.

ფონეტიკურად იდენტური ერთეულები განიხილება როგორც თანხვედრა, როგორც „არადიფერენცირებული მასალა“¹³.

ამგვარი წარმოდგენები შესატყვისობების შესახებ, რომლებსაც გ.წერეთელი სამართლინად უწოდებდა „პრერელატივისტურს“¹⁴, კიდევ უფრო აღრმავებდა შთაბეჭდილებას ქართულ და სხვა კავკასიურ ენებს შორის შესატყვისობათა არარეგულარობისა და სპორადულობის შესახებ. ამ შემთხვევაში თითქოს ირღვეოდა შესატყვისობათა რეგულარული ხასიათი და მეცნიერები მოითხოვდნენ აღნიშნული მოვლენის გათვალისწინებას (ბგერით შესატყვისობათა მონაცემების განზოგადებისას) და ენის შედარებით-ისტორიული ანალიზის მეთოდის სრულყოფას¹⁵.

როგორც შემდგომმა გამოკვლევებმა გვიჩვენა¹⁶, ინდოევროპულ ენებთან შედარებით, ქართველურ ენებში შესატყვისობათა „სპეციფიკურობისა“ და „უფრო რთული ბუნების“ ქვეშ იმალებოდა ქართველური შედარებითი ენათმეცნიერების ფაქტობრივად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, ქართველური ენობრივი მასალის შესწავლის დაბალი დონე და ანალიზის მკაცრი მეთოდების არარსებობა ენობრივ ერთეულებს შორის შესატყვისობათა დადგენისას. გასაგებია, რომ ამგვარ პირობებში ვერ შეიქმნებოდა ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი სისტემა, რომელიც გარკვეულ ერთიანობამდე დაიყვანდა ისტორიული სტრუქტურების მრავალფეროვნებას და თავისი გამა-

¹³ იხ.: არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938: გვ. 10 და შმდ.

¹⁴ გ.წერეთელი, О теории сонантов и аблаута в картвельских языках, წიგნში: „სონანტთა სისტემა...“, გვ. 035.

¹⁵ К.В. Ломтатидзе, Некоторые вопросы иберийско-кавказского языкознания, «Вопросы Языкознания», 1955, № 4, გვ. 80).

¹⁶ იხ. თგამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი, 1959; Г.Мачавариანი, О трех рядах сибилантных спирантов и аффрикат в картвельских языках, М., 1960 («XXV Международный конгресс востоковедов. Доклады делегации СССР»); К.Н. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962; Г.А.Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.

როულობით ოდნავ მაინც დაუახლოვდებოდა ინდოევროპული თუ სემიტური ენების შედარებითი გრამატიკის სისტემებს.

ქართველურ ენებს შორის რეგულარული შესატყვისობების დადგენას გარკვეულწილად ხელს უშლიდა ქართველოლოგიაში საკმაოდ დიდხანს დამკვიდრებული დებულება ქართველური ენების „შერეული ბუნების“ შესახებ და აგრეთვე — თეზისი „ზანური სრულხმოვნობის“ შესახებ. აღნიშნული თეზისის თანახმად, ისეთ შესატყვისობებში, როგორიცაა:

- ქართ. *ძაღლ-* ~ მეგრ.-ლახ. *ჯოდორ-*
- ქართ. *კლდე* ~ მეგრ.-ლახ. *კირდე* ~ სვან. *კჷკ*
- ქართ. *დრკ-ა* ~ მეგრ. *დრიკ-უ* ~ ლახ. *დრუკ-უ-ნ*

და სხვ., მეგრულ-ლახური და სვანური სრულხმოვნიანი ფორმები წარმოიშვა უმახვილო ხმოვნის სინკოპეს შედეგად¹⁷.

ქართველურ ენებში სონანტთა სისტემის პოსტულირება განხორციელდა სწორედ ზემოთ აღნიშნული თეზისის საპირისპიროდ, თეზისისა, რომელიც ერთგვარ დოგმად იქცა და საკმაოდ დიდხანს ხელს უშლიდა ქართველური ენების შედარებით-ისტორიული კვლევის განვითარებას, ხმოვანთა უძველესი სისტემის განსაზღვრასა და ისტორიულ ქართველურ ენათა ფორმების საერთო ამოსავალ არქეტიპებამდე დაყვანას. სონანტთა დაშვებით (რომელთაგან თითოეული, მორფემაში პოზიციის შესაბამისად, ვლინდება მარცვლოვანი ან უმარცვლო ალოფონის სახით), მეგრულ-ლახური და სვანური ფორმები განიხილება როგორც შედარებით ახალი წარმონაქმნი, მიღებული სონანტთა მარცვლოვანი ალოფონების ვოკალიზაციისა და ანაპტიქსური ხმოვნების ფონოლოგიზაციის შედეგად. ამგვარი

¹⁷ კონცეფცია „ზანური სრულხმოვნობის პირველადობის“ შესახებ სრულადაა წარმოდგენილი შრომებში: არნ.ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942; მისივე: მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, წერილი I და II («საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», ტ. III, №2,3, 1942).

მიდგომით შესაძლებელი გახდა როგორც ხმოვნებს, ისე სონორ თანხმოვნებს შორის შესატყვისობათა მკაცრი სისტემის დადგენა და უკვე ერთგვაროვანი ახსნა მიეცა შესატყვისობათა მთელ რიგს, რომლებიც მანამდე განიხილებოდა როგორც არარეგულარული და სპორადული; ასევე, შესაძლებელი გახდა ისტორიულ ქართველურ ფორმათა მრავალფეროვნების დაყვანა ამოსავალ საერთო-ქართველურ სტრუქტურებამდე.

მეორე ფაქტორი, რომელიც ხელს უშლიდა ქართველური ენების შედარებითი შტუდიების განვითარებასა და ამ ენებს შორის შესატყვისობათა სრული სისტემის დადგენას, იყო ქართველურ ენებსა და ჩრდილოკავკასიურ ენებს შორის გენეტიკური ნათესაობის თეორია.

თავის დროზე, ქართველური და ჩრდილოკავკასიური ენების სტრუქტურათა შეპირისპირების საფუძველზე, გამოითქვა ვარაუდი ამ ენებს შორის გენეტიკური კავშირების არსებობის შესახებ¹⁸, რომელიც შემდგომ უკვე ურყევ პოსტულატად იქცა და „იბერიულ-კავკასიურ ენათა“ სახელი ეწოდა იმ ოჯახს, რომელიც აღნიშნულ ენებს აერთიანებდა. ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა შედარებითი შტუდიები მოწოდებული იყო მოეპოვებინა კონკრეტული ენობრივი მასალა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ ამ ძირითადი თეზისის საილუსტრაციოდ, რომელიც, თავის მხრივ, გველენებოდა როგორც განმსაზღვრელი თეორიული დებულებებისა და მეთოდოლოგიური პრინციპებისა¹⁹.

დებულებამ „იბერიულ-კავკასიური“ ენების გენეტიკური ერთიანობის შესახებ და ქართველურ ენათა შედარებით შტუდიებში გაბატონებულმა მიმართულებამ — დაედგინა აღნიშნული ნათე-

¹⁸ იხ.: ი.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წგ. II, თბილისი 1937. კავკასიურ ენათა გენეტიკური ერთიანობის შესახებ ვარაუდი გამოთქვა ჯერ კიდევ პ.უსლარმა (იხ. П.К.Услар, «Этнография Кавказа. Языкознание», II, Тифлис, 1888, გვ. 35), შემდგომში კი ნ.მარმა.

¹⁹ იხ.: არნ.ჩიქობავა, ქართველური ენები, მათი ისტორიული შედგენილობა და უძველესი ლინგვისტური სახე («იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», II, თბილისი 1948, გვ. 261—261).

საობა, რაც თვით ამ დებულებით იყო განსაზღვრული, გამოიწვია ის, რომ საკუთრივ ქართველური ენების შედარების ნაცვლად ყურადღება გადატანილი იქნა ჩრდილოკავკასიურ ენებთან მათ გარეგან შედარებაზე.

ამ მიმართულების ნაშრომთა შორის გამოირჩევა ა.ჩიქობავას მრავალმხრივ საინტერესო და ორიგინალური მონოგრაფია „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, რომელმაც დადებითი როლი ითამაშა სამამულო ქართველოლოგიაში, რამდენადაც იგი ერთგვარი სტიმული გახდა შედარებით-ისტორიული შტუდიებისათვის. თუმცადა, იგივე ნაშრომი, თავისი განსაკუთრებული სამეცნიერო ავტორიტეტისა და თვით ავტორის ზეგავლენის წყალობით, ერთგვარად ხელისშემშლელი ფაქტორი გახდა ქართველოლოგიის შემდგომი განვითარებისათვის, რამდენადაც მონოგრაფიაში წარმოდგენილ შეხედულებათაგან განსხვავებული თვალსაზრისები და ახალი იდეები ფაქტობრივად აღარ ჩნდებოდა; მთელი შემდგომი მუშაობა ამ მიმართულებით ძირითადად წარმოებდა მხოლოდ ნაშრომში ფორმულირებულ შეხედულებათა დაზუსტებისა და მათი კონკრეტული ენობრივი მასალით ილუსტრირების მიზნით.

ა.ჩიქობავას ზემოთ დასახელებულმა ნაშრომმა განსაზღვრა ქართველური შედარებითი ენათმეცნიერების მიმართულება: დაედგინა ქართველურ ენათა ის სტრუქტურული მახასიათებლები, რომლებიც ამ ენებს ჩრდილოკავკასიურ ენებთან დაახლოებდა და რომლებიც, თითქოსდა, სამხრეთკავკასიური და ჩრდილოკავკასიური ენების ნათესაობის საფუძველს წარმოადგენდა. მონოგრაფიის ძირითადი ნაწილი ეძღვნება ქართველურ ენებში გრამატიკულ კლასთა ნიშნების გამოყოფას და ცალთანხმოვნიანი ქართველური ძირის პოსტულირებას იმის ხარჯზე, რომ ფუძის საწყისი თანხმოვანი გამოიყოფოდა როგორც გრამატიკული კლასის ნიშანი, ხოლო ბოლოკიდური თანხმოვანი — როგორც სუფიქსი-დეტერმინანტი.

მონოგრაფიაში გატარებული იყო პრინციპი, რომლის მიხედვითაც ქართველურ ენათა შესადარებელ ფორმათა შორის დგინდებოდა გრამატიკული ეკვივალენტობა, ფონოლოგიურ დონეზე მათი წინასწარი ანალიზის გარეშე. აღნიშნული პრინციპის თანახმად, ნაშრომის ავტორი ქართველურ ძირეულ მორფემაში გამოყოფდა ელემენტებს (ა.ჩიქობავა მათ გრამატიკულ კლასთა ექსპონენტებად მიიჩნევდა), რომლებიც უპირისპირდებოდა ჩრდილოკავკასიურ ენებში შესაბამის კლასთა ნიშნებს²⁰. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა *ღ*- ელემენტის, როგორც გრამატიკული კლასის უძველესი ფორმანტის, გამოყოფის მეთოდი. აღნიშნული ელემენტი, რომელიც თითქოს შეესაბამებოდა ჩრდილოკავკასიურ ენებში ნივთთა კლასის *-ღ* ნიშანს, გამოიყოფოდა შემდეგი ქართველური ფორმების უპირისპირების საფუძველზე:

ქართ. *ცაცხე-ი* ~ ლაზ. *ღუცხუ*
 ქართ. *ცეცხლ-ი* ~ მეგრ. *დაჩხირ-ი* ~ ლაზ. *დაჩხურ-ი*
 ქართ. *სისხლ-ი* ~ ლაზ. *ღიცხირ-ი*
 ქართ. *ჯინჭველ-ი* ~ ლაზ. *ღიმჭკუ*

ამ და სხვა ქართველური ფორმების ფონოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა აღნიშნული ინტერპრეტაციის მცდარობა; შესატყვისი ქართველურ ფორმებში დადასტურებული განსხვავება და */ღ/-*ს გამოჩენა მეგრულ-ლაზურში განაპირობა საწყისი აფრიკატის დისიმილაციამ²¹. ამგვარად, ქართველურ ენებში კლასის ნიშანთა თეორიას გამოეცალა მთელი რიგი „საყრდენი ფორმებისა“.

²⁰ ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზის პრინციპისა და ქართველურ ფორმათა დაყოფის კრიტიკისათვის იხ.: K.H.Schmidt, დასახ. ნაშრ., გვ. 18 და შმდ.; შდრ. აგრეთვე: H.Vogt, Contribution à la reconstruction du phonétisme du kartvélien commun («*Bedi Kartlisa. Revue de Kartvélogie*», vol. XV-XVI, № 43-44, Paris, 1963, გვ. 33 (შემდგომში შემოკლებით — RK).

²¹ იხ.: ტ. გუღავა, რეგრესული დეზაფრიკაციის ერთი შემთხვევა ზანურში (მეგრულ-ჭანურში), (*საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე*“, ტ. XXXIII, №2, 1964). შდრ.: Г.В.Церетели, დასახ. ნაშრ., გვ. 032.

წარმოდგენილ მონოგრაფიაში ქართული პრეფიქსების განხილვა გრამატიკული კლასის უძველეს ნიშნებად მეთოდოლოგიურადაც გაუმართლებელი ჩანს²². უპირველეს ყოვლისა, უნდა დაზუსტდეს: ქართველური ენის რომელი ეპოქისთვის შეიძლება კლასიკური უღლების პოსტულირება, რომელიც შემდგომში პიროვანი უღლებით შეიცვალა; ეს „უძველესი სტრუქტურა“ საერთო-ქართველურ ეპოქას განეკუთვნება თუ ცალკეული ქართველური ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების პერიოდს. როგორც ცნობილია, ენის განვითარების პროცესში ქრონოლოგიური დონეებისა და რელატიური ქრონოლოგიის საკითხების უგულვებელყოფა განაპირობებს იმგვარი ენობრივი თეორიის აგებას, რომელსაც ისტორიული პერსპექტივა არ გააჩნია.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ისტორიული ქართველური ენების შედარებითი ანალიზის საფუძველზე რეკონსტრუირებული გვიანი პერიოდის (ცალკეულ ენობრივ ერთეულებად დაყოფის უშუალოდ წინა პერიოდის) საერთო-ქართველური ენის სტრუქტურა ხასიათდებოდა ზმნის პიროვანი უღლების საკმაოდ რთული სისტემით, რაც შემდგომ მემკვიდრეობით გადაეცა ისტორიულ ქართველურ ენებს.

პიათოეხა ქართველური და ჩრდილოკავკასიური ენების ნათესაობის შესახებ დღეისათვის დაუმტკიცებელი და მეცნიერულად დაუსაბუთებელია, რამდენადაც შედარებითი ანალიზის მეთოდით ვერ მოხერხდა ამ ენებს შორის რეგულარულ ფონემურ შესატყვისობათა სისტემის გამოვლენა, რაც ერთადერთი რაციონალური კრიტერიუმია ენათა ნათესაობის, მათი საერთო წინაპარი ენიდან წარმომავლობის დასადგენად²³. ფონემურ შესატყვისობათა კრიტერი-

²² იხ.: G.Deeters, Gab es Nominalklassen in allen kaukasischen Sprachen? (*«Corolla Linguistica»*), Wiesbaden, 1955, გვ. 26 და შმდ.).

²³ იხ. G.Deeters, Die Stellung der Kharthwelsprachen unter den kaukasischen Sprachen. — RK, 23, Paris 1957, გვ. 12 და შმდ.; H.Vogt, Remarques sur la préhistoire des langues khartvéliennes. — RK, 36-37, Paris 1961, გვ. 5; Г.А.Меликишвили, Возникновение Хеттского царства и проблема древнейшего населения Закавказья и Малой Азии (*«ВДИ»*), 1965, №1, გვ. 17 და შმდ.).

უმის შეცვლა სტრუქტურულ-ტიპოლოგიური კრიტერიუმით დაუმკვებელია, რამდენადაც შედეგად მცდარი ენობრივი კონსტრუქციები აიგება და ამისი ნათელი მაგალითები კარგადაა ცნობილი ენათმეცნიერების ისტორიიდან.

ამგვარად, არ არსებობს საფუძველი იმ კატეგორიული განაცხადისთვის, რომლის შესაბამისადაც ქართველურ და ჩრდილოკავკასიურ ენებს შორის არსებობს გენეტიკური ნათესაობა და კავკასიაში გაერთიანებული არაინდოევროპული და არათურქული ენებისგან გამოიყოფა საერთო წარმომავლობის მიხედვით გაერთიანებული „იბერიულ-კავკასიურ ენათა“ ოჯახი. შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს „იბერიულ-კავკასიური ენები“ ინდოევროპულ, სემიტურ, ფინურ-უგრულ და სხვა მონათესავე ენათა ოჯახების ანალოგიურ გენეტიკურ ჯგუფში ერთიანდებიან, სადაც გაერთიანებას საფუძვლად უდევს მოცემულ ენათა შორის რეგულარული ფონემური შესატყვისობის პრინციპის მკაცრი დაცვა. რეალურად, „იბერიულ-კავკასიური ენები“ აერთიანებს სტრუქტურულ-ტიპოლოგიური და გენეტიკური თვალსაზრისით ამკარად დეტერმინირებულ სამ ენობრივ ჯგუფს. ესენია:

- სამხრეთკავკასიური ჯგუფი, ანუ ქართველური ენები;
- ჩრდილო-დასავლური ჯგუფი, ანუ აფხაზურ-ადიღეური ენები;
- ჩრდილო-აღმოსავლური ჯგუფი, ანუ ნახურ-დაღესტნური ენები.

სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ პლანში ჩრდილოკავკასიურ ენათა ორივე ჯგუფი (აფხაზურ-ადიღეური და ნახურ-დაღესტნური) პოლარულ რგოლებად გვევლინება, რომლებიც გამოუალეებელია ქართველური ლინგვისტური ტიპით²⁴.

კავკასიურ ენათა ამ სამ ჯგუფს შორის გენეტიკური კავშირი არ შეიძლება გაირკვეს აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენელ განსხვავებული ენათა ცალკეული ფაქტების შეპირისპირების საფუძ-

²⁴ ამის შესახებ იხ.: Г. А. Климов, К типологической характеристике картвельских языков, М., 1960 («XXV Международный конгресс востоковедов. Доклады делегации СССР»).

ველზე (როგორც ეს, სამწუხაროდ, ხდება რიგ სპეციალურ გამოკვლევებში ქართველურ და ჩრდილოკავკასიურ ენებს შორის ნათესაობის დამტკიცების მიზნით²⁵); ამისათვის საჭიროა განხორციელდეს კავკასიურ ენათა ამ სამი ჯგუფისათვის (ქართველურის, აფხაზურ-ადიღეურისა და ნახურ-დაღესტნურისათვის) რეკონსტრუირებულ სისტემათა თანმიმდევრული სტრუქტურული შედარება-შეპირისპირება შესაბამის ფუძე-ენათა დონეზე შესაძლო ფონემური შესატყვისობების გამოვლენის მიზნით. ამგვარად, „ბერიულ-კავკასიურ ენათა“ სამივე ჯგუფის ენებს შორის გენეტური კავშირის არსებობის შესახებ თეორიის ჩამოყალიბებას წინ აუცილებლად უნდა უსწრებდეს შედარებით-ისტორიული ანალიზის ჩატარება და საერთო აფხაზურ-ადიღეური, საერთო ნახურ-დაღესტნური ენობრივი სისტემების რეკონსტრუქცია (როგორც ეს ამ ბოლო ხანებში განხორციელდა საერთო-ქართველური სისტემის მიმართ) ენობრივი სტრუქტურის ყველა დონეზე მათი შემდგომი სისტემური შეპირისპირების მიზნით. კავკასიურ ენათა ლინგვისტური კვლევის ეს პროგრამა, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ ნ.ტრუბეცკოი აღნიშნავდა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ შესრულებულა²⁶.

კავკასიურ ენათა განსხვავებულ ჯგუფებს შორის დამოკიდებულების პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული აფხაზურ-ადიღეური და ნახურ-დაღესტნური ენების შედარებითი გრამატიკის შემუშავებასა და შესაბამისი ფუძემდებლის რეკონსტრუქციაზე²⁷. ამავე დროს, შედარებითი ანალიზი და

²⁵ ამგვარი შეპირისპირებისათვის იხ.: G.Deeters, Die Stellung der Kharthwelsprachen unter den kaukasischen Sprachen. — RK, 23, Paris 1957, გვ. 12 და შმდ.; შდრ. აგრეთვე: *«Die Welt des Orients»*, 3, 1957, გვ. 382.

²⁶ იხ.: BSLP, 23, 1922, გვ.184 და შმდ.

²⁷ კავკასიურ ენათა ჩრდილო-დასავლურ და ჩრდილო-აღმოსავლურ ჯგუფებს შორის კანონზომიერ შესაბამისობათა დადგენის პირველი წინასწარი მცდელობა წარმოადგინა ნ.ტრუბეცკოიმ; იხ. მისი ავტორობით: «Nordkaukasische Wortgleichungen» (*«Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes»* XXXVII, 1—2, გვ. 76 და შმდ.); მისივე: Der Bau der ostkaukasischen Sprachen (aus dem Nachlass des Fürsten N.S.Trubezkoy. — *«Wiener Slavistisches Jahrbuch»*, 1, 1964, გვ.23 და შმდ.).

შესაბამის ფუძე-ენათა რეკონსტრუქცია კავკასიურ ენათა ამ სამი ჯგუფიდან თითოეულისათვის უნდა განხორციელდეს აღნიშნულ ჯგუფთა ავტონომიურობის პრინციპის მკაცრი დაცვით, მათი შინაგანი განვითარების კანონზომიერების გათვალისწინებით; ამასთანავე, ენათა ერთი ჯგუფის ისტორიის კვლევა არ უნდა მიმდინარეობდეს მეორის მონაცემების მოშველიებით, და პირიქით; სხვა ენის მასალა შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით, შემოთავაზებული რეკონსტრუქციებისა და ენობრივი მოდელების შემოწმებისა და ვერიფიკაციის მიზნით. სწორედ ეს წარმოადგენს კავკასიურ ენათა შედარებით-გენეტიკური შტუდიების გადაუდებელ ამოცანას ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე²⁸.

აღნიშნული მიმართულებით ჩვენ ჩავატარეთ ქართველურ ენათა შედარებით-გენეტიკური კვლევა, დაუადგინეთ კანონზომიერ შესატყვისობათა სისტემა ენის სხვადასხვა დონეზე და მოვახდინეთ ფუძემდებელი ფონოლოგიური თუ მორფოლოგიური სტრუქტურების რეკონსტრუქცია. ჩვენი სამუშაოს ძირითადი წინაპირობა იყო, გაგვეთავისუფლებინა ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული შტუდიები ჩრდილო-კავკასიურ ენებზე გამიზნულად მიმართული ორიენტაციისაგან, რაც იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში ქართველური ენების ისტორიისა და სტრუქტურის ძირეული საკითხების გაშუქების დროს იჩენდა თავს.

ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული საერთო-ქართველური ენობრივი სისტემისა და ცალკეულ ქართველურ დიალექტთა ისტორიული განვითარების სურათი პრინციპულად განსხვავდება იმ წარმოდგენებისაგან ქართველურ ენათა ისტორიისა და სტრუქტურის შესახებ, რაც მანამდე იყო შემუშავებული იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში. საერთო-ქართველური ენობრივი სისტემა წარ-

²⁸ შდრ.: Г.В.Церетели, დასახ. ნაშრ., გვ. 048 და შმდ.; შდრ. აგრეთვე: Е.А.Бокарев, Задачи сравнительно-исторического изучения кавказских языков («Вопросы Языкознания», 1954, №3, გვ. 41 და შმდ.); К.Н. Smidt, დასახ. ნაშრ., გვ. 10 და შმდ.

მოგვიდგება როგორც სისტემა ხმოვანთა მორფოლოგიური მონაცვლეობის კონკრეტული მექანიზმით, რომელსაც ემყარებოდა ფორმათა ცვლილებისა და სიტყვათა წარმოქმნის პრინციპები.

საერთო-ქართველური ენის განვითარების ზოგადი ტენდენცია და ისტორიული ქართველური დიალექტების ჩამოყალიბება შეიძლება აღიწეროს როგორც ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობის პირველადი მოდელის მოშლისა და, შესაბამისად, აფიქსთა ფუნქციონალური როლის გაძლიერების პროცესი, რის შედეგადაც ქართველური ენობრივი სისტემა ტიპოლოგიურად უახლოვდება აგლუტინაციური ტიპის ენებს, სადაც სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა სტაბილურობით ხასიათდება. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით დასაყვამქართველურ დიალექტებს (მეგრულსა და ლაზურს) ახასიათებდა, რომლებშიც მარცვლოვანი სონანტების ვოკალიზაციისა და ფორმათა პარადიგმატული უნიფიკაციის შედეგად მთლიანად წაიშალა აბლაუტურ მიმართებათა პირველადი სისტემის კვალი.

საერთო-ქართველურმა მორფოლოგიურმა სისტემამ განსხვავებული ტრანსფორმაცია განიცადა სვანურში, სადაც სპეციფიკური ფონოლოგიური გარდაქმნების წყალობით ჩამოყალიბდა ხმოვანთა ფუნქციონალური მონაცვლეობის პროდუქტიული ტიპები, რომლებიც ზემოდან დაელო მოდიფიცირებული სახით შემონახულ საერთო-ქართველურ აბლაუტურ მოდელებს.

ისტორიულ ქართველურ ენათა სისტემებში, აბლაუტური სტრუქტურების ხვედრითი წილის მიხედვით, სვანური ენა ყველაზე მეტად უახლოვდება „სიმბოლურ“ საერთო-ქართველურ ენობრივ მოდელს. ამ თვალსაზრისით, ქართულ ენას გარდამავალი პოზიცია უჭირავს მეგრულ-ლაზურსა და სვანურს შორის, რომლებიც თითქოს საპირისპირო პოლუსებად წარმოგვიდგებიან.

4. საერთო-ქართველური ენობრივი მოდელის ზემოთ წარმოდგენილი ინტერპრეტაცია დიდ სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ მსგავსებას პოულობს საერთო-ინდოევროპულ სისტემასთან. ფონემური

ინვენტარის დაყოფა საკუთრივ ხმოვანთა, საკუთრივ თანხმოვანთა და სონანტთა კლასებად ინდოევროპულ ფონოლოგიურ სისტემასაც ახასიათებს; ამავე დროს, ორივე სისტემაში, როგორც ქართველურში, ისე ინდოევროპულში, ტიპოლოგიურად იდენტურია სონანტთა კლასისა და საკუთრივ ხმოვანთა კლასის შემაღგენლობა. სონანტი ფონემების მარცვლოვანი და უმარცვლო ალოფონების განაწილების მოდელელებიც ქართველურსა და ინდოევროპულში²⁹ თითქმის ერთხვევად ერთმანეთს³⁰. აღსანიშნავია ისიც, რომ მარცვლოვანი სონანტების განვითარება ანალოგიურად მიმდინარეობდა ქართველურ ენებსა და ინდოევროპულ დიალექტებში, სადაც სონანტური ფონემები გარდაიქმნა მარცვლოვანი სონანტების ვოკალიზაციის შედეგად, რასაც თან მოჰყვა სრული წარმოების ხმოვნების ჩამოყალიბება.

თანხმოვანთა კლასში ხშულთა სამეულები, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც *მჟღერი ~ ყრუ* (ფონოლოგიურად ჭარბი ასპირაციით) ~ *გლოტალიზებული*, ტიპოლოგიურად შეიძლება შევადაროთ ინდოევროპულ ხშულთა სამეულების სისტემას, სადაც წარმოდგენილია დაპირისპირება შემდეგი ნიშნით: *მჟღერობა ~ სიერუე ~ ასპირაცია* (ასპირირებულ ფონემებში ფონოლოგიურად ჭარბი მჟღერობის ნიშნით).

საერთო-ქართველური მორფოლოგიური სისტემა ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობის მექანიზმით გასაოცარ ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს საერთო-ინდოევროპული ენისთვის რეკონსტრუირებულ მონაცვლეობის მოდელელებთან. მორფემათა ფონემური სტრუქტურა და სინტაგმატური მიმართებანი მათ შორის საერთო-ინდოევროპულსა (როგორც ეს ე.ბენვენისტის რეკონსტრუქციებ-

²⁹ ინდოევროპულში სონანტთა განაწილების მოდელელების შესახებ იხ.: Fr.Edgerton, The Indo-European semivowels («*Language*», vol. 19, №2, 1943).

³⁰ კ.კ.შმიდტი თავის რეცენზიაში ნაშრომზე 'სონანტთა სისტემა...' ქართველურ და ინდოევროპულ სონანტ ფონემათა განაწილების სქემებში სრულ იდენტურობას ხედავს და გეთაყვინებს სონანტის ალოფონი C-V პოზიციაში განვიხილოთ როგორც -SS- (იხ. IF, 73, 3, 1968, გვ.396).

შია წარმოდგენილი³¹) და საერთო-ქართველურში შესაძლებელია აღიწეროს ერთი და იმავე სტრუქტურული ტერმინებით: ძირეული მორფემის ძირითადი კანონიკური ფორმაა *VC/S-*, ხოლო სუფიქსურისა — *-VC/S*; აბლაუტური მონაცვლეობის მექანიზმი გულისხმობს დაპირისპირებას გახმოვანების ნორმალურ, ნულოვან და სიგრძის საფეხურებს შორის; ფუძეში დაუშვებელია გახმოვანების ორი ნორმალური საფეხური (მონოვოკალურობის პრინციპი), რაც განსაზღვრავს ე.წ. *Schwebeablaut*-ის ტიპის *CVSC-/CSVC-* მონაცვლეობას: ინდოევრ. **perk-/*prek-/*prk* და ქართვ. **დერკ-/*ღრეკ-/*ღრკ-*.

ისტორიული ქართველური ენების შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციით აღდგენილი საერთო-ქართველური მორფოლოგიური მოდელების ამგვარი გასაოცარი მსგავსება (თითქმის თანხვედრა) საერთო-ინდოევროპულის შესაბამის მოდელებთან ცხადყოფს ქართველურ-ინდოევროპულ მორფოლოგიურ იზომორფიზმს, რაც საფუძველს იძლევა „ქართველური“ და „ინდოევროპული“ ენათა ერთსა და იმავე სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ კლასს მივაკუთვნოთ. ქართველურ-ინდოევროპული სტრუქტურული პარალელიზმი არ შემოიფარგლება მხოლოდ მორფოლოგიით. უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა დაადასტურა მთელი რიგი მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურების სიახლოვე ქართველურსა და ინდოევროპულში³².

³¹ Э.Бенвенист, Индоевропейское именное словообразование, М., 1955.

³² იხ.: G.Deeters, Die Stellung der Kharthwelsprachen unter den kaukasischen Sprachen. - RK, 23, Paris, 1957, გვ. 12 და შმდ.; А.Г.Шанидзе, К вопросу о глагольной категории версии в древнегреческом. - *IV Конференция по классической филологии*. Ноябрь, 1969 (Секция греческого и латинского языков). Тезисы докладов (Тбилисский ГУ), 1969, გვ. 80 და შმდ.; K.H.Schmidt, Zu den Aspekten in georgischen und in indogermanischen Sprachen. - RK, vol. XV-XVI, № 43-44, Paris, 1963; მისივე: Indogermanisches Medium und Sataviso im Georgischen. - RK, vol. XIX-XX, № 48-49, Paris, 1965, გვ. 129 და შმდ.; მისივე: Beiträge zu einer typologisch-vergleichenden Grammatik der indogermanischen und südkaukasischen Sprachen (*«Münchener Studien zur Sprachwissenschaft»*, 22, 1967); მისივე: Zur Tmesis in den Kartvelsprachen und ihren typologischen Parallelen in indogermanischen Sprachen (კრებულში: „თბილისის უნივერსიტეტი — გიორგი ახვლედიანს“, თბილისი 1969).

საერთო-ქართველურისა და საერთო-ინდოევროპულის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური დაპირისპირება, ქართველურ-ინდოევროპული მორფოლოგიური იზომორფიზმის გამოვლენა ფაქტობრივად წარმოადგენს ტიპოლოგიის ახალ სახესხვაობას — რეკონსტრუირებული ენობრივი სისტემების ტიპოლოგიას, რომელსაც შეიძლება დიაქრონიული ტიპოლოგია ვუწოდოთ. უკანასკნელ დრომდე სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ შტუდიებში განიხილებოდა ისტორიული ენები, სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შედარება შემოიფარგლებოდა რეალურად დადასტურებული ან წერილობით ძეგლებში დაფიქსირებული ენებით. ამგვარ ტიპოლოგიებში შედარებისა და კლასიფიკაციის ერთეულად ისტორიული ენა წარმოგვიდგებოდა და თეორიულად რეკონსტრუირებული ენობრივი სისტემის ტიპოლოგიური შეფასება თითქმის არ ხდებოდა. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი ტიპოლოგიური თეორიისათვის დიაქრონიული ტიპოლოგია უადრესად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მან შეიძლება მოგვარდოს ინფორმაცია იმ ინვარიანტული სტრუქტურული თავისებურებების შესახებ, რომლებიც განსხვავებულ ენობრივ სისტემებს ახასიათებს, მიუხედავად მათი გავრცელების ადგილისა და დროისა. თეორიულად რეკონსტრუირებული ენობრივი მოდელები უნდა იქცეს სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შეპირისპირებისა და შეფასების ობიექტებად მათ შორის იზომორფული თუ ალომორფული მიმართებების გამოვლენის მიზნით. ამ თვალსაზრისით, ქართველურ და ინდოევროპულ მორფოლოგიურ მოდელებს შორის ფუძე-ენათა დონეზე გამოვლენილი იზომორფიზმი განსაკუთრებულ თეორიულ მნიშვნელობას იძენს³³.

გარდა იმისა, რომ გამოვლენილი პარალელიზმი ქართველურსა და ინდოევროპულს შორის დირებულია სტრუქტურული ტიპოლოგიისათვის ზოგადთეორიული თვალსაზრისით, იგი ფრიად

³³ იხ.: T.V.Gamkrelidze, Kartvelian and Indo-European: A typological comparison of reconstructed linguistic systems («*To Honor Roman Jakobson*», I, The Hague—Paris, 1967).

მნიშვნელოვანია აღნიშნული ენების წინარეისტორიის აღსადგენად, ასევე, ქართველური და ინდოევროპული არეალური ლინგვისტიკის მთელი რიგი საკითხების გასარკვევად.

საერთო-ქართველური ენისათვის რეკონსტრუირებული აბლაუტის მექანიზმი, როგორც მორფონოლოგიურ დაპირისპირებათა სისტემა, ივარაუდება, რომ ჩამოყალიბდა საერთო-ქართველური ენის ადრეული ეტაპისთვის დამახასიათებელი ფონოლოგიური დონის მოვლენების შედეგად. საერთო-ქართველური წინარე-ენის განვითარების ეს ადრეული საფეხური, რომელიც წინ უსწრებდა სონანტური ფონემების ჩამოყალიბებას და აბლაუტური მონაცვლეობის მექანიზმის ფორმირებას, შესაძლებელია გარკვეული მიახლოებით წარმოვიდგინოთ შედარებით ადრეული პერიოდის საკუთრივ საერთო-ქართველური სისტემის ფარგლებში შინაგანი რეკონსტრუქციის გამოყენებითა და არქაული წინარეენისეული სტრუქტურების აღდგენით. გასაგებია, რომ არქაული პერიოდის საერთო-ქართველური სტრუქტურების ასეთი „მორეული“ რეკონსტრუქცია მხოლოდ ჰიპოთეტური შეიძლება იყოს და იგი წარმოგვიდგება როგორც დამოუკიდებელ ენებად დაყოფის წინა პერიოდის საერთო-ქართველური ენობრივი სისტემის ჩამოყალიბების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი.

საერთო-ქართველური წინარე-ენის ამ არქაულ საფეხურზე შესაძლოა ვივარაუდოთ მონოგოკალური სისტემა C_1, aC_2, aC_3, a ტიპის მონოტონური მარცვლოვანი სტრუქტურითა და ფონოლოგიურად რელევანტური დინამიკური მახვილით, რის გამოც ქართველურის შედარებით გვიანდელ დონეზე უმახვილო ხმოვანი ამოვარდა, დახურულ მარცვალში მახვილიანი ხმოვანი შენარჩუნებული იქნა, ღიაში კი იგი დაგრძელდა.

საერთო-ქართველურ ძირეულ და სუფიქსურ მორფემათა $CVC-$ და $-VC$ სტრუქტურებში C მარტვი თანხმოვნის ადგილას შეიძლება წარმოდგენილი იყოს ლაბიალური კომპლექსი $[Cw]$ ან $[dL,$

თხ, ტყ] ტიპის ჰარმონიული კომპლექსი³⁴. მორფემულ სტრუქტურებში ლაბიალური და ჰარმონიული კომპლექსები ისევე ფუნქციონირებს, როგორც მარტივი (ცალი) თანხმოვანი ან სონანტი. ამგვარი სტრუქტურულ-დისტრიბუციული თავისებურების გათვალისწინებით, აღნიშნული კომპლექსები ისტორიულად შეიძლება განვიხილოთ როგორც მონოფონემატური ერთეულები.

კერძოდ, **C+W** ტიპის კომპლექსი არქაული პერიოდის ფუძე-ენის დონეზე შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც ლაბიალიზებული ფონემა, რომელიც დამოუკიდებელ ფონემებად გაიხლიჩა და ჩამოყალიბდა როგორც ბიფონემური კომპლექსი. ასევე, თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსიც შეიძლება დაიფიქსირებოდეს ერთიან კონსონანტურ ფონემამდე, რომელიც შესაბამისი მარტივი ფონემისაგან განსხვავდებოდა ველარიზაციის ფონოლოგიურად რელევანტური ნიშნით და რომლისგანაც ქართველურის მომდევნო დონეზე ბიფონემური ოდენობა ჩამოყალიბდა³⁵.

საერთო-ქართველური ლაბიალური და ჰარმონიული კომპლექსების მონოფონემატური ინტერპრეტაციის შედეგად უძველეს საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება რთული კონსონანტური სისტემა თანხმოვანთა ლაბიალიზებული და ველარიზებული რიგებით, რომელსაც უპირისპირდება ვოკალური სისტემა ერთადერთი *ა ხმოვნითა და ფონოლოგიურად რელევანტური დინამიკური მახვილით. აღნიშნული ფონოლოგიური მოდელი, რომელიც ჰიპოთეტურად ასახავს არქაული პერიოდის საერთო-ქართველურ სისტემას, ტიპოლოგიურ პარალელს პოულობს რთული კონსონანტური და ხმოვანთა მაქსიმალურად მარტივი სისტემების მქონე ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ ენებთან³⁶.

³⁴ თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსების შესახებ იხ.: გ.ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 107 და შმდ.; 301 და შმდ.

³⁵ „სონანტა სისტემა...“ გვ. 368 და შმდ.; იხ.: გ.მაჭავარიანი, საერთოქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი 1965, გვ. 93 და შმდ.

³⁶ იხ.: W.S.Allen, Structure and system in Abaza verbal complex («*Transactions of the Philological Society*», Oxford 1956, გვ. 127 და შმდ.); A.H.Kuipers, Phoneme and morpheme in Kabardian («*Janua Linguarum*», №7, The Hague - Paris 1960, გვ. 104 და შმდ.).

არქაული პერიოდის საერთო-ქართველურმა ფონოლოგიურმა სისტემამ, ძირითადად, შემდეგი სახის ტრანსფორმაცია განიცადა: გამარტივდა კონსონანტური სისტემა (გაიხლიჩა ლაბიალიზებული და ველარიზებული თანხმოვნები), მოხდა ვოკალური ფონემის ალოფონთა ფონოლოგიზაცია და ჩამოყალიბდა სონანტ ფონემათა განსაკუთრებული კლასი (უმახვილო ხმოვანთა სინკოპესა და აბლაუტური მონაცვლეობის მექანიზმის ჩამოყალიბების შედეგად).

ამგვარი სტრუქტურული ცვლილებების შედეგად საერთო-ქართველურში შემდგომ ქრონოლოგიურ დონეზე ყალიბდება მორფოლოგიური სისტემა, რომელიც გასაოცარ სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ პარალელებს ავლენს შედარებით გვიანი პერიოდის საერთო-ინდოევროპული ენისთვის პოსტულირებულ მორფოლოგიურ მოდელებთან³⁷.

რამ გამოიწვია უძველესი საერთო-ქართველური სტრუქტურების იმგვარი ცვლილება, რომ მოხდა მათი დაახლოება ინდოევროპულ სტრუქტურებთან? რით აიხსნება ის სტრუქტურული იზომორფიზმი ქართველურსა და ინდოევროპულს შორის, რომელიც საერთო-ქართველურის შედარებით გვიანდელ დონეზე ჩამოყალიბდა?

ამგვარი სტრუქტურული გარდაქმნების ერთ-ერთი ყველაზე სარწმუნო ახსნა ვარაუდობს ქართველურ-ინდოევროპული კონტაქტების არსებობას ისტორიამდელ ეპოქაში, როგორც ჩანს, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნულმა ენობრივმა კონტაქტებმა და მათ შედეგად გაჩენილმა ენობრივმა ინტერფერენციამ ხელი შეუწყო არქაული პერიოდის საერ-

³⁷ საერთო-ინდოევროპული ენის არქაული პერიოდისათვის რეკონსტრუირდება საერთო-ქართველურის ანალოგიური CVCVCV ტიპის მონოტონური მარცვლოვანი სტრუქტურა; იხ.: C.Hj.Borgström, Thoughts about Indo-European vowel-gradation (NTS, XV, 1949); მისივე: Internal reconstruction of Pre-Indo-European word-forms («Word», vol. 10, №2-3, 1954).

თო-ქართველური სტრუქტურების გარდაქმნასა და მიახლოებას ინდოევროპულ მორფონოლოგიურ სტრუქტურებთან³⁸.

ქართველურ და ინდოევროპულ სისტემებს შორის მორფონოლოგიური იზომორფიზმის განმსაზღვრელი კონტაქტების არსებობას მხარს უჭერს იმ ნასესხები ლექსიკის მთელი პლასტის დადასტურება საერთო-ქართველურში, რომელიც დიდი ალბათობით ივარაუდება, რომ ინდოევროპული წარმოშობისა უნდა იყოს. საერთო-ქართველურში ინდოევროპულ ნასესხობებს განეკუთვნება შემანტიკური ნიშნის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებში გაერთიანებული შემდეგი ლექსიკური ერთეულები³⁹:

- *ekšw- „ექესი“ : ი.-ე. *(s)&ekš- „ექესი“;
- *šwid- „შვიდი“ : ი.-ე. *sept 2- „შვიდი“;
- *uyel- „უღელი“ : ი.-ე. *jugom- „უღელი“;
- *ka „რქა“ : ი.-ე. *ker/*krā „რქა, თავი“;
- *mkerd-/*mk4d- „მკერდი“ : ი.-ე. *kerd-/*k4d „გული“;
- *zixt- „სისხლი“ : ი.-ე. *esH4 „სისხლი“ (შდრ. ხეთ. *es har*);
- *tep/*tp- „(გა)თობა“ : ი.-ე. *tep- „თობილი“;
- *šew-/*šw- „შობა“ : ი.-ე. *se&/*sū- „შობა“;

³⁸ ქართველურ-ინდოევროპულ მორფონოლოგიურ იზომორფიზმს გ.წერეთელი ხსნის როგორც ინდოევროპული და საერთო-ქართველური ენების შორეული ნათესაობის ანარეკლს; ასევე, დასაშვებად მიაჩნია, რომ ორთვე ენობრივ სისტემაში დამოუკიდებლად განხილვილი სტრუქტურული მსგავსება; გარდა ამისა, იგი მიიჩნევს, რომ საუკუნოვანი კონტაქტების შედეგად ქართველური და ინდოევროპული ენები შეიძლებოდა „დანათესავებულიყვნენ“ არეალური ერთიანობის ფარგლებში (იხ. მისი ავტორბითი: *О теории сонантов и аблаута в картвельских языках*“, წიგნში „სონანტა სისტემა...“, გვ. 045). იხ. აგრეთვე: G.Deeters, *Die Stellung der Kharthwelsprachen unter den kaukasischen Sprachen*. - RK, 23, Paris 1957, გვ. 12 და შმდ. გ.ღვეტერსი მიიჩნევს, რომ ქართველური წარმადგენს ჩრდილო-დასავლურ-კავკასიური ტიპის ენას, რომელმაც მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა ინდოევროპული სუბსტრატის ზეგავლენით.

³⁹ იხ.: N. Vogt, *Arménien et Caucasicque du Sud* (NTS, IX, 1938, გვ. 334 და შმდ.); Г.А.Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, М., 1964; შდრ. აგრეთვე: Г.А.Меликишвили, *Возникновение Хеттского царства и проблема древнейшего населения Закавказья и Малой Азии*. - «ВДИ», 1965, №1, გვ. 24 და შმდ.

- *gen-/*gǝ- „გაგება, შეგნება“ : ი.-ე. *ǵen-/*ǵn̥- „ცოდნა, შემეცნება“;
- *lag- „(და)ლაგება, წოლა“ : ი.-ე. *legh- „წოლა“;
- *dew-/*dw- „(და)ღება“ : ი.-ე. *dhē- (*dheH-)/dhǝ- „(და)ღება“;
- *kus- „კუნესა“;
- *kus-en → kunēs : ი.-ე. *k̑ues-/*k̑us- „ქშენა, ოხვრა“;
- *bod- „ბოდვა“ : ი.-ე. *bhred(h)-/*bhrod(h)- „ბოდვა“;
- *dqa- „თხა“ : ი.-ე. *digh- „თხა“;
- *opop- „ოფოფი“ : ი.-ე. *epop-/*opop- „ოფოფი“;
- *til- „ტილი“ : ი.-ე. *tin-/*til- „ტილი“;
- *diqa- „ნიადაგი, მიწა“ : ი.-ე. *dheǵh-om „მიწა“ (მდრ.ხეთ. *tekan*, თოხ. *A tkam*) და სხვ.

ქართველურ-ინდოევროპული მორფონოლოგიური იზომორფიზმის ახსნა (როგორც ქართველურ-ინდოევროპული ენობრივი კონტაქტების შედეგისა) საფუძველს იძლევა, ახლებურად შეეხედოთ ინდოევროპული არეალური ლინგვისტიკის მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც ინდოევროპული დიალექტების უძველეს განაწილებას უკავშირდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველურ და ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს მოსაზღვრე ტერიტორიები ეჭირათ ამ ენებს შორის კონტაქტების არსებობის პერიოდში, დაახლოებით III ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე⁴⁰.

⁴⁰ მდრ.: W.P. Lehmann [რეცენზია წიგნზე], „სონანტოა სისტემა...“ (*«Language»*, vol. 44, №2, 1968, გვ. 404 და შმდ.)? ადრე გამოთქმული იყო მოსაზრება ქართველურსა და ინდოევროპულს შორის ენობრივი კონტაქტების შესახებ ხეობისა და ლუკიელის მიგრაციის პერიოდში კავკასიის გაულთ მცირე აზიისაკენ (იხ.: Т.В. Гамкрелидзе, „Анатолийские языки“ и вопрос о переселении в Малую Азию индоевропейских племен, М., 1964, გვ. 5 («VII Международный конгресс антропологических и этнографических наук»); Г.И. Мачавариани, К вопросу об индоевропейско-картвельских (южнокавказских) типологических параллелях, იქვე, გვ. 4 და შმდ.; მდრ. აგრეთვე: Th. V. Gamkrelidze, Anatolian languages and the problem of Indo-European migration to Asia Minor (*«Studies in General and Oriental Linguistics Presented to Shirō Hattori»*, Tokyo, 1970, გვ. 141).

ქართველურსა და ინდოევროპულს შორის სტრუქტურულ მსგავსებათა ამგვარი ინტერპრეტაცია საშუალებას იძლევა აღნიშნული ენობრივი სისტემები მივაკუთვნოთ საერთო არეალურ ჯგუფს, ისტორიამდელ გარკვეულ კავშირს, სადაც ენებს შორის ალოგენეტური, ანუ შექნილი, მეორადი ნათესაობა არსებობს.

საერთო-ინდოევროპულში (პროტო-ინდოევროპულში) გამოვლენილი სემიტური ნასესხობების ფონზე⁴¹ ინდოევროპული ნასესხობები საერთო-ქართველურში და ქართველურ-ინდოევროპული მორფონოლოგიური იზომორფიზმი (ქართველურ და ინდოევროპულ მორფონოლოგიურ სტრუქტურათა მსგავსება) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ამგვარი ენობრივი კონტაქტების საერთო არეალის განსაზღვრისა⁴² და საერთო-ინდოევროპული (პროტო-ინდოევროპული) ენის პირველსაწყისი ტერიტორიის დადგენისათვის⁴³.

სტრუქტურულ-ტიპოლოგიური და არეალური ლინგვისტიკის პრობლემათა ეს ერთობლიობა, რომელიც საერთო-ქართველურმა

⁴¹ შდრ.: ინდოევრ. *tauro- „ხარი“: სემ. *tawru „ხარი“; ინდოევრ. *ghajd- „ბეკეკა“: სემ. *ǵadju „ბეკეკა, თხა“; ინდოევრ. alu(t) „მწკლარტე ან ტკბილი სასმელი; ლუდი“: სემ. *h-l-w „ტკბილი; ტკბილი სასმელი“; ინდოევრ. *medhu „თაფლი, თაფლის სასმელი“: სემ. *m-t-k- „ტკბილი“; ინდოევრ. *dh̥per- „ეზო; კარი“: სემ. *t-w-r „ხლდე; შემოზღუდული ეზო“; ინდოევრ. *kl(ā)u „ჩაკეტვა; გასაღები“: სემ. *k-l- „ჩაკეტვა“; ინდოევრ. *nāy- „ხომალდი; ჭურჭელი“: სემ. *n-w- „ჭურჭელი“; ინდოევრ. *peleku- „ცული; ნაჯახი“: სემ. *p-l-k- „გაპობა; ნაჯახი“; ინდოევრ. *dap- „მსხვერპლშეწირვა“: სემ. *d-b-h- „მსხვერპლად შეწირვა“; ინდოევრ. *(a)ster- „ვარსკვლავი“: სემ. *e-t-t-r „გაღმერთებული ვარსკვლავი“; ინდოევრ. *arjō „ბატონი“: სემ. *h-r-(r) „გათავისუფლება; დაბადებით თავისუფალი“ და სხვ. (იხ.: В.М.Иллич-Свитыч, Древнейшие индоевропейско-семитские языковые контакты (კრებ. «Проблемы индоевропейского языкознания», М., 1964, გვ.3–7).

⁴² ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ვარაუდი საერთო-ქართველურში სემიტურიდან დაცხებითი სახელების შესახებ: *Awa||*arwa „რა“ (შდრ. აქად. arba, არაბ. arba'a „ოთხი“) და *āsi(r) „ასი“, შდრ. აქად. eširtu (მდღერ. სქ.), არაბ. 'ašr „ათი“, 'āšir „შეათე“ (იხ. Г.А.Климов, Заимствованные числительные в общекартвельском. — «Этимология». 1965, М., 1967).

⁴³ უახლესი თეორიისათვის 'სინურ-ტიბეტურსა და ინდოევროპულს შორის ენობრივ კონტაქტებთან დაკავშირებით ინდოევროპელთა წინარე-სამშობლოს“ შესახებ იხ.: E.G.Pulleyblank, Chinese and Indo-European (JRAS, pt. 1—2, 1966).

რეკონსტრუქციებმა და ქართველურ-ინდოევროპულმა მორფოლოგიურმა იზომორფიზმმა წარმოშვა, ერთგვარად განაპირობებს სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ და ინდოევროპულ შედარებით ენათმეცნიერებაში უკანასკნელ ხანს გაჩენილ შხარდ ინტერესს ქართველური ენების მიმართ და იმ შეფასების გამოხატულებადაც გვევლინება, რაც ქართველურ ენებში სონანტებისა და აბლაუტის შესახებ ჩამოყალიბებულმა თეორიამ დაიმსახურა ენათმეცნიერების აღნიშნულ დარგებში.





**ახალი პარადიგმა ინდოევროპულ უმდარებით—
ისტორიულ ენათმეცნიერებაში:
ინდოევროპული ფუჟე-ენისა და ინდოევროპული
პროტო-კულტურის რეკონსტრუქციის პრობლემა***

ქნათმეცნიერების ისტორიაში XX საუკუნის მეორე ნახევარი ხასიათდება განსაკუთრებული ინტერესით ისტორიული ლინგვისტიკისადმი, რაც კლასიკური შედარებითი ენათმეცნიერების პრობლემებისაკენ მიბრუნებას გულისხმობს. უკანასკნელ ათწლეულებში მზარდმა ინტერესმა ისტორიული ლინგვისტიკის პრობლემების მიმართ შედეგად გამოიღო ლინგვისტური აზრის ზოგადი განვითარება იმ თვალსაზრისით, რომ დაძლეული იქნა წინა პერიოდისათვის დამახასიათებელი ანტინომია სინქრონიასა და დიაქრონიას შორის, როცა, ამჟღეროულად, ამკარა უპირატესობა სინქრონიულ ენათმეცნიერებას ენიჭებოდა. ამ მხრივ, ლინგვისტიკა გამონაკლისი არ ყოფილა სხვა მეცნიერებებს შორის. გასული საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერული აზრის განვითარების ერთ-ერთ საერთო ტენდენციად მიიჩნევა მიბრუნება ისტორიზმისაკენ, რაც ძირითადად XIX საუკუნის მეცნიერებას ახასიათებდა. ამ

* დაიბეჭდა რუსულ ენაზე კრებულში «Труды Отделения историко-филологических наук. Российская Академия Наук», Ответственный редактор — акад. А.П.Дервянко, Москва: Наука, 2005, стр. 7—22.

ახალმა ტენდენციამ შეცვალა XX საუკუნის პირველი ათწლეულებისათვის დამახასიათებელი ანტიისტორიზმი და სინქრონიული სტრუქტურალიზმი.

სისტემურ, სინქრონიულ ლინგვისტიკაში ენობრივი ანალიზის მრავალი ახალი მეთოდი შემუშავდა და ამ მეთოდებით გამდიდრებული ენათმეცნიერება კვლავ მიუბრუნდა ძველ, ტრადიციულ პრობლემებს. ტრადიციული იდეებისადმი აღნიშნული მეთოდების გამოყენების სიახლე გულისხმობს ლინგვისტური ანალიზის ჩატარებას არა მხოლოდ სინქრონიულ ლინგვისტიკაში შემუშავებული ზუსტი ოპერაციების მეშვეობით, არამედ გლობალურ მიდგომას ენისადმი, როგორც სისტემური ფენომენისადმი, რომელიც განუწყვეტლევ იცვლება დროში და რომელიც შესაძლოა თანმიმდევრულ სისტემურ ანალიზს დაექვემდებაროს. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების ტრადიციული პრობლემების გადასაჭრელად გამოყენებული იქნას ტიპოლოგიური ლინგვისტიკისა და უნივერსალიათა ლინგვისტიკის მონაცემები. ეს ენათმეცნიერების შედარებით ახალი მიმართულებებია, რომლებიც წარმატებით ვითარდებიან ბოლო ათწლეულებში. თანამედროვე ენათმეცნიერების ამ უახლესი მონაცემების გამოყენებამ მონათესავე ენათა ცალკეული ჯგუფების, კერძოდ, ინდოევროპულ ენათა ოჯახის მიმართ, ნათელი გახადა, რომ უნდა გადამოწმებულიყო კლასიკურ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში გაბატონებული ტრადიციული შეხედულებანი ამ ენათა ისტორიული წარსულისა და მათი ისტორიამდელი განვითარების კონკრეტული გზების შესახებ.

როგორც ცნობილია, ისტორიული ენათმეცნიერება XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა სწორედ ძველი ინდოევროპული ენების შეპირისპირებისა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე, მათ შორის ნათესაური დამოკიდებულებისა და ერთიანი წინაპარი ენიდან (რომელსაც ინდოევროპულ ფუძე-ენას ან „წინარე ენას“ უწოდებენ) მათი საერთო წარმომავლობის დადგენის საფუძველზე. ამგვარი მიდგომა უკვე ნიშნავდა, რომ ჩამოყალიბდა

ახალი სამეცნიერო დისციპლინა — შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება, რომელმაც შემდგომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სრულიად განსხვავებული სტრუქტურის ენათა შესწავლის საქმეში და რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის ერთ-ერთ ყველაზე ფორმალისებულ მეცნიერულ დისციპლინად იქცა.

მონათესავე ენათა ჯგუფებისათვის, როგორცაა, მაგალითად, ინდოევროპული, სემიტური, თურქული, ქართველური და სხვ., დამახასიათებელია ერთი განსაკუთრებული თავისებურება, რაც მათ ფონემურ შედგენილობას უკავშირდება და კონკრეტულ გენეტურ ჯგუფში ამ ენებს შორის არსებული მიმართებების ფორმალისებული აღწერის საშუალებას იძლევა. ერთ გენეტურ ჯგუფში გაერთიანებულ მონათესავე ენებს შორის ვლინდება რეგულარული ფონემური (ბგერითი) შესატყვისობები, რაც ამ ენებს ფორმალურად აახლოებს ერთმანეთთან და მათ საერთო წარმომავლობას ადასტურებს. სწორედ ამგვარი ფონემური შესატყვისობების საფუძველზე რეკონსტრუირდება წინაპარი ენის ფონოლოგიური თუ მორფოლოგიური სისტემები.

ფუძე-ენის ამოსავალი სისტემის პოსტულირება ამავე დროს ნიშნავს, რომ რეკონსტრუირდება მონათესავე ენათა სისტემების წინარეისტორია და მათი განვითარება- ჩამოყალიბების გზები ამოსავალი მდგომარეობიდან ვიდრე მოცემულ ენათა დოკუმენტურად დადასტურებულ ისტორიულ მდგომარეობამდე. ამიტომაც ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლა და მათ შორის ფონემურ-სტრუქტურული თანაფარდობების დადგენა უნდა დასრულდეს მოცემულ ენათა ამოსავალი ენობრივი სისტემის ამსახველი ფუძეენისეული მდგომარეობის რეკონსტრუქციითა და გარდაქმნის ანუ ტრანსფორმაციის იმ წესების განსაზღვრით, რომელთა მეშვეობითაც ისტორიულად დადასტურებული მონათესავე სისტემები თეორიულად პოსტულირებული ენობრივი მოდელიდან გამოიყვანება.

მონათესავე ენობრივი სისტემების წინარეისტორიის აღდგენა, ამოსავალი საერთო მდგომარეობიდან (რაც ფუძე-ენის სისტემაში

აისახება) ისტორიულად ფიქსირებულ მდგომარეობამდე მათი განვითარება-ჩამოყალიბების გზების რეკონსტრუქცია დამოკიდებულია იმაზე, თუ ფუძე-ენის სისტემა რა ფორმით აღდგება, ანუ როგორი ფონემური თუ გრამატიკული სისტემებით დახასიათდება.

თავის მხრივ, ემპირიულ მოთხოვნას ფუძე-ენის პოსტულირებული სისტემის მიმართ წარმოადგენს ის, რომ რეკონსტრუირებული სისტემა უნდა იყოს ტიპოლოგიურად რეალური (არაწინააღმდეგობრივი) და სრული. ტიპოლოგიური რეალურობა (არაწინააღმდეგობრიობა) გულისხმობს იმგვარი ენობრივი სტრუქტურების თანაარსებობას, რომლებიც არაა შეუთავსებელი ტიპოლოგიურად დადგენილი ენობრივი კანონზომიერებების მიხედვით და მათი სინქრონიული მახასიათებლებიც საზოგადოდ არაა ენისათვის უცხო.

ენისათვის დამახასიათებელ ამგვარ უნივერსალურ სინქრონიულ სტრუქტურებს ადგენს თანამედროვე ენათმეცნიერების ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორცაა ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და უნივერსალიათა ლინგვისტიკა. ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპი საშუალებას იძლევა დიდი ალბათობით განისაზღვროს თეორიულად პოსტულირებული ამოსავალი ენობრივი სისტემის ტიპოლოგიური რეალურობა და არაწინააღმდეგობრიობა. ტიპოლოგიური რეალურობის კრიტერიუმში მკვეთრად ამცირებს იმ თეორიულად დასაშვებ ენობრივი სისტემების რაოდენობას, რომლებიც შეიძლება პოსტულირებული იყოს როგორც ამოსავალი სისტემა ისტორიულად დადასტურებული მონათესავე ენებისათვის.

ტიპოლოგიური არაწინააღმდეგობრიობის კრიტერიუმში არ წარმოადგენს პოსტულირებული ენობრივი სისტემის რეალურობის ერთადერთ ემპირიულ საზომს. არანაკლებ მნიშვნელოვანია შესაბამისობა დიაქრონიულ ტიპოლოგიასთან; ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოცემულ სისტემაში სტრუქტურული ტრანსფორმაციებისა და გარდაქმნათა წესები უნდა შეესაბამებოდეს სხვადასხვა ტიპის ისტორიულ ენათა სტრუქტურებში ცვლილებებისა და გარდაქმნების

შესწავლის საფუძველზე გამოვლენილ ენობრივ ტრანსფორმაციათა მოდელებს. ენობრივ გარდაქმნათა ამგვარ უნივერსალურ მოდელებს აღგენს და შეისწავლის დიაქრონიული ტიპოლოგია, რომელსაც, სინქრონიული ტიპოლოგიისაგან განსხვავებით, ენობრივ სტრუქტურათა დროში ცვლილებებისა და გარდაქმნების უნივერსალური სქემები აინტერესებს.

ამგვარად, თეორიულად პოსტულირებული ფუძე-ენის სისტემის შესაბამისობა როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ტიპოლოგიასთან არის ის ძირითადი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც შეიძლება შევაფასოთ თეორიულად პოსტულირებული სისტემის რეალურობის ხარისხი, რათა მონათესავე ენათა მოცემული ოჯახისათვის ფუძე-ენის რანგში პოსტულირებულ თეორიულად სავარაუდო სისტემებს შორის ერთ რომელიმე სისტემას მივანიჭოთ უპირატესობა.

ინდოევროპული ენების შესწავლის მიზნით შედარებითი შტუდიების ჩამოყალიბებისთანავე, ანუ ფაქტობრივად მაშინ, როცა XIX საუკუნის ენათმეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლებმა საფუძველი ჩაუყარეს შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებას, აღდგენილი იქნა საერთო-ინდოევროპული კონსონანტური სისტემა, რომლისგანაც გამოიყვანებოდა ისტორიულად დადასტურებულ ინდოევროპულ ენათა სისტემები. რეკონსტრუირებული კონსონანტური სისტემა წარმოდგენილი იყო ფონემათა გარკვეული რიგების სახით და ძირითადად ემთხვეოდა ძველი ინდური ენის, იმ დროისათვის ცნობილ ინდოევროპულ ენათა უძველესი წარმომადგენლის, სისტემას.

საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის ამგვარი სისტემა (კერძოდ, ხშულ ფონემათა ქვესისტემა), უმნიშვნელო ცვლილებებითა და დაზუსტებით, რაც შემდგომ კვლევებს უკავშირდება, პოსტულირებულია თანამედროვე ინდოევროპულ კომპარატივისტიკაში ფონემათა შემდეგი სამი რიგის სახით: I — მჟღერები ~ II — მჟღერი ფშვინვიერები ~ III — ყრუები.

ამ სახით პოსტულირებული კონსონანტთა ინდოევროპული სისტემიდან გამოიყვანება ინდოევროპულ ენათა ყველა ისტორიულად დადასტურებული სისტემა, ამოსავალ სისტემაში იმ ფონემური გარდაქმნების დაშვებით, რომელთა შედეგადაც უნდა წარმოშობილიყო კონკრეტული ინდოევროპული ენები განსხვავებული კონსონანტიზმით.

გასაგებია, რომ ამ სახით პოსტულირებული ამოსავალი ინდოევროპული კონსონანტიზმი ძირითადად ძველი ინდური ენის მოდელს იმეორებს და, ამდენად, ძველი ინდური ენა იმ სისტემად გვევლინება, რომელმაც ყველაზე ნაკლები ცვლილება განიცადა და რომელშიც ყველაზე მეტადაა შემონახული საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის მახასიათებლები.

საერთო-ინდოევროპული სისტემის ამგვარი პოსტულირების შემთხვევაში უმნიშვნელო ცვლილებები იფარაუდებოდა ბერძნულისა და იტალიურისათვის (ინდოევროპულ ხშულთა II სერიის დაყრუება და სპირანტიზაცია), სლავური ენებისა და კელტურისათვის (ინდოევროპულ ხშულთა II სერიის დეზასპირაცია). ინდოევროპული სისტემის ამგვარი სახით პოსტულირების შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფონემური ცვლილებები აღდგება გერმანიკული ენებისა და სომხურისათვის, რომლებშიც იფარაუდება ე.წ. „თანხმოვანთა გადაწევა“. ეს უკანასკნელი გულისხმობს ინდოევროპული სისტემის სამი რიგიდან თითოეულის გადაწევას ერთი ბიჯით, ანუ ერთი ფონოლოგიური ნიშნის შეცვლას: **I სერია** („მჟღერები“ [*b), *d, *g] გადაინაცვლებს „ერუ ხშულების“ [(p), t, k] სერიაში; **II სერია** („მჟღერი ფშვინვიერები“ [*bh, *dh, gh*]) გადაინაცვლებს მარტოვი „მჟღერი ხშულების“ [b, d, g] სერიაში; **III სერია** („ერუ ხშულები“ [*p *t *k]) გადაინაცვლებს „ერუ ფშვინვიერების“ [ph, th, kh] სერიაში, საიდანაც შემდგომში მიიღება სპირანტები [f, x/h]. გერმანიკულ ენებში პოსტულირებული თანხმოვანთა აღნიშნული გადაინაცვლება შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში ცნობილია „გრიმის კანონის“ სახელწოდებით და ტრადიციულად მიიჩნევენ,

რომ ეს არის ენაში სისტემურ ფონემურ გარდაქმნათა კლასიკური მაგალითი. სწორედ ამიტომ იგი თითქმის ყველა ლინგვისტურ სახელმძღვანელოშია შეტანილი როგორც ამგვარი გარდაქმნების ნიმუში.

კონკრეტული ინდოევროპული ენების (როგორცაა ინდო-ირანული, ბერძნული, იტალიკური, სლავური, გერმანიკული და სხვ.) ფორმირებისა და განვითარების ისტორია კლასიკურ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში აიგება პოსტულირებული ამოსავალი ინდოევროპული სისტემის შესაბამისად. კლასიკურმა შედარებითმა ინდოევროპულმა ენათმეცნიერებამ თავისი არსებობის მანძილზე, რაც ასორმოდებათ წელზე მეტს ითვლის, ენობრივი ფაქტებისა და აღმოჩენების უზარმაზარი კორპუსი დააგროვა, რომლის დიაქრონიული ინტერპრეტაცია ხდებოდა ტრადიციულად პოსტულირებული ამოსავალი საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის ფონზე. თითქმის უგამონაკლისოდ, ინდოევროპული ენების ყველა შედარებითი გრამატიკა თუ შედარებითი ლექსიკონი აიგებოდა და დღესაც აიგება საერთოინდოევროპული კონსონანტიზმის ტრადიციული სისტემის გათვალისწინებით. პოსტულირებული ამოსავალი სისტემა ერთგვარად თავად განსაზღვრავს იმ სავარაუდო ფონემურ გარდაქმნების ხასიათს, რომელთა შედეგია ისტორიული ინდოევროპული ენების ფორმირება, ანუ ამოსავალი სისტემა ამ ენების ისტორიამდელი ფონეტიკური განვითარების განმსაზღვრელია. კლასიკურ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში ე.წ. „ფონეტიკური კანონები“, როგორცაა „გრემის კანონი“, „გრასმანის კანონი“, „ბართოლომეს კანონი“ და სხვ., შეიქმნა სწორედ იმისათვის, რომ განემარტათ ის ისტორიამდელი ფონეტიკური პროცესები, რომლებიც ამგვარი დაშვებით ივარაუდებოდა კონკრეტულ ინდოევროპულ დიალექტებში.

მონათესავე ენათა შედარებით-ისტორიულ გრამატიკულ სისტემაში ამოსავალი ენობრივი მოდელი თავისი ფუნქციით შეიძლება შევადაროთ აქსიომათა სისტემას ლოგიკურ-დელუქციურ თეორია-

ში. იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისაა აქსიომათა სისტემა, როგორია ამ სისტემის შედგენილობა, განისაზღვრება ამ სისტემაზე დაფუძნებული თეორია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ლოგიკურ-დედუქციურ თეორიაში არც განიხილება აქსიომათა სისტემის ჭეშმარიტობის, ემპირიულ სინამდვილესთან მისი მიმართების საკითხი, მაშინ როცა ამოსავალი ენობრივი სისტემის მიმართ რეალურობის კრიტერიუმს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს, თუ რამდენად სააღბათოა პოსტულირებული ამოსავალი ენობრივი მოდელი, ამსახველი ოდესღაც არსებული იმ ენობრივი სისტემასა, რომლისგანაც კონკრეტული, ისტორიულად დადასტურებული მონათესავე ენები ჩამოყალიბდნენ.

თუკი საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის ტრადიციულად პოსტულირებულ სისტემას განვიხილავთ ემპირიული რეალურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით, აღმოჩნდება, რომ კონსონანტური სისტემა, რომელიც კლასიკურ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში მიჩნეულია ამოსავალ სისტემად ისტორიულად დადასტურებული ინდოევროპული ენებისათვის, შინაგანად წინააღმდეგობრივია და არ შეესაბამება ენათა სინქრონიული ტიპოლოგიის მონაცემებს. უფრო მეტიც, იგი ეწინააღმდეგება უნივერსალურ ენობრივ კანონზომიერებებს, რომლებიც უნივერსალიათა ლინგვისტიკაშია დადგენილი. ამდენად, თეორიულად პოსტულირებული ამგვარი ლინგვისტური მოდელი ვერ ჩაითვლება ამსახველად დროსა და სივრცეში რეალურად არსებული იმ ენობრივი სისტემისა, რომელიც შემდგომში მონათესავე ენების სისტემებად გარდაიქმნა. შესაბამისად, ვერც ის ფონეტიკური ცვლილებები და გარდაქმნები ჩაითვლება რეალურად, რომლებიც კლასიკურ ინდოევროპულ შედარებით გრამატიკაში იყო დაშვებული იმ ტრანსფორმაციული პროცესის აღსაწერად და ასახსნელად, რომლის შედეგადაც ამოსავალი სისტემიდან ჩამოყალიბდა ისტორიულად დადასტურებულ ინდოევროპულ ენათა განსხვავებული სისტემები.

იმისათვის, რომ ინდოევროპული ფუძე-ენის კონსონანტური სისტემა შესაბამისობაში მოსულიყო ენობრივი ტიპოლოგიის (როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული) მონაცემებთან, საჭირო გახდა მისი გადასინჯვა და რეინტერპრეტაცია. რეინტერპრეტირებული სისტემა წარმოდგენილია ფონემათა სამი სერიით, რომლებიც ერთმანეთს შემდეგნაირად უპირისპირდებიან: I გლოტალიზებული ~ II მჟღერი (ფშვინვიერი) ~ III ყრუ (ფშვინვიერი), სადაც მჟღერი და ყრუ ხშული ფონემები პოზიციურად დასტურდებოდა ასპირირებული ან შესაბამისი არაასპირირებული ვარიანტების სახით. რეინტერპრეტაციის სქემატური სურათი შემდეგია:

ტრადიციული სისტემა ==> რეინტერპრეტირებული სისტემა

I	II	III	I	II	III
(b)	b ^h	(p)	(p')	b ^[h]	p ^[h]
d	d ^h	t	t'	d ^[h]	t ^[h]
g	g ^h	k	k'	g ^[h]	k ^[h]
.
.
.

საერთო-ინდოევროპულის ხშულთა სამი სერიის ამგვარი ინტერპრეტაციით უკვე შესაძლებელი ხდება ბუნებრივი ფუნქციურ-ფონოლოგიური ახსნა დაემბნოს ენობრივი სტრუქტურის მთელ რიგ ფაქტებს, რომლებიც საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის ტრადიციული მოდელის მიხედვით გაუგებარი და ტიპოლოგიურად აუხსნელი იყო (ასეთია, მაგალითად, სისტემაში „*მჟღერი ლაბი-ალური*“ /b/ ფონემის არქონა, „*მჟღერი ფშვინვიერების*“ არსებობა „*ყრუ ფშვინვიერების*“ გარეშე, ძირის სტრუქტურასთან დაკავშირებული შეზღუდვები და სხვ.).

ახალი ინტერპრეტაციის მიხედვით, საერთო-ინდოევროპულ ხშულთა სისტემასთან შედარებით ახლოს დგანან ის სისტემები, რომლებშიც, ტრადიციული განსაზღვრებით, „თანხმოვანთა გადაწყევა“ მოხდა (გერმანიკული, სომხური, ხეთური), ხოლო სისტემები, რომლებიც ითვლებოდა, რომ კონსონანტიზმის თვალსაზრისით ბევრად უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებდნენ საერთო-ინდოევროპულთან (პირველ რიგში, ძველი ინდური), ამჟამად უკვე მიიჩნევა, რომ მიღებულია ამოსავალი ენობრივი სისტემიდან რთული ფონემური გარდაქმნების შედეგად. ამგვარად, იქმნება ინდოევროპულ დიალექტთა ისტორიამდელი განვითარების ახალი სურათი, სრულიად საპირისპირო იმისა, რაც მიღებული იყო კლასიკურ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში. შესაბამისად, იცვლება ტრადიციური საერთო-ინდოევროპული ხშული ფონემების გარდაქმნებისა და მათი მიმართულება, ახალი ინტერპრეტაციის მიხედვით, უპირისპირდება ტრადიციულად მიღებულს. სწორედ ამის გამო, ხდება გადააზრება კლასიკური ინდოევროპული ენათმეცნიერების ძირითადი „ფონეტიკური კანონებისა“ (როგორცაა: „**გრიმის კანონი**“, „**გრასმანის კანონი**“, „**პართოლომეს კანონი**“ და სხვ.), რომლებიც ახალ შინაარსს იძენენ ინდოევროპული ფონოლოგიური სისტემის ახლებური ინტერპრეტაციის ფონზე.

ინდოევროპული ფუძე-ენის ახალი მოდელი, რომელიც ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში „გლოტალური თეორიის“ სახელით გახდა ცნობილი და რომელიც, ერთგვარად, ათვლის ახალ სისტემას წარმოადგენს, კლასიკური ინდოევროპული ენათმეცნიერების პოსტულატთა მთელი სისტემის ძირეულ გადასინჯვას მოითხოვს და, ამავე დროს, გვთავაზობს ინდოევროპულ ენათა წარმოშობისა და ისტორიამდელი განვითარების ახალ სურათს. შესაბამისად, გასაგებია, რომ საჭირო ხდება სრულიად ახლებურად ჩამოყალიბდეს ინდოევროპული ენის ტრადიციული შედარებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონის საფუძვლები. ამდენად, შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში ყალიბდება ახალი „პარადიგმა“ (თომას ქუნის მიხედვით).

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოდ გვეჩვენება ინდო-ევროპული ენათმეცნიერების პატრიარქის, ცნობილი ამერიკელი ლინგვისტის ვინფრიდ ლემანის სიტყვები: „ის, რაც მე-19 საუკუნის უტყუარ მიღწევად მიგვაჩნდა, დღეს უკვე ნაწილ-ნაწილ გულდასმით გადასინჯვას საჭიროებს“.

* * *

ინდოევროპული ფუძე-ენის რეკონსტრუქცია, როგორც დროსა და სივრცეში რეალურად არსებული სისტემისა, გულისხმობს, ასევე, როგორც ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხების არსებობას, რომელთაც პირობითად „ინდოევროპელებს“ ვუწოდებთ, ისე მათი პირველსაცხ-ოვრისი ტერიტორიის ანუ „წინარესამშობლოს“ არსებობასაც, საიდანაც დაიწყო ამ ხალხთა მიგრაციები (სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მიმართულებით) მათი განსახლების ისტორიული ტერიტორიებისაკენ. ამდენად, გასაგებია, რომ კვლავ წარმოჩინდა ინდოევროპული „წინარესამშობლოს“ ტრადიციული პრობლემა, რომელიც თითქმის ისევე ძველია, როგორც თვით ინდოევროპული შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება.

სავსებით ბუნებრივია, რომ „წინარესამშობლოს“ ლოკალიზაციისა და ინდოევროპელი ტომების თავდაპირველი ტერიტორიების სავარაუდო საზღვრების შესაბამისად განისაზღვრება ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკე განსხვავებული ხალხების გადაადგილებათა ტრაექტორიები თითოეული მათგანის განსახლების ისტორიული ტერიტორიებისაკენ. ამ ტრაექტორიების განსაზღვრა, თავის მხრივ, მეტისმეტად მნიშვნელოვანია ინდოევროპული ხალხების (უფრო ზუსტად, ინდოევროპულ ენებზე ამჟამად ან ოდესღაც მოლაპარაკე ხალხების) წინარეისტორიის ძირითადი მომენტების აღსადგენად.

ინდოევროპეისტიკაში საკმაოდ ადრე დამკვიდრდა თეზისი, რომლის მიხედვითაც ინდოევროპელთა წინარესამშობლო ცენტრალურ

ევროპაში ლოკალიზდებოდა. მოგვიანებით აღნიშნული თეზისის საწინააღმდეგოდ სერიოზული არგუმენტები გაჩნდა, რომელთა შესაბამისად ინდოევროპელთა წინარესამშობლომ გადაინაცვლა აღმოსავლეთის მიმართულებით, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, ე.წ. „ყორღანული“ (ან „ძველორძული“ გორასამარხების) კულტურის არქეოლოგიურ არეალში. ეს უკანასკნელი თვალსაზრისი, რომელსაც მხარს უჭერს ცნობილი ამერიკელი არქეოლოგი მ.გომბუტასი და მისი სკოლა, დღეისათვის საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული.

ინდოევროპული ფუძე-ენისა და მისი დიალექტების არეალური კვლევის შედეგად გამოვლენილ ლინგვისტურ და კულტურულ-ისტორიულ მონაცემთა მთელი კომპლექსი, ასევე, საერთო-ინდოევროპული ლექსიკის სემანტიკური ანალიზის შედეგები მიგვანიშნებს, რომ ახლებურად უნდა შევხედოთ ინდოევროპული „წინარესამშობლოს“ პრობლემას, რაც განსხვავებულ არეალურ თუ კულტურულ-ისტორიულ ინტერპრეტაციას გულისხმობს. უახლესი მონაცემების გათვალისწინებით, ინდოევროპული „წინარესამშობლო“ გადაინაცვლებს, და თანაც — მნიშვნელოვნად, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და განთავსდება წინააზიურ არეალში.

თუკი საერთოენობრივი, ე.წ. „წინარეენობრივი“, სისტემა აღდგენილია შედარებით-ისტორიული და სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზის განსაკუთრებული მეთოდების გამოყენებით, ამ ენაზე მოლაპარაკეთა კულტურისა და სულიერი სამყაროს აღსადგენად უპირველესად უნდა ჩატარდეს რეკონსტრუირებული საერთოენობრივი ლექსიკის ისტორიულ-სემანტიკური ანალიზი, რამდენადაც სწორედ ლექსიკაში აისახება მოცემულ წინაპარ-ენაზე მოლაპარაკეთა ისტორიული არსებობის ზოგადი სურათი თუ ძირითადი მომენტები.

წინაპარ-ენაზე მოლაპარაკეთა ისტორიული არსებობის ცნებაში იგულისხმება როგორც ეკოლოგიური პირობები (ფლორა, ფაუნა, გეოგრაფიული გარემო), ამ პირობებში მათი ყოფნა და გადა-

ადგილება, ისე ამ ხალხის კულტურაც ფართო მნიშვნელობით — პროტო-კულტურა.

ასეთ შემთხვევაში რეკონსტრუირებული ლექსიკური ელემენტები ასრულებენ ინფორმაციული წყაროს როლს, რომლის მიხედვითაც გვექმნება წარმოდგენა ფუძე-ენაზე და მის ცალკეულ დიალექტთა უძველეს გაერთიანებებზე მოლაპარაკე ხალხთა არსებობისა და განვითარების ისტორიული გზების, მათი პროტო-კულტურის შესახებ.

ფუძე-ენაზე რეკონსტრუირებული ლექსიკის ამგვარი „რეტროსპექტული“ სემანტიკური ანალიზი აუცილებლად გულისხმობს ენის ჩაკეტილი სისტემიდან გასვლას არაენობრივ ცნებათა სამყაროში, რაც ნიშნავს გარკვეული შესაბამისობის დადგენას, ერთი მხრივ, ფუძე-ენისა და მისი დიალექტების უძველეს გაერთიანებათა ლექსიკური ელემენტების სემანტიკურ პლანსა და, მეორე მხრივ, ექსტრალინგვისტურ რეალიებს შორის.

ენის ამგვარი ანალიზი, ამ ენაზე მოლაპარაკეთა კულტურასთან მჭიდრო კავშირში, ჯერ კიდევ ინდოევროპული შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების ფორმირებისა და განვითარების ადრეულ ეტაპზე, ენათმეცნიერებაში სტრუქტურული მიმდინარეობის დამკვიდრებამდე ჩამოყალიბდა როგორც განსაკუთრებული ენათმეცნიერული დისციპლინა, რომელსაც „ლინგვისტურ პალეონტოლოგიას“ უწოდებენ.

შედარებით-ისტორიული შტუდიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე პროტო-კულტურის რეკონსტრუქციის ის მეთოდი, რომელიც ფუძე-ენის სემანტიკურ და სტრუქტურულ-გრამატიკულ ანალიზს ემყარება, უნდა დახასიათდეს როგორც „კულტურის ლინგვისტური პალეონტოლოგია“, რამდენადაც ამ შემთხვევაში სპეციალური კვლევისა და რეკონსტრუქციის საგანია არა საკუთრივ ფუძე-ენისა და მისი უძველესი დიალექტების სტრუქტურა, არამედ პროტო-კულტურა ფართო ანთროპოლოგიური მნიშვნელობით, რაც გულისხმობს ეკოლოგიასა და, ასევე, ამ ენაზე მოლაპარაკეთა მა-

ტერიალურ და სულიერ სამყაროს: რეკონსტრუირდება არაენობრივი სამყარო (უფრო მეტად, ვიდრე საკუთრივ ენა), რომელიც რეკონსტრუირებულ ენობრივ ერთეულებშია ასახული.

ინდოევროპულ ფუძე-ენაზე მოლაპარაკე ხალხთა პირველსაცხორისად უნდა მივიჩნიოთ ისეთი რეგიონი, რომელიც საერთო-ინდოევროპული ენის არსებობის პერიოდში (ე.ი. IV ათასწლეულში ჩვენს ერამდე და ადრეც) თავისი ეკოლოგიური, გეოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული მახასიათებლებით შეესაბამება ფუძე-ენაზე რეკონსტრუირებული ლექსიკის მიხედვით მიღებულ სურათს და, ამავე დროს, რეკონსტრუირებული ლექსიკა, თავის მხრივ, უნდა ეთანადებოდეს ევრაზიის კონტინენტის მოცემული რეგიონის ისტორიულ-გეოგრაფიული, პალეობოტანიკური, პალეოზოოლოგიური, არქეოლოგიური და კულტურულ-ისტორიული კვლევის შედეგებს.

ინდოევროპული ფუძე-ენის ლექსემათა მთელი კომპლექსის სემანტიკა, რომელშიც ასახულია უძველეს ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკეთა საცხოვრებელი გარემო, მათი მატერიალური და სულიერი კულტურა, მიუთითებს, რომ სწორედ წინა აზია უნდა წარმოადგენდეს ინდოევროპული ფუძე-ენის თავდაპირველი გავრცელების არეალს.

საერთო-ინდოევროპულ დონეზე რეკონსტრუირებული გარკვეული სემანტიკური ჯგუფების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკე ხალხთა პირველსაცხორისი ტერიტორია მთიანი ლანდშაფტით ხასიათდებოდა (რაც უკვე გამორიცხავს წინარესამშობლოს ლოკალიზაციის შესაძლებლობას ჩრდილო შავიზღვისპირეთში). ხეებისა და მცენარეების საერთო-ინდოევროპული სახელები („მუხა“, „მუხაკლდე“, „მთის მუხა“, „რკო“, „რცხილა“, „იფანი“, „ვერხვი“, „კაკალი“, ასევე „ვაზის“, „ყურძის“, „ღვინის“ სახელები და სხვ.) ბუნებრივად უკავშირდება ინდოევროპული წინარესამშობლოს მთიან ლანდშაფტს და, ამდენად, იგი უეჭველად უნდა ლოკალიზდებოდეს

ხმელთაშუაზღვისპირეთის (ფართო მნიშვნელობით — ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთის ჩრდილო ნაწილის ჩათვლით) შედარებით სამხრეთ რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ ცხოველების საერთო-ინდოევროპული სახელების („ჯიქი“, „ლეოპარდი“, „ლომი“, „მაიმუნი“, „სპილო“, „სპილოს ძვალი“, „კიბორჩხალი“ და სხვ.) ანალიზიც მხარს უჭერს ინდოევროპული წინარესამშობლოს ეკოლოგიური გარემოს სამხრეთულ ხასიათს, რაც, უპირველესად, გეოგრაფიულ ლანდშაფტთან და მცენარეულ საფართან დაკავშირებული მონაცემების საფუძველზე ივარაუდება. ზოგიერთი ამ ცხოველთაგანი, ან თუნდაც ის ფაქტი, რომ იცნობენ ამ ცხოველებს, უკვე გამორიცხავს ცენტრალურ ევროპას, როგორც აღნიშნულ დიდიფაქტებზე მოლაპარაკეთა პირველსაცხოვრის ტერიტორიას.

შესაძლებელი გახდა საერთო-ინდოევროპულ დონეზე მეცხოველებობასთან და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული მდიდარი ტერმინოლოგიის აღდგენა. IV ათასწლეულში ჩვენს ერამდე, ანუ საერთო-ინდოევროპული ენის დამოუკიდებელ დიალექტებად დაშლის უშუალოდ წინა პერიოდში, მეცხოველეობა (ისევე როგორც მიწათმოქმედება) ცენტრალურ ევროპაში ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო.

ინდოევროპული ფუძე-ენის გაგრძელების არეალად ახლო აღმოსავლეთის მიჩნევას ამკარად მხარს უჭერს სოფლის მეურნეობის კულტურების (ქერის, ხორბლის, სელის), განსაკუთრებით, მსხმოიარე ხეებისა და ბუჩქების (ვაშლის, შინდის, ალუბლის, თუთის ხის, ვაზისა და სხვ.) რეკონსტრუირებული სახელები, აგრეთვე, მიწათმოქმედების პროდუქტების დამუშავებასთან დაკავშირებული ქმედებისა და ხელსაწყო-იარაღების აღმნიშვნელი სიტყვები („ლოლაბი“, „დანაყვა, მარცვლეულის დაფხვნა“, „დაფქვა“, „ქერის მარცვლების ცეცხლზე დამუშავება“). მსგავსი ხელსაწყო-იარაღები ევროპაში შემოდის წინა აზიიდან მხოლოდ რკინის ხანაში (I ათასწლეულისათვის ჩვენს ერამდე). მიწათმოქმედებისა და მევენახეობის ტერმინოლოგია ნათლად ადასტურებს ინდოევროპული

ერთობის ლოკალიზაციას რეგიონში განვითარებული მიწათმოქმედებით (IV ათასწლეულში ჩვენს ერამდე და უფრო ადრეც), ე.ი. ტერიტორიებზე სამხრეთის მიმართულებით, ბალკანეთიდან ირანის ზეგანამდე. ევროპის რეგიონებში, უფრო ჩრდილოეთით, ისეთი თავთავიანი კულტურები, როგორცაა ქერი, შემოდის მცირე აზიიდან და ბალკანეთიდან და მხოლოდ ჩვენს ერამდე II ათასწლეულის ბოლოს — I ათასწლეულის დასაწყისში ხდება ყველაზე გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურა. რაც შეეხება კულტივირებულ ყურძენს, იგი გაჩნდა მიწათმოქმედების ამიერკავკასიურ-დასავლეთაზიურ ცენტრში, როგორც ეს აკად. ნ.ი.ვაგილოვმა დაადგინა.

ძველი ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის დასადგენად და ინდოევროპული წინარესამშობლოს წინააზიურ არეალში ლოკალიზაციისათვის განსაკუთრებით ფასეული აღმოჩნდა თელიანი ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული ინდოევროპული ტერმინოლოგია — ოთხთვალასა და მისი ნაწილების („თელის/ბორბლის“, „ღერძის“, „აკაზმულობის“, „უღლის“, „ხელნის“) სახელები, აგრეთვე, მთის მაგარი ხის ჯიშისაგან ოთხთვალას დასამზადებელი აუცილებელი ლითონისა („ბრინჯაოს“) და გამწვევი ძალის — მოშინაურებული ცხენის (რომელიც უკვე გამოიყენებოდა როგორც სამეურნეო, ისე საომარი მიზნით) სახელები. ოთხთვალათა შექმნა დაიწყო დაახლოებით ჩვენს ერამდე IV ათასწლეულიდან. ინგლისელი არქეოლოგის *ს.პიგოტის* უახლესი მონაცემების მიხედვით, ოთხთვალას გავრცელების საწყის კერად უნდა მივიჩნიოთ ტერიტორია ამიერკავკასიიდან ზემო მესოპოტამიამდე, ვანისა და ურმიის ტბებს შორის. ადრეული ბრინჯაოს ეპოქის ახლო აღმოსავლეთიდან ოთხთვალეები ვრცელდება ვოლგა-ურალის რაიონში, ჩრდილო შავიზღვისპირეთში, ბალკანეთში, ცენტრალურ ევროპაში. ივარაუდება, რომ იმავე ტერიტორიაზე მოაშინაურეს ცხენი (ან, ყოველ შემთხვევაში, აქ გავრცელდა მოშინაურებული ცხენი) და გამოიყენეს იგი გამწვევ ძალად.

ამასთან ერთად, საერთო-ინდოევროპული მატერიალური და სულიერი კულტურის მთლიანი ხასიათი, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი (კერძოდ, განსაკუთრებული სოციალური რანგების არსებობა და „ქურუმთა“ როლი) მიუთითებს, რომ ამ ენაზე მოლაპარაკენი ახლოს იყვნენ ახლოაღმოსავლურ არეალთან.

წინარეინდოევროპული საზოგადოებისათვის ლექსიკის მიხედვით რეკონსტრუირებული კულტურისა და სოციალურ-ეკონომიკური წყობის ნიშანთა მთელი კომპლექსი ტიპოლოგიურად ძველი ახლო აღმოსავლეთის ადრეული ცივილიზაციებისთვისაა დამახასიათებელი. საერთო-ინდოევროპული კულტურა ტიპოლოგიურად არქაულ აღმოსავლურ ცივილიზაციათა რიგს განეკუთვნება.

ის ფაქტები, რომლებიც ინდოევროპელთა წინარესამშობლოს ძველ ახლო აღმოსავლეთში ლოკალიზაციის სასარგებლოდ მეტყველებენ, შესაბამისობაშია სხვა რიგის არგუმენტებთანაც. წინარეინდოევროპული არეალის ლოკალიზაცია იმ ადგილას უნდა იფარაუდებოდეს, სადაც დასაშვებია ინდოევროპული ფუძე-ენის კავშირი (კონტაქტები) სემიტურ და ქართველურ (სამხრეთკავკასიურ) ენებთან, რამდენადაც ამ ენებში გამოვლენილია ლექსიკური პლასტები, რომლებიც ნასესხები უნდა იყოს ერთი ენიდან მეორეში. ამავე ფაქტზე მეტყველებენ ინდოევროპულ ფუძე-ენაში დადასტურებული კულტურული ნასესხობანი ახლო აღმოსავლეთის სხვა უძველესი ენებიდან — შუმერულიდან, ეგვიპტურიდან; გარდა ამისა, არსებობს არგუმენტები, რომლებიც მხარს უჭერენ კავშირების არსებობას ინდოევროპულსა და წინა აზიის ისეთ უძველეს ენებს შორის, როგორიცაა ხეთური, ელამური და ხურიტული.

თუკი საერთო-ინდოევროპული ტომებისათვის პირველსაცხოვრისად ჩაითვლება წინა აზიის ტერიტორია, სადაც კონკრეტული არქეოლოგიური კულტურა უნდა ყოფილიყო გავრცელებული, მოსალოდნელია რომ აღმოჩენდეს ამგვარი კულტურა, ჩვენს ერამდე V—IV ათასწლეულში არსებული, რომელიც ერთმნიშვნელოვნად შეეთანადება წინარეინდოევროპულს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩნდება ზოგადი პრობლემა, რომელიც უკავშირდება ლინგვისტური მონაცემების არქეოლოგიურ და ისტორიულ-კულტურულ მონაცემებთან შესაბამისობის დამყარების მეთოდებს: კერძოდ, უნდა განისაზღვროს, როგორ დაუკავშიროთ კონკრეტული ლინგვისტური ერთობა გარკვეულ არქეოლოგიურ კულტურას.

როგორც ჩანს, მოცემული ეთნოლინგვისტური ერთობა შეიძლება შეეუსაბამოთ გარკვეულ არქეოლოგიურ კულტურას იმ შემთხვევაში, როცა ეს უკანასკნელი იძლევა რეალიებს, რომლებიც ცალკეული ელემენტების მიხედვით შესაძლებელია გაუზოლოთ მოცემული ერთობის ელემენტების ანალოგიურ ურთიერთკავშირებს.

თუკი იმპლიკაციის კანონები, რომლებიც გამოიყვანება მოცემული არქეოლოგიური კულტურისათვის, ემთხვევა იმპლიკაციის კანონებს ლინგვისტური მონაცემების მიხედვით რეკონსტრუირებული კულტურის რეალობისათვის, მაშინ შესაბამისობა ამ კულტურებს შორის მეტი ალბათობით დამყარდება.

ამგვარად დადგენილ კულტურებში შესაძლებელია გარკვეული ელემენტები ან მახასიათებლები არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს, მთავარია, მთლიანი კომპლექსების თანხვედრა, ურთიერთგამომრიცხავი ნიშან-თვისებების არსებობის გარეშე.

რამდენადაც ამგვარი რეკონსტრუქციები (როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიული) პრინციპულად არასრულია, შესაძლებელია გარკვეული კომპონენტები არ დაემთხვეს ერთმანეთს, რამაც ხელი არ უნდა შეუშალოს სათანადო კულტურების ისტორიულ ურთიერთშესაბამისობათა დადგენას.

ამავე მიზეზით, ერთი რიგის კომპლექსი (რეკონსტრუირებული ლინგვისტური მონაცემების მიხედვით), შესაძლოა უფრო ფართო ან ვიწრო აღმოჩნდეს მეორე რიგის (არქეოლოგიურად დადგენილ) კომპლექსთან შედარებით. ზოგჯერ, მსგავს შემთხვევებში, ეს ორი კომპლექსი თანაიკვეთება კიდევ (საერთო ნაწილის გარეთ რჩება ლინგვისტური და არქეოლოგიური არათანაბარი ნაწილები).

ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ განსხვავებულ ნაწილებში არ აღმოჩნდეს ისეთი მახასიათებლები, რომლებიც შეუთავსებელია ერთმანეთთან თითოეული კომპლექსის შიდა იმპლიკაციების ძალით.

ამჟამად მხოლოდ შეიძლება დაისვას საკითხი: მყარდება თუ არა შესაბამისობა საგარაუდო ისტორიულ რეგიონში ჩვენს ერთდღე V—IV ათასწლეულში ცნობილ არქეოლოგიურ კულტურებსა და რეკონსტრუირებულ საერთო-ინდოევროპულს შორის? წინა აზიაში აღმოჩენილი ზოგიერთი ძველი არქეოლოგიური კულტურა (როგორცაა ხალაფური და კიდევ უფრო ადრინდელი ჩათალ-ჰუიუქის, ასევე, მათი უშუალოდ თუ არაუშუალოდ გამგრძელებელი კულტურები, ან მათი შემცველი კულტურები, კერძოდ, უბეიდური ან მტკვარ-არაქსისა) ხასიათდება ნიშანთა მთელი რიგით, რომლებიც შესაბამისობაშია ლინგვისტური მონაცემების მიხედვით რეკონსტრუირებულ საერთო-ინდოევროპულ კულტურასთან. შედარებით ახალი არქეოლოგიური კულტურების შექმნაში (მტკვარ-არაქსის ტიპისა — III ათასწლეული ჩვენს ერთდღე) შესაძლებელია მონაწილეობდნენ ცალკეულ ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკე ხალხებიც, წინააზიური არეალის სხვა (კერძოდ, ხურიტულურარტულ და სამხრეთკავკასიურ-ქართველურ) ხალხებთან ერთად.

თუ გავიზიარებთ თეზისს ინდოევროპელთა წინააზიური წინარესამშობლოს შესახებ, მაშინ მთლიანად შეიცვლება ცალკეულ დიალექტებზე ან დიალექტთა გაერთიანებებზე მოლაპარაკე ხალხების მიგრაციათა სურათი მათი თავდაპირველი განსახლების ტერიტორიებიდან იმ ადგილებისაკენ, სადაც ისინი ისტორიულად სახლობდნენ. ინდოევროპული წინარესამშობლოს შესახებ ახალი ჰიპოთეზის მიხედვით, უნდა ვივარაუდოთ ხეთურ-ლუვიურ დიალექტებსა და საერთო-ბერძნულზე მოლაპარაკეთა უმნიშვნელო გადანაცვლება დასავლეთის მიმართულებით, რის შედეგადაც მათ მცირე აზიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებს მიაღწიეს.

აქედან უნდა გავრცელებულიყო ბერძნული დიალექტები კონტინენტურ საბერძნეთსა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე.

ბერძნული მიგრაციების ამგვარი მიმართულებით შეიძლება აიხსნას ბერძნული კოლონიების ტრადიციული არქაულობა მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე. ეს კოლონიები არსებითად წარმოადგენდნენ იმ პროტო-ელინთა დასახლების ნაშთებს, რომლებიც პელეპონესისა და ეგეოსის ზღვისკენ მიემართებოდნენ. იმავე მიზეზით აიხსნება, აგრეთვე, არქაული ბერძნული კულტურის ერთიანობა მცირეაზიურ და, საერთოდ, ძველ ახლო აღმოსავლურ კულტურასთან, რასაც „ეგეოსურ-ანატოლიურ კულტურულ კონინედ“ მოიხსენიებენ.

საერთო-ინდოევროპული ტერიტორიის უკიდურესი აღმოსავლეთი — ირანის ზეგნის ჩრდილოეთი ნაწილი — უნდა წარმოადგენდეს იმ არეალს, საიდანაც იწყება ინდო-ირანულის გავრცელება. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ინდო-ირანული ტომების გამოჩენა ირანის ჩრდილოეთ ნაწილში თარიღდება III ათასწლეულის I ნახევრით ჩვენს ერამდე. ამ პერიოდში ირანის ჩრდილოეთ ნაწილში ჩნდება რუხი კერამიკა, რომელიც გარკვეულწილად შესაბამება რუხ მინოსურ კერამიკას ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიდან, რაც, თავის მხრივ, ბერძენთა გადაადგილებას უნდა უკავშირდებოდეს. აქედან, ავღანეთის გავლით, არიელთა პირველი ტალღა გადაადგილდა აღმოსავლეთისაკენ — დასავლეთ ინდოეთში. ერთ-ერთი ამგვარი პირველი ტალღის კვალი შემონახულია ქაფირულ (ნურისტანულ) ენებში ინდო-ირანული ეპოქის ამსახველი არქაიზმების სახით.

სავსებით მოსალოდნელია ვივარაუდოთ, რომ ინდო-არიულ ტომებს, ბერძნული და იტალიური ტომების მსგავსად, რომლებმაც, შესაბამისად, ევროპული კონტინენტის სამხრეთ რეგიონებამდე მიაღწიეს, ჰქონდათ გარკვეული იმუნიტეტი მაღარაისა და მისი ლეტალური შედეგების მიმართ. აღნიშნულ ტომებს ამგვარი იმუნური მექანიზმი შეიძლებოდა შეეძინათ ტროპიკული მაღარაის

ისტორიული გავრცელების მხარეში, კერძოდ, ძველ ახლო აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ზოგიერთ ადგილას, სადაც გავრცელებული იყო ტალასემია (ხმელთაშუაზღვისპირული დაავადება) — ანემიის სახეობა, რომელიც გენეტიკურად გადაეცემოდა და რომლის გენიც ჰეტეროზიგოტულ მდგომარეობაში ზრდის ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს მაღარიის მიმართ (იმავე ტალასემიის გენის ჰომოზიგოტური ალელის პირობებში კი იგივე დაავადება ლეტალურად სრულდება).

თუ დავუშვებთ, რომ ინდოსტანში შეჭრილ ინდო-არიულ პოპულაციებს არ გააჩნდათ გენეტიკურად გამომუშავებული მედეგობა მაღარიის მიმართ, ისინი იმ პირობებში ვერაფრით გადარჩებოდნენ. ამიტომ ტრადიციულ ვარაუდზე უფრო სააღბათო ჩანს ამ პოპულაციათა ჩამოსახლება ინდოსტანში დასავლეთიდან (ტალასემიის წინააზიური არეალიდან): ტრადიციულად, მიგრაცია ივარაუდებოდა ჩრდილოეთიდან, ცენტრალური აზიიდან, სადაც არ არსებობდა ანემიის აღნიშნული სახეობა, რომელიც გენეტიკურად გადაეცემოდა.

ძველ ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკე ტომთა გადაადგილებას განსხვავებული მიმართულებით — აღმოსავლეთით და შემდგომ, შუა აზიის გავლით, ევროპაში, ადასტურებენ ორმხრივი ნასესხობანი ინდოევროპულიდან ცენტრალური აზიის ენებში (თურქულში, მონღოლურში, ენისეურში, აგრეთვე ფინურ-უგრულში) და პირიქით. პირველსაცხოვრისი ტერიტორიიდან სწორედ ამგვარი მიგრაციული გზა უნდა გაეგლოთ „ძველი ინდოევროპულ“ დიალექტთა იმ ერთიანობებზე მოლაპარაკე ტომებს, რომელთაგან მოგვიანებით ჩამოყალიბდა „ძველი ინდოევროპულ ენებად“ წოდებული გარკვეული ენობრივი ერთობანი (იტალიკური, კელტური, გერმანიკული, ბალტური, სლავური), რომელთაც სახელები პირობითად დაერქვათ ისტორიულ ეპოქაში მათი გავრცელების არეალის მიხედვით. როგორც ჩანს, ევროპაში დაახლოებით იგივე გზა განვლეს ადრეირანულმა ტომებმა, რის შედეგადაც უამრავი ნასესხო-

ბა გაჩნდა ფინურ-უკრაინული ენებში. მოგვიანებით იმავე გზას გადიან აღმოსავლურ ირანულ დიალექტებზე მოლაპარაკე ტომები (სკვითები, სარმატები).

„ძველინდოევროპულ“ დიალექტებზე მოლაპარაკენი წინა აზიაში მდებარე თავიანთი პირველსაცხოვრისიდან გადაადგილდნენ, როგორც ჩანს, ცენტრალური აზიის გავლით, შემდგომ კი დასავლეთის მიმართულებით, განმეორებადი მიგრაციული ტალღებით, და დასახლდნენ არეალში შავიზღვისპირეთსა და ვოლგისპირეთს შორის, სადაც გარკვეული პერიოდის მანძილზე განსაკუთრებულ დიალექტურ ერთიანობას ქმნიდნენ.

„ძველინდოევროპულ“ დიალექტებზე მოლაპარაკენი აღნიშნულ რეგიონში უნდა გამოჩენილიყვნენ ჩვ. წ.-მდე III ათასწლეულისათვის და სწორედ მათი განსახლების ეს სავარაუდო რეგიონი გვევლინება ამ პერიოდისათვის ე.წ. „ძველორმული“ („ეორდანიული“) კულტურის გავრცელების არეალად (ანუ, მ.გ.იმბუტასის ჰიპოთეზის მიხედვით, ინდოევროპულის „წინარესამშობლოდ“). ჩვენს ერთდღე უკვე II ათასწლეულის ბოლოს „ძველინდოევროპულ დიალექტებზე“ მოლაპარაკე ხალხები აქედან თანდათან მკვიდრდებიან ევროპის კონტინენტზე, „ინდოევროპულადელი“ მოსახლეობის შევიწროების ხარჯზე. ამ საერთო მეორადი არეალიდან (შესაბამის დიალექტებზე მოლაპარაკე ხალხთა „მეორადი, შუალედური წინარესამშობლოდან“) იწყება „ძველინდოევროპული“ დიალექტების გავრცელება ახალ ტერიტორიებზე დასავლეთის მიმართულებით (მოგვიანებით — უკვე დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში), რითაც, ფაქტობრივად, დასაბამი ეძლევა დიალექტების ცალკეულ ერთობათა (იტალიკურის, კელტურის, გერმანიკურის, ბალტურის, სლავურის) და, შესაბამისად, მათზე მოლაპარაკე ხალხების თანდათანობით ჩამოყალიბებას.

ინდოევროპული ფუძე-ენის პოსტულირებულ განსაკუთრებულ სისტემასა და ჰიპოთეზას ინდოევროპელთა აზიური „წინარესამშობლო“ შესახებ უკავშირდება ლინგვისტურ, ეთნოგენეზურ და

კულტურულ-ისტორიულ პრობლემათა ზემოგანხილული კომპლექსი, რაც საკმაო სისრულითაა წარმოდგენილი მონოგრაფიაში *ვიანესლავ ივანოვთან* თანაავტორობითა და *რომან იაკობსონის* წინასიტყვაობით: „*Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры*“, т. т. I, II, Тбилиси, 1984: „*Издательство Тбилисского Университета*“ (ინგლისური თარგმანი: *Thomas V. Gamkrelidze, Vjačeslav V. Ivanov, Indo-European and the Indo-Europeans. A Reconstruction and Historical Analysis of a Proto-Language and a Proto-Culture*, 2 vols. With a Preface by *Roman Jakobson*. English version by *Johanna Nichols*. Edited by *Werner Winter*, Berlin – New York, 1994/95: “*Mouton de Gruyter*”). გამოკვლევაში წარმოდგენილია, აგრეთვე, წინარეინდოევროპულ ლექსემათა ლექსიკონი, რეკონსტრუირებული ახალი ფონოლოგიური მოდელის მიხედვით, სადაც ერთეულები განლაგებულია სემანტიკური ჯგუფების შესაბამისად და ცალკეული ერთეულის ფორმასთან ერთად გაანალიზებულია შესაბამის „აღსანიშნთა“ მატერიალური თუ კულტურულ-ისტორიული შინაარსი. აღნიშნული რეკონსტრუირებული წინარეინდოევროპული სემანტიკური ლექსიკონი ფაქტობრივად გახდა ის საფუძველი, რომელსაც ეყრდნობოდა როგორც ინდოევროპული ფუძე-ენის არეალური კვლევა, ისე ინდოევროპული წინარესამშობლოსა და ინდოევროპელთა მიგრაციებთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი.

ჰიპოთეზა ინდოევროპელთა აღმოსავლური წინარესამშობლოს შესახებ ძირეულად ცვლის ძველი ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკეთა მიგრაციების ტრადიციონალურ და, შესაბამისად, იცვლება ინდოევროპელ ხალხთა წარმოშობისა და წინარეისტორიის ამსახველი სურათი. აღნიშნული ჰიპოთეზა ადამიანთა ცივილიზაციის უძველეს კერად წინააზიურ კულტურულ არეალს გამოჰყოფს, საიდანაც კაცობრიობის კულტურული მიღწევები სხვადასხვა გზით

ვრცელდებოდა ევრაზიის კონტინენტის დანარჩენ რეგიონებში დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის მიმართულებით.

ჩვენი დასკვნები ძირითადად ლინგვისტურ მასალას ეყრდნობა და მათი შემდგომი დასაბუთება შესაბამის არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ და პალეობიოლოგიურ გამოკვლევებზე დაყრდნობით მოხდება. ვიმედოვნებთ, რომ ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანი იქნება და განხილულ პრობლემას დამატებით ნათელს მოჰყენს ადამიანების პოპულაციათა მიგრაციების მოლეკულურ-გენეტიკური კვლევის უახლესი შედეგები. თუმცა ახლავე, ჩვენ მიერ წამოჭრილ ეთნოგენეტიურ პრობლემათა კვლევის მოცემულ ეტაპზე, დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინდოევროპელთა წინარესამშობლოს და, ამაყდროულად, კაცობრიობის თანამყდროვე ცივილიზაციის უძველეს კერას წარმოადგენდა ძველი ახლო აღმოსავლეთი: *Ex Oriente Lux – „სინათლე აღმოსავლეთიდან მოემართება“* (მდრ. „ნათელი მამრიყით მოეფინება“).





ფუძე-ენის რეკონსტრუქცია და მისი ქრონოლოგიური დონეები*

ფუძე-ენის რეკონსტრუქციის პროცესში, ტიპოლოგიური კრიტერიუმების აუცილებელი გამოყენებით, შეიძლება მოვახდინოთ პოსტულირება ისეთი სტრუქტურებისა, რომლებიც, სავარაუდოდ, არასოდეს არსებობდა სისტემაში თანადროულად, ე.ი. განეკუთვნებოდა ფუძე-ენის სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეს. ამის კარგი მაგალითი შეიძლება იყოს „ლარინგალური“ ფონემების პოსტულირების პრობლემა ინდოევროპულ ფუძე-ენაში. ინდოევროპულ ფუძე-ენაში ტრადიციულად, ფერდინანდ დე სოსიურიდან მოყოლებული, ლაპარაკობენ სამი ან მეტი „ლარინგალური“ ფონემის პოსტულირების აუცილებლობაზე, რასაც უპირისპირდება თეზისი ინდოევროპულში ერთადერთი „ლარინგალის“ არსებობის შესახებ. პარადოქსი ისაა, რომ ეს განსხვავებული თვალსაზრისები შესაძლებელია განვიხილოთ არა ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებად, არამედ ისინი „კომპლემენტარულად“

* იხ. «პერსპექტივა» XXI, 6. თბილისი 2004: გამომცემლობა „ენა და კულტურა“.

ჩავთვალთ და ფუძე-ენის განსხვავებული ქრონოლოგიური პლასტების მახასიათებლებად მივიჩნიოთ.

ინდოევროპულ ფუძე-ენაში, ფერდინანდ დე სოსიურიდან მოყოლებული, შინაგანი რეკონსტრუქციის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ერთადერთი **e**-ტემბრის ხმოვნის რეკონსტრუქცია და მინიმუმ სამი „ლარინგალური“ ფონემის პოსტულირება: **H₁, H₂, H₃. e**-ხმოვნის წინამავალ პოზიციაში „ლარინგალები“ განსაზღვრავდნენ ხმოვნის ტემბრს; **e**-ხმოვნის მომდევნო პოზიციაში იგივე „ლარინგალები“ განსაზღვრავდნენ ხმოვნის ტემბრსა და სიგრძეს: **H₁e→e, H₂e→a, H₃e→o ; eH₁→ē, eH₂→ā, eH₃→ō**. ამგვარად აიხსნებოდა სწორედ განსხვავებული ტემბრის **e, a, o** ხმოვნებისა და მათი „გრძელი“ **ē, ā, ō** კორელატების წარმოშობა ინდოევროპულში (ამგვარი ფონემური ცვლილებების ტიპოლოგიური მაგალითები შესაძლებელია სხვა ენებშიც დავადასტუროთ, რაც ლარინგალური და, საზოგადოდ, უკანა წარმოების ბგერების ფონეტიკური მახასიათებლებით შეიძლება აიხსნას). მაგრამ როგორ შეუთავსდება ერთმანეთს „სამლარინგალიანი“ ინდოევროპული სისტემა და პოსტულატი ინდოევროპულში ერთადერთი **H** „ლარინგალური ფონემის“ არსებობის შესახებ, რაზედაც თითქოს ხეთური (ანატოლიური) ენის მონაცემები უნდა მიუთითებდეს? საკითხი მარტოვად წყდება „შინაგანი რეკონსტრუქციის“ საფუძველზე ინდოევროპულ ფუძე-ენაში სხვადასხვა ქრონოლოგიური პლასტის გამიჯვნით.

ინდოევროპული ფუძე-ენის ადრეულ ქრონოლოგიურ დონეზე „შინაგანი რეკონსტრუქციით“ აღდგება **e**-ტემბრის ერთადერთი ვოკალური ფონემა პარალელურად მინიმუმ სამი „ლარინგალური“ ფონემისა: **H₁, H₂, H₃**. თავდაპირველ ხმოვან ფონემასთან მეზობლობაში (I ეტაპი) აღნიშნული „ლარინგალები“, გარკვეული პერიოდისაგან მოყოლებული, იწყებენ ზემოქმედებას თავდაპირველი ხმოვნის ტემბრსა (II ეტაპი) და სიგრძეზე (III ეტაპი), რის შედეგადაც მიიღება განსხვავებული ტემბრისა და სიგრძის **e, a, o** ხმოვნები. ეს პროცესი სქემატურად შემდეგნაირად გამოისახება:

$H_1e, H_2e, H_3e \rightarrow He, Ha, Ho \rightarrow e, a, o;$
 (I ეტაპი) (II ეტაპი) (III ეტაპი)

$eH_1, eH_2, eH_3 \rightarrow eH, aH, oH \rightarrow \bar{e}, \bar{a}, \bar{o}.$
 (I ეტაპი) (II ეტაპი) (III ეტაპი)

იმ პერიოდთან, როდესაც თავდაპირველი ერთადერთი ვოკალური ფონემა მის მეზობლობაში მყოფი სამი განსხვავებული „ლარინგალური“ ფონემის გავლენით გადაიქცევა სამ განსხვავებულ **e, a, o** ფონემად, მათ მეზობლობაში მყოფი „ლარინგალები“, შექმნილი დისტრიბუციული მიმართებების გამო, კარგავენ დამოუკიდებელ ფონემურ სტატუსს და გადაიქცევიან ერთადერთი საერთო „ლარინგალური ფონემის“ სამ ფონეტიკურად განსხვავებულ ალოფონად: $/H_1, H_2, H_3/ \rightarrow /H/ \approx [H_1, H_2, H_3].$

ამდენად, II ეტაპი ჩვენს სქემაში ასახავს ინდოევროპული ფუძეენის განვითარების იმ ქრონოლოგიურ დონეს, როდესაც სამი „ლარინგალური“ ფონემიდან და ერთი საერთო ვოკალური ფონემიდან გარკვეული ფონეტიკური გარდაქმნების შედეგად მიიღება **სამი** განსხვავებული ვოკალური და **ერთი** საერთო „ლარინგალური“ ფონემა. ეს ქრონოლოგიური ეტაპი ასახულია სწორედ ხეთურში (ანატოლიურში), სადაც საერთო „ლარინგალური“ ფონემა პოზიციისდა მიხედვით წარმოდგენილია ან ველარული სპირანტის სახით, ან სეგმენტური რეფლექსაციის გარეშე; ეს უკანასკნელი ვითარება უნდა ვივარაუდოთ ინდოევროპულ ფუძეენაში ანატოლიურის გამოყოფის უშუალოდ წინა პეტიოდისათვის. დანარჩენ ისტორიულ ინდოევროპულ ენებში დასტურდება უფრო გვიანდელი, III ქრონოლოგიური ეტაპი, სადაც „ლარინგალი“ უკვე დაკარგულია როგორც სეგმენტური ფონემა, რაც წინა **e, a, o** ვოკალური ფონემების დაგრძელებას იწვევს. ინდოევროპული ფუძეენის განვითარების I ეტაპს შეიძლება ეწოდოს *პრე-ინდოევროპული*, ხოლო აქ განხილულ II ეტაპს, ე.ი. იმ ეტაპს, რომელიც ასახავს საერთო-ინდო-

ვერობულ ფუძე-ენას მის ცალკეულ დიალექტებად უშუალოდ დაშლის წინ — *პროტო-ინდოევროპული*.

2. ანალოგიური ქრონოლოგიური დონეები უნდა გავარჩიოთ ქართველურ ფუძე-ენაშიც იმ ფონოლოგიური პროცესების თანმიმდევრული წარმოჩენის მიზნით, რომლებიც პოსტულირებული იყო „ქართველურში“ ისტორიულად დადასტურებული ბგერათფარდობების ასახვასწავლად.

კერძოდ, საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში სიბილანტურ თანხმოვანთა რეკონსტრუქციის დროს გასარჩევია ფუძე-ენის განვითარების ორი ქრონოლოგიური ეტაპი — უშუალოდ დაშლის წინა პერიოდი და უფრო ადრინდელი ეტაპი, როდესაც უნდა ვივარაუდოთ სწორედ სამი სიბილანტური რიგის არსებობა:

I	II	III
ს	ს'	შ
ზ	ზ'	(ჟ)
ც	ც'	ჩ
ძ	ძ'	ჯ
წ	წ'	ჭ

საერთო-ქართველურ სიბილანტურ ფონემათა ამგვარად პოსტულირებული კორელაციური სისტემა (გ.მაჭავარიანი) ჯერ კიდევ ფუძე-ენის წიაღში უნდა გადასულიყო მომდევნო, უფრო გვიანდელ, ფუძე-ენის დაშლის უშუალოდ წინა პერიოდში ჩამოყალიბებულ ქრონოლოგიურ ეტაპზე, ორი — დასავლური და აღმოსავლური — დიალექტური არეალით, სადაც ამოსავალი სამი სიბილანტური რიგიდან მიიღებოდა: ერთი მხრივ, ორი რიგი და შიშინა ბგერათკომპლექსები (ს, შ, შქ; ზ, ჟ, [ჟგ]; ც, ჩ, ჩქ; ძ, ჯ, ჯგ; წ, ჭ, ჭკ — დასავლურ დიალექტურ არეალში) და, მეორე მხრივ, მხოლოდ ორი — სისინა და შიშინა — რიგი (ს, შ; ზ, [ჟ]; ც, ჩ; ძ, ჯ; წ, ჭ — აღმოსავლურ დიალექტურ არეალში).


საერთო-ქართველური სამი სიბილანტური რიგის ჰიპოთეზისაგან განსხვავებით, თუ ფუძე-ენაში მხოლოდ ორ რიგს და მათთან ერთად თავდაპირველ შიშინა ბგერათკომპლექსებს ვივარაუდებთ (*კ.პ.შშიდტი, ი.მელიქიშვილი*), ე.ი. : **ს, შ** და **შქ; ზ, ჟ** და **ჟგ; ც, ჩ** და **ჩქ; ძ, ჯ** და **ჯგ; წ, ჭ** და **ჭკ**, უნდა დაფუძვით აღმოსავლურ დიალექტურ არეალში, ჯერ კიდევ ფუძე-ენაში, ამგვარი **შიშინა ბგერათკომპლექსების** მარტოვ შიშინა თანხმოვნებად გადაქცევა (ე.ი.: **შქ** → **შ; ჟგ** → **ჟ; ჩქ** → **ჩ; ჯგ** → **ჯ; ჭკ** → **ჭ**). შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ ფუძე-ენის წიაღში ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი დიალექტური არეალიდან ცალკეული ენობრივი ერთეულების წარმოშობა-განვითარება.

ამგვარად, მსგავსად საერთო-ინდოევროპული ფუძე-ენისა, საერთო-ქართველურშიც შესაძლებელია გამოიყოს ორი ქრონოლოგიური დონე, რომლებიც დახასიათდება, ფუძე-ენაში მომხდარი ფონოლოგიური ცვლილებების თვალსაზრისით, როგორც „*პრე-ქართველური*“ (სამი სიბილანტური რიგით) და „*პროტო-ქართველური*“ (სამი სიბილანტური რიგის სათანადო გარდაქმნებით საერთო-ქართველურის დასავლურ და აღმოსავლურ დიალექტურ არეალებში).

შედარებით-ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ დასავლური დიალექტური არეალიდან თავდაპირველად სვანურის, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულის, გამოყოფა და განვითარება, რასაც მომდევნოდ „ზანურ-ქართული“ ერთიანობის დაშლა მოჰყვა.

საერთო-ქართველური ფუძე-ენის დაშლის ეს პროცესი შეიძლება ავსახოთ ერთგვარი „გენეალოგიური ხის“ საშუალებით, რომელიც ემყარება გერპარდ დექტერსის მიერ შემოთავაზებულ სქემას (იხ. თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბილისი 1965, გვ. 6 და შმდ.). ამასთანავე, ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონეები და მოგვიანებით ცალკეულ

ქართველურ დიალექტთა წარმომავლობის
სივრცულ-დემიკაციული დიაგრამა
[ქართველური გენეალოგიური ხე]



დიალექტურ ჯგუფებად დაშლა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ე.წ. „დერივაციულ-სივრცული მოდელის“ სახით, რომელიც გულისხმობს ტრადიციული „გენეალოგიური ხისა“ და „ტალღების თეორიაში“ მიღებული სავარაუდო დიალექტურ ზონათა ერთგვარ შერწყმას ერთ საერთო *t* დროში განშლად დიაგრამად.¹



¹ შდრ. ჩვენ მიერ საერთო-ინდოევროპული ენის აღწერისას წარმოდგენილი ამგვარი დიაგრამა (იხ. Т.В.Гамкрелидзе, Вяч.Всев.Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы. *Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры*, I, Тбилиси 1984, стр. 398—399).



ინდოევროპელები, ქართველები, სემიტები*

ღოლო წლების ლინგვისტურმა და ისტორიულ-ფილოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა ის მეტად მნიშვნელოვანი და ჩვენთვის საინტერესო ფაქტი, რომ სწორედ ინდოევროპელები, ქართველები (ქართველური ტომები) და სემიტები იყვნენ ის ძირითადი ეთნიკური ერთეულები, რომლებიც IV—III ათასწლეულებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ურთიერთობდნენ ერთმანეთთან წინა აზიის გარკვეულ არეალში და იმდენად მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ, რომ სიტყვები ერთი ენიდან მეორეში გადადიოდა და პირუკუ; დღეს მკვლევრები ამ ენებში საერთო სიტყვებისა და გამოთქმების მთელ ლექსიკურ პლასტებს ადასტურებენ.

რა უნდა ვიგულისხმოთ სახელწოდებებში „ინდოევროპელები“, „ქართველები“ და „სემიტები“, რომელ ეთნიკურ ერთიანობებთან გვაქვს საქმე „ინდოევროპელების“, „ქართველებისა“ და „სემიტების“ შემთხვევაში? — ამ ხალხებში ჩვენ ვგულისხმობთ არა სხვა-

* დაიბეჭდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „თბილისი — იერუსალიმი 2“-ის მასალებში, თბილისი, 1993, გვ. 13—15.

დასხვა ინდოევროპულ, ქართველურ თუ სემიტურ ტომს საზოგადოდ, არამედ საკუთრივ პროტოინდოევროპულ, პროტოქართველურ და პროტოსემიტურ ხალხებს, რომლებიც, შესაბამისად, ინდოევროპულ, ქართველურ და სემიტურ ფუძე-ენებზე მეტყველებდნენ, ანუ იმ წინაპარ ენებზე, რომელთაც დასაბამი მისცეს ისტორიულად დადასტურებულ ინდოევროპულ, ქართველურ და სემიტურ ენებს.

ენათა ინდოევროპული ოჯახი ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია როგორც მასში გაერთიანებული ძველი თუ ახალი ენების რაოდენობით, ისე ამ ენებზე მოლაპარაკე ადამიანთა სიმრავლით. დედამიწაზე ყველაზე მეტად გავრცელებული ცხრამეტი ენიდან თერთმეტი ინდოევროპულია. ენათა ინდოევროპულ ოჯახს მიეკუთვნება ისეთი ენობრივი ჯგუფები, როგორიცაა ანატოლიური (ხეთურ-ლუვიური), ინდო-ირანული, ბალტური, სლავური, ბერძნული, სომხური, ალბანური და სხვ.

ყველა ეს ენა მონათესავე ენად განიხილება; ისინი ქმნიან ერთ საერთო გენეტურ ჯგუფს, რომელიც ითვლება, რომ მომდინარეობს საერთო ფუძე-ენიდან (ე.წ. პროტოინდოევროპული ენიდან) და წარმოიშვა ამ უკანასკნელის დაშლის შედეგად.

ასევე, ქართველური ენები ქმნიან ერთ საერთო გენეტურ ჯგუფს, რომელიც შედგება საკუთრივ ქართულისაგან და ახლო მონათესავე დიალექტების — მგრულ-ლაზურისა და სვანურისაგან და რომლებიც ისტორიულად ერთი საერთო ფუძე-ენისაგან, ე.წ. საერთო-ქართველური ენისაგან, მომდინარეობენ.

მსგავსად ამისა, სემიტური ენებიც ერთიანდებიან ერთ ჯგუფში, რომელშიც შედის როგორც მრავალი ძველი, ხმარებიდან გამოსული მკვდარი ენა, ისე თანამედროვე ენებიც. სემიტური ენებიც მონათესავე ენებად ითვლებიან, რომლებიც მომდინარეობენ საერთო ენობრივი სისტემისაგან — პროტოსემიტური ფუძე-ენისაგან.

ყველა ეს ენობრივი სისტემა — პროტოინდოევროპული, საერთო-ქართველური და პროტოსემიტური — რეალურ ენებად უნდა

მივიხინოთ, რომლებიც არსებობდნენ გარკვეულ დროსა და სივრცეში და რომლებზედაც კონკრეტული ხალხები მეტყველებდნენ.

ენათმეცნიერებაში არსებობს სპეციალური ხერხები და მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც ისტორიულად დადასტურებული მონათესავე ენების შედარებისა და შეპირისპირების საფუძველზე აღდგება ანუ რეკონსტრუირდება ის საყარაულო ენობრივი სისტემა, რომელმაც, არსებითად, დასაბამი მისცა ისტორიულად დადასტურებულ მონათესავე ენებს. ეს ენები ერთმანეთთან სპეციფიკურ ფონეტიკურ (ბგერით) მსგავსებას ავლენენ და სწორედ ამიტომ საერთო ენობრივი წყაროდან მომდინარედ ივარაუდებიან. ამგვარად მოხერხდა პროტონდოევროპული ენის აღდგენა, მისი ძირითადი სისტემური მახასიათებლების რეკონსტრუქცია, ანუ შესაძლებელი გახდა აღდგენა ისეთი ენობრივი მოდელისა, რომელიც დიდი მიახლოებით უნდა ასახავდეს ინდოევროპულ ფუძე-ენას, მის ძირითად სტრუქტურულ მახასიათებლებს.

ასევე იქნა აღდგენილი პროტოსემიტური ენობრივი სისტემა, ამ ენის როგორც ფონეტიკური, ისე მორფოლოგიური სტრუქტურა.

ანალოგიური მეთოდების გამოყენებით მოხერხდა, აგრეთვე, საერთო-ქართველური ენობრივი სისტემის ძირითადი მახასიათებლების აღდგენა და რეკონსტრუქცია სხვადასხვა ისტორიული ქართველური დიალექტის (ქართულის, მეგრულ-ლაზურის, სვანურის) ერთმანეთთან შედარებისა და შეპირისპირების საფუძველზე.

XX საუკუნის II ნახევარში ენათმეცნიერებაში გაიზარდა ინტერესი ისტორიული ლინგვისტიკისადმი, მოხდა ერთგვარი შემობრუნება იმ პრობლემებისაკენ, რომლებიც წამოიჭრა შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში. ისტორიული ლინგვისტიკის პრობლემებისადმი ასეთი დიდი ინტერესი გამოიწვია უკანასკნელი ათწლეულების ლინგვისტური აზრის ზოგადმა განვითარებამ, რომელმაც დაძლია წინა პერიოდისათვის დამახასიათებელი ანტიინომია სინქრონიულ და დიაქრონიულ ლინგვისტიკას შორის. ამ მხრივ, ლინგვისტური მეცნიერება გამონაკლისი არ ყოფილა. ერთ-

გვარი შემობრუნება ისტორიზმისაკენ, რაც დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის დასასრულისათვის, როგორც ცნობილია, XX საუკუნის მეორე ნახევრის მეცნიერული აზრის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ტენდენცია გახდა, რომელმაც შეცვალა ამავე საუკუნის პირველი ათწლეულების მანძილზე მეცნიერებაში დამკვიდრებული სინქრონიული სტრუქტურალიზმი და ანტიისტორიზმი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტური მეცნიერება ძველი, ტრადიციული პრობლემების დამუშავებას დაუბრუნდა გამდიდრებული, სინქრონიული ლინგვისტიკის წიაღში შექმნილი ლინგვისტური ანალიზის ახალი მეთოდებით. ამ მეთოდების სიახლე გამოიხატება არა მხოლოდ სინქრონიულ ლინგვისტიკაში დამუშავებული ლინგვისტური ანალიზის ზუსტი ოპერაციული ხერხების გამოყენებით, არამედ თანმიმდევრული მიდგომით ენისადმი, როგორც დროის პარალელურად მუდმივად ცვალებადი, უაღრესად სისტემური ფენომენისადმი. ყველაფერი ეს საშუალებას იძლევა შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების ტრადიციული პრობლემების დამუშავებისას გამოიყენოთ მონაცემები ლინგვისტური მეცნიერების შედარებით ახალი მიმართულებებისა — ტიპოლოგიური ლინგვისტიკისა და უნივერსალიათა ლინგვისტიკისა, რომლებიც წარმატებით განვითარდა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე. თანამედროვე ლინგვისტური მეცნიერების ამ უახლესი მონაცემების გამოყენებამ მონათესავე ენათა ცალკეული ჯგუფების, კერძოდ, ინდოევროპული ოჯახის, შესწავლისას აუცილებელი გახადა ამ ენათა ისტორიული წარსულისა და მათი პრეისტორიული განვითარების კონკრეტული გზების შესახებ იმ ტრადიციული შეხედულებების ძირფესვიანი გადასინჯვა, რომლებიც კლასიკურ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში არსებობდა.

თვით ისტორიული ენათმეცნიერება ჩაისახა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში სწორედ ძველი ინდოევროპული ენების შეპირისპირებისა და შედარებითი ანალიზის, მათი ნათესაობრივი ურთიერთობისა და იმ საერთო ენობრივი წინაპრიდან წარმოშობის

ჩვენების ბაზაზე, რომელსაც ეწოდება ინდოევროპული ფუძე-ენა, ანუ ინდოევროპული წინარეენა. ამის შედეგი იყო ახალი მეცნიერული დისციპლინის — შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების — ჩამოყალიბება, რომელმაც, იმ დროიდან მოყოლებული, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სრულიად სხვადასხვაგვარი სტრუქტურის ენათა შესწავლაში და რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ზუსტ მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის.

მონათესავე ენათა ჯგუფებისათვის, როგორცაა, მაგალითად, ინდოევროპული, სემიტური, ქართველური და ა.შ., დამახასიათებელია ერთი განსაკუთრებული თავისებურება, რომელიც ეხება მათ ბგერით შემადგენლობას და რომელიც განსაკუთრებული გენეტიკური ჯგუფის ფარგლებში არსებულ ენათა შორის თანაფარდობის აღწერის საშუალებას იძლევა. საერთო გენეტიკურ ჯგუფში გაერთიანებული მონათესავე ენები ავლენენ რეგულარულ ფონემურ (ბგერით) თანაფარდობას, რაც ფორმალურად აახლოებს ამ ენებს ერთმანეთთან და საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მათ საერთო წარმომავლობაზე და თავდაპირველ ერთიანობაზე.

ამგვარი ბგერითი თანაფარდობანი მონათესავე ენებს შორის, ჩვეულებრივ, მოიძებნება იმ სიტყვათა და მორფემათა ჯგუფებში, რომლებიც ასახავენ ადამიანის გარემოსა და მისი მოღვაწეობის ბაზისურ ცნებებს.

ენების შედარებით-ისტორიული ანალიზის დასაწყის ეტაპს წარმოადგენს ფონემურ თანაფარდობათა ამგვარი ქსელის დადგენა მონათესავე ენებს შორის, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ საერთო-ენობრივი სისტემიდან მათ წარმოშობაზე. სწორედ ასეთი რეგულარული ფონემური შესატყვისობანი, დადგენილი ენებსა და ენობრივ ჯგუფებს შორის, წარმოადგენს საფუძველს ენობრივ სისტემაში საწყისი (ამოსავალი) ფონემური ერთეულების დასაშვებად, რომელთა გარდაქმნამაც ისტორიულად მონათესავე ენებში

მოგვცა ერთმანეთთან რეგულარულ თანაფარდობაში მყოფი ფონემები (ბგერები).

ფუძე-ენის საწყისი სისტემის პოსტულირებასთან ერთად შედარებით-ისტორიული ანალიზი გულისხმობს ისტორიულად დადასტურებული მონათესავე ენობრივი სისტემების ჩამოყალიბებისა და განვითარების გზების რეკონსტრუქციასა ანუ აღდგენას, დაწყებული ამ ენების თავდაპირველი მდგომარეობიდან ვიდრე დოკუმენტურად ფიქსირებულ მათ ისტორიულ მდგომარეობამდე. ამიტომ ამ ენებს შორის ფონემურ-სტრუქტურული თანაფარდობის დადგენისა და, საერთოდ, მათი ყოველგვარი შედარებით-ისტორიული შესწავლის ლოგიკურ დასასრულად უნდა მივიჩნიოთ წინარეწობრივი მდგომარეობის რეკონსტრუქცია (რაც ასახავს მონათესავე ენებისათვის საერთო საწყის ენობრივ სისტემას) და იმ გარდაქმნებისა თუ ტრანსფორმაციული წესების პოსტულირება, რომელთა მიხედვითაც ისტორიულად დადასტურებული მონათესავე სისტემები თეორიულად პოსტულირებული ენობრივი მოდელიდან გამოიყვანება.

იმის მიხედვით, თუ როგორი ფორმით აღდგება ფუძე-ენის სისტემა, როგორი ფონოლოგიური და გრამატიკული სტრუქტურები მიეწერება მას, განისაზღვრება მონათესავე ენების წინარეისტორია, მათი ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები, დაწყებული ამ ენების თავდაპირველი საერთო მდგომარეობიდან (რაც ასახულია ფუძე-ენის სისტემაში), ვიდრე ისტორიულად ფიქსირებულ მდგომარეობამდე.

თავის მხრივ, ფუძე-ენის პოსტულირებული სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს ტიპოლოგიური რეალობის, არაწინააღმდეგობრიობისა და სისრულის ემპირიულ მოთხოვნებს. ტიპოლოგიურ რეალობასა და არაწინააღმდეგობრიობაში იგულისხმება ენობრივი სტრუქტურების ისეთი ერთობლიობა, რომელიც არ წინააღმდეგობა ტიპოლოგიურად დადგენილ ენობრივ კანონზომიერებებს და არ

შეიცავს ისეთ სტრუქტურულ ოდენობებს, რომლებიც საერთოდ არ არის დამახასიათებელი ენისათვის.

უნივერსალური სტრუქტურების გამოვლენა და განსაზღვრა ძირითად ამოცანას წარმოადგენს თანამედროვე ტიპოლოგიური ენათმეცნიერებისა და უნივერსალიათა ლინგვისტიკისთვის. ამ მიმდინარეობათა მონაცემებზე დაყრდნობით დღეს უკვე დიდი ალბათობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ თეორიულად პოსტულირებული საწყისი ენობრივი სისტემის ტიპოლოგიურ რეალობასა და არაწინააღმდეგობრიობაზე.

ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში შედარებითი შტუდიების ჩამოყალიბებისთანავე, ე.ი., ფაქტობრივად, მე-19 საუკუნის გამოჩენილი ლინგვისტების მიერ შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების შექმნის დროიდან, კონსონანტიზმის საერთო-ინდოევროპულ სისტემას, რომლისგანაც გამოიყვანებოდა ისტორიულად დადასტურებული ყველა ინდოევროპული ენა, აღადგენდნენ გარკვეული ფონემური რიგების სახით და ეს რიგები ემთხვეოდა ინდოევროპული ენების იმ დროისათვის ცნობილი უძველესი წარმომადგენლის — ძველინდური ენის სისტემას.

თავისთავად ცხადია, რომ ძირითადად ძველინდური სისტემის მიხედვით მოდელირებული საწყისი საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის ამგვარი პოსტულირებისას ძველინდური ენა გვევლინება როგორც სისტემა, რომელშიც საწყისმა საერთო-ინდოევროპულმა კონსონანტიზმმა უმცირესი ცვლილებები განიცადა და, ამდენად, იგი თავდაპირველი კონსონანტიზმის ძირითად თვისებებს ინარჩუნებს. იმავე საწყისი სისტემის პოსტულირებისას უმნიშვნელო ცვლილებები ივარაუდებოდა ბერძნული და იტალიკური, სლავური და კელტური ენებისათვის, მაშინ როცა გერმანიკული ენებისათვის, სომხურისა და ხეთურისათვის აღდგენილი იყო მეტად მნიშვნელოვანი ფონემური გარდაქმნები, რაც ე.წ. „თანხმოვანთა გადაწევა“ გულისხმობდა.

თანხმოვანთა აღნიშნული გადაწევა გერმანიკულ ენებში, რაც შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში ცნობილია „გრიმის კანონის“ სახელწოდებით, ტრადიციულად განიხილება როგორც სისტემური ფონემური გარდაქმნის კლასიკური ნიმუში და, ჩვეულებრივ, მოყვანილია საენათმეცნიერო სახელმძღვანელოებში მსგავსი გარდაქმნების საილუსტრაციოდ.

კლასიკურ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში პოსტულირებული საწყისი ინდოევროპული სისტემის ხასიათისა და სტრუქტურის მიხედვით აიგება კონკრეტულ ისტორიულ ინდოევროპულ ენათა (როგორცაა, ინდო-ირანული, ბერძნული, იტალიკური, სლავური, გერმანიკული და სხვ.) ფორმირებისა და განვითარების ისტორია. მთელი კორპუსი ენობრივი ფაქტებისა და აღმოჩენებისა, რაც კლასიკურმა შედარებითმა ინდოევროპულმა ენათმეცნიერებამ დააგროვა თავისი არსებობის 150 წელზე მეტი ხნის მანძილზე, განიხილება საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის ტრადიციულად პოსტულირებული საწყისი სისტემის საფუძველზე. ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში აბსოლუტურად ყველა შედარებითი გრამატიკა და შედარებითი ლექსიკონი აიგო და დღესაც აიგება, ძირითადად, საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის ტრადიციულად დადგენილი სისტემიდან ამოსვლით. ამგვარად პოსტულირებული საწყისი სისტემა განსაზღვრავს თვით იმ ნავარაუდევ ფონემური გარდაქმნების ხასიათს, რომელთაც უნდა გამოეწვიათ ისტორიული ინდოევროპული ენების ფორმირება; ის განსაზღვრავს ამ გზების წინარეისტორიული ფონეტიკური განვითარების მთელ მსვლელობასაც. კლასიკურ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში ცნობილი ე.წ. „ფონეტიკური კანონები“ (ზემოთ ხსენებული „გრიმის კანონი“, აგრეთვე, „გრასმანის კანონი“, „ბართოლომეს კანონი“ და სხვ.) შეიქმნა სწორედ იმ მიზნით, რომ აეხსნათ ის წინარეისტორიული ფონეტიკური პროცესები, რომლებიც კონკრეტულ ინდოევროპულ დიალექტებში ივარაუდებოდა ამოსავალი ტრადიციული სისტემის პირობებში.

საერთო-ინდოვროპული კონსონანტიზმის ტრადიციულად პოსტულირებული სისტემის შეფასების მიზნით, ამ სისტემის მიმართ ემპირიული რეალობის კრიტიკიკის გამოყენების შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული სისტემა, რომელიც კლასიკურ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში განიხილებოდა როგორც ამოსავალი, საწყისი ყველა ისტორიულად დადასტურებული ენისათვის, შინაგანად წინააღმდეგობრივია და არ შეესაბამება სინქრონიული ტიპოლოგიის მონაცემებს. უფრო მეტიც, იგი ეწინააღმდეგება იმ უნივერსალურ ენობრივ კანონზომიერებებს, რომლებიც დადგენილია უნივერსალიათა ლინგვისტიკაში. მაშასადამე, ტრადიციულად პოსტულირებული საერთო-ინდოვროპული მოდელი არ შეიძლება ჩაითვალოს სიერცესა და დროში რეალურად არსებული ენის ამსახველ სისტემად, ენისა რომელიც შემდგომში მონათესავე ინდოევროპული ენების სისტემებად გარდაიქმნა. შესაბამისად, რეალურად არ შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ის ფონეტიკური ცვლილებები და გარდაქმნები, რომლებიც, როგორც კლასიკურ ინდოევროპულ შედარებით გრამატიკაში იყო მიჩნეული, განიცადა საწყისმა სისტემამ და რომელთა შედეგად ისტორიულად დადასტურებულ ინდოევროპულ ენათა სისტემები ჩამოყალიბდნენ.

საერთო-ინდოვროპული ენის კონსონანტიზმის ტრადიციულად პოსტულირებული სისტემის შესაბამისობაში მოყვანა ენობრივი ტიპოლოგიის როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ მონაცემებთან მოითხოვს აღნიშნული სისტემის ძირფესვიან გადასინჯვას, მის ახლებურად გააზრებასა და რეინტერპრეტაციას.

ახალი თვალსაზრისის მიხედვით, საერთო-ინდოვროპულ სისტემაში აღდგება სამი კონსონანტური სერია, რომლებიც დახასიათდება როგორც:

- I. *მკვეთრები (ან ყელხშულები) — კ, ტ, კ . . .*
- II. *მუდრები (ფშვინიერები) — ბ, დ, გ . . .*
- III. *ერუ (ფშვინიერები) — ფ, თ, ქ . . .*

მაშასადამე, საერთო-ინდოევროპულ სისტემაში ივარაუდება დაახლოებით იმ ტიპის ხშირი თანხმობები, როგორც დღევანდელ ქართულში გვაქვს და როგორც რეკონსტრუირდება საერთო-ქართველურში.

საერთო-ინდოევროპული ხშირების სამი სერიის ამგვარი ინტერპრეტაციით ფუნქციონალურ-ფონოლოგიური ახსნა ეძებება ინდოევროპული ენობრივი სტრუქტურის მთელ რიგ ფაქტებს, რომლებიც გაუგებარი და აუხსნელი იყო საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის ტრადიციული მოდელიდან ამოსვლით.

ახალი თვალსაზრისის მიხედვით, საერთო-ინდოევროპული სისტემა უფრო ახლოსაა იმ სისტემებთან, რომლებიც ტრადიციულად განისაზღვრება როგორც სისტემები „თანხმოვანთა გადაწვევებით“ (გერმანიკული ენები, სომხური, ხეთური), მაშინ როცა კონსონანტიზმის მიხედვით საერთო-ინდოევროპულ სისტემასთან ახლოს მყოფად მიჩნეული სისტემები (პირველ რიგში — ძველი ინდური) საწყისი ენობრივი სისტემიდან რთული ფონემური გარდაქმნების შედეგად ჩამოყალიბებულად უნდა განვიხილოთ. ამგვარი რეკონსტრუქციით მიიღება ინდოევროპული დიალექტების პრეისტორიული განვითარების სურათი, რომელიც სრულიად საწინააღმდეგოა იმისა, რაც კლასიკურ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში იყო მიჩნეული. იცვლება საერთო-ინდოევროპული ხშირი ფონემების გარდაქმნათა ტრადიციულად მიღებული ტრაექტორიები, რომლებიც საერთო-ინდოევროპული სისტემის ახალი ინტერპრეტაციის შუქზე ტრადიციულის საწინააღმდეგო მიმართულებებს იძენენ. შესაბამისად, ახლებურად გაიზრება კლასიკური ინდოევროპული ენათმეცნიერების ძირითადი „ფონეტიკური კანონებიც“, როგორცაა „გრიმის კანონი“, „გრასმანის კანონი“, „ბართოლომეს კანონი“ და ა.შ., რომლებიც ხშირების ინდოევროპული სისტემის ახალი ინტერპრეტაციის პირობებში განსხვავებულ შინაარსს იძენენ.

ახალმა თეორიამ დიდი დისკუსია გამოიწვია როგორც ჩვენში, ასევე, განსაკუთრებით, დასავლეთის სამეცნიერო წრეებში. წინარე-ინდოევროპული ენის ამ ახლებურად გააზრებულ სისტემას დასავლეთის მეცნიერებაში „გლოტალური თეორია“ ეწოდა, რამდენადაც ამგვარ სისტემაში ამოსავლად პოსტულირებულია „ეელსმული“ ანუ „გლოტალიზებული“ ფონემები (პ), ტ, კ თანხმოვანთა ტიპისა.

ინდოევროპული წინარეენის ეს ახალი მოდელი, გარკვეული აზრით, ახალი ინდოევროპული „ათვისის სისტემა“, აუცილებლად მოითხოვს, რომ ძირფესვიანად გადაისინჯოს კლასიკური ინდოევროპული ენათმეცნიერების პოსტულატთა მთელი სისტემა და, შესაბამისად, შეიქმნას ინდოევროპული ენების წარმოქმნისა და პრეისტორიული განვითარების ახალი სურათი.

მთელი კომპლექსი კულტურულ-ისტორიული მონაცემებისა, რომლებიც გამოვლინდა ინდოევროპული წინარეენისა და მისი უძველესი დიალექტების გამოკვლევის, აგრეთვე რეკონსტრუირებული საერთო-ინდოევროპული ლექსიკის სემანტიკური ანალიზის შედეგად, აუცილებელს ხდის ისევ დაისვას ინდოევროპული „წინარესამშობლოს“ დროსა და სივრცეში ლოკალიზაციის პრობლემა და მოხდეს მისი ახლებური რეგიონალური და კულტურულ-ისტორიული გადაწყვეტა. ამ უახლესი მონაცემების შუქზე ინდოევროპულმა „წინარესამშობლომ“ უნდა გადაინაცვლოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და განთავსდეს წინააზიური არეალის ფარგლებში¹.

იმისდა მიხედვით, თუ სად განთავსდება ამა თუ იმ ფუძე-ენაზე მოლაპარაკე ტომთა „წინარესამშობლო“, თუ რომელ გეოგრაფი-

¹ იხ. Т.В.Гамкрелидзе, В.В.Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры, тт. 1, 2, Тбилиси 1984: «Издательство Тбилисского Университета» (ინგლისური თარგმანი: Th.V.Gamkrelidze, V.V.Ivanov, Indo-European and the Indo-Europeans. *A Reconstruction and Historical Analysis of a Proto-Language and a Proto-Culture*. With a «Preface» by Roman Jakobson. Engl. version by Johanna Nichols, 2 vols.: «Mouton de Gruyter», Berlin — New York 1994/95).

ულ რეგიონს მივიჩნევთ ამ ფუძე-ენის გავრცელების პირვანდელ ტერიტორიად, ღვინდება ამ ტომთა პრეისტორიული მიგრაციების, ანუ გადასახლებებისა და მოძრაობების, სურათი „პირველსაც-ხოვრისად“ მიღებული ტერიტორიიდან იმ რეგიონების მიმართულებით, სადაც ჩვენ ამ ტომებს და, შესაბამისად, სავარაუდო ფუძე-ენის გვიანდელ დიალექტებს ისტორიულ ხანაში ვადასტურებთ. ესაა ერთგვარად იმ მიგრაციების ტრაექტორიების აღდგენა, რომლებსაც აღნიშნული ხალხები უძველეს დროს თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალზე უნდა მიეყვანათ ან, უფრო ზუსტად, იმ ენობრივი ერთეულების მოძრაობებისა და სივრცეში გადანაცვლებათა აღწერა, რომლებიც შესაბამისი სავარაუდო ფუძე-ენისაგან ჩამოყალიბდნენ ამ უკანასკნელის ცალკეულ დიალექტებად დაშლისა და დიფერენციაციის შედეგად. ამდენად, ამგვარი მიგრაციების სურათისა და დიალექტთა მოძრაობის ტრაექტორიის აღდგენა წარმოადგენს ამავე დროს იმ ხალხთა პრეისტორიის შესწავლას, რომლებიც შესაბამის ენაზე მეტყველებდნენ, ანუ მათი ეთნოგენეტიკური პრეისტორიის რეკონსტრუქციას.

ინდოევროპული, ქართველური და სემიტური წინარეენობრივი სისტემების ლექსიკური ნასესხობანი და სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსება აშკარად მოწმობს ძველი წინა აზიის გარკვეულ არეალში აღნიშნულ სამ წინარეენობრივ სისტემასა და მათზე მოლაპარაკე ხალხებს შორის მჭიდრო ურთიერთობებისა და კონტაქტების არსებობას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ამაზე მეტყველებს, უპირველეს ყოვლისა, სამივე ენობრივ სისტემაში დადასტურებული საერთო ლექსიკური ერთეულები. ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა ამ ენებში „ღვინის“ აღმნიშვნელი საერთო სიტყვები: ინდოევროპ. **wojno*, სემიტ. **wajn* (ძვ. ებრ. *jajin*), ქართ. **ღვინო*, რაც მოწმობს ამ ფუძე-ენების ტერიტორიულ სიახლოვეს და მათზე მოლაპარაკე ხალხების ურთიერთობას მეღვინეობის საერთო კულტურულ არეალში ისტორიული წინა აზიის ფარგლებში.

ინდოევროპელები, ქართველები, სემიტები იყვნენ, მაშასადამე, IV—III ათასწლეულში ის ხალხები, რომლებიც III ათასწლეულიდან მოყოლებული, სხვადასხვა ტერიტორიაზე შორეული თუ ახლო მიგრაციების შედეგად, ისტორიულად ცნობილ ინდოევროპელებად, ქართველებად და სემიტებად ჩამოყალიბდნენ.

ამ დასკვნებს არსებითი მნიშვნელობა აქვს თვით სათანადო სამეცნიერო დისციპლინების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის. თუ ჩვენ აქამდე მიგვაჩნდა, რომ ქართველური ენათმეცნიერებისათვის და, საერთოდ, სხვადასხვა დარგის ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის აუცილებელია ინდოევროპული და სემიტური ენათმეცნიერების მონაცემების გათვალისწინება, ახლა ჩვენ შეგვიძლია სრული უფლებით ვამტკიცოთ, რომ ინდოევროპული და სემიტური ენათმეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის აუცილებელია ქართველური ენათმეცნიერების მონაცემების გათვალისწინება: ახალი პერსპექტივები ინდოევროპულ და სემიტურ ენათმეცნიერებაში წარმოჩინდება სწორედ ქართველური ენათმეცნიერების მონაცემების გათვალისწინებით, ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული შესწავლის შუქზე. ამით განისაზღვრება ის მნიშვნელობა და როლი, რაც ქართველურ ენებს ენიჭებათ შედარებით-ისტორიული და, საზოგადოდ, თეორიული ენათმეცნიერების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

რაც შეეხება საერთოდ ისტორიულ და ეთნოგენეტიკურ პრობლემათიკას, ქართველები (ქართველური ტომები) ისტორიული წარმომავლობის თვალსაზრისით ერთ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე დგებიან ინდოევროპელებთან და სემიტებთან წინა აზიაში: ქართველური ტომები ამ კულტურული არეალის უძველესი ცივილიზაციის ხალხებს შორის ექცევიან.

ქართველური ეთნოგენეტიკური პრობლემათიკის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით, ქართველ-ქართველურ ტომთა პრეისტორიული განვითარების ადეკვატური სურათის აღსადგენად საჭიროა, ქართველური ენების მიმართ ჩატარდეს იმავე ხასიათის სამუშაო,

რაც უკვე შესრულებულია ინდოევროპულ ენათა მიმართ და გაანალიზდეს საერთო-ქართველური ლექსიკა მის მიერ გამოხატული რეალიების თვალსაზრისით. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად აღვადგინოთ საერთო-ქართველური სულიერი და მატერიალური სამყარო, სამყარო ჩვენი წინაპრებისა, რომლებიც საერთო-ქართველურ ენაზე მეტყველებდნენ. ამგვარი ანალიზი შესაძლებელს გახდის უფრო ზუსტად განისაზღვროს საერთო-ქართველური ენის პირვანდელი გაურცელების ტერიტორია და დადგინდეს ის მიგრაციები, რომელთა შედეგად ისტორიული ქართველური ტომები ჩამოყალიბდნენ.

წინაპარ ხალხთა უძველესი მატერიალური და სულიერი კულტურის სურათის რეკონსტრუქცია ლინგვისტური გზით საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ გარკვეულ რეგიონებში აღმოჩენილი არქეოლოგიური კულტურის უფრო ზუსტი იდენტიფიკაცია სავარაუდო საერთო-ქართველურ კულტურასთან, რაც უფრო ნათელ და სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნის ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და პრეისტორიული განვითარების შესახებ.





„არაცნობიერი“ და იზომორფიზმი გენეტიკურ კოდსა და სემიოტიკურ სისტემებს შორის*

ქენეტიკურ და ლინგვისტურ კოდებს შორის იზომორფიზმის საკითხი არაერთი ლინგვისტისა და სემიოტიკაში მომუშავე მეცნიერის ინტერესთა სფეროს განეკუთვნებოდა. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი დროის ცნობილი ენათმეცნიერი რომან იაკობსონი, რომელმაც (და არა მხოლოდ მან) ახალი მეცნიერული დისციპლინების — სემიოტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის მიჯნაზე წამოჭრილი ამ პრობლემის საინტერესო გადაწყვეტა შემოგვთავაზა.

როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს აღმოჩენად მიიჩნევა 50-იან წლებში მოლეკულური ბიოლოგიის უდიდესი მეცნიერული მიღწევა, რომელმაც შუქი მოჰფინა მემკვიდრეობითობის მექანიზმს. გაირკვა, რომ მემკვიდრეობითობას განსაზღვრავს ის ინფორმაცია, რომელიც ჩაწერილია ქრომოსომებში

*შდრ. Thomas V. Gamkrelidze, The “unconscious” and the problem of isomorphism between the genetic code and semiotic systems: «*Folia Linguistica*», XXIII (1989).

განსაზღვრული ტიპის ქიმიური ალფაბეტის მეშვეობით. ნუკლეოტიდები ანუ „ქიმიური რადიკალები“ ასრულებენ ამ ალფაბეტის საწყისი ელემენტების — „ასოების“ — როლს; ეს ელემენტები კომბინირებენ ერთმანეთთან ნუკლეომჟავების უსასრულო წრფივ მიმდევრობებში, რაც ქმნის გენეტიკური ინფორმაციის ქიმიურ ტექსტს. ფრაზის ანალოგიურად, რომელიც გარკვეულ სეგმენტს შეადგენს ტექსტში (ეს უკანასკნელი შექმნილია საწყისი დისკრეტული ერთეულების — ასოების ან ფონემების — წრფივი მიმდევრობით), ინდივიდუალური გენიც შეესაბამება განსაზღვრულ სეგმენტს **ოთხი საწყისი ქიმიური რადიკალით** შექმნილ ნუკლეომჟავების გრძელ ჯაჭვში. ასევე, ლინგვისტური კოდის ანალოგიურად, რომელშიც საწყისი ელემენტები — ფონემები — თავად მნიშვნელობას არიან მოკლებულნი, მაგრამ მათი განსაზღვრული კომბინაციებით იქმნება მოცემულ სისტემაში გარკვეული მნიშვნელობის მქონე მინიმალური მიმდევრობები, გენეტიკურ კოდშიც ინფორმაციას ატარებს არა სისტემის ცალკეული ელემენტი, არა ინდივიდუალური ქიმიური რადიკალი, არამედ ამ საწყისი *ოთხი ნუკლეოტიდის სპეციალური სამელემენტოანი მიმდევრობები*, ე.წ. „ტრიპლეტები“. რამდენადაც *სამელემენტოანი მიმდევრობებად* ამ *ოთხი საწყისი ელემენტის* ყველა შესაძლო *კომბინაციათა* რიცხვი შეადგენს $4^3 = 64$ -ს, გენეტიკური ლექსიკონიც შედგება 64 „სიტყვისაგან“, რომელთაგან სამი ტრიპლეტი „ფუნქციონალურ მარკერს“ წარმოადგენს და გამოიყენება ნუკლეომჟავების გრძელ მიმდევრობებში „ფრაზის“ დასაწყისისა და დასასრულის აღსანიშნავად; დანარჩენი „სიტყვები“ შეესაბამება 20 ამინომჟავას და, ამდენად, ტრიპლეტებში გამოიყოფა „სინონიმური სიტყვები“, ანუ ერთი და იმავე ამინომჟავის შესაბამისი განსხვავებული მიმდევრობები.

ოთხი საწყისი ელემენტისაგან შედგენილ ამგვარ ტრიპლეტებსა და ამინომჟავებს შორის შესაბამისობის დადგენა და ტრიპლეტებ-

ის გრძელი ჯაჭვის გადაყვანა ამინომჟავების ცილოვან მიმდევრობაში — პეპტიდების ჯაჭვში — ფაქტობრივად გენეტიკურ კოდში ჩაწერილი მემკვიდრეობითობის ინფორმაციის დემიფირირებას ანუ დეკოდირებას ნიშნავს, რაც ანალოგიურია დემიფირირების პროცესისა, როდესაც, მაგალითად, მორზეს ანბანით შედგენილ შეტყობინებას ნებისმიერ სხვა ენაზე ვთარგმნით¹.

ამგვარაა, რომ დედამიწაზე ყოველი ცოცხალი არსება ფლობს „ცოდნას“ გენეტიკური კოდის შესახებ იმ აზრით, რომ შეუძლია სწორად გაშიფროს გენეტიკური „სიტყვები“, რომლებიც გენეტიკური ინფორმაციის შინაარსს ქმნიან და, შესაბამისად, მოახდინოს ცილოვანი მიმდევრობების სინთეზირება. ამავე აზრით, გენეტიკური კოდი უნივერსალურია, დედამიწაზე ნებისმიერმა ცოცხალმა არსებამ იცის ამ კოდის გასაღები.

ამგვარად, ცოცხალ არსებათა უსასრულო მრავალფეროვნება დაიყვანება იმ გრძელ გენეტიკურ „შეტყობინებათა“ საბოლოო ანალიზამდე, რომლებიც შექმნილია გენეტიკური კოდის ელემენტების წრფივი მიმდევრობის სახით კომბინირების განსაზღვრული წესების საფუძველზე. აქ საოცარი სტრუქტურული მსგავსება შეინიშნება ლინგვისტურ კოდთან და შემთხვევითი არაა, რომ გენეტიკური კოდის დემიფირირების დაწყების მომენტიდან მოყოლებული მემკვიდრეობითობის მექანიზმის კვლევის მთელ შემდგომ პე-

¹ XX საუკუნის ბოლო ათწლეულში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა შეემატა მეცნიერებას: გაირკვა, რომ პროტონები და ნეიტრონები, რომლებიც ატომის ბირთვის ელემენტარულ შემადგენლებად იყო მიჩნეული, თავის მხრივ, კიდევ უფრო ელემენტარული ნაწილაკებისაგან — „კვარკებისაგან“ შედგება. ამ აღმოჩენის ავტორი გახლდათ ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი *გელ-მანი*, რომელმაც თავდაპირველად სულ სამი „კვარკი“ გამოჰყო განსხვავებული „შეფერილობებით“ [“გემოსა” (flavor) და “ფერის” (color) მიხედვით]. აღსანიშნავია, რომ, ამ აღმოჩენის მიხედვით, როგორც ცოცხალი, ისე არაცოცხალი სამყარო საბოლოოდ დაიყვანება საკმაოდ მცირე რაოდენობის „საწივის ელემენტებამდე“, რომლებიც გარკვეულ კომბინაციებსა და სტრუქტურებს ქმნიან. თვით სახელწოდება „კვარკი“ გელმანმა ისესხა *ჯეიმზ ჯოისის* არცთუ მთლად გასაგები ფრაზიდან: “Three quarks for Muster Mark” (რომანიდან “*Finnegans Wake*”).

რიოდში მოლექულური გენეტიკა ფართოდ იყენებდა ლინგვისტიკიდან ნასესხებ ცნებებსა და ტერმინებს².

უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტურ კოდში, რომელიც ბუნებრივი ენის საფუძველს წარმოადგენს, საწყისი ერთეულების (ფონემების) რაოდენობა შედარებით დიდია (სწორედ მათი კომბინირებით აიგება მნიშვნელობის მქონე მინიმალური ელემენტები ბგერით ენაში). აღნიშნული მახასიათებელი გვეკლინება ერთ-ერთ იმ სტრუქტურულ თვისებად, რითაც ლინგვისტური კოდი განსხვავდება გენეტიკური კოდისაგან. სწორედ მას უკავშირდება ენობრივი სისტემისათვის დამახასიათებელი სიჭარბე, რაც შეტყობინებაში გარეგანი ფაქტორებით გამოწვეული „ხმაურის“ შედეგად დაშვებული შეცდომების გასწორებისა და საწყისი ერთეულების დადგენილი მიმდევრობების აღდგენის საშუალებას იძლევა. გენეტიკურ კოდს ეს თვისება არ ახასიათებს, რამდენადაც ნუკლეოტიდების წრფივ მიმდევრობაში ცალკეული ელემენტის ნებისმიერი გადანაცვლება ან ამოგდება იწვევს პირვანდელი გენეტიკური ინფორმაციის დამახინჯებას.

ორ განსხვავებულ ინფორმაციულ სისტემაში — გენეტიკურსა და ლინგვისტურში დადასტურებული სტრუქტურული იზომორფიზმი, რომელიც საწყისი დისკრეტული ელემენტების წრფივ კომბინაციას ემყარება, ფენომენოლოგიურ კითხვას წარმოშობს როგორც აღნიშნული სისტემების ბუნების, ისე ამგვარი სტრუქტურული იზომორფიზმის მიზეზების შესახებ, რასაც, თავის მხრივ, თვალსაზრისთა სხვადასხვაობა უკავშირდება.

² თავის მხრივ, ენათმეცნიერებამაც ისესხა ზოგიერთი ცნება და ტერმინი მოლექულური გენეტიკიდან. ასე, მაგალითად, მარკირების თეორიაში „მარკირების“ იერარქიული მიმართების წევრები — აღრე იწოდებოდნენ როგორც „არამარკირებული“ ~ „მარკირებული“ (ტერმინოლოგია მომდინარეობს პრადის ლინგვისტური სკოლიდან, რომლის მიხედვითაც, ამ ბინარული მიმართების წევრები ხასიათდებოდნენ როგორც *merkmallos* ~ *merkmalhaltig*), ამაჟამად მოიხსენიება (მათი შინაარსის შესაბამისად) როგორც „დომინანტური“ vs. „რეცესიული“, ხოლო „მარკირების მიმართება“ ახალი ფორმულირებით წარმოადგენს „დომინანტობის მიმართებას“.

ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პოლემიკა მეცნიერების ორი სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლებს — ლინგვისტ რომან იაკობსონსა და ბიოლოგ-გენეტიკოს ფრანსუა ჟაკობს შორის: ამ ორ კოდს — გენეტიკურსა და ვერბალურს — შორის გამოვლენილი იზომორფიზმი მხოლოდ გარეგნულია, მსგავსი ინფორმაციული მითხონებით განპირობებული უბრალო თანხვედრის შედეგია, თუ იგი მომდინარეობს იმ ფილოგენეტიური პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც ლინგვისტური კოდი გენეტიკური კოდის მოდელების შესაბამისად აიგება? იქნებ აღნიშნული იზომორფიზმის განმსაზღვრელია ის ფაქტი, რომ ლინგვისტური მოდელები ზემოდან დაედო მოლეკულურ კომუნიკაციას და ამ უკანასკნელის პრინციპების მიხედვით განხორციელდა ლინგვისტური მოდელირება? ეს ბოლო ვარაუდი წამოაყენა რომან იაკობსონმა, ხოლო ფრანსუა ჟაკობი მსგავსი ფუნქციების მქონე განსხვავებული ინფორმაციული სისტემების ანალოგიურ სტრუქტურირებას უჭერს მხარს.

გენეტიკურ და ლინგვისტურ კოდებს შორის სტრუქტურული იზომორფიზმის იაკობსონისეული წარმოდგენა გულისხმობს იმგვარ ევოლუციურ პროცესს, რომლის დროსაც ლინგვისტური კოდი უშუალოდ ზემოდან დაედო გენეტიკურ კოდს, ხოლო ამ უკანასკნელიდან სტრუქტურული პრინციპები გადმოიწერა ლინგვისტურ კოდში და ეს პროცესი ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარეობდა გენეტიკური კოდის ბუნებისა და სტრუქტურის შესახებ არაცნობიერი ცოდნის პირობებში. აღნიშნული წარმოდგენა, რომ ორგანიზმი არაცნობიერად ფლობს ინფორმაციას მისი არსებითი მექანიზმის სტრუქტურის შესახებ, მთლიანად „არაცნობიერის“ სფეროს განეკუთვნება და იგი ვლინდება არა მხოლოდ ენის მექანიზმის გენეტიკური კოდის შესაბამისად ჩამოყალიბების ფილოგენეტიურ პროცესში; ამგვარი წარმოდგენის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს, ასევე, ზოგიერთი გამოჩენილი პიროვნების შემოქმედებითი აქტივობა, რომლებიც ინფორმაციულ (სემიოტიკურ) სისტემებს აგებენ

გენეტიკური კოდის მოდელისა და პრინციპების შესაბამისად, ამკარად მათ შესახებ სათანადო ცოდნის გარეშე³.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გავიხსენიოთ „**გლოტოგონიური პროცესის თეორია**“, რომელიც ეკუთვნის თავისი დროის გამოჩენილ ლინგვისტსა და ფილოლოგს **ნიკო მარს**. გასაოცარი მეცნიერული ინტუიციის წყალობით, გარკვეული მოვლენის ასახვას ეძიებდა იგი დროდადრო, სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი ლოგიკური დასაბუთების გარეშე, სწორ მიმართულებას ირჩევდა.

ასე, მაგალითად, ენათა ისტორიულად დადასტურებული მრავალფეროვნება მას ზუსტად *ოთხ* (sic!) საწყის ელემენტამდე დაჰყავდა, რომლებიც, შეიძლება უცნაურიც კი მოგვეჩვენოს, ბგერათა გარკვეულ „**ტრიპლეტებს**“ (სამი ბგერისაგან შედგენილ მნიშვნელობის არმქონე მიმდევრობებს) წარმოადგენენ: *sal, ber, yon, rosh*. **ნიკო მარის** აზრით, მსოფლიოს ნებისმიერ ენაზე შექმნილი ნებისმიერი სიგრძის ტექსტი, ანალიზის შედეგად, საბოლოოდ აღმოჩნდება მხოლოდ ამ ოთხი საწყისი ელემენტის — რომლებიც, თავის მხრივ, არაფერს აღნიშნავენ — კომბინირებით მიღებული წრფივი მიმდევრობების ფონეტიკური ტრასფორმი. სწორედ ეს განსაზღვრავს **ნიკო მარის** აზრით, გლოტოგონიური პროცესების ერთიანობას.

ნიკო მარის გლოტოგონიურ თეორიას არავითარი რაციონალური საფუძველი არ გააჩნია; იგი არალოგიკურია თანამედროვე თეორიული ლინგვისტიკისა და ზოგადი ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის თვალსაზრისით; ამიტომაც იგი ირაციონალურია და, ამდენად, ირელევანტურია ლინგვისტიკისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ **ნიკო მარის** თეორია, რომელიც ენის გარკვეულ სტრუქტურ-

³ გენეტიკური კოდის სტრუქტურის მეცნიერული წვდომა ადამიანს ზუსტ წარმოდგენას შეუქმნის საკუთარი გენეტიკური მექანიზმის სტრუქტურის შესახებ და, ამგვარად, ცოდნა დედამიწაზე ნებისმიერი ცოცხალი არსების სტრუქტურის შესახებ, სტრუქტურისა, რომელიც იმპლიციტურად „ჩაშენებულია“ ყოველ ცოცხალ ორგანიზმში, „არაცნობიერიდან“ „ცნობიერის არეში“ გადაინაცვლებს.

რულ მოდელს წარმოადგენს, მიახლოებულს გენეტიკურ კოდთან, ირელეგანტური როდია მეცნიერებისათვის და, ზოგადად, ფსიქოლოგიისათვის. ამ თეორიის ავტორში შეიძლება დავინახოთ გამორჩეული პიროვნება, რომელსაც ენის, როგორც ინფორმაციული სისტემის, ორიგინალური მოდელის შექმნისას არაცნობიერიდან ამოაქვს თავისი ინტუიციური წარმოდგენები გენეტიკური კოდის სტრუქტურის შესახებ.

რა თქმა უნდა, გენეტიკური ინფორმაციული სისტემის ამგვარი სტრუქტურის შესახებ გაცნობიერებული, მკაფიო ცოდნა არ გააჩნდა არც *ნიკო მარსა* და არც ძველ *ჩინელ ფილოსოფოსებს*, რომლებმაც სამი ათასი წლით ადრე შეადგინეს წიგნი *I Ching* (ჩინური „*გარდასახების წიგნი*“), რომელშიც წარმოადგინეს *ოთხი* ბინარული ელემენტის გარდასახვათა (ტრანსფორმაციათა) სპეციალური სისტემა; თვით ეს ელემენტები ემყარებოდა „მამრობით საწყისს“ *იან-სა (yang)* და „მდედრობით საწყისს“ *ინ-ს (yin)* და, ამასთანავე, დაჯგუფებული იყო „ტრიპლეტებად“; საერთო რაოდენობა ამგვარი სამწევრა მიმდევრობებისა შეადგენდა 64-ს, გენეტიკური „ტრიპლეტების“ ანალოგიურად. უძველეს ჩინურ სიმბოლურ სისტემაში ცოცხალი სამყაროს მრავალფეროვნება სწორედ აღნიშნული „ტრიპლეტების“ მეშვეობით აღიწერება. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩანს *იონიელთა კოსმოგონია*, რომელიც სამყაროს განიხილავს როგორც *ოთხელემენტთან* სისტემას; ასევე მნიშვნელოვანია *ჰიპოკრატეს* თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ადამიანის სხეული წარმოადგენს სისტემას *ოთხი* საწყისი შემაღვლებლით. აღნიშნული თვალსაზრისები, აგრეთვე სხვა სისტემები კიდევ უფრო განამტკიცებენ იმ აზრს, რომ ამგვარი პირდაპირი მიმართება გენეტიკურ კოდსა და განხილულ სისტემებს შორის ემყარება ჩვენს არაცნობიერ ცოდნას აღნიშნული მიმართების შესახებ.

ყველა ეს სიმბოლური სემიოტიკური სისტემა (განსაკუთრებით კი ჩინური „*გარდასახების სისტემა*“ ბინარული ელემენტებით *იან-*

ითა [yang] და ინ-ით [yin], აგრეთვე ნიჟო მარის ენობრივი მოდელი) გასაოცარ შესაბამისობაშია, თუნდაც რაოდენობრივი პარამეტრების მიხედვით, გენეტიკური კოდის სტრუქტურასთან. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი აღნიშნული სისტემების შემქმნელთათვის არადაცნობიერ სამოღებლო საფუძველს (სუბსტრატს) წარმოადგენდა.





თეორიული ენათმეცნიერების ისტორია როგორც
«ლინგვისტულ პარადიგმათა»
ცვალებადობა დროსა და სივრცეში*

როგორც ცნობილია, ენათმეცნიერების განვითარების გზაზე იცვლებოდა მიდგომები ენის შესწავლისადმი. შესაბამისად, ენობრივი ანალიზიც სხვადასხვა თვალსაზრისით წარმოებდა, სხვადასხვა დონეებზე და განსხვავებული რაკურსით.

ევროპული და ამერიკული ენათმეცნიერების ისტორია შესაძლებელია განვიხილოთ როგორც „*მეცნიერულ პარადიგმათა*“¹ ერთგვარი მონაცვლეობა დროსა და სივრცეში, რაც სქემატურად შემდეგი მიმდევრობით შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

I პარადიგმა:

ა.არნოსა და კ. ლანსლოს „*უნივერსალური გრამატიკა*“;

II პარადიგმა:

„*შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება*“ (ფრანც ბოპი, კარლ ბრუგმანი და ნეოგრამატიკოსები, ანტუან მეიე...)

* შლრ. Т.В.Гамкрелидзе, Об одной лингвистической парадигме («*Вопросы Языкознания*» 2005, №2, стр.3-6).

¹ „პარადიგმის“ ცნობის შესახებ მეცნიერებაში იხ. Th. Kuhn, *The structure of scientific revolution*, 2nd ed., Chicago, 1962-1970.

III პარადიგმა:

ნიკო მარის „იაფეტური ენათმეცნიერება“;

IV პარადიგმა:

ფერდინანდ დე სოსიურის „სინქონიული ლინგვისტიკა“:

ა) „სტრუქტურული ლინგვისტიკა“ (ნიკოლოზ ტრუბეცკოი, რომან იაკობსონი);

ბ) „დესკრიფციული ლინგვისტიკა“ (ლეონარდ ბლუმფილდი...);

გ) „ენობრივი ტიპოლოგია და ლინგვისტური უნივერსალები“ (ჯოზეფ გრინბერგი, გიორგი კლიმოვი);

V პარადიგმა:

ნოამ ჩომსკის „ტრანსფორმაციულ-წარმომშობი გრამატიკა“;

VI პარადიგმა:

„სტრუქტურულ-ტიპოლოგიური კომპარატივისტიკა“ (რომან იაკობსონი, ოსვალდ სემერენი, ვინფრიდ ლემანი, პოლ ჰოპერი, თამაზ გამყრელიძე/ვიაჩესლავ ივანოვი);

VII პარადიგმა:

„ნოსტრათიკა და ენობრივი მაკროოჯახები“ (პოლგერ .პედერსენი, ვლადისლავ ილიჩ-სვიტიჩი, ალან ბომპარდი, სერგეი სტაროსტინი, ჯონ გრინბერგი, მერი რულენი).

ნიკო მარის „იაფეტური თეორიის“ ჩართვა «ლინგვისტულ პარადიგმათა» წარმოდგენილ მიმდევრობაში გამართლებულია იდეოლოგიურ საფუძველზე სექმნილი „იაფეტური ენათმეცნიერების“ მიჩნევით „ფსიქოსემიოტურ სისტემად“, რომელიც დაუპირისპირდა თანადროულ „კომპარატიულ პარადიგმას“...



ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“*

ენობრივი სისტემა წარმოადგენს ორი ძირითადი დონისაგან შემდგარ ოდენობას – შინაარსისა და გამოსატყულების პლანისაგან, ანუ ლოგიკულ-სემანტიკური და გრამატიკული დონეებისაგან, რომელთა შორის გარკვეული შესაბამისობა არსებობს: სემანტიკური დონის ერთეულები გამოიხატება ამა თუ იმ წესის საშუალებით გრამატიკულ დონეზე, გრამატიკული დონის ერთეულები – მორფოლოგიური ელემენტებითა თუ სინტაქსური საშუალებებით.

შინაარსის პლანის, ანუ ენის ლოგიკურ-სემანტიკური დონის ისეთი ერთეულები, როგორიცაა პრედიკატი P, სუბიექტი S, ობიექტი O, ანუ მოქმედების, მდგომარეობისა თუ თვისების (უფრო ზოგადად: პროცესის ან სიტუაციის) გამომხატველი და ამ პროცესის ან სიტუაციის მონაწილე ოდენობები – სუბიექტი და ობიექტი – უნივერსალური კატეგორიებია, რომლებიც რაღაც სახით, სხვადასხვა გრამატიკული საშუალებებით გამოსატყულია ნებისმიერ

* იხ. «საენათმეცნიერო კრებული». გვი მატჰეარიანის ხსოვნას. «მეცნიერება», თბილისი 1979.

ენობრივ სისტემაში. ენები განსხვავდება ერთმანეთისაგან არა ამ კატეგორიათა არსებობა-არარსებობით, არამედ ამ უნივერსალურ ლოგიკურ-სემანტიკურ კატეგორიათა გამოხატვით გარკვეული მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ლექსიკური საშუალებებით. მაშასადამე, განსხვავებები, ამ თვალსაზრისით, ენებს შორის შეეხება ენათა ე.წ. „ზედაპირულ სტრუქტურებს“ და არა „სიღრმისეულ სტრუქტურებს“, რომლებიც ზოგადობითა და უნივერსალობით ხასიათდებიან.

სუბიექტი S და ობიექტი O, როგორც სიტუაციის ან პროცესის მონაწილენი, წარმოდგენილია ყველა ენის შინაარსეულ სისტემაში.

ობიექტი, როგორც სემანტიკური კატეგორია, შესაძლებელია დიფერენცირებულ იქნეს როგორც „პირდაპირი ობიექტი“ O^d , ანუ ობიექტი, რომელზედაც უშუალოდ გადადის სუბიექტის – Agens - ის მიერ შესრულებული მოქმედება, ან რომელიც ამ მოქმედების შედეგს წარმოადგენს, და „ირიბი ობიექტი“ O^{ind} , ანუ ობიექტი, რომელიც სხვადასხვა როლს ასრულებს პროცესსა ან სიტუაციაში და შესაძლებელია დახასიათდეს როგორც ადრესატი¹ O^A , დესიგნატი² O^D , ექსეკუტორი³ O^{Exs} , ლოკატიური ობიექტი⁴ O^L და სხვ.⁵ 2. აღნიშნული სემანტიკური ერთეულები გამოიხატება ენის გრამატიკულ სტრუქტურაში ზმნა-პრედიკატთან დაკავშირებული სახელების თუ ნაცვალსახელების საშუალებით, რომელთაც შესაძლებელია გარკვეული მორფოლოგიური გაფორმება ჰქონდეთ (სპეციალური ბრუნვის ნიშანთა სახით).

¹ ირიბი ობიექტის ეს სემანტიკური ფუნქცია გამოხატულია ისეთ ქართულ წინადადებაში, როგორცაა, მაგალითად, „ზაფხვი წერილს სწერს მამას“.

² შღრ. „დედა წერილს უწერს ბავშვს“.

³ შღრ. „დედა წერილს აწერინებს ბავშვს“.

⁴ შღრ. „დედა ქუდს ახურავს ბავშვს“.


⁵ შესაბამელებელია გამოიყოს ირიბი ობიექტის, როგორც უნივერსალური სემანტიკური კატეგორიის, კიდევ უფრო მეტი სახეობა. სემანტიკურ კატეგორიათა ამგვარი ზოგადი კლასიფიკაცია უნივერსალური გრამატიკის ამოცანაა, რომელიც შეისწავლის ზოგად სემანტიკურ კატეგორიებს და მათ გამოვლენას ენის „სიღრმისეულ სტრუქტურაში“.

ამგვარად, ენის ლოგიკურ-სემანტიკური სტრუქტურის ყოველ სემანტიკურ ერთეულს შეესაბამება ენის გამოხატულების პლანის, ენის გრამატიკული სტრუქტურის გარკვეული ერთეული; სემანტიკური ერთეულები გამოხატულების პლანში შესაბამისი ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულებით არის წარმოდგენილი; ლოგიკურ-სემანტიკური სუბიექტი S, პირდაპირი O^d და ირიბი ობიექტი O^{ind} ენის გამოხატულების პლანში წარმოდგენილია შესაბამისად გრამატიკული სუბიექტით {S} (ანუ „ქვემდებარით) და გრამატიკული პირდაპირი {O^d} და ირიბი ობიექტით {O^{ind}} (ანუ პირდაპირი და ირიბი „დამატებით“). სემანტიკურ ერთეულთა ეს შესატყვისი გრამატიკული {S}, {O^d} და {O^{ind}} ერთეულები მორფოლოგიურად სახელს ან ნაცვალსახელს წარმოადგენენ.

გარკვეულ შემთხვევებში პირველადი შესაბამისობა ენის ლოგიკურ-სემანტიკური და გრამატიკული დონის ერთეულებს შორის შეიძლება დაირღვეს და „პირდაპირი შესაბამისობის“ ნაცვლად: $S \rightarrow \{S\}$, $O \rightarrow \{O\}$, რაც დამახასიათებელია „სიღრმისეული სტრუქტურისათვის“, გარკვეული გარდაქმნების შედეგად ენის „ზედაპირულ სტრუქტურაში“ განსხვავებული სახის შესაბამისობას ვიღებთ (მაგალითად, „შებრუნებულ შესაბამისობას“: $S \rightarrow \{O\}$, $O \rightarrow \{S\}$; შდრ. „ინვერსიული წყობა“, „პასიური კონსტრუქცია“ და სხვ.)⁶

3. სახელთან და ნაცვალსახელთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ ენის სემანტიკური დონის ერთეულთა – სუბიექტისა და ობიექტის – რეპრეზენტაციებს გრამატიკულ დონეზე, დგება საკითხი პირის კატეგორიისა და ამ კატეგორიის გამოხატვის შესახებ ენობრივ სისტემაში.

⁶ შდრ., მაგალითად, ქართულში: (1) *კაცი დაიღვს კლავს* და (2) *კაცს დაივი მოუკლავს*, სადაც (1) წინადადებაში წარმოდგენილია სემანტიკურ-გრამატიკულ ელემენტთა „პირდაპირი შესაბამისობა“:



ხოლო (2) წინადადება, სადაც „შებრუნებული შესაბამისობა“ გვაქვს, არის შედეგი „ინვერსიული ტრანსფორმაციისა“.

პირის კატეგორია ერთ-ერთი უნივერსალური სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც სხვადასხვა სახით გამოხატულებას პოვებს ენობრივ სისტემაში. იგი უშუალოდ გამომდინარეობს ენობრივი კომუნიკაციის აქტიდან და აღნიშნავს ამ აქტის მონაწილეთა დამოკიდებულებას ენობრივი კომუნიკაციისადმი.

ენობრივი კომუნიკაციის აქტი გულისხმობს „მეტყველს“, ანუ სამეტყველო აქტის ავტორს, „მსმენელს“, სამეტყველო აქტის ადრესატს, და რაღაც მესამე ოდენობას, რასაც შეეხება სამეტყველო კომუნიკაცია, მაგრამ რაც არ იღებს მასში უშუალო მონაწილეობას როგორც „მეტყველი“ ან „მსმენელი“. ჩვეულებრივ, ეს სამი ოდენობა სამეტყველო კომუნიკაციისა ხასიათდება შესაბამისად როგორც პირველი, მეორე და მესამე პირი, რაც ბერძნული გრამატიკული ტრადიციიდან მომდინარეობს: *ἄρστος* *πρῶτον*, *δέυτερον*, *τρίτον*. სემანტიკურად დაპირისპირებულ სამ ოდენობას, სამ „პირს“ შორის რთული ბინარული კორელაციები არსებობს, რომლებიც ერთმანეთს ფარავენ. ერთი მხრივ, „მეტყველი“ ანუ პირველი, „ჩემეული პირი, *εγώ* უპირისპირდება იმას, რაც „ჩემს“ გარეშეა – კორელაცია სუბიექტურისა და არასუბიექტურის, ხოლო, მეორე მხრივ, „მეტყველი“ და „მსმენელი“, პირველი და მეორე, ანუ „ჩემეული“ და „შენეული“ პირი უპირისპირდება იმას, რაც არც „მეტყველია“ და არც „მსმენელი“ – კორელაცია პერსონალურისა და არაპერსონალურის.

პირის კატეგორია, როგორც უნივერსალური სემანტიკური კატეგორია, ენობრივ სისტემაში გამოიხატება სპეციფიკური ნაცვალ-სახელების სახით, რომლებიც განარჩევენ მინიმუმ სამ ფორმას – პირველი, მეორე და მესამე პირისა – შესაბამისად, სამეტყველო კომუნიკაციით შეპირობებულ სამ ოდენობას.

პირის კატეგორია ურთიერთკავშირშია სუბიექტისა და ობიექტის კატეგორიასთან იმ აზრით, რომ ეს კატეგორიები ენის სემანტიკურ დონეზე არ ვლინდება ცალ-ცალკე და ყოველთვის ერთმანეთთან კომბინაციაშია მოცემული. არ არსებობს საზოგადოდ S

სუბიექტი ან O ობიექტი, არამედ პირის კატეგორიის თვალსაზრისით განსაზღვრული სუბიექტი – S_1, S_2, S_3 – და ობიექტი O_1, O_2, O_3 . ამ კატეგორიათა გამომხატველი ოდენობები ენის გრამატიკულ დონეზე – შესაბამისად $\{S_1\}, \{S_2\}, \{S_3\}$ და $\{O_1\}, \{O_2\}, \{O_3\}$ – საკუთრივ სახელებს ან ნაცვალსახელებს წარმოადგენენ. კერძოდ $\{S_1\}, \{S_2\}$ და $\{O_1\}, \{O_2\}$ ყოველთვის ნაცვალსახელებია, ხოლო $\{S_3\}$ და $\{O_3\}$ ნაცვალსახელთან ერთად შესაძლებელია საკუთრივ სახელის სახით იყოს გამოხატული. ამგვარად, სახელი შესაძლებელია მხოლოდ S_3 და O_3 სემანტიკურ ოდენობებს წარმოგიდგინდეს ენის გამოხატულების სტრუქტურაში, მაშინ როდესაც S_1, S_2 და O_1, O_2 სემანტიკური კატეგორიები მხოლოდ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა სახით გამოიხატება.

4. სუბიექტისა და ობიექტის სხვადასხვა სახეობათა აღმნიშვნელი სახელები ან ნაცვალსახელები გარკვეული ფორმით უკავშირდებიან პროცესის ან სიტუაციის გამომხატველ გრამატიკულ ერთეულს – ზმნა-შემასმენელს – და ქმნიან სინტაქსურ ერთიანობას, რომელსაც შეიძლება „წინადადების ბირთვი“ ეწოდოს. მაშასადამე, წინადადების ბირთვი განისაზღვრება როგორც ზმნური ფორმა მასთან გარკვეული წესით დაკავშირებული სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელებით ან ნაცვალსახელებით. იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისაა ზმნა, რა სემანტიკური შინაარსისა და სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველია იგი, ზმნური ფორმა შეიძლება წარმოგიდგინოს წინადადების ბირთვში უსახელოდ (ე.ი. მას სტრუქტურულად არავითარი სახელი არ შეეწყოს: შდრ. ქართ. *თოვს, წვიმს, ქუხს*; ლათ. *pluit* და სხვ.), ან მას ერთი, ორი ან მეტი სახელი (resp. ნაცვალსახელი) დაუკავშირდეს, რითაც იქმნება სინტაქსური სტრუქტურული მთლიანობა, რასაც „წინადადების ბირთვი“ ეწოდება. წინადადების ბირთვი, ამდენად, შეიძლება განვიხილოთ როგორც ზმნური ფორმა განსაზღვრული რაოდენობის ცარიელი სინტაქსური უჯრედებით, რომლებიც შესაძლებელია გარკვეული ფორმის სახელებით (resp. ნაცვალსახ-

ელეებით) შეივსოს გრამატიკულად სწორი წინადადების მისაღებად.

წინადადების ბირთვის ცენტრალურ სინტაქსურ ელემენტად, ამ თვალსაზრისით, გვევლინება ზმნა-შემასმენელი, რომელსაც ამა თუ იმ ფორმით შეეწეობა სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი ოდენობები – სახელები ან ნაცვალსახელები.

ზმნური ფორმის უნარს, შეიწეოს წინადადების ბირთვში სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელების (resp. ნაცვალსახელთა) ანუ „აქტანტების“ განსაზღვრული რაოდენობა, შეიძლება ზმნის „ვალენტობა“ ეწოდოს (*L. Tesnière*). მაშასადამე, მოცემული ზმნური ფორმის „სინტაქსური ვალენტობა“ განისაზღვრება წინადადების ბირთვში თავისუფალ უჯრედთა რაოდენობით. ამის მიხედვით, ზმნა შეიძლება იყოს ნულვალენტიანი („თოვს“), ერთვალენტიანი („ქწევს“), ორვალენტიანი („ქქკლავს“), სამვალენტიანი („ქქქსწერს“) და ა.შ.⁷

სინტაქსური უჯრედების რაოდენობა წინადადების ბირთვში განისაზღვრება ზმნური ფორმის სტრუქტურით: შდრ., მაგალითად, შემდეგი სტრუქტურის წინადადებები: ქართ. *თოვს, ქ წევს, ქქ კლავს, ქქქ სწერს*; რუს. *ქudēm, ქქბხēm, ქქქдaт* და მისთ. აქტუალურად წარმოდგენილ გრამატიკულად სწორ წინადადებაში შეიძლება ყველა სინტაქსური უჯრედი შევსებულიც არ იყოს სათანადო სახელებით (resp. ნაცვალსახელებით), მაგრამ ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა ამგვარი სინტაქსური კონსტრუქციის „შევსებისა“ სრულ ბირთვამდე.

⁷ ქართული ზმნა ვალენტობის თვალსაზრისით მოთავსდება დიაპაზონში 0..4, ე.ი. ზმნური ფორმა ქართულში შეიძლება იყოს როგორც უაქტანტო (შდრ. *თოვს, წვიმს, ქუხს* და სხვ. – ნულვალენტიანი ზმნები ქართულში, ისე როგორც სხვა ენებში, ძირითადად მეტეოროლოგიურ მოვლენებს გამოხატავს), ისე ერთ-, ორ-, სამ- და ოთხაქტანტიანი, ანუ მაქსიმალური რაოდენობა სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელებისა (resp. ნაცვალსახელებისა), რომლებიც შეიძლება ზმნურ ფორმას შეეწეოს წინადადების ბირთვში, არის ოთხი.

სხვადასხვა ტრანსფორმაციული წესების შემოღებით შესაძლებელია აღიწეროს ენის სინტაქსურ კონსტრუქციათა გარდაქმნები ზმნური ფორმის ვალენტობის გარდაქმნისა და შესაბამისად. ასე, მაგალითად, ორვალენტიანი ზმნური ფორმა (ე.ი. ზმნური კონსტრუქცია ქვემდებარითა და პირდაპირი დამატებით) ქართულში გარდაიქმნება სამვალენტიან ზმნურ კონსტრუქციად ზმნური ფორმის ტრანსფორმაციით კაუზატიური ან ვერსიის (სათავისო, სასხვისო ან საზედაო)⁸ კატეგორიის მიხედვით:

$$(1) \text{ მამა წერილს წერს } \xrightarrow{T_{\text{caus}}} \text{ მამა ბავშვს წერილს ა-წერ-ინ-ებ-ს}$$

$$\{S\} \{O^d\} V_{\text{tr}} \qquad \{S\} \{O^{\text{Exs.}}\} \{O^d\} V_{\text{caus.}}$$

$$(2) \text{ მამა წერილს წერს } \xrightarrow{T_{\text{Vob}}} \text{ მამა ბავშვს წერილს უ-წერ-ს}$$

$$\{S\} \{O^D\} \{O^d\} V_{\text{Vob.}}$$

$$(3) \text{ მამა წერილს წერს } \xrightarrow{T_{\text{Vsup}}} \text{ მამა წერილს მისამართს ა-წერ-ს}$$

$$\{S\} \{O^L\} \{O^d\} V_{\text{sup}}$$

სამვალენტიანი ზმნური ფორმა (ე.ი. ზმნური კონსტრუქცია ქვემდებარითა და პირდაპირი და ირიბი დამატებით) ამავე ტრანსფორმაციებით გარდაიქმნება ოთხვალენტიან ზმნურ კონსტრუქციად ირიბი ობიექტის გამომხატველი სახელის ბრუნვის შეცვლით:

$$(1) \text{ მამა ბავშვს წერილს სწერს } \xrightarrow{T_{\text{caus}}} (1)' \text{ მამა დედას ბავშვთან}$$

$$\{S\} \{O^A\} \{O^d\} V_{\text{tr}} \qquad \{S\} \{O^{\text{Exs.}}\} \{O^A\}$$

$$\text{წერილს ა-წერ-ინ-ებ-ს}$$

$$\{O^d\} V_{\text{caus.}}$$

⁸ ქცევა და სიტუაცია, როგორც ცალკეულ სტრუქტურაში ერთმანეთთან შეუთავსებელი კატეგორიები, შეიძლება ერთი საერთო კატეგორიის ვარიანტებად მივიჩნიოთ და 'ვერსიის' კატეგორიაში გააერთიანოთ: სუბიექტური, ობიექტური და საზედაო (სუპერესიული).

$$(2) \text{ მამა ბავშვს წერილს სწერს } \xrightarrow{T_{\text{vob}}} (2)' \text{ მამა დედას ბავშვთან } \\ \{S\} \quad \{O^D\} \quad \{O^A\} \\ \text{წერილს უ-წერ-ს} \\ \{O^d\} \quad V_{\text{vob.}}$$

ამოსავალი კონსტრუქციის O^A კატეგორიის გამომხატველი ირიბი დამატება, რომელიც მიცემით ბრუნვაშია, ტრანსფორმირებულ (1)' და (2)' სინტაქსურ კონსტრუქციებში თანდებულთან ბრუნვაში წარმოგვიდგება, ხოლო მიცემითი ბრუნვის ფორმას კონსტრუქციის დამატებითი წევრი იღებს. ტრანსფორმირებულ კონსტრუქციებში ირიბი ობიექტის გამომხატველი თანდებულბრუნვიანი სახელი, რომელიც ამოსავალი კონსტრუქციის შესაბამისი უთანდებულ მიცემითბრუნვიანი სახელის გარდაქმნას წარმოადგენს, წინადადების ბირთვის ისეთივე აქტანტად უნდა იქნეს განხილული, როგორც ამავე კონსტრუქციის ზმნურ ფორმასთან დაკავშირებული დანარჩენი უთანდებულო წევრებია.

ამ თვალსაზრისით, ინვერსიული ტრანსფორმაცია არ ცვლის ზმნური კონსტრუქციის ვალენტობას:

$$(3) \text{ მამა ბავშვს წერილს სწერს } \xrightarrow{T_{\text{inv}}} (3)' \text{ მამას ბავშვისთვის } \\ \{S\} \quad \{O^A\} \quad \{O^d\} \quad V_{\text{tr}} \quad \text{წერილი მი-უ-წერ-ია}$$

ინვერსიული ტრანსფორმი (3)' ვეღარ გარდაიქმნება ქცევის კატეგორიის მიხედვით (მსგავსად I და II სერიის ზმნური ფორმებისა), რამდენადაც III სერიის ზმნური პარადიგმები წარმოშობით I სერიის სასხვისო ქცევის ფორმები უნდა იყოს (ე.ი. I სერიის ზმნურ პარადიგმათა სასხვისო ქცევის ტრანსფორმები), რომელთაც დაკარგეს ვერსიის გაგება და ახალი ფუნქციონალური შინაარსით დაიტვირთნენ. ამდენად, ინვერსიული ტრანსფორმაცია წარმოშობით

შეიძლება განვიხილოთ როგორც I სერიის ზმნურ კონსტრუქციათა ობიექტური ვერსიის ტრანსფორმაცია.

6. წინადადების ბირთვში ზმნასთან დაკავშირებულ სახელსა თუ ნაცვალსახელს, სუბიექტისა ან ობიექტის გამომხატველს, შეუძლია ზმნურ ფორმაში თავისი ნიშანი გაიჩინოს, რითაც ეს სინტაქსური კავშირი – „კონექსია“ – ზმნურ და სახელურ ფორმებს შორის მატერიალურ გამოხატულებას იძენს. ეს ნიშნები ზმნურ ფორმაში ერთგვარი რეპრეზენტანტები, „ექსპონენტებია“ სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელებისა ან ნაცვალსახელებისა, რომლებიც ზმნას წინადადების ბირთვში გარკვეული ფორმით უკავშირდებიან; ე.ი. {S} {O} V წინადადების ბირთვში ზმნური სტრუქტურა V შესაძლებელია შეიცავდეს {S} და/ან {O} სახელის გამომხატველ /S/ და/ან /O/ ნიშნებს აფიქსების სახით. ამით S და O კატეგორიათა ამსახველ სახელებსა (resp. ნაცვალსახელებსა) და ზმნურ ფორმას შორის არსებული სინტაქსური კავშირი – კონექსია – მორფოლოგიურ გამოხატულებას იძენს.

სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა ამსახველ სახელთან ან ნაცვალსახელთან დაკავშირებული ამგვარი /S/ და /O/ ნიშნები ზმნურ ფორმაში შესაძლებელია ამ ერთეულთა სხვადასხვა კატეგორიას გამოხატავდეს:

1) ნაცვალსახელის (resp. სახელის) პირს – ასეთ შემთხვევაში ზმნურ ფორმაში წარმოდგენილი სახელური ნიშნები იცვლება ზმნასთან დაკავშირებული ნაცვალსახელის პირის მიხედვით ცვლის შესაბამისად;

2) სახელის (resp. ნაცვალსახელის) კლასს – ასეთ შემთხვევაში ზმნურ ფორმაში წარმოდგენილი სახელური ნიშნები იცვლება გარკვეული სემანტიკური ჯგუფების მიხედვით კლასიფიცირებულ სახელთა შესაბამისად.

პირველ შემთხვევაში გვაქვს ზმნის სისტემა პიროვანი უღვლილებით;

მეორე შემთხვევაში – ზმნის სისტემა კლასოვანი უღვლილებით.⁹ შესაძლებელია მესამე, შერეული ტიპი – ზმნის სისტემა პიროვან-კლასოვანი უღვლილებით.

7. ქართული ენის ზმნური სისტემა წარმოადგენს სტრუქტურულ ტიპს მკვეთრად გამოხატული პიროვანი უღვლილებით. ზმნური ფორმა წინადადების ბირთვში არა მხოლოდ შეიწყობს გარკვეული რაოდენობის სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველ სახელებს – რაც განისაზღვრება ზმნური ფორმის სინტაქსური ვალენტობით, არამედ წარმოგვიდგენს ზმნურ სტრუქტურაში ამ სახელთა რეპრეზენტანტ ნიშნებს, რომლებიც მოცემული სახელების (resp. ნაცვალსახელების) პირის კატეგორიას გამოხატავენ.

ზმნა-შემასმენელთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთაგან (resp. ნაცვალსახელთაგან) სათანადო ნიშანს ზმნურ ფორმაში აჩენს როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის გამომხატველი სახელები (resp. ნაცვალსახელები), ე.ი. {S}, {O^d} და {O^{ind}} – გრამატიკული სუბიექტი (ქვემდებარე) და გრამატიკული პირდაპირი და (მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილი) ირიბი ობიექტი, რომლებიც პირებისდა მიხედვით ცვლის ნიშანს. შესაბამისად სამ ნიშანს განარჩევენ:

- /S₁/ → ჭ-, /S₂/ → ხ-; /S₃/ → ს;
- /O₁^d/ → მ-, /O₂^d/ → გ-; /O₃^d/ → ხ-//Ø-;
- /O₁^{ind}/ → მ-, /O₂^{ind}/ → გ-; /O₃^{ind}/ → ხ-.

ქართული ზმნური სტრუქტურა ამ მხრივ განსხვავდება მორფოლოგიურად ისეთი ენების ზმნური სტრუქტურისაგან, როგორიცაა, მაგალითად, ბერძნული, ლათინური, გერმანული, რუსული და სხვ., სადაც ზმნა-შემასმენელთან სინტაქსურად დაკავშირებულ

⁹ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კლასოვანი უღვლილების ენებში არ არის გამოხატული პირის კატეგორია. პირის კატეგორია, რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უნივერსალური სემანტიკური კატეგორიაა, გამოიხატება ამ ტიპის ენებში ზმნურ ფორმასთან სინტაქსურად დაკავშირებული ნაცვალსახელების საშუალებით, რომლებიც სამი პირის ფორმას განარჩევენ.

სახელთაგან (resp. ნაცვალსახელთაგან) სათანადო ნიშანს ზმნურ ფორმაში მხოლოდ გრამატიკული სუბიექტი აჩენს, ხოლო გრამატიკული ობიექტი ზმნაში აღუნიშნავი რჩება.¹⁰

ამ თვალსაზრისით, ქართული ზმნა შესაძლებელია დახასიათდეს როგორც სუბიექტ-ობიექტური წყობის ზმნა, განსხვავებით სუბიექტური წყობის ზმნური სტრუქტურისაგან, რომელიც ზმნურ ფორმაში მხოლოდ სუბიექტურ ნიშანს წარმოაჩენს.

მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურული მახასიათებელი სუბიექტ-ობიექტური წყობის ქართული ზმნისა ის არის, რომ არა ყველა სახელი (resp. ნაცვალსახელი), წინადადების ბირთვში ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული, ავლენს ერთდროულად შესაბამის მორფოლოგიურ ნიშანს ზმნურ ფორმაში. რამდენი სახელიც არ უნდა იყოს წარმოდგენილი წინადადების ბირთვში ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული (მაქსიმალური რაოდენობა ასეთი სახელებისა ქართულში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ოთხს უდრის – ოთხვალენტიანი ზმნის შემთხვევაში), აქტუალურად გამოვლენილ მორფოლოგიურ ნიშანთა რაოდენობა ზმნურ სტრუქტურაში არ აღემატება ორს.

ამგვარად, „პირიანობის“ თვალსაზრისით, ე.ი. ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთა (ნაცვალსახელთა) პირის გამოძ-

¹⁰ ამ მხრივ განსხვავებულ სტრუქტურას გვიჩვენებს, მაგალითად, თანამედროვე ფრანგული, რომელშიც ჩამოყალიბდა როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის მაჩვენებელი პრეფიქსული ნიშნები ზმნაში. ისეთ კონსტრუქციებში, როგორიცაა je le lui donne „მე მას მას ვაძლევ“, je-le-lui- ერთეულები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ნაცვალსახელებს და ზმნურ კონსტრუქციაში სათანადო სუბიექტ-ობიექტური აქტანტების მარკერებად გვევლინებიან.

ანალოგიური სტრუქტურა გვაქვს აგრეთვე უნგრულში, სადაც ზმნურ ფორმაში გამოხატულია მასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთა (resp. ნაცვალსახელთა) როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ნიშანი. შდრ. უნგრული სუბიექტური და ობიექტური უღვლილების სტრუქტურები:

- | სუბიექტური | ობიექტური |
|--------------------------|------------------------------|
| 1. én lát-ok „მე ვხედავ“ | 1. én lát-om „მე მას ვხედავ“ |
| 2. te lát-sz „შენ ხედავ“ | 2. te lát-od „შენ მას ხედავ“ |
| 3. ő lát „იგი ხედავს“ | 3. ő lát-ja „იგი მას ხედავს“ |

ხატველი ნიშნების რაოდენობის თვალსაზრისით ზმნურ ფორმაში, ქართული ზმნა შეიძლება დახასიათდეს როგორც *ერთპირიანი* („მონოპერსონალური“) ან – გარკვეულ შემთხვევაში – *ორპირიანი* („ბიპერსონალური“) სტრუქტურა.

არსებობს გარკვეული სტრუქტურული წესები იმისა, თუ ზმნასთან დაკავშირებულ სახელთაგან (*resp.* ნაცვალსახელთაგან) კონკრეტულად რომელი ერთეული გამოავლენს ზმნურ ფორმაში შესაბამის მორფოლოგიურ ნიშანს და რომელი ერთეულები რჩება ზმნაში მორფოლოგიური გამოხატულების გარეშე (*ა.შანიძე*).¹¹

¹¹ არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში ზმნის სინტაქსური „ვალენტობა“, ანუ ზმნური ფორმის უნარი შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამოხატველი სახელების (*resp.* ნაცვალსახელების) გარკვეული რაოდენობა, და ზმნის „პირიანობა“, ანუ ზმნურ ფორმაში ამ სახელთა (*resp.* ნაცვალსახელთა) პირის გამოხატველი მორფოლოგიური ნიშნის წარმოდგენა.

ის, რაც „პირიანობად“ გაიგებოდა, უნდა გულისხმობდეს არა პირის ნიშანთა გამოვლენას ზმნურ ფორმაში, არამედ ზმნური ფორმის სინტაქსურ უნარს, შეიწყოს წინადადებაში გარკვეული რაოდენობა სახელებისა თუ ნაცვალსახელებისა, რომელნიც სუბიექტ-ობიექტურ მიმართებებს გამოხატავენ, ე.ი. ზმნის სინტაქსურ „ვალენტობას“.

ამას ემყარება ქართული ზმნის დახასიათება როგორც „მრავალპირიანი“ (ორ-, სამ- და ოთხპირიანი) ზმნისა: მაგ., ვაძლევ მე მას მას. მაგრამ ამ თვალსაზრისით, რომელიმე რუსული $\square\square\square\square$ და, ან გერმანული $\square\square\square\square$ *gebe* სტრუქტურები, რომელთაც სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამოხატველი სამი ნაცვალსახელი შეეწყობა (*Я-emy-to ; ich-es-ihm*), დახასიათდებოდა აგრეთვე როგორც „მრავალპირიანი“.

საქმე ისაა, რომ ყველა ეს ზმნური ფორმა (როგორც ქართული, ისე რუსული და გერმანული) **სამვალენტოა** (ზმნურ ფორმასთან სუბიექტ-ობიექტური მიმართებების გამოხატველ აქტანტთა შეწყობის თვალსაზრისით), მაგრამ **ერთპირიანი** (ზმნურ ფორმაში პირის ნიშანთა გამოვლენის თვალსაზრისით). საზოგადოდ, ქართული ზმნა განსხვავდება რუსულისა ან გერმანულისაგან არა იმით, რომ ქართული ზმნა მრავალპირიანია, ხოლო რუსული და გერმანული – ერთპირიანი, არამედ იმით, რომ ქართული ზმნა სუბიექტ-ობიექტური წყობისაა (ე.ი. ქართულ ზმნურ ფორმაში წარმოდგენილია ერთი პირის ნიშანი – სუბიექტისა ან ობიექტისა, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში – ორივეს ერთად), ხოლო რუსული და გერმანული ზმნა – სუბიექტური წყობის (ე.ი. ზმნურ ფორმაში წარმოდგენილია მხოლოდ სუბიექტის ნიშანი).

ამ თვალსაზრისით, ზმნის „პირიანობა“ და ზმნის „ვალენტობა“ არსებითად განსხვავებულ სტრუქტურულ მახასიათებლებს წარმოადგენენ, რომლებიც ასახავენ ზმნური კონსტრუქციის შესაბამისად მორფოლოგიურ აგებულებასა და სინტაქსურ კავშირებს. მაგრამ ამ მახასიათებლებს შორის გარკვეული ურთიერთდაპოკიდებულება არსებობს, რომლიც განსაზღვრავს მათ შორის შესაბამისობის ხასიათს სხვადასხვა ენის ზმნურ სისტემაში.

ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია ენათა ტიპოლოგიური და-ჯგუფება მოვახდინოთ, კერძოდ, იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება აქტანტთა მორფოლოგიური ასახვა ზმნურ ფორმაში; ამ მხრივ, შეიძლება გამოიყოს სუბიექტური, სუბიექტ-ობიექტური და ობიექტური წყობის ენები (მდრ. ზემოთ).

სუბიექტ-ობიექტური წყობის ენათა ჯგუფში შესაძლებელია გაირჩეს ენათა რამდენიმე ქვეკლასი იმის მიხედვით, თუ რა შესაბამისობა არსებობს ზმნის ისეთ ურთიერთდამოკიდებულ კატეგორიებს შორის, როგორიცაა ზმნის სინტაქსური „ვალენტობა“ და ზმნის მორფოლოგიური „პირიანობა“ — „ნაწილობრივია“ ეს შესაბამისობა თუ „სრული“.

ნაწილობრივია შესაბამისობა იმ შემთხვევაში, როდესაც არა ყველა პოტენციურად შესაძლებელი სუბიექტ-ობიექტური აქტანტის ნიშანია აქტუალურად წარმოდგენილი ზმნურ ფორმაში (მდრ. ქართული ენობრივი სისტემა);

სრულია შესაბამისობა ზმნის ვალენტობასა და ზმნის პირიანობას შორის საზოგადოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წინადადების ბირთვში ზმნასთან პოტენციურად დაკავშირებული ყოველი სახელი (resp. ნაცვალსახელი) თავის წარმომადგენელ მორფოლოგიურ ნიშანს აჩენს ფორმაში.¹²

¹² ენათა ასეთ სტრუქტურულ ტიპს უახლოვდება აფხაზური, სადაც წინადადების ყოველი პოტენციური აქტანტი სათანადო მარჯვრით არის წარმოდგენილი ზმნურ კონსტრუქციაში: მდრ. ისეთი სტრუქტურები, როგორიცაა *ი-უ-ზ-ლგ-ს-იოიტ* „მოცემე“ (რალაცას შენთვის მას მე); *ი-უ-ზ-ლგ-რ-იოიტ* „მისცემენ“ (რალაცას შენთვის მას ისინი) და მისთ.

აქტანტთა გამომხატველ ნიშნებს აფხაზურ ზმნურ ფორმაში ძირისა და ერთმანეთის მიმართ მკაცრად განსაზღვრული ადგილი უჭირავთ, რაც აისახება პრეფიქსულ მორფემათა რანგობრივ სტრუქტურაში. ერთი და იგივე ფონემური შედგენილობის მორფემები სულ სხვადასხვა გრამატიკული მნიშვნელობისაა (სუბიექტური ან ობიექტური პირის გამომხატველია), ე.ი. არსებობს განსხვავებული გრამატიკული ერთეულებია, პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობაში მათი განსხვავებული ადგილისდა შესაბამისად; მათი შინაარსობრივი სხვაობა ძირითადად განსხვავებულ რანგობრივ სტრუქტურაში გამოიხატება. ამდენად, „მორფემა“ საზოგადოდ უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ მისი გრამატიკული მნიშვნელობისა და ფონემური შემადგენლობის საფუძველზე, არამედ აგრეთვე „რანგობრივი“ სტრუქტურის გათვალისწინებით ამგვარ დეფინიციებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ შემთხვევაში, როდესაც გარკვეულ გრამატიკულ მიმართულებათა გამომხატველი ერთეულები ერთხვევა ერთმანეთს ფონემური შედგენილობის მხრივ.

8. ყოველი მორფემა ზმნურ სტრუქტურაში მკაცრად განსაზღვრულ ადგილს იკავებს ზმნური ძირისა და სხვა მორფემების მიმართ, რაც ქმნის ზმნური ფორმის მორფემათა „რანგობრივ სტრუქტურას“.

ზმნური სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ზმნის ძირი -R- განსაზღვრული რაოდენობის ცარიელი მორფოლოგიური უჯრედებით ძირის წინ და მის მომდევნოდ. თითოეული ასეთი უჯრედი შეესება მხოლოდ ერთი განსაზღვრული პრეფიქსული თუ სუფიქსური მორფემით, რის შედეგადაც ენის ზედაპირულ სტრუქტურაში წარმოიქმნება ესა თუ ის ზმნური ფორმა სრული მორფოლოგიური გაფორმებით.

პირის პრეფიქსული მორფემები ძველი ქართული ზმნის სტრუქტურაში, როგორც წესი, მხოლოდ ერთ უჯრედს იკავებენ რომელიც მოთავსებულია ქცვის, კაუზატივისა და ვნებითის მაწარმოებელ პრეფიქსთა უჯრედის წინ.¹³ ეს იმას ნიშნავს, რომ პრეფიქსული პირის ნიშნები სტრუქტურულად შეუთავსებელია ერთმანეთთან პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობაში. რამდენი სახელიც არ უნდა დაუკავშირდეს სინტაქსურად ზმნას წინადადების ბირთვში, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის ნიშანი ჩაჯდება ზმნურ სტრუქტურაში პირის პრეფიქსულ მორფემათათვის განკუთვნილ მორფოლოგიურ უჯრედში. ძველი ქართული ზმნის სტრუქტურაში შეინიშნება მკაცრად განსაზღვრული იერარქია ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სახელთა (resp. ნაცვალსახელთა) პრეფიქსული ნიშნების აქტუალურად გამოვლენისა; ზმნურ სტრუქტურაში მხოლოდ ის აქტანტები აჩენენ სათანადო ნიშანს, რომლებიც წარმოადგენენ წი-

¹³ ქართული ზმნის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს სამი პრეფიქსული უჯრედი □□□

□ R. პირველი უჯრედი არის უჯრედი ვერსიისა და ვნებითის, აგრეთვე კაუზაციის მაწარმოებელი მაწარმოებელი პრეფიქსებისა. მეორე უჯრედი პირის ნიშნის უჯრედი, ხოლო მესამე უჯრედს – ე.ი. ვეღაზე დაცილებულს ძირისაგან იმ შემთხვევაში, თუ პირველი და მეორე უჯრედი შეესება – იკავებენ პრეფერბები. თუ ამგვარ უჯრედებს განვსაზღვრავთ როგორც მორფემათა რანგებს, შესაბამისი მორფოლოგიური ერთეულები დახასიათდება როგორც პირველი, მეორე და მესამე პრეფიქსული რანგის მორფემები.

ნადადების ბირთვში შესაბამისად გრამატიკულ სუბიექტს, პირდაპირ ობიექტს ან ირიბ ობიექტს (მიცემით ბრუნვაში დასმულს).

მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილი ირიბი ობიექტი თავისი ფუნქციით შეიძლება იყოს ადრესატი, დესიგნატი, ექსეკუტორი ან ლოკატიური ობიექტი. წინადადების ბირთვში ამავე ფუნქციით ნახმარი თანდებულბრუნვიანი სახელი, რომელიც მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილი ირიბი ობიექტის ტრანსფორმს წარმოადგენს და აქტანტად უნდა ჩაითვალოს, ზმნურ ფორმაში ნიშანს არ აჩენს და ამდენად, არავითარ მონაწილეობას არ იღებს ზმნური სტრუქტურის გაფორმებაში. ამიტომია, რომ სამ- და ოთხვალენტიან ზმნებში, რომელთა ერთ-ერთი აქტანტი თანდებულბრუნვიან ფორმაშია წარმოდგენილი, ივარაუდება მხოლოდ იმ აქტანტების ნიშანთა კომბინირება, რომლებიც წარმოგვიდგენენ გრამატიკულ სუბიექტს, პირდაპირ ობიექტსა და (უთანდებულო) მიცემით ბრუნვაში დასმულ ირიბ ობიექტს.

ნიშანთა კომბინირების ეს წესები სქემატურად შემდეგი სახით ჩამოყალიბდება:

A: ორვალენტიან ზმნურ სტრუქტურებში:

- (1) $/S_1//O_2^d/ \longrightarrow /O_2^d/-R \rightarrow \text{გ}-R$
- (2) $/S_2//O_1^d/ \longrightarrow /O_1^d/-R \rightarrow \text{მ}-R$
- (3) $/S_2//O_3^d/ \longrightarrow /S_2/-R \rightarrow \text{ხ}-R$
- (4) $/S_3//O_1^d/ \longrightarrow /O_1^d/-R-/S_3/ \rightarrow \text{მ}-R-ს$
- (5) $/S_3//O_2^d/ \longrightarrow /O_2^d/-R-/S_3/ \rightarrow \text{გ}-R-ს$
- (6) $/S_3//O_3^d/ \longrightarrow /O_3^d/-R-/S_3/ \rightarrow \text{ხ}-//\emptyset-R-ს$

B: სამვალენტიან ზმნურ სტრუქტურებში:

- (1) $/S_1//O_2^{ind}//O_3^d/ \longrightarrow /O_2^{ind}/-R \rightarrow \text{გ}-R$
- (2) $/S_2//O_1^{ind}//O_3^d/ \longrightarrow /O_1^{ind}/-R \rightarrow \text{მ}-R$
- (3) $/S_2//O_3^{ind}//O_3^d/ \longrightarrow /S_2/-R \rightarrow \text{ხ}-R$
- (4) $/S_3//O_1^{ind}//O_3^d/ \longrightarrow /O_1^{ind}/-R-/S_3/ \rightarrow \text{მ}-R-ს$
- (5) $/S_3//O_2^{ind}//O_3^d/ \longrightarrow /O_2^{ind}/-R-/S_3/ \rightarrow \text{გ}-R-ს$
- (6) $/S_3//O_3^{ind}//O_3^d/ \longrightarrow /O_3^{ind}/-R-/S_3/ \rightarrow \text{ხ}-R-ს$

ამგვარად, ზმნასთან დაკავშირებული აქტანტების პირის ნიშანთა აქტუალურად გამოვლენის თვალსაზრისით ქართული ზმნა უნდა დახასიათდეს ძირითადად როგორც მონოპერსონალური (ერთპირიანი) ზმნური სტრუქტურა. ბიპერსონალურია (ორპირიანია) იგი იმ შემთხვევაში, თუ $\{S_3\}$ აქტანტი, რომელიც სუფიქსური ნიშნით გამოიხატება, კომბინირებს წინადადების ბირთვში პრეფიქსული ნიშნით გამოხატულ ობიექტურ პირთან, მდრ. (4), (5), (6) სტრუქტურები.

ამ შეხედულებით შეიძლება ვილაპარაკოთ ქართული ზმნის „პრეფიქსულ მონოპერსონალიზმზე“. ამ პრინციპის შესაბამისად ზმნასთან დაკავშირებულ აქტანტთა პოტენციურად შესაძლებელ პრეფიქსულ ნიშანთაგან ზმნურ ფორმაში აქტუალურად გამოვლინდება მხოლოდ ერთი ნიშანი.

ზმნურ ფორმაში პრეფიქსულ ნიშანთა მიმდევრობიდან გარკვეული პრეფიქსის აქტუალურად წარმოჩენის თვალსაზრისით შეიძლება შემოვიტანოთ სუბიექტ-ობიექტურ პირის ნიშანთა „სიმძლავრის“ ცნება.

ამ მხრივ, გრამატიკული სუბიექტისა და ობიექტის გამომხატველი პრეფიქსები ზმნურ კონსტრუქციაში განისაზღვრება როგორც ერთი და იმავე „სიმძლავრის“ მქონე ნიშნები, რამდენადაც ამ ნიშანთა კომბინირებისას გარკვეულ კონსტრუქციებში ვლინდება მხოლოდ სუბიექტური პირის ნიშნები, ხოლო სხვა კონსტრუქციებში – მხოლოდ ობიექტური პირის ნიშნები ($\{O_1\}$ და $\{O_2\}$ აქტანტთა სუბიექტურ $\{S_{1,2}\}$ აქტანტთან კომბინირების შემთხვევაში).

ერთგვარი განსხვავება იჩენს თავს „სიმძლავრის“ თვალსაზრისით პირდაპირი და ირიბი ობიექტის ამსახველ აქტანტებსა და მათ შესაბამის პრეფიქსულ ნიშნებს შორის. ირიბი ობიექტი ამ მხრივ უფრო „მძლავრია“ პირდაპირ ობიექტთან შედარებით, რამდენადაც მათი კომბინირება წარმოაჩენს ზმნურ ფორმაში მხოლოდ ირიბი ობიექტის პრეფიქსულ ნიშანს.

ისეთ სინტაქსურ სტრუქტურებში, სადაც O_3^d ობიექტის ამსახველი აქტანტი კომბინირებს O_3^{ind} ობიექტის ამსახველ აქტანტთან, ზმნის სტრუქტურაში აისახება აქტუალურად მხოლოდ $\{O_3^{ind}\}$ ხ-პრეფიქსის სახით, ხოლო $/O_3^d/$ ნიშანი არ წარმოიდგინება:

$$/S_3//O_3^{ind}/O_3^d/ \longrightarrow /O_3^{ind}/-R-/S_3/ \rightarrow \text{ხ-R-ს.}$$

ამგვარ კონსტრუქციებს უნდა შეეწყო ხელი $\{O_3^d\}$ ნიშნის (ე.ი. მესამე პირდაპირ-ობიექტური /ხ-/ პრეფიქსის) ნულთან გათანაბრებისათვის ($/O_3^d/ \rightarrow \emptyset$) ისეთ კონსტრუქციებშიც, სადაც იგი არ კომბინირებდა მესამე ირიბ-ობიექტურ პირთან და სადაც იგი, ამდენად, კანონზომიერად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი /ხ-/ პრეფიქსის სახით. ამით დაირღვა მანამდე სისტემაში არსებული სტრუქტურული პარალელიზმი პირდაპირ- და ირიბ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველ აქტანტებს შორის, რომლებიც პირველ, მეორე და მესამე პირის ფორმებში მათთვის საერთო /მ-/ , /გ/ და /ხ-/ პრეფიქსებით გამოიხატებოდა.

ძველი ქართული ზმნის იმ სისტემაში, რომელიც ასახულია „ხანმეტ“ ძეგლებში, გაბატონებულ ნორმად შეიძლება ჩაითვალოს უკვე $\{O_3^d\}$ აქტანტის ნიშნად ზმნაში \emptyset –მორფემის ხმარება.

მაგრამ ძველი სისტემა $\{O_3^d\} \rightarrow \text{ხ-}$ პრეფიქსით /ჯერ კიდევ თავს იჩენს გარკვეულ კონსტრუქციებში.¹⁴

/ხ-/ პრეფიქსის ოდინდელი არსებობა მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშნად, როდესაც $/O_3^d/ \rightarrow \text{ხ-}$ ქართული ზმნის სტრუქტურაში ნორმა უნდა ყოფილიყო, შეიძლება დავინახოთ „ი-ნიანი“ ვნებითის ფორმებში, რომლებიც პასიურ ტრანსფორმებს წარმოადგენენ შესაბამისი აქტიური კონსტრუქციებისა მესამე პირდაპირ-

¹⁴ ამგვარი ევოლუცია პირდაპირი ობიექტის ნიშნისა (ე.ი. $/O_3^d/ \text{ხ-} \rightarrow \emptyset$), რისთვისაც ხელი უნდა შეეწყო $/O_3^d//O_3^{ind}/ \longrightarrow /O_3^{ind}/-R/$ კონსტრუქციებს, არ შეუბია პირველი და მეორე პირდაპირ-ობიექტური პირის /მ-/ და /გ-/ ნიშნებს, რამდენადაც გამორიცხული იყო სტრუქტურულად პირველი და მეორე პირის შემთხვევაში (განსხვავებით მესამე პირისაგან) პირდაპირ- და ირიბ-ობიექტურ ნიშნთა კომბინირება (წინადადების ბირთვში ზმნას არ უკავშირდება ერთსა და იმავე კონსტრუქციაში $\{O_1^d\}$ $\{O_1^{ind}\}$ და $\{O_2^d\}$ $\{O_2^{ind}\}$ აქტანტები).

ობიექტური პირის გამომხატველი /ხ-/ პერფიქსით. ი-ნიანი ვნებითის კონსტრუქციებში ეს ხ- პრეფიქსი (წარმოშობით მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის გამომხატველი ნიშანი) არ გაუთანაბრდნულს, რამდენადაც /O₃^d/ხ-→∅- პროცესის განხორციელების დროს აქტიურ კონსტრუქციებში მორფოლოგიური კავშირი ი-ნიანი ვნებითის გარკვეულ ფორმებსა და შესაბამისი მოქმედებითი გვარის პირდაპირდამატებიან კონსტრუქციებს შორის გაწყვეტილი უნდა ყოფილიყო; აქტიურ კონსტრუქციებში /O₃^d/ხ- →∅ პროცესის დაწყებისათვის შესაბამის პასიურ კონსტრუქციათა /ხ-/ პრეფიქსი აღარ გაიგებოდა როგორც /O₃^d/ნიშანი.

9. სუბიექტ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი აქტანტებისა და მათ შესაბამის ნიშანთა შეპირისპირება ძველი ქართული ზმნის სტრუქტურაში საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთი შინაგანი რეკონსტრუქცია მოვახდინოთ სტრუქტურათა უნიფიცირებულ ტიპებზე დაყვანით. ამ შემთხვევაში საკითხი შეეხება სუბიექტ-ობიექტურ მიმართებებს პირველი სუბიექტური პირის გამომხატველ ორდა სამვალენტთან ზმნურ სტრუქტურებში.


ძველი ქართული ზმნის პრეფიქსული მონოპერსონალიზმის პრინციპი, რომელიც გატარებულია უცილობლად ზმნური სტრუქტურის ყველა პარადიგმული ერთეულის მიმართ, ირღვევა ზოგ ისეთ ზმნურ ფორმაში, სადაც წინადადების ბირთვში მესამე ობიექტური პირის ამსახველი სახელი უკავშირდება პირველ სუბიექტურ პირს. ასეთ შემთხვევაში ორივე ეს აქტანტი სათანადო აქტუალურად გამოვლენილი პრეფიქსული ნიშნით არის წარმოდგენილი ზმნურ ფორმაში: შდრ. „ხანმეტი“ ფორმები შე-ხ-ჴ-აბთ, აღ-ხ-ჴ-მართე და მისთ.

ამ ფორმებში წარმოდგენილია, წინააღმდეგ „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპისა, როგორც {S₁}, ისე {O₃} აქტანტთა გამომხატველი პრეფიქსული ელემენტები /-ჴ/ და /ხ-/, რაც /ხ-ჴ-/ მიმდევრობას გვაძლევს: /O₃//S₁/.


ამგვარი სტრუქტურული შეუსაბამობის ელიმინირება და უძველესი ქართული ზმნური სტრუქტურის სუბიექტ-ობიექტურ ნიშანთა აქტუალურად გამოვლენის თვალსაზრისით უნიფიცირებულ ტიპზე დაყვანა შესაძლებელი ხდება /ხ-ჴ-/ მიმდევრობის ერთიან მორფემად განხილვის შემთხვევაში, სახელდობრ, /ხ-ჴ-/ ელემენტად, რომელიც უნდა განიხილებოდეს როგორც პირველი სუბიექტური პირის გამომხატველი /S₁/ ნიშანი. მაშასადამე, მიმდევრობები /S₁//O₃^d/ და /S₁//O₃^d//O₃^{ind}/, ისე როგორც მიმდევრობები /S₂//O₃^d/ და /S₂//O₃^d//O₃^{ind}/ (იხ. ზემოთ), უნდა გამოხატულიყო აქტუალურ სტრუქტურაში – თანახმად „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპისა – მხოლოდ სუბიექტური პირის /S₁/ და /S₂/ ნიშნების სახით.

ამგვარი დაშვების შედეგად ზმნურ ფორმაში მივიღებთ პირის ნიშანთა აქტუალურად გამოვლენის შემდეგ სქემას, რომელშიც სრულად აისახება ზმნის „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპი:

A:



B:



ამგვარად, პირველი სუბიექტური პირის გამომხატველი /S₁/ ნიშანი უძველესი ქართული ზმნის სტრუქტურაში აღდგება შინაგანად როგორც /ხ-ჴ/ და არა/*ჴ-/ პრეფიქსი (ფ.ჯავახიშვილი). იგი შემდგომ დაიშალა /ხ-/ და /ჴ-/ ნიშნებად, ე.ი. გაგებულ იქნა როგორც {O₃} და {S₁} აქტანტთა გამომხატველი ნიშნები ზმნაში, რითაც დაირღვა ქართული ზმნური სტრუქტურისათვის თავდაპირვე-

ლად დამახასიათებელი პრეფიქსული მონოპერსონალიზმი, რომელიც ჯერ კიდევ „ხანმეტ“ ძეგლებში ასახული ძველი ქართულის დონეზე უცილობლად გატარებულია ყველა დანარჩენ სუბიექტობიექტურ პირთა კომბინირებისას.¹⁵

პრექართულისათვის, ე.ი. ქართული ენის განვითარების იმ ეტაპისათვის, რომელიც წინ უსწრებს უძველეს წერილობით ძეგლებში ასახულ ენობრივ მდგომარეობას, შესაძლებელია ვივარაუდოთ პრეფიქსული მონოპერსონალიზმის შესაბამისი ზმნური სტრუქტურა პირველი სუბიექტური პირის /S₁/ → *ხჷ- მარკერით.

ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე უნდა მომხდარიყო ამგვარ სტრუქტურათა პირველი სუბიექტური პირის /ხჷ- R ფორმის გააზრება როგორც ზმნური ფორმისა, რომელშიც გამოხატულია აგრეთვე მესამე ობიექტური პირი O₃/ხ-/ პრეფიქსის სახით; 1. *მი-ხჷ-ეც- ~ 3. *მი-ხ-ც-ა ტიპის პარადიგმებში ხდება *მი-ხჷ-ეც ფორმის დაშლა *მი-ხ-ჷ-ეც სტრუქტურად; წარმოშობით ერთიანი პირველი სუბიექტური პირის /*ხჷ-/ პრეფიქსი რეინტერპრეტირებულ იქნა როგორც O₃^{ind}/ხ-/ და S₁/ჷ-/ პრეფიქსთა კომბინაციად.

რომელიმე *მი-ხჷ-ეც სტრუქტურა (წინადადების ბირთვი: {S₁} {O₃^{ind}} {O₃^d} V) მესამე ობიექტური პირის *მი-ხ-ც-ა სტრუქტურის გავლენით, სადაც კანონზომიერად წარმოდგენილია O₃^{ind}/ხ-/ პრეფიქსი, გააზრებულ იქნა როგორც მი-ხ-ჷ-ეც სტრუქტურა, ე.ი. როგორც ისეთი ზმნური ფორმა, რომელშიც /*ხჷ-/ პრეფიქსის /*ხ-/ ელემენტი მიჩნეულია {O₃} სახელის (resp. ნაცვალსახელის) გამოხატველ ნიშნად, მსგავსად /ხ-/ პრეფიქსისა მი-ხ-ც-ა ტიპის სტრუქტურებში, სადაც იგი კანონზომიერად {O₃} სახელის (resp. ნაცვალსახელის) გამოხატველია. ამით ერთგვარად დაირღვა ზმ-

¹⁵ შდრ. აგრეთვე შინაგანად რეკონსტრუირებული S₁ /*ხჷ-/ ნიშნის ფონემური მიმართება S₂ /*ხ-/ ნიშნთან, რომელიც ანალოგიურია O₂^{pl} /*გჷ-/ ნიშნის ფონემური მიმართებისა O₂ /*გ-/ ნიშნთან, ე.ი. S₁: *ხჷ-კლაჷ ~ S₂: *ხ-კლაჷ და O₁^{pl}: *გჷ-კლაჷ ~ O₂: *გ-კლაჷ.

ნურ ფორმათა პრეფიქსული მონოპერსონალიზმის აბსოლუტური ხასიათი ძველი ქართული ზმნის სისტემაში.

პირველი სუბიექტური პირის /*ხჷ-/ პრეფიქსის ამგვარ გააზრებას მესამე პირის ობიექტურ-პრეფიქსიან ფორმათა გაგლენით, მის მიჩნევას O_3 /*ხ-/ ელემენტის შემცველ მიმდევრობად, უნდა გამოეწვია თავდაპირველი S_1 /*ხჷ-/ პრეფიქსის /*ჷ-/ პრეფიქსად გამართიება იმ პარადიგმებშიც, სადაც არ იყო წარმოდგენილი მესამე სუბიექტური პირის ფორმაში ობიექტის გამომხატველი $O_3^{ind}/ხ-/$ პრეფიქსი (ე.ი. ერთვალენტთან სუბიექტური წყობის ზმნებში, აგრეთვე, ნაწილობრივ, ორვალენტთან ზმნებში პირდაპირი ობიექტის ამსახველი სახელით); *ხჷ-არ ტიპის სტრუქტურას უნდა მოეცა *ჷ-არ, ხოლო ხჷ-კლავ ტიპის სტრუქტურა უნდა გარდაქმნილიყო S_1 : *ჷ-კლავ ფორმად.

$/S_1/$ პრეფიქსის ამგვარი გამართიება /*ხჷ-/→/*ჷ-/ აღნიშნულ პარადიგმებში შეიძლება დავახასიათოთ როგორც /-ხ-/ ელემენტის „მორფოლოგიური დაკარგვა“ თავდაპირველად ერთიანი /*ხჷ-/ პრეფიქსის გააზრების გამო გარკვეულ სტრუქტურებში როგორც $/O_3/ /S_1/$ →/*ხ-/*ჷ-/ პრეფიქსთა მიმდევრობისა.¹⁶ ეს ეტაპი ქართული ზმნის განვითარებისა ასახულია უკვე „ხანმეტი“ ძეგლების ენაში, სადაც $\{S_1\}$ ნაცვალსახელის გამომხატველი ნიშანი ზმნის სტრუქტურაში რეგულარულად ვ/ჷ- პრეფიქსის სახით ვლინდება, ხოლო პრეფიქსული /ხ-ჷ-/ წარმოდგენს $/O_3/ /S_1/$ ნიშანთა მიმდევრობას ზმნურ ფორმაში.



¹⁶ ანალოგიური დაკარგვა გ- ელემენტისა O_1^{pl} */გჷ-/ პრეფიქსში O_2 /გ-/ პრეფიქსის გაგლენით არ უნდა მომხდარიყო იმის გამო, რომ O_1 და O_2 ობიექტები ვერ შეეწყობა ერთმანეთს საერთო პრედიკატთან და, ამდენად, გამოირიცხება $\{O_1\}$ და $\{O_2\}$ ნაცვალსახელთა ნიშნების ზმნურ ფორმაში კომბინირების შესაძლებლობა.



დამწერლობის ტიპოლოგია, გერმანული ანბანი და ანბანურ დამწერლობათა წარმოშობა ქრისტიანულ აღმოსავლეთში*

1. დამწერლობა როგორც სემიოტიკური სისტემა

მ დამწერლობა შეიძლება განვიხილოთ როგორც გარკვეული სახის ურთიერთდაკავშირებულ ნიშანთა სიმრავლე, რომელიც შინაგანი სტრუქტურის მქონე ერთიანობას წარმოადგენს. ამგვარი ინტერპრეტაცია დამწერლობისა, როგორც სემიოტიკური სისტემისა, მას ანალოგიური ჰუმანიტარული სისტემების გვერდით აყენებს და, ამდენად, დამწერლობის თეორია, რომელსაც თანამედროვე ენათმეცნიერებაში გრამატოლოგიას უწოდებენ, შეიძლება განვიხილოთ როგორც ნაწილი სემიოტიკისა (სემიოლოგიისა), ანუ ზოგადი თეორიისა ნიშანთა სისტემების შესახებ.

* დაიბეჭდა კრებულში: «Current Trends in Caucasian, East European and Inner Asian Linguistics», edited by D.A.Holisky, K.Tuite, Amsterdam/Philadelphia, 2003. *John Benjamins Publishing Company*.

მღრ. თამაზ ვაძეოჯიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმოშობა (აკაკი შანბის რედაქციითა და წინასიტყვაობით): «თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა», თბილისი, 1989.

ამგვარად, შესაძლებელი ხდება წერის სისტემების მიმართ გამოვიყენოთ ის ოპერატიული ცნებები, რომლებიც შეიმუშავეს სხვა სემიოტიკურ დისციპლინებში, უპირველესად კი ენათმეცნიერებაში. ამგვარ შესაძლებლობას განაპირობებს არა მხოლოდ მჭიდრო კავშირი ენასა და დამწერლობას შორის — ეს უკანასკნელი, გარკვეული აზრით, თითქოს ზემოდანაა დადებული ენაზე — არამედ დამწერლობის სისტემა თავისთავად, რომელიც მნიშვნელოვან სტრუქტურულ მსგავსებას ავლენს ენობრივ სისტემასთან. დამწერლობის განხილვა როგორც ნიშანთა სისტემისა საშუალებას იძლევა უფრო ღრმად ჩავწვდეთ მის ონტოლოგიურ ბუნებას. ამგვარი წარმოდგენის საფუძველზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დამწერლობის ზოგადი ტიპოლოგია და განისაზღვროს დამწერლობის როლი ადამიანის კულტურულ განვითარებაში (მდრ. გამყრელიძე 1990).

2. „გამოხატულების“ და „შინაარსის პლანი“ დამწერლობაში

როგორც სემიოტიკური სისტემა, დამწერლობა შედგება ნიშნის ბუნების მქონე ვიზუალური სიმბოლოებისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი გრაფიკული ნიშანი-სიმბოლო წარმოადგენს ორპლანიან ერთეულს, ანუ სისტემურ ერთეულს, რომელსაც აქვს ორი მხარე: გამოხატულებისა და შინაარსისა. გრაფიკული ნიშნის გამოხატულება, ანუ მისი აღმნიშვნელი (*signans*), არის ის ფიზიკური სუბსტანცია, რომლის მეშვეობითაც ნიშნის ვიზუალური წარმოდგენა ხორციელდება. ეს რეპრეზენტაცია შეიძლება იყოს ნახატი, გეომეტრიული ნიშანი ან ფიგურა. გრაფიკული სიმბოლოს შინაარსი, ანუ მისი აღსანიშნი (*signatum*), არის ყველაფერი ის, რაც ამგვარად დაწერილი სიმბოლოთი გამოიხატება, ყველაფერი, რასაც მოცემული სიმბოლო უკავშირდება. ეს შეიძლება იყოს გარკვეული ცნება, იდეა, რიცხვი, სიტყვა, მარცვალი ან ცალკეული ბგერა. წერითი სისტემა, თუ მას განვიხილავთ როგორც ნიშანთა სისტე-

მას, ხასიათდება ორი პლანით — გამოხატულებისა და შინაარსის პლანით —, რომლებსაც მათი დუალური ბუნების გამო, გარკვეული წერითი სისტემის გრაფიკული ნიშნები უკავშირდება.

წერითი სისტემის ამგვარი დუალური ბუნება იძლევა დამწერლობის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შესაძლებლობას გამოხატულების პლანის მახასიათებლების მიხედვით, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს ერთმანეთს შევუდაროთ სხვადასხვა ტიპის დამწერლობანი მათი შეფასების კრიტერიუმის გამომუშავების მიზნით. ვფიქრობთ, ეს ასევე აუცილებელია იმისათვის, რომ ნათელი მოეფინოს დამწერლობის წარმოშობის საკითხს და განისაზღვროს დამწერლობის ფილოგენეტიური განვითარების¹ ძირითადი დონეები. შინაარსის პლანის მიხედვით შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ტიპოლოგიური კლასი: (ა) სემასიოგრაფია ანუ იდეოგრაფია და (ბ) ფონოგრაფია.

სემასიოგრაფია წერითი სისტემების იმ კლასს განსაზღვრავს, რომლებშიც გრაფიკული ნიშანი აღნიშნავს არა კონკრეტული ენის ფონეტიკურ მხარეს (ცალკეულ სიტყვებს, მარცვლებს ან ბგერებს მოცემულ ენაში), არამედ კონკრეტულ ცნებებს და ზოგჯერ — მთლიან სიტუაციასაც. ამგვარი ნიშნები უშუალოდ უკავშირდება ენის შინაარსის პლანს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სემასიოგრაფიულ წერით სისტემებში შინაარსის პლანი, რომელიც მოცემული ენის სიტყვებითა და ფრაზებით გამოიხატება, პირდაპირ აისახება ნიშნებში; ეს უკანასკნელი იმგვარ ერთეულებად წარმოგვიდგებიან, რომლებიც, ისევე როგორც კონკრეტული სიტყვები და სიტყვათა კომბინაციები, აღნიშნავენ აბსტრაქციის სხვადასხვა დონის უნივერსალურ ცნებით კატეგორიებს. იდეოგრაფიული (სემასიოგრაფიული) სისტემების ნიშნებს, რომლებიც დაკავ-

¹ დამწერლობის ფილოგენეტიური განვითარება (ფილოგენეზი) გულისხმობს დამწერლობის ევოლუციას საზოგადოდ, მის განვითარებაში თანმიმდევრული დონეების გამოყოფას, რომლებიც იწყება სემასიოგრაფიით და მთავრდება ფონოგრაფიის ანბანური დონით. დამწერლობის ონტოგენეტიური განვითარება (ონტოგენეზი) არის ცალკეული წერითი სისტემის წარმოშობა და მის განვითარებაში გარკვეული თანმიმდევრული საფეხურების გაგლა, დაწყებული შექმნიდან და დამთავრებული მისი შესწავლით.

შირებულა გარკვეულ ცნებებთან, მაგრამ მოკლებულა კონკრეტული ენის სიტყვათა ფონეტიკურ გარსს, ერთნაირად იგებენ და სწორადაც კითხულობენ სხვადასხვა ენის ის წარმომადგენლები, რომლებიც იცნობენ ამ ნიშნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ფლობენ ცოდნას ამ ნიშნებსა და ცნებებს შორის არსებული მიმართებების შესახებ. იდეოგრაფიული სისტემის ნიშნებისა თუ სიმბოლოების შესაბამისი შინაარსის ამგვარი ცოდნა ემყარება ან აღმნიშვნელის იდენტიფიკაციას რეალური სამყაროს ობიექტთან, როცა ნიშანი იკონური ასახვა ამ ობიექტისა, ან პირობითად მიღებულ მიმართებას, რომელიც არსებობს წერითი სისტემის კონკრეტულ ნიშნებსა და სემანტიკურ კონცეპტუალურ აღსანიშნებს შორის.²

აქვე გვინდა აღვნიშნოთ წერითი სისტემის გამოხატულების პლანთან დაკავშირებით. იდეოგრაფიულ წერით სისტემებში ნიშნები შეიძლება გრაფიკულად მსგავსი იყოს რეალური სამყაროს იმ ობიექტებისა, რომლებსაც შესაბამისი ცნების მეშვეობით უკავშირდებიან. სისტემაში ამგვარი იკონური მსგავსება გრაფიკულ ნიშანთა აღსანიშნებსა და შესაბამის ობიექტებს შორის მოცემულ წერით სისტემას ახასიათებს როგორც პიქტოგრაფიულს, ანუ როგორც იკონურ წერით სისტემას. როდესაც იდეოგრაფიული სისტემის სიმბოლოები გარეგნულად არ ჰგვანან რეალური სამყაროს იმ ობიექტებს, რომლებსაც უკავშირდებიან შესაბამისი ცნებითი კატეგორიების მეშვეობით (შდრ., მაგალითად, რიცხვების აღნიშვნა), წერითი სისტემა შეიძლება აღიწეროს როგორც პირობითი (კონვენციონალური).

ფონოგრაფიულია ის წერითი სისტემები, რომლებშიც აღმნიშვნელი უკავშირდება ენის არა უნივერსალურ კონცეპტუალურ კატეგორიებს (რომლებიც კულტურული განვითარების გარკვეულ დონე-

² იდეოგრაფიის ელემენტები გვხვდება როგორც უძველეს, ისე თანამედროვე წერით სისტემებში (შდრ., მაგალითად: რიცხვის აღნიშვნა წერით სისტემათა უმრავლესობაში; ისეთი ტიპის სიმბოლოები, როგორცაა **&**, **e.g.**, **cf.**; მათემატიკურ ნიშანთა სისტემა და ა.შ.). უწვევტი იდეოგრაფიული წერითი სისტემები დამახასიათებელია დამწერლობის ფილოგენეტიკური განვითარების უძველესი საფეხურებისათვის.

ზე ყველა ენობრივ საზოგადოებაშია წარმოდგენილი), არამედ ამა თუ იმ ენის კონკრეტულ ფონეტიკას. ამგვარ სისტემებში კონცეპტები არ გვევლინება გარკვეულ ნიშანთა აღმნიშვნელებად, ამ როლს ასრულებენ კონკრეტული ბგერითი შედგენილობის მქონე სიტყვები ან უფრო დაბალი დონის ენობრივი ერთეულები: ცალკეული მარცვლები და/ან ბგერები. წერითი სისტემის ცოდნა, როდესაც ეს სისტემა ფონოგრაფიულია, გულისხმობს წინასწარ ცოდნას იმ მიმართებისა (ეს მიმართება ძირითადად პირობითია), რომელიც არსებობს ნიშანსა და მოცემული ენის კონკრეტულ ფონეტიკურ სიტყვას ან უფრო დაბალი დონის ბგერით სემანტს (მარცვალს, ბგერას) შორის.

საკუთრივ წერა ძირითადად გულისხმობს (ყოველგვარი დასაბუთების გარეშე) ჩანაწერს ფონოგრაფიული სისტემის გამოყენებით, მაშინ როცა იდეოგრაფია დამწერლობის ფილოგენეტიურ განვითარებაში გარკვეულ პირველად საფეხურს წარმოადგენს.

ამგვარად, ფონოგრაფიულ სისტემაში წერა უკვე მეტყველებას უკავშირდება და ენის ფონეტიკური ფორმა ამგვარი სისტემის შინაარსის პლანს შეადგენს, ანუ გარკვეული ბგერითი სემანტები (ფონეტიკური სიტყვები, მარცვლები ან ცალკეული ბგერები) გრაფიკული ნიშნების აღსანიშნები ხდება.

ფონოგრაფიული წერითი სისტემა, რომელშიც გრაფიკული ნიშნები კონკრეტული ენის ცალკეულ ლექსემებს გამოხატავენ, განიხილება როგორც ლოგოგრაფიული და ამგვარ სისტემაში ნიშნები წარმოადგენენ ლოგოგრამებს. ფონოგრაფიული სისტემა, რომელშიც ნიშნები მარცვლებს გამოხატავენ, განიხილება როგორც სილაბოგრაფიული და ამგვარი სისტემის ნიშნებს სილაბოგრამებს უწოდებენ. დასასრულ, ფონოგრაფიული სისტემა, რომელშიც გრაფიკული ნიშნები ცალკეულ ბგერებს (ბგერით ერთეულებს) გამოხატავენ, განიხილება როგორც ანბანური. დამწერლობის ტიპოლოგიაში ანბანური სისტემა უმაღლეს დონეს განეკუთვნება. იგი ყველაზე ეკონომიურია როგორც მეტყველების შედარებით სრუ-

ლყოფილად ჩაწერისათვის (საჭირო ნიშანთა რაოდენობის თვალსაზრისით), ისე ინფორმაციის გრძელ მანძილზე გადაცემის თვალსაზრისითაც. სწორედ ამიტომ ანბანური დამწერლობის შექმნა ნიშნავდა უდიდეს მიღწევას კაცობრიობის ბუნებრივ განვითარებაში. ანბანური წერის ფორმით კაცობრიობამ შეიძინა მეტყველების ჩაწერისა და მისი სივრცესა და დროში გადაცემის მარტივი და ეფექტური საშუალება.³

თავის მხრივ, ანბანური სისტემა იყოფა ფონოლოგიურ და ფონეტიკურ ტიპებად. ფონოლოგიურ სისტემაში გრაფიკული ნიშნებით მხოლოდ ენის ფონემური ერთეულები აღინიშნება, ფონემის ბგერითი ვარიანტები არაა გათვალისწინებული მიუხედავად იმისა, ფონეტიკურად რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავება მათ შორის. ფაქტობრივად, ფონოლოგიური დამწერლობა წარმოადგენს ენის ბგერითი ფორმის ხელოვნურ ჩანაწერს იმ ფონოლოგიური (ფონემური) ერთეულების ტერმინებში, რომლებიც სპეციალური ლინგვისტური კვლევის შედეგად გამოიყოფა. წერის ფონეტიკურ სისტემაში გამოიხატება ენის ცალკეული ბგერითი ერთეულები, მიუხედავად მათი ფონემური სტატუსისა ენობრივ სისტემაში. ისტორიულად დადასტურებული ანბანური სისტემები ფონეტიკური ხასიათისაა, თუმცა მათში ხშირად შეიმჩნევა ფონოლოგიური პრინციპის იმპლიციტური რეალიზაცია და გამოიხატება ის ფონეტიკური განსხვავებები, რომლებიც დისტინქციური ანუ ფუნქციონალური მნიშვნელობის მქონეა.

³ იდეოგრაფიის ელემენტები ნებისმიერ ანბანურ სისტემაში შეიძლება იყოს წარმოდგენილი. მხოლოდ პირობითად თუ ვილაპარაკებთ ანბანური სისტემის სრულყოფილებაზე იდეოგრაფიულ სისტემასთან შედარებით. ანბანური დამწერლობის „სრულყოფილება“ უნდა გაიგოთ იმ აზრით, რომ იგი ქრონოლოგიურად შედარებით დაშორებული საფეხურია დამწერლობის ფილოგენეტიკურ განვითარებაში, რაც გულისხმობს იდეოგრაფიული, ლოგოგრაფიული და სილაბოგრაფიული საფეხურების თანმიმდევრულ გაუქმებას საკუთრად ანბანური დამწერლობის წარმოშობამდე. თუმცადა, აღსანიშნავია, რომ ანბანური დამწერლობის განვითარებაში არის შემთხვევები, როდესაც ხდება მიბრუნება იდეოგრაფიის პრინციპებისაკენ და ჩნდება იდეოგრაფიული ნიშნები (მდრ., მაგალითად, იდეოგრაფიული ელემენტები თანამედროვე ინგლისურ დამწერლობაში).

რაც შეეხება გამოხატულების პლანს, ფონოგრაფიულ სისტემაში გრაფიკული ნიშნები, აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის მიმართების თვალსაზრისით, შეიძლება დახასიათდეს როგორც პიქტოგრაფიულიცა და როგორც პირობითიც. ამგვარია ვითარება ლოგოგრაფიულ სისტემებში, სადაც ნიშნები შეიძლება იყოს როგორც პიქტოგრაფიები, ისე პირობითი გრაფიკული სიმბოლოები. ამ თვალსაზრისით, სილაბოგრაფიული და ანბანური დამწერლობებისათვის მხოლოდ პირობითობაა დამახასიათებელი, რამდენადაც ამ სისტემებში გრაფიკულ სიმბოლოთა აღსანიშნები, თავის მხრივ, არ წარმოადგენენ ნიშნებს და მოკლებულნი არიან შინაარსს. სწორედ ამის გამო, აღსანიშნები ამგვარ სისტემებში არაფრით არ შეიძლება ჰგავდნენ შესაბამის აღმნიშვნელს. გრაფიკულ სიმბოლოსთან დაკავშირებით პიქტოგრაფიაზე აქ მხოლოდ ისტორიული ასპექტით თუ ვისაუბრებთ, ანუ რეალური სამყაროს გარკვეული ობიექტებისადმი შესაძლო მსგავსების (თუ ამგვარი რამ დასტურდება) თვალსაზრისით. ნებისმიერი ასეთი მსგავსება მოსალოდნელია, რომ ასახვადეს მოცემული სიმბოლოს წარმომავლობასა და მის გამოყენებას სემასიოგრაფიული (ლოგოგრაფიული) ფუნქციით გარკვეულ არაანბანური ტიპის დამწერლობაში.

ამგვარად, დამწერლობის შინაარსის პლანი წარმოადგენს სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების (ბგერების, მარცვლების, სიტყვების, რიცხვების და ა.შ.) ერთობლიობას, რომლებიც სხვადასხვა წერით სისტემაში განსხვავებული გრაფიკული სიმბოლოებით გამოიხატება და რომელთა კონკრეტული სიმრავლე შეადგენს შესაბამისი წერითი სისტემის გამოხატულების პლანს.⁴

⁴ ამ აზრით, ტრადიციული პალეოგრაფია განიხილება როგორც გრამატიკოლოგიის დარგი, რომელიც უპირატესად შეისწავლის წერითი სისტემის „გამოხატულების პლანს“, ანუ გარკვეული გრაფიკული ნიშნების მეშვეობით სპეციალური მნიშვნელობის გამოხატვის თავისებურებას და ამგვარი ნიშნების დროში გრაფიკულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. რამდენადაც ასეთი პრობლემები განიხილებოდა როგორც კავშირი განსხვავებულ დამწერლობებს შორის, გასაკებია, რომ ტრადიციული პალეოგრაფია, რომელიც ძირითადად წერითი სისტემის გამოხატულების პლანით იყო დაინტერესებული, ამ სისტემის ნიშნებს შორის გრაფიკული მსგავსების გარეგან ასპექტებზე ამყარებდა თავის დასკვნებს და არ ითვალისწინებდა იმ შიდა სტრუქტურულ თავისებურებებს, რომლებსაც სისტემის „გამოხატულების პლანისა“ და „შინაარსის პლანის“ ურთიერთკავშირი განსაზღვრავდა.

კონკრეტული სისტემის გრაფიკული სიმბოლოების სპეციფიკური სახელები, ისევე როგორც წერის მიმართულება, წერითი სისტემის გამოხატულების პლანს უკავშირდება.

3. დამწერლობის „პარადიგმატიკა“ და „სინტაგმატიკა“

წერითი სისტემის გამოხატულებისა და შინაარსის პლანის ცნებებთან ერთად ენათმეცნიერებიდან გრამატიკოლოგიაში, როგორც სემიოტიკურ დისციპლინაში, უნდა გადმოვიტანოთ პარადიგმატიკისა და სინტაგმატიკის ცნებები.

დამწერლობის პარადიგმატიკა გულისხმობს დამწერლობის ელემენტების (გრაფიკული სიმბოლოების) ურთიერთმიმართებებს სისტემაში და მათ თანმიმდევრულ (წრფივ) დალაგებას ერთმანეთის მიმართ გარკვეული ფიქსირებული რიგის სახით. დამწერლობის პარადიგმატიკა წარმოადგენს სტრუქტურას, რომელსაც მართავს სისტემაში გრაფიკული სიმბოლოების განსაზღვრული რიგით დალაგების წესები და მათი რეპრეზენტაცია კონკრეტულ წრფივ მიმდევრობაში. ყოველ დამწერლობას საკუთარი განსაკუთრებული პარადიგმატული სტრუქტურა ახასიათებს, ანუ იგი ელემენტთა სპეციფიკური რიგით, გრაფიკული სიმბოლოების საკუთარი განსაკუთრებული მიმდევრობით ხასიათდება.⁶

დამწერლობის სინტაგმატიკა გულისხმობს მიმართებებს დამწერლობის ელემენტებს (გრაფიკულ სიმბოლოებს) შორის, როცა

⁶ გრაფიკული სიმბოლოების ამგვარად დალაგებული რიგი, განსაზღვრული სისტემის პარადიგმატული სტრუქტურისა, შეიძლება მოტივირებული იყოს სხვადასხვა ფაქტორით, განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია სიმბოლოთა გრაფიკული მსგავსებისა და ამ ნიშნებით გამოხატულ ბგერათა ფონეტიკური სიახლოვის ფაქტორი. ძველი სემიტური სისტემის პარადიგმატიკას უმთავრესად სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს. ხშირად დერეფიციულ წერით სისტემაში, რომელიც, თავის მხრივ, ნასესხებია გარკვეული წერილობითი წყაროდან და შექმნილია ამ უკანასკნელის მოდელის მიხედვით, გრაფიკულ სიმბოლოთა პარადიგმატიკა (არამოტივირებული მოცემული სისტემის თვალსაზრისით) შეიძლება ასახავდეს პროტოტიპული სისტემის ნიშანთა რიგს (მაგალითად, ძველი ბერძნული სისტემის პარადიგმატიკა ძველ სემიტურთან შედარებით).

ისინი წარმოდგენილი არიან ტექსტში გარკვეული მიმდევრობის სახით ერთი სიტყვის საზღვრებში, სიტყვათა მიმდევრობაში თუ სინტაგმატური პლანის უფრო დიდ ერთეულებში.

პარადიგმატული და სინტაგმატური პლანის ექსპლიციტური გამოჯვანა, რაც ფ. დე სოსიურის ლინგვისტურ მოძღვრებაშია წარმოდგენილი, უნდა გახდეს აუცილებელი პრინციპი წერიითი სისტემების ანალიზისას დამწერლობის ზოგად თეორიაში ანუ გრამატოლოგიაში.

4. უძველესი ბერძნული როგორც ანბანური დამწერლობის ყველაზე ადრეული ნიმუში

თუ გვსურს გავარკვიოთ კლასიკური ბერძნულის წარმოდგენილი ანბანური დამწერლობის წარმომავლობა და, საზოგადოდ, ანბანური დამწერლობის ტიპოლოგია, უნდა გავაანალიზოთ ძველი სემიტური დამწერლობა.

ძველი სემიტური, ან უფრო ზუსტად, პროტო-სემიტური დამწერლობა, რომლისგანაც დამწერლობის სამი ძირითადი სახეობა — ფინიკიური, ქანაანური და არამეული — იღებს სათავეს, უნდა აღიწეროს როგორც კონსონანტურ-სილაბური წერიითი სისტემა (და არა როგორც საკუთრივ კონსონანტური). ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ძველი სემიტური დამწერლობა ერთდროულად დამწერლობის ორივე ტიპს განეკუთვნება: როგორც კონსონანტურს (პარადიგმატულად, ე.ი. სისტემის შიგნით), ისე სილაბურს (სინტაგმატურად, ე.ი. ტექსტში). ამგვარად, იგი ორმაგი ბუნების სისტემას წარმოდგენს და დამწერლობის ტიპოლოგიაში მას განიხილავენ როგორც გარდამავალ, დამაკავშირებელ საფეხურს მკაცრად სილაბურსა (როდესაც დამწერლობა სილაბურია როგორც პარადიგმატულად, ისე სინტაგმატურად, მაგალითად, ბერძნული Β ხაზოვანი დამწერლობა) და საკუთრივ ანბანურ წერიით სისტემებს შორის (კლასიკური ბერძნულის ტიპისა).

ბერძნული დამწერლობა

კვ. ფონეტიკური	ფონეტიკური მნიშვნელობა	ბერძნული ანბანური დამწერლობა													
		არაბული			ალფონსავლურ ბერძნული			დასავლურ-ბერძნული			კლასიკური				
		ბერძნული	ალფონსავლურ ბერძნული	დასავლურ-ბერძნული	კლასიკური	ბერძნული	ალფონსავლურ ბერძნული	დასავლურ-ბერძნული	კლასიკური	ბერძნული	ალფონსავლურ ბერძნული	დასავლურ-ბერძნული			
ა	1	ΑΑ	α	ΑΑ	ΑΑ	ΑΑ	α	ΑΑ	ΑΑ	ΑΑ	α	Α	α	1	Α
ბ	2	ΒΒ	β	ΒΒ	ΒΒ	ΒΒ	β	ΒΒ	Β	Β	β	Β	β	2	Β
გ	3	ΓΓ	γ	ΓΓ	Γ	Γ	Γ	Γ	Γ	Γ	γ	Γ	γ	3	Γ
დ	4	ΔΔ	δ	ΔΔ	Δ	Δ	Δ	Δ	Δ	Δ	δ	Δ	δ	4	Δ
ე	5	ΕΕ	ε	ΕΕ	ΕΕ	ΕΕ	ε	ΕΕ	Ε	Ε	ε	Ε	ε	5	Ε
ვ	6	Ϝϝ	Ϝ	Ϝϝ	Ϝϝ	Ϝϝ	Ϝ	Ϝ	Ϝ	Ϝ	Ϝ	Ϝ	Ϝ	6	Ϝ
ზ	7	ΖΖ	ζ	Ζ	Ζ	Ζ	ζ	Ζ	Ζ	Ζ	ζ	Ζ	ζ	7	Ζ
ჰ	8	ΗΘ	η, θ	ΗΘ	ΗΘ	Θ	η(θ)	Θ	Θ	Θ	η	Θ	η	8	Η
ი	9	ΙΘ	ι, θ	Θ	Θ	Θ	θ	Θ	Θ	Θ	ι	Θ	ι	9	Ι
კ	10	ΚΚ	κ	Κ	Κ	Κ	κ	Κ	Κ	Κ	κ	Κ	κ	10	Κ
ლ	20	ΛΛ	λ	Λ	Λ	Λ	λ	Λ	Λ	Λ	λ	Λ	λ	20	Λ
მ	30	ΜΜ	μ	Μ	Μ	Μ	μ	Μ	Μ	Μ	μ	Μ	μ	30	Μ
ნ	40	ΝΝ	ν	Ν	Ν	Ν	ν	Ν	Ν	Ν	ν	Ν	ν	40	Ν
ქ	50	ΞΞ	ξ	Ξ	Ξ	Ξ	ξ	Ξ	Ξ	Ξ	ξ	Ξ	ξ	50	Ξ
ყ	60	Ϟϟ	Ϟ	Ϟϟ	Ϟϟ	Ϟϟ	Ϟ	Ϟ	Ϟ	Ϟ	Ϟ	Ϟ	Ϟ	60	Ϟ
ო	70	Ο	ο	Ο	Ο	Ο	ο	Ο	Ο	Ο	ο	Ο	ο	70	Ο
პ	80	Π	π	Π	Π	Π	π	Π	Π	Π	π	Π	π	80	Π
რ	90	Ρ	ρ	Ρ	Ρ	Ρ	ρ	Ρ	Ρ	Ρ	ρ	Ρ	ρ	90	Ρ
ს	100	Σ	σ	Σ	(Ϛ)	Σ	σ	Σ	Σ	Σ	σ	Σ	σ	100	Σ
ტ	200	Τ	τ	Τ	Τ	Τ	τ	Τ	Τ	Τ	τ	Τ	τ	200	Τ
უ	300	Υ	υ	Υ	Υ	Υ	υ	Υ	Υ	Υ	υ	Υ	υ	300	Υ
ფ	400	Ϙϙ	Ϙ	Ϙϙ	Ϙϙ	Ϙϙ	Ϙ	Ϙ	Ϙ	Ϙ	Ϙ	Ϙ	Ϙ	400	Ϙ
ქ	500	Ϡϡ	Ϡ	Ϡϡ	Ϡϡ	Ϡϡ	Ϡ	Ϡ	Ϡ	Ϡ	Ϡ	Ϡ	Ϡ	500	Ϡ
ღ	600	Ϣϣ	Ϣ	Ϣϣ	Ϣϣ	Ϣϣ	Ϣ	Ϣ	Ϣ	Ϣ	Ϣ	Ϣ	Ϣ	600	Ϣ
ყ	700	Ϥϥ	Ϥ	Ϥϥ	Ϥϥ	Ϥϥ	Ϥ	Ϥ	Ϥ	Ϥ	Ϥ	Ϥ	Ϥ	700	Ϥ
შ	800	Ϧϧ	Ϧ	Ϧϧ	Ϧϧ	Ϧϧ	Ϧ	Ϧ	Ϧ	Ϧ	Ϧ	Ϧ	Ϧ	800	Ϧ

ძველი სემიტური კონსონანტურ-სილაბური დამწერლობა, რომელიც 22 გრაფიკული ნიშნისაგან შედგება, ხასიათდება გარკვეული პარადიგმატული სტრუქტურითა და გრაფიკულ სიმბოლოთა მკაცრად განსაზღვრული რიგით. სწორედ პარადიგმატიკაში ვლინდება ძველი სემიტური დამწერლობის კონსონანტური ბუნება, რასაც განსაზღვრავს ურთიერთცალსახა მყარი შესაბამისობა გრაფიკულ სიმბოლოებსა და ენის თანხმოვან ფონემებს შორის.

წერის სინტაგმატიკაში იგივე სიმბოლოები ასრულებენ სილაბური ნიშნების ფუნქციას და ახასიათებთ სტრუქტურა: თანხმოვანი პლუს რომელიმე ხმოვანი მოცემული ენისა (ან ხმოვნის არქონა), რაც დამოკიდებულია იმ სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურაზე ან სიტყვათა (მორფემათა) კომბინაციის იმ ტიპზე, რომელიც გრაფიკულ სიმბოლოთა კონკრეტული სინტაგმატური მიმდევრობით გამოიხატება. საკუთრივ სილაბური წერითი სისტემისაგან განსხვავებით, რომელშიაც გრაფიკული სიმბოლოები ხასიათდებიან სტრუქტურით: თანხმოვანი პლუს განსაზღვრული ხმოვანი, რაც ერთნაირად ვლინდება მოცემული სისტემის როგორც სინტაგმატიკაში, ისე პარადიგმატიკაში, კონსონანტურ-სილაბურ სისტემაში გრაფიკულ ნიშნებს ახასიათებთ სტრუქტურა: თანხმოვანი პლუს მოცემული ენის რომელიმე ხმოვანი (ან ხმოვნის არქონა) მხოლოდ სინტაგმატიკაში, ხოლო პარადიგმატიკაში გრაფიკული ნიშნის სტრუქტურა წარმოდგენილია ოდენ თანხმოვნით.

დამწერლობის ტიპოლოგიაში კონსონანტურ-სილაბური დამწერლობა განიხილება როგორც უფრო მეტად სრულყოფილი სისტემა სილაბურთან ან (კიდევ უფრო მეტად) სილაბურ-ლოგოგრაფიულ დამწერლობასთან შედარებით. პარადიგმატულად იგი უფრო ეკონომიურია, ადეკვატურად ასახავს ენის ფონეტიკურ მხარეს შედარებით ნაკლები რაოდენობის გრაფიკული ნიშნების მეშვეობით (მათი რიცხვი დაახლოებით შეესაბამება თანხმოვან ფონემათა რაოდენობას). გასაგებია, რომ კონსონანტურ-სილაბური დამწერ-

ლობის შექმნა ითვლება უდიდეს მიღწევად, რამდენადაც დამწერლობის განვითარებაში იგი წარმოადგენს ახალ საფეხურს, რომელიც გზას უკვალავს დამწერლობის თვისებრივად ახალ ტიპს, სახელდობრ, ანბანურ დამწერლობას. ამ უკანასკნელის უპირველეს ნიშნად გვევლინება კლასიკური ბერძნული დამწერლობა, რომელშიც ძველი სემიტურიდან გადმოღებული გრაფიკული სიმბოლოები (გრაფემები) გამოხატავდნენ ცალკეულ ბგერებს (თანხმოვნებსაც და ხმოვნებსაც) როგორც პარადიგმატიკაში, ისე სინტაგმატიკაში. არქაულ ბერძნულში ეს შესაძლებელი გახდა ზოგიერთი სემიტური კონსონანტური ნიშნის ვოკალურ ნიშნად გადაქცევის საფუძველზე, რითაც ფაქტობრივად შეიქმნა თვისებრივად ახალი წერითი სისტემა — ანბანი, საიდანაც სათავეს იღებს ყველა შემდგომი დღეისათვის ცნობილი ანბანური ტიპის დამწერლობა.

5. ქრისტიანული აღმოსავლეთის ანბანური დამწერლობანი

ანბანური წერითი სისტემის განსაკუთრებულ ტიპოლოგიურ კლასს შეადგენს ქრისტიანულ ანბანურ დამწერლობათა ერთი ჯგუფი, რომელიც აერთიანებს კობტურს, გოთურს, კლასიკურ სომხურს, ძველ ქართულსა და ძველ სლავურს. ყველა ამ დამწერლობისათვის კლასიკური ბერძნულის წერითმა სისტემამ შეასრულა მოდელის, პროტოტიპული დამწერლობის როლი.

კობტურ და გოთურ წერით სისტემებში, ისევე როგორც ძველ ქართულში, დაცულია კლასიკურ ბერძნულ პროტოტიპულ სისტემასთან პარადიგმატული დამოკიდებულების პრინციპი. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული სისტემები განსხვავებულია კლასიკური სომხურისაგან, სადაც ეს დამოკიდებულება გამიზნულად არის დარღვეული.

ბერძნული სისტემის პარადიგმატული რიგი მთლიანად აისახა ძველ ქართულ ანბანში, ისევე როგორც კობტურსა და გოთურში; ბერძნული პროტოტიპის ყველა — 27-ვე ასო ($9 \times 3 = 27$), თი-

თოეული თავისი ფონეტიკური და რიცხვითი მნიშვნელობებით, იმავე თანმიმდევრობით იქნა გადმოტანილი აღნიშნულ ანბანურ დამწერლობებში, შესაბამისი ფონეტიკური და რიცხვითი მნიშვნელობებით. ბერძნული „ეპისემონები“ იმავე ფუნქციით გარდაისახა (ანუ როგორც მხოლოდ გარკვეული რიცხვითი მნიშვნელობის მქონე სიმბოლოები; შდრ. კოპტური ასოები „6“-ისა და „900“-ის მნიშვნელობებით, ასევე, გოთური ასოები „90“-ისა და „900“-ის რიცხვითი მნიშვნელობებით), ან ახალ სისტემაში მათ მიიღეს მოცემული სისტემისათვის სპეციფიკური ფონეტიკური მნიშვნელობანი.

მოდელად აღებული საწყისი წერითი სისტემის პარადიგმატიკის შენარჩუნებას განაპირობებს პროტოტიპული სისტემის ყოველი გრაფიკული სიმბოლოს შესაბამისად გადმოტანა თუ „ფონეტიკური ჩანაცვლება“ ახლად შექმნილი დამწერლობის ასოთა რიგის სათანადო ადგილებში. ამ გზით პროტოტიპული სისტემის პარადიგმატიკა სრულად გარდაისახება ახლად შექმნილი დამწერლობის ასოთა რიგზე.

გოთურში ბერძნული პროტოტიპული სისტემის პარადიგმატიკის ამგვარი გარდასახვა განხორციელდა ისე, რომ არ შექმნილა საჭიროება დაემატებინათ სპეციფიკური ფონეტიკური მნიშვნელობის მქონე ასო-ნიშნები. ამგვარი სპეციფიკური ფონეტიკური მნიშვნელობები მთლიანად განთავსდა ბერძნული პროტოტიპის პარადიგმატიკაში გარკვეული ფონეტიკური ჩანაცვლებების შედეგად. ამიტომაც არის, რომ გოთური ანბანი იმავე რაოდენობის ($9 \times 3 = 27$) გრაფიკულ სიმბოლოს შეიცავს, რასაც ბერძნული პროტოტიპი. რაც შეეხება რიცხვით მნიშვნელობებს, პირველი ცხრა სიმბოლო ამ ანბანური მიმდევრობიდან აღნიშნავს ერთეულებს, შემდეგი ცხრა — ათეულებს, ხოლო ანბანური რიგის ბოლო ცხრა სიმბოლო — ასეულებს.

გოთურსა და ძველ ქართულში მას შემდეგ, რაც ძველი ბერძნული პროტოტიპული სისტემის პარადიგმატიკის მთლიანი გარდასახვა მოხდა ახლად შექმნილი სისტემის ასოთა რიგზე (ზოგან ფონე-

ტიკური ჩანაცვლებებით), დარჩა გარკვეული რაოდენობის სპეციფიკური ბგერითი ერთეული გრაფიკული გამოსატყულების გარეშე. ამ „სპეციფიკური“ ბგერების აღმნიშვნელი გრაფიკული სიმბოლოები დაემატა ასოთა რიგის „ძირითად“ ნაწილს, ერთგვარად შეავსო იგი და მასში ამგვარად აისახა საწყისი პროტოტიპული სისტემის პარადიგმატიკა. თუკი პროტოტიპული სისტემა $9 \times 3 = 27$ გრაფიკულ სიმბოლოს აერთიანებდა, დამატებითი ასო-ნიშნებით შესაძლებელი გახდა ძველ ქართულ ანბანში გამოქნათათ „ათასეულებიც“.

კლასიკური სომხური ანბანი ეფუძნება რადიკალურად განსხვავებულ პარადიგმატულ პრინციპს, რომელიც ტიპოლოგიურად უპირისპირდება კოპტურის, გოთურისა და ძველი ქართულის წერით სისტემებს. კლასიკური სომხურისათვის ანბანთრიგის შექმნის პროცესში ყველა „ეპისემონი“ (ე.ი. ბერძნული ასოები მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობით) თავიდანვე ამოიღეს ბერძნული პროტოტიპული სისტემიდან და ასევე ამოიღეს იმ სპეციფიკური ბერძნული ბგერების აღმნიშვნელი გრაფიკული სიმბოლოები, რომლებიც არ ახასიათებდა სომხურს. როგორც ჩანს, კლასიკური სომხურისათვის ანბანის შექმნის პროცესში ბერძნულის სპეციფიკურ ფონეტიკურ მნიშვნელობებს არ ჩანაცვლებია საკუთრივ სომხური ბგერები (როგორც ეს ხდებოდა კოპტური, გოთური და ძველი ქართული დამწერლობების შექმნისას); ამის სანაცვლოდ ბერძნული ანბანი შექმნილიყო და მისგან მივიღეთ ანბანთრიგი, რომელიც შეიცავდა მხოლოდ სომხური ბგერების კორელატებს და რომლებიც გრაფიკულად თავისებური ნიშნებით გამოიხატებოდა. ამგვარად მიღებული ბერძნული პარადიგმატული რიგი (ე.ი. ბერძნული პროტოტიპული სისტემიდან მიღებული სომხურისათვის უცხო ფონეტიკური მნიშვნელობების ამოგდება) წარმოადგენდა ფონეტიკური მნიშვნელობების იმ საწყის ბირთვს, რომელსაც დაეყრდნო კლასიკური სომხური ანბანი და როგორც მთლიანი სისტემა იგი ჩამოყალიბდა აღნიშნულ ბირთვზე სომხურისათვის სპეციფიკური ბგერითი ერ-

თეულების დამატებით, რომლებიც სპეციალური გრაფიკული სიმბოლოებით გამოიხატებოდა.

აღსანიშნავია, რომ სპეციფიკური სომხური მნიშვნელობები არ აგრძელებდა უწყვეტად ანბანთრიგის „ძირითად“ ნაწილს, რომელიც ნაწილობრივ მაინც ასახავდა ბერძნულ პარადიგმატიკას, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის შემჭიდროებულ სახესხვაობას წარმოადგენდა. სომხურ ანბანში „დამატებითი“ ნაწილის სიმბოლოები გაფანტულია „ძირითადი“ ნაწილის სიმბოლოებს შორის, რის შედეგადაც დარღვეულია ბერძნული პროტოტიპით მოტივირებული საწყისი პარადიგმატიკა და, შესაბამისად, ამოსავალი ბერძნული მოდელისათვის დამახასიათებელი რიცხვითი მნიშვნელობების სისტემაც მოშლილია.

ახლად შექმნილ წერით სისტემაში პროტოტიპული დამწერლობის რიცხვითი მნიშვნელობების შენარჩუნების პრინციპი, რომელიც მკაცრადაა დაცული კოპტურ, გოთურ და ძველ ქართულ დამწერლობებში, მთლიანად უარყოფილია კლასიკური სომხური ანბანის შემქმნელის მიერ, რომელიც ბერძნულ დამწერლობას მხოლოდ იმისათვის იყენებს, რომ შესაბამისობის გზით მოახდინოს ზოგიერთი სომხური ბგერითი ერთეულის იდენტიფიკაცია. სწორედ ამით უნდა იყოს განპირობებული ის ფაქტიც, რომ კლასიკური სომხური ანბანის შემქმნელი, რომლისთვისაც მოდელს ბერძნული დამწერლობა წარმოადგენდა, არ ითვალისწინებდა ბერძნული-სათვის სპეციფიკური ბგერების გამომხატველ, მაგრამ სომხური ბგერითი სისტემის თვალსაზრისით ჭარბ გრაფიკულ სიმბოლოებს; ასევე არ იყო გათვალისწინებული ეპისემონები — ნიშნები, რომლებიც მოკლებულია რაიმე ფონეტიკურ მნიშვნელობას. ამის გამო, რომ ბერძნული ანბანის ბირთვს, რომელსაც კლასიკური სომხური სისტემა ეყრდნობა, შეადგენს სიმბოლოთა მიმდევრობა Α ἄλφα-დან (სომხ. *აყბ*) Χ χι-მდე (სომხ. *ჩ^ჰ ჭ*), საიდანაც გამორიცხულია ასოები სპეციფიკური ბერძნული მნიშვნელობებით. კლასიკური სომხური ანბანის ამ სპეციფიკურ ასოებს შორისაა

განთავსებული — „ძირითადი“ ნაწილის გრაფემების ალტერნატივების გამოყენებით რამდენიმე გასხვავებულ ადგილას — ყველა დამატებითი სიმბოლო, რაც მთლიანობაში ქმნის კლასიკური პროტოტიპული ბერძნული სისტემისაგან განსხვავებულ სრულიად ახალ პარადიგმატიკას კლასიკურ სომხურ დამწერლობაში. ამის გამო მთლიანად დაირღვა შესაბამისობა პროტოტიპულ ბერძნულ და კლასიკურ სომხურ დამწერლობებს შორის ურთიერთშესაბამისი გრაფიკული სიმბოლოების მიერ რიცხვითი მნიშვნელობების გამოხატვის თვალსაზრისით. ამგვარად, კლასიკური სომხური დამწერლობა რადიკალურად განსხვავებულია კოპტური, გოთური და ძველი ქართული წერითი სისტემებისაგან, რომლებიც, ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით, ერთ ტიპოლოგიურ კლასში ერთიანდებიან.

ბერძნულ დამწერლობაზე დაფუძნებულ ქრისტიანული პერიოდის ანბანებს შორის, ისტორიული ურთიერთმიმართებების თვალსაზრისით, უნდა განვიხილოთ ძველი სლავური დამწერლობები — კირილიცა და გლაგოლიცა, რომლებიც ძველი წერითი სისტემების აღნიშნულ ტიპოლოგიურ კლასს განეკუთვნებიან. ძველი სლავური გლაგოლიცა აშკარად ეფუძნება პარადიგმატული დამოკიდებულების იმავე პრინციპს ახლად შექმნილ დამწერლობასა და ბერძნულ პროტოტიპულ სისტემას შორის, რომელიც დაცულია კოპტურ, გოთურ და ძველ ქართულ ანბანებში.

ძველი ქართული დამწერლობა და ძველი სლავური გლაგოლიცა, გარდა მსგავსებისა პარადიგმატულ სტრუქტურაში, სხვა საერთო პრინციპითაც ხასიათდებიან, კერძოდ, გრაფიკული სიმბოლოების მოხაზულობა ამ ახლად შექმნილ დამწერლობებში დაშორებულია პროტოტიპული სისტემისათვის დამახასიათებელი მოხაზულობისაგან. როგორც ჩანს, ეს პრინციპი იმ მიზნით გატარდა, რომ ახლად შექმნილი სისტემებისათვის დამახასიათებელი ყოფილიყო ყველა თვისება „დამოუკიდებელი ეროვნული დამწერლობისა“ და საერთოდ გამორიცხულიყო გარეგანი მსგავსება მათ თანადროულ რომელიმე სხვა სისტემასთან.

კლასიკური სომხური დამწერლობა (გრაფიკულად აბსოლუტურად განსხვავებული ბერძნული პროტოტიპისაგან), რომლის შექმნედად მესროპ მაშტოცი გვევლინება, აღნიშნულ პრინციპს დიდი სიმკაცრით იცავს. კლასიკური სომხური დამწერლობის შექმნისას მესროპ მაშტოცი მთლიანად ემყარებოდა ბერძნულ წერით სისტემას, თუმცა მან ტოტალურად შეცვალა პროტოტიპული სისტემის გრაფიკა და ახლად ჩამოყალიბებულ დამწერლობაში შესაბამისი ნიშნების მოხაზულობა სრულიად განსხვავებული ტექნიკით შექმნა. ამ გზით თითქოს მოიშალა ყოველგვარი გარეგანი მსგავსება ბერძნულ პროტოტიპთან და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი და ორიგინალური ახალი დამწერლობა.

ძველი ქართული ანბანის შექმნელიც გამიზნულად, იმავე განზრახვით, ცვლის ბერძნულ პროტოტიპულ სისტემას, თუმცა ეს არაა ბერძნული გრაფიკის ტოტალური ცვლილება: ახალი სისტემის ავტორი ახდენს პროტოტიპული სისტემის ამა თუ იმ ნიშნის არქაიზაციას, ან ზოგჯერ — გარკვეულ გრაფიკულ მოდიფიკაციას. ამ გზით ძველი ქართული ანბანის ავტორი აღწევს სასურველ შედეგს — ქმნის ორიგინალურ ეროვნულ დამწერლობას, სწორედ ისევე, როგორც მაშტოცმა ბერძნული პროტოტიპული მოხაზულობის მთლიანად შეცვლით შექმნა ორიგინალური კლასიკური სომხური ეროვნული დამწერლობა.

აღმოსავლეთ ქრისტიანულ კულტურულ სამყაროში ამგვარმა ტენდენციებმა, რომლებიც ნაკარნახევი იყო როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური თვალსაზრისით, შედეგად გამოიღო რამდენიმე გარეგნულად განსხვავებული წერითი სისტემის შექმნა, რომლებიც ბერძნულ დამწერლობას ეფუძნებოდნენ და, ამავე დროს, თავიანთი გრაფიკული მოხაზულობით ბერძნული პროტოტიპული სისტემისაგან დამოუკიდებლობას ავლენდნენ.

ამ თვალსაზრისით, ძველი ქართული დამწერლობა, კლასიკური სომხური და ძველი სლავური გლაგოლიცა ერთ ტიპოლოგიურ

კლასში ერთიანდებიან, კოპტური და გოთური დამწერლობების საპირისპიროდ, ასევე, საპირისპიროდ კირილიცასი, რომელთა გრაფიკული გამოხატულება მათი თანადროული ბერძნული დამწერლობის მოხაზულობის ამსახველია.

აღსანიშნავია, რომ, ამავდროულად, ძველი ქართული დამწერლობა (ისევე როგორც ძველი სლავური გლაგოლიცა) მთლიანად განსხვავდება კლასიკური სომხური ანბანისაგან დამწერლობის შინაგანი, პარადიგმატული სტრუქტურით. ბერძნულ პროტოტიპულ სისტემასთან პარადიგმატული დამოკიდებულების თვალსაზრისით, ძველი ქართული დამწერლობა (ისევე როგორც ძველი სლავური გლაგოლიცა) ტიპოლოგიურად ერთიანდება ქრისტიანული დამწერლობის ისეთ უძველეს ნიმუშებთან, როგორიცაა კოპტური და გოთური წერითი სისტემები.

6. ანბანური სისტემა — საბოლოო საფეხური დამწერლობის განვითარებაში?

ბევრ ორიგინალურ ანბანურ სისტემაში, რომლებიც ენის ფონეტიკური მხარის ადეკვატურად გამოხატვის მიზნით შეიქმნა, სიტყვათა დაწერილობა უკვე აღარ ასახავს სრულად მათ რეალურ წარმოთქმას, რაც მეტ-ნაკლებად უკავშირდება ფონეტიკური სისტემის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციებს. ენაში ბგერითი სინტაგმატიკა შეიძლება დაშორდეს გრაფიკულ სინტაგმატიკას, რომელიც ასახავს შესაბამისი სიტყვების ფონეტიკურ იერ-სახეს ანბანური წერითი სისტემის შექმნის პერიოდში, მისი განვითარების ადრეულ საფეხურზე, როცა ფონეტიკური იერ-სახე სიტყვებისა ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო მათ დაწერილობაში.

ამგვარ გვიანდელ ანბანურ სისტემებში ცალკეული სიტყვის გრაფიკული სტრუქტურა მისი ფონეტიკური მხარის გამომხატველ ერთგვარ პირობით ნიშანს წარმოადგენს. ამ სისტემებში ცალკეული გრაფიკული სიმბოლო სინტაგმატიკაში შეიძლება შეგ-

ქართული ანბანის პარაფიზიკა
სამიტერთან და ბერძნულთან შედარებით

სამიტერთან			ბერძნული			ქართული		
ⴌ	ა	1	Α	α	1	Ⴀ	ა	1
ⴍ	ბ	2	Β	β	2	Ⴁ	ბ	2
ⴎ	გ	3	Γ	γ	3	Ⴂ	გ	3
ⴏ	დ	4	Δ	δ	4	Ⴃ	დ	4
ⴐ	ე	5	Ε	ε	5	Ⴄ	ე	5
ⴑ	ვ	6	Ϛ	-	6	Ⴅ	ვ	6
ⴒ	ზ	7	Ζ	ζ	7	Ⴆ	ზ	7
ⴓ	ჩ	8	Η	η (ε j)	8	Ⴇ	ს e, e j	8
ⴔ	ც	9	Θ	θ	9	Ⴈ	თ	9
ⴕ	ძ	10	Ι	ι	10	Ⴉ	ი	10
ⴖ	ჭ	20	Κ	κ	20	Ⴊ	კ	20
ⴗ	ლ	30	Λ	λ	30	Ⴋ	ლ	30
ⴘ	მ	40	Μ	μ	40	Ⴌ	მ	40
ⴙ	ნ	50	Ν	ν	50	Ⴍ	ნ	50
ⴚ	ო	60	Ξ	ξ	60	Ⴎ	ჯ	60
ⴛ	რ	70	Ο	ο	70	Ⴏ	ო	70
ⴜ	პ	80	Π	π	80	Ⴐ	პ	80
ⴝ	ჟ	90	Ϙ	-	90	Ⴑ	ჭ	90
ⴞ	ყ	100	Ρ	ρ	100	Ⴒ	რ	100
ⴟ	რ	200	Σ	σ	200	Ⴓ	ს	200
ⴠ	შ	300	Τ	τ	300	Ⴔ	წ	300
ⴡ	ჩ	400	Υ	υ, ω	400	Ⴕ	ვ i, (i), ω	400
			Φ	φ	500	Ⴖ	უ	500
			Χ	χ	600	Ⴗ	პ	500
			Ψ	ψ	700	Ⴘ	ჭ	600
			Ω	ω	800	Ⴙ	დ	700
			Ϸ	-	900	Ⴚ	ყ	800
						Ⴛ	შ	900

ვხვდეს არა როგორც რომელიმე ბგერის ან ფონემის აღმნიშვნელი, არამედ როგორც მთელი სიტყვის ფონეტიკური ასპექტის გამოხატველი გარკვეული სინტაგმატური აგრეგატის გრაფიკული ელემენტი (შდრ., მაგალითად, ცალკეულ სიტყვათა დაწერილობანი თანამედროვე ინგლისურსა და ფრანგულში).

ენის ფონეტიკური ასპექტის განვითარებასა და დამწერლობის ძველ სინტაგმატიკას შორის ამგვარი შეუსაბამობის ლოგიკური შედეგი შეიძლება გახდეს ანბანური წარმოშობის დამწერლობის შეცვლა კვაზი-ლოგოგრაფიული სისტემით, სადაც ცალკეული ასო ან ასოთა გარკვეული სინტაგმატური ჯგუფი გამოხატავს მთელ სიტყვას (ასოების ფონეტიკურ მნიშვნელობასა და მოცემული სიტყვის შემადგენელ ბგერებს შორის სრული შეუსაბამობის პირობებში). ამ შემთხვევაში დამწერლობაში ირღვევა ყველა ადრე არსებული კავშირი ენის ფონეტიკურ მხარესთან და იგი იქცევა ენისაგან დამოუკიდებელ სისტემად, რომელიც გარკვეული რაოდენობის გრაფიკულ სიმბოლოებს შეიცავს და ხასიათდება ძველი ფონეტიკური სინტაგმატიკის ამსახველი სპეციალური წესებით. დამწერლობის „ავტონომიურ“ ბუნებაზე მხოლოდ ამ აზრით შეიძლება ლაპარაკი.

ქართული დამწერლობა გადაურჩა ანბანური სისტემიდან დაშორების ამ პროცესს ქართული ფონეტიკის განსაკუთრებული კონსერვაციის ფაქტის წყალობით, რომელმაც სინტაგმატური ფონეტიკური ფორმები, შეიძლება ითქვას, ხელშეუხებლად შემოგვინახა წერილობით დაფიქსირებული თითქმის 1500-წლიანი ისტორიის მანძილზე.





კველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან*
**(აფხაზ- ~ აბაზგ- და აბაზა ~ აფსუა ეთნონიმთა ისტორიულ-
 ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის)**

ნოგორც ცნობილია, ახ. წ. I—II საუკუნეებიდან ანტიკურ წყაროებში დასავლეთ საქართველოს სანაპიროზე ერთმანეთის მკვობლად მოიხსენებიან **აფსილები** (ბერძნ. Ἀψίλαι) და **აბაზგები** (ბერძნ. Ἀβασγοί) და ქვეყნები **აფსილია** (ბერძნ. Ἀψιλία) და **აბაზგია** (ბერძნ. Ἀβασγία)¹.

ბერძნული წყაროების **აფსილია** და **აბაზგია** სახელებს ქართულ შუასაუკუნოვან წყაროებში („**ქართლის ცხოვრება**“) აფშილეთი და **აფხაზეთი** შეესატყვისება.²

* იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის «მაცნე». ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1991, №2, გვ. 7—16; «Вопросы Языкознания», 1991, 89-95; «Georgica», 15 (1992), 82-89.

¹ ფლავიუს არიანესთან ვკითხულობთ აფსილების მკვობლად აბასკები არიან (იხ. ფლავიუს არიანე, *მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო*. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაყმაძისა, თბილისი. 1961, გვ. 43). ახ. წ. V საუკუნის ანონიმი ავტორის *მოგზაურობის ტექსტის პარალელურ პასაჟში* სახელი Ἀβασκοί „აბასკები“ Ἀβασγοί „აბაზგები“ ფორმით არის გადმოცემული, რაც აღნიშნული ეთნონიმის უფრო გავრცელებული ვარიანტია. **აფსილები** პონტოს ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ტომია **ლაზების** ზემოთ, **აფსილების** მკვობელი **აბაზგები** ზღვას დაშორებულნი არიან და ქვეყნის სიღრმეში ცხოვრობენ (შდრ. ნათელა კეჭაყმაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 90, 100, 104).

² აფშილეთი და აფხაზეთი მოხსენიებულია *ჯუანშერთან* VIII ს. 30-იან წლებში მურვან ერუს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობასთან დაკავშირებით (იხ. **ქართლის ცხოვრება**. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვაუხნიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 235; შდრ. მარიამ ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბილისი, 1990, გვ. 8-9).

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია მწვავედ დგას საკითხი საისტორიო წყაროებში ამ ეთნონიმებით აღნიშნული ხალხების ეთნიკური ვინაობის შესახებ.

მკვლევართა ნაწილი მათ ქართველურ ტომებად მიიჩნევს, სხვები ამ სახელებით აღნიშნულ ტომებს აფხაზურ-ადიღური წარმომავლობისად თვლიან³.

ჩვენ ამჟამად ამ ეთნონიმთა მხოლოდ წარმომავლობასა და ეტიმოლოგიურ კავშირებს შევხებით.

რამდენადაც **აფსილები** და **აბაზგები** ანტიკურ წყაროებში ერთმანეთის გვერდიგვერდ იხსენიებიან, ისინი, ბუნებრივია, განსხვავებულ ეთნო-ენობრივ ერთეულებს უნდა წარმოადგენდნენ. ეთნონიმი **აფსილები** და **აფსილია** (ქართ. **აფშილეთი**) შესაძლოა ჩვენ თანამედროვე აფხაზთა თვითსახელ **აფსუა**-ს დაუკავშიროთ და ისინი ისტორიულად გაავიგოთ⁴.

მაგრამ როგორია ასეთ შემთხვევაში ამისაგან განსხვავებული, ბერძნულში დადასტურებული ეთნონიმ **აბაზგებისა** და ტოპონიმ **აბაზგაის** მნიშვნელობა, რომელთაც შუა საუკუნეების ქართული **აფხაზები** და **აფხაზეთი** შეესატყვისება?

თუ ჩვენ ეთნონიმ **აფსილ-/აფშილებში** თანამედროვე **აფსუა-აფხაზთა** წინაპრებს ან მათ ახლო მონათესავე ტომებს ვიგულისხმებთ, ამასვე

³ შტრ. პავლე ინგოროვჟა, **გიორგი მერჩულე**, თბილისი, 1954; Г. А. Меликишвили, Население Юго-Восточного Причерноморья в III-I вв. до н.э. («Очерки Истории Грузии», I, თბილისი, 1989); З.В. Анчабадзе, Очерки этнической истории абхазского народа, სოხუმი, 1976; III.Д. Инал-Ипа, Вопросы этно-культурной истории абхазов, სოხუმი, 1976 და სხვ. საკითხის ისტორიისათვის იხ. მ. ინაძე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისათვის (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „შობაბე“, 1960, №2, გვ. 145-163).

⁴ ფორმა **აფსილ-** შეიძლება განვიხილოთ როგორც **აფს-** ძირისაგან **-ილ-** (ქართველური?) სუფიქსით ნაწარმოები სახელი; ძვ. ქართული შიშინა **აფშილ-** ვარიანტი, საპირისპიროდ ბერძნულში დადასტურებული სისინა **აფსილ-** ფორმისა, ადვილად აიხსნება ამოსავალ ***აფს-** ძირში სპირანტული ფონემის სისინა და სისინ-შიშინა სახეობათა დიალექტური მონაცვლეობით, რაც თანამედროვე აფხაზური დიალექტებისათვისაც არის დამახასიათებელი.

ვერ ვიტყვით ბერძნულ-ქართული წყაროების **აბაზგ-აფხაზებზე**, რომლებიც, ამდენად, **აფსუა/აფშილებსაგან** განსხვავებულ ეთნობრივ ოდენობას უნდა წარმოადგენდნენ⁵.

მაშასადამე, ბერძნულ-ქართულ საისტორიო წყაროებში დადასტურებული ეთნონიმი **აბაზგ-/აფხაზ-** თავდაპირველად აღნიშნავდა არა შემდეგდროინდელ **აფსუა-აფხაზს**, რომელიც ისტორიულად და ეტიმოლოგიურად უფრო ამავე წყაროებში დადასტურებულ **აფსილ-/აფშილ-** ტომს უკავშირდება, არამედ რაღაც განსხვავებული ეთნოსის წარმომადგენლებს. ეს დასტურდება თვით **აბაზგ-/აფხაზ-** ეთნონიმის ეტიმოლოგიური ანალიზით.

რამდენადაც ქართული **აფხაზ-** ფორმა გვიანდელია ტექსტში დადასტურების თვალსაზრისით ბერძნულ **Ἀβασγ-/აბაზგ-** ფორმასთან შედარებით, იგარაუდებოდა, რომ ქართული **აფხაზ-** ფორმა ბერძნული **აბაზგ-** ან მსგავსი ფორმისაგან მომდინარეობს სათანადო ფონეტიკური გარდაქმნების შედეგად. თვით ამ ბერძნულ **Ἀβασγ-** ფორმაში მსგავსებას ხედავდნენ თანამედროვე აფხაზების ახლომონათესავე, კავკასიონის ჩრდილოეთით მცხოვრები **აბაზების** აღმნიშვნელ **Abaza** ეთნონიმთან, რომელიც **აფხაზ-აბაზების** კრებით სახელს წარმოადგენს.

ყოველივე ეს თითქოს ბერძნულში დადასტურებული **აბაზგ/Ἀβασγ-** ფორმის წარმოშობით აფხაზურ-ადილურ ხასიათს ადას-

⁵ ამავე **აფს-** ძირის შემცველი და ამდენად თანამედროვე **აფს-უა-**სთან ისტორიულად დაკავშირებული უნდა იყოს აგრეთვე **აფსაროს** (ბერძნ. Ἀψαρως) სახელი, რომელიც ქალაქს, ციხესიმაგრეს აღნიშნავს მდინარე *ფაზისის* სამხრეთ-დასავლეთით. დამახასიათებელია ამ თვალსაზრისით ჟამთააღმწერლის ცნობა *ქართლის ცხოვრებიდან*: „ლაშა გიორგი, რომელი ითარგმანების აფსართა ენითა ქუყენის მანათობელად“ (მდრ. აფხაზ. **ა-ლაშა-რა** — სინათლე, ნათელი). ეს მინაწერი — *აფსართა ენითა* — წარმოდგენილია XVIII ს. ნუსხებში, რაც უნდა მოწმობდეს ჯერ კიდევ იმ დროისათვის ქართულენოვან სამყაროში **აფსარ-** სახელის ხმარებას თანამედროვე **აფსუა-აფხაზების** აღსანიშნავად (მდრ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29-30).

ტურებდა⁶. აქედან გამოიყვანებოდა თვით ქართულში არსებული **აფხაზ-** ფორმის *აბაზურ-ადიღური* წარმომავლობა და ხასიათი.

მაგრამ არსაიდან ჩანს **აბაზა** და ბერძნ. ᾿Αβασυ- ეთნონიმთა ეტიმოლოგიური კავშირი; ისინი ისტორიულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფორმებს უნდა წარმოადგენდნენ. ამათგან ბერძნ. ᾿Αβασυ- ფორმა ქართულში დადასტურებული **აფხაზ-** ეთნონიმის ისტორიული ეკვივალენტია⁷, ხოლო **აბაზა** სახელი სულ სხვა შინაარსს გამოხატავს და ჩრდილო-კავკასიურ, ჩერქეზულ-ადიღურ ენობრივ სამყაროს განეკუთვნება.

ამასთანავე, როგორ უნდა გვესმოდეს თვით ქართ. **აფხაზ-** და ბერძნ. ᾿Αβασυ- ფორმათა ისტორიული ურთიერთობა?

ისტორიულ-ეტიმოლოგიური პირველადობის თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ფორმათა დადასტურების ქრონოლოგიას. ამ მხრივ ბერძნ. ᾿Αβασυ- ფორმა ვერ ჩაითვლება ქართ. **აფხაზ-** ფორმის წყაროდ, ვინაიდან გაუგებარი იქნებოდა ასეთ შემთხვევაში ბერძნულში დადასტურებული ᾿Αβασუ- ფორმის ქართულ **აფხაზ-** ფორმად გარდაქმნა, ე. ი. არავითარი საფუძველი არა გვაქვს, არც ფორმალური და არც შინაარსობრივი, ვიფიქროთ, რომ იმ ეთნოსის სახელწოდება, რომელსაც ბერძნები ᾿Αβასუ-ებს უწოდებდნენ, ქართულში (და რიგ აღმოსავლურ ენებში — არაბულში, სპარსულში, სომხურში) გარდაიქმნებოდა **აფხაზ-** ფორმ-

⁶ ბერძნულში დადასტურებული ᾿Αβასუ- ფორმა *Abaza*-სთან მსგავსების საფუძველზე იშლებოდა **Abaz-g-* ელემენტებად, სადაც *-g- Abaz-* ფუძეზე დართულ *-x-* წარმომავლობის სუფიქსად განიხილებოდა: **Abaz-g-* → **Abaz-x-* (მდრ. მ. ინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 157).

ასეთი თვალსაზრისი ბერძნულში დადასტურებული ფორმის აღნაგობის შესახებ ჯერ კიდევ ნ. მარისაგან მომდინარეობს (იხ. Н. Я. Марр, История термина «абхазь»: «Известия Императорской Академии Наук», 1912, VI, стр. 697-706). მაგრამ ᾿Αβასუ- ფორმის ამგვარი დაშლისა და ანალიზისათვის არავითარი ობიექტური საფუძველი არ არსებობს.

⁷ ბერძნული ᾿Αβასუ- ეთნონიმის ეკვივალენტად შუასაუკუნიდან აღმოსავლურ წყაროებში (არაბული, სპარსული, სომხური) შესატყვისი ქართული **აფხაზ-** ეთნონიმის მსგავსი **აბზზ-აფხზზ-აფხაზ** ფორმები დასტურდება (იხ. Dzh. Giunashvili, ABKAZ: "Encyclopaedia Iranica", v. I, fasc. 2, გვ. 222—224).

ის სახით, ვინაიდან ქართულში და სხვა აღმოსავლურ ენებში შესაძლებელი იყო ფონეტიკურად ამ ეთნოსის სახელწოდება ასახულიყო ისევე, როგორც ეს ბერძნულში მოხდა, ე.ი. *Abazg-/ [Abazγ-]* ან მსგავსი ფორმის საშუალებით⁸.

სულ სხვა ვითარება იქმნება იმ შემთხვევაში, თუ დაუშვებთ ქართულში (და სხვა აღმოსავლურ ენებში) დადასტურებული ფორმის ისტორიულ პირველადობას ბერძნულ ფორმასთან შედარებით. ბერძნული *Ἀβασγ-/აბაზგ-* მომდინარეობს ქართულში (და რიგ აღმოსავლურ ენებში) დადასტურებული *აფხაზ-/აბხაზ* ფორმისაგან, მის ფონეტიკურ სახეცვლილებას წარმოადგენს: *აფხაზ-||აბხაზ* — ბერძნ. *Ἀβασγ-* (*აბაზგ-||აბაზღ-*).

მართლაც, ბერძნულისათვის უცხოა *-ფხ-/-ბხ-* თანხმოვანთკომპლექსი, და იგი შენაცვლებულია ამ ენისათვის დასაშვები ბოლოკიდური *-ზგ-/ზღ-* მიმდევრობით ამოსავალ *აფხაზ-/აბხაზ* ეთნონიმში *-ხ-* თანხმოვნის ბოლოში გადასმით და მთელი სიტყვის ბუნებრივი გამჟღერებით: *apxaz-||abxāz-* → ბერძნ. *abazg-||abazγ-* (გრაფიკულად *Ἀβασγ-*)⁹.

როდესაც ბერძნები ეცნობოდნენ ძველ კოლხეთში მოხინაღრე ტომებსა და მათ თვითსახელებს, ისინი გარდაქმნიდნენ ამ სახე-

⁸ ვერც *ბარტყ-ობდარტ-* ტიპის მონაცვლეობის შედეგად მიღებულად მივიჩნევთ ქართ. *აფხაზ-* ფორმას ბერძნულში დადასტურებული *Ἀβασγ-* ფორმისაგან, რამდენადაც აღნიშნული მონაცვლეობის შემთხვევაში საქმე გვაქვს ჰარმონიულ კომპლექსთა ერთმანეთთან მონაცვლეობასთან თანამედროვე ქართულში, რასაც ვერ ვივარაუდებთ *-ზგ-/ზღ-* კომპლექსთან დაკავშირებით *Ἀβασγ-აფხაზ-* ფორმათა შეპირისპირებისას (ჰარმონიულ კომპლექსთა აღნიშნული მონაცვლეობისათვის თანამედროვე ქართულ დიალექტებში იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. *საერთო ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია*, თბილისი, 1965, გვ. 304).

⁹ ამ ეთნონიმის „გაბერძნულების“ პროცესი კიდევ უფრო შორს არის წასული *Abask-* ფორმაში (ბერძნ. *Ἀβασκιον* — *ფლავიუს არიანესთან*), სადაც ჩნდება ბერძნულისათვის მეტად ბუნებრივი *-sk-* კომპლექსი ნაცვლად ნაკლებად გავრცელებული *-sg-/zg-/zγ* კომპლექსისა, რომელიც *Ἀβασγ* ფორმაში არის წარმოდგენილი (*-sg-/zg-* კომპლექსისათვის ბერძნულში შდრ. ისეთი ფორმები, როგორცაა *δυσγῆσις*, *ἰσγῆσις* და სხვ.).

ლებს მათი ენისათვის ბუნებრივი გზით, რის შედეგადაც ამგვარ თვითსახელწოდებათა ახალი, ბერძნულისათვის ბუნებრივი ვარიანტები წარმოიქმნებოდა.

კერძოდ, ძველ კოლხეთში მობინადრე ერთ-ერთი ტომის თვითსახელი **აფხაზ-/აზხაზ-** ბუნებრივად გარდაიქმნა ბერძენთა მეტყველებაში **Abazg-/Abazy-** ფორმად, ბერძნული ფონეტიკური ნორმების შესაბამისად.¹⁰

ამ თვალსაზრისის სამართლიანობას მოწმობს განსაკუთრებით ის გარემოებაც, რომ არც ერთ შუასაუკუნოვან ტრადიციაში **აფხაზ-** ეთნონიმი არ არის ასახული **Abazg-** ფორმით; აქ გვაქვს მხოლოდ **Abxāz**, **Apxaz** და მისთ. ფორმები, რაც ქართული შუასაუკუნოვანი წყაროების **აფხაზ-** ფორმას ემთხვევა. თავის მხრივ, არაბ.-სპარს. **Abxāz** ფორმა ქართული **აფხაზ-** ფორმის საპირისპიროდ — ე.ი. ბ თანხმოვანი ფ-ს ნაცვლად — შესაძლებელია არაბულში [p] თანხმოვნისა და შესაბამისი გრაფემის არარსებობით აიხსნებოდეს.

ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქართულსა და რიგ აღმოსავლურ ენებში დადასტურებული **-px-/bx-** კომპლექსის შემცველი **Apxaz-/Abxāz** ფორმის პირველადობას **Abazg-** ფორმასთან შედარებით, რომელიც მხოლოდ ბერძნული ტრადიციისათვის იყო დამახასიათებელი, ამ ეთნონიმის საკუთრივ ბერძნულ გადმოცემას წარმოადგენდა და ამდენად არაფერი უნდა ჰქონოდა საერთო

¹⁰ ანალოგიური ფონეტიკური გარდაქმნების მაგალითები მრავლად მოიპოვება სხვადასხვა ენაში ნასესხებ სახელთა გადმოცემის დროს. ასე, მაგალითად, ქართული ტოპონიმის **ტფილისი**-ს ეკვივალენტად ვიღებთ არაბულ-სპარსულ-თურქულ **taflis/tiflis** და მისთ. ფორმებს ამ ენებში თავკიდურ პოზიციაში ორი თანხმოვნის დაუშვებლობის გამო (თავკიდურა კომპლექსი დაიძლევა ორ თანხმოვანს შუა ხმოვნის ჩასმით); შდრ. აგრეთვე **Тифлиси**, **Тиблиси** და მისთ. ფორმები რუსულენოვან წარმოთქმაში და სხვ. ასევე გარდაიქმნა ბერძნულში ქართველური ***მტკუარ-/მტკურ-** ჰიდრონიმი (ქართ. **მტკვარი**) **Κυρ-ος** ფორმად (ბერძნულში თავკიდურა **მტკ-** თანხმოვანთკომპლექსის გამართეების შედეგად); აქედან — რუსული **Кура** (Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры, თბილისი, 1984: ტ. I—II, გვ. 909).

Abaza სახელთან. ასეთი დაშვება ხსნის მრავალ ეთნო-ეტიმოლოგიურ სირთულეს, რაც ამ ტერმინებთან და მათ ისტორიულ გააზრებასთან არის დაკავშირებული.

თვით ამ **Abaza** ეთნონიმს უნდა უკავშირდებოდეს ეტიმოლოგიურად არა ბერძნ. Ἄβασυ-/აბასუ- ფორმა (და, მაშასადამე, არა აფხაზ-/აბაზ ეთნონიმი), არამედ თანამედროვე აფხაზთა თვითსახელი აფსუა, რაც სავსებით ბუნებრივია ისტორიულ-გენეტიკური თვალსაზრისით.

აბაზა სახელის ინტენსიურ-მახვილიან **აბაზა** ფორმას უნდა მოეცა ხმოვანრედუცირებული *აბზა ვარიანტი¹¹, რომელმაც -ბზ-თანხმოვანთკომპლექსის -ფს- კომპლექსად დაყრუების შედეგად¹²

¹¹ ა-ხმოვნის რედუქციის შესახებ აფხაზურში ინტენსიური მოძრავი მახვილის გავლენით იხ. ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი, 1976, გვ. 99 და შმდ.; შდრ. Н.В. Аршба, Динамическое ударение и редукция гласных в абхазском языке, თბილისი, 1989).

ანალოგიური ფონეტიკური მოვლენისათვის შდრ. აბაზ. ანაზა→ანზა ბიძა, ანაზა→ანზა დედაძილი, აფხ. აშაზა→აშზაი ტერფი და მრავალი სხვა.

აბაზა ფორმის ხმოვანრედუცირებული **აბზა/აბზ-** ვარიანტი შესაძლებელია დაეინახოთ **აბზოე** ეთნონიმში, რომელიც პლინიუსის მიერ მის ბუნების ისტორიაშია მოყვანილი როგორც ჩრდილო-კავკასიაში აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის მცხოვრები მრავალრიცხოვანი ტომების სახელწოდება. ასეთი გაიგივება შეიძლება მოვანდინოთ, თუ შევითვალთ პლინიუსის ცნობაში გარკვეულ გეოგრაფიულ კორექტივს ამ ტომთა ისტორიული ლოკალიზაციის თვალსაზრისით (იხ. მ. ინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 162_გ).

აბაზა ძირს ისტორიულად შეიძლება კიდევ ერთი სახელი უკავშირდებოდეს აფხაზურ-ადიღურ სამყაროში, კერძოდ, **აბაძე|აბძე** ფორმები, რომლებიც აღნიშნავენ ამჟამად ჩრდილო კავკასიაში (ადიღეს ავტონომიური ოლქი) კომპაქტურად მცხოვრებ ხალხს, შდრ. Н.Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, I, 1973, გვ. 65).

აბაზა ფორმის სრულხმოვანი ვარიანტს უნდა უკავშირდებოდეს აგრეთვე XII-XVI სს. რუსულ წერილობით წყაროებში დადასტურებული იხვз, ибзезы (შდრ. Г.Г.Пайчадзе, Название Грузии в русских письменных исторических источниках, თბილისი, 1989).

¹² კომპლექსის ანალოგიური დაყრუებისათვის შდრ. აფხ. *აპაზბა→აპგზბა დანა და აბაზ., ტაპ. აპაზფა: -ზბ- კომპლექსს ტაპანთურში შეეფარება მისი ყრუ ვარიანტი -სფ- (შდრ. Н.В. Аршба, დასახ. ნაშრ., გვ. 53).

ისტორიულად დადასტურებული **აფსა-** ფუძე მოგვცა: **აფსა-ჴა**⇒ **აფსჴა**¹³.

ამგვარად, ბერძნულ-ქართული წყაროების **აფსილ-/აფშილები**, როგორც ჩანს, თანამედროვე **აფსჴა-აფხაზებთან** გენეტიკურად და ენობრივად დაკავშირებული ეთნოსია, მათი შესაძლო წინაპარია, ხოლო ძველი **აბაზგ-/აფხაზ-** თავდაპირველად ამათგან განსხვავებულ ეთნოსს უნდა წარმოადგენდეს, რომლის სახელწოდება დროთა განმავლობაში, გარკვეული სემანტიკური ცვალებადობის შემდეგ, საბოლოოდ გადატანილ იქნა ქართულ ენობრივ სამყაროში საკუთრივ **აფსჴა-აფშილებზე** — ისტორიული დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მკვიდრ ეთნოსზე.

მაგრამ რომელი ეთნოსის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად თვით ეს **აფხაზ-/აბაზგ-** ეთნონიმი, ძველი კოლხეთის რომელი ტომები უნდა ვიგულისხმოთ ისტორიულ-გენეტიკური თვალსაზრისით ამ სახელწოდების ქვეშ?

შევიზღვისპირეთის ეთნო-კულტურული ვითარება ახ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში გვკარნახობს შესაძლებლობას **აფხაზ-/აბაზგ--**ებში საკუთრივ დასავლურ-ქართველური წარმომავლობის ტომები დავინახოთ, რომლებიც სავარაუდოდ ახლო მონათესაენი უნდა ყოფილიყვნენ ძველ კოლხეთში მობინადრე სვანური და მეგრულ-ლაზური ტომებისა.¹⁴

¹³ **აფსა-ჴა**→**აფს-ჴა** გადასვლა, მახვილის მომდევნო ა-ხმოვნის ჩავარდნით, ასევე ინტენსიური მახვილის გავლენით აიხსნება; ბოლოკიდური ფუძისეული -ა აღდგება მრავლობითი რიცხვის ფორმებში: **აფს-ჴა** აფხაზი მრ. რ. **აფსა-ცა, აფსა-ქა** — აფხაზები (იხ. ქ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 104).

¹⁴ თვით უძველესი სახელწოდება ამ ტომებისა **აფხაზ-**, რომელიც ბერძნულ მეტყველებაში **აბაზგ-/აბაზლ-** ფორმად უნდა გარდაქმნილიყო, აგებულების თვალსაზრისით სავსებით ქართველურია, ამ ენებში გავრცელებული (მაგრამ ბერძნულისათვის დაუშვებელი) -**ფხ-** პარმონიული კომპლექსის შემცველი და ა-ხმოვნით დაწყებული (შდრ. ამ მხრივ უძველესი ქართული ტოპონიმი **აჭარა**, რომელიც უკვე **ქართლის ცხოვრებაში** დასტურდება: *ლეონტი მროველი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, მატთანე ქართლისაჲ* და სხვ.).

ამ დროს ძველი კოლხეთის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენდნენ სწორედ ეს დასავლურ-ქართველური ტომები, რომლებიც ქართველური ენის დასავლურ დიალექტებზე მეტყველებდნენ (ამ დიალექტების ცოცხალი შთამომავლებია სვანური და მეგრულ-ლაზური). ამას მოწმობს ბერძენ **არგონავტთა** მეტყველებაში შესული არაერთი დასავლურ-ქართველური სიტყვა, რომლებიც შემდგომ ძველ ბერძნულ ენაში დამკვიდრდა.¹⁵ ამ დასავლურ-ქართველურ დიალექტთა და ტომთა შორის ამ დროისათვის სვანებთან და მეგრულ-ლაზებთან ერთად შესაძლებელია ის ტომებიც ვივარაუდოთ, რომლებიც ბერძნულ-ქართულ საისტორიო წყაროებში აღინიშნება **აბაზგ-** / **აფხაზ-** ეთნონიმით.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ **აბაზგ-/აფხაზები** მოიხსენიება ანტიკურ წყაროებში, როგორც წესი, სწორედ ამ ქართველური ტომების აღმნიშვნელ ეთნონიმთა კონტექსტში, ე. ი. ძველ კოლხეთში მობინადრე ისეთი ტომების გვერდით, როგორიცაა **ლაზები** (Λαζοί), **სანები** (Σάνοι, Τζάνοι), **სანიგები** (Σανίγαι), **მაკრონები** (Μάκρονες), **ჰენიოხები** (Ήνιοχοι) და სხვ. (შდრ., მაგალითად, ფლავიუს არიანეს «*პერიპლუსი*»)¹⁶.

¹⁵ ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ძვ. ბერძნული ἄνδρα საწმისი, მიკენური ბერძნული ko-wo ტყავი სიტყვა, რომელიც დასავლურ-ქართველური *ტყავ-/ტყოვ- ქართ. ტყავ-სიტყვის ძველბერძნული ნასესხობა უნდა იყოს (შდრ. Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, დასახ. ნაშრ., გვ. 908).

¹⁶ ამ ეთნონიმებით აღნიშნულ ტომთა ქართველური წარმომავლობისათვის იხ. ს. ჯანაშია, თაბალ-თუბალი, ტიბარენი, იბერი (*შრომები*, ტ. III, თბილისი, 1959); Г.А. Меликишвили, К истории древней Грузии, თბილისი, 1959; ნათელა კეჭყემაძე, დასახ. ნაშრ., passim; მ. ინაძე, დასახ. ნაშრ.; თ. ყაუხჩიშვილი, კაკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით (*მაცნე*, ისტორიის სერია, 1980, №4, გვ. 57-77); Н. Ломоури, Некоторые вопросы ранней истории Абхазии (*მაცნე*, ისტორიის სერია, 1990, №3, გვ. 158-173). ყველა ზემოთ მოყვანილი ეთნონიმი უნდა ასახავდეს ისტორიულად ცნობილ ქართველურ ტომებს: Λαζοί არიან **ლაზები**; Σάνοι და Σανίγαι შეიძლება გავაიგოთ **ზანებთან** (შდრ. სვან. **მე-ზან** მეგრული, **ზან** სამეგრელო) და **ჯანებთან**, **მაკრონები** — **მეგრულებთან** (ე. ი. ***მაგრალ-მარგალ-** ფორმასთან, რაც დასავლურ ქართველურ დიალექტში *ჯრისის მევიდრს* ნიშნავდა), ხოლო **ჰენიოხები** — **სვანებთან** (სხვა თვალსაზრისით — **ჰენიოხი ჯანების** სვანურენოვანი გადმოცემა უნდა იყოს, იხ. ბ. გიგინეიშვილი, ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის (*მაცნე*, ისტორიის სერია, 1975, №1, გვ. 115—124).

აბაზგ-/აფხაზთა შესაძლებელი ქართველური წარმომავლობა იმის მიხედვითაც უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ისინი ხდებიან ძველ კოლხეთში მობინადრე სხვა მრავალრიცხოვან ქართველურ ტომთა გამაერთიანებელნი საერთო დასავლურ-ქართულ სახელმწიფოდ.

თავდაპირველად ძველი კოლხებისა და კოლხეთის მემკვიდრედ ბერძნული საისტორიო წყაროების მიხედვით *ლაზიკის* სამეფო გამოდის (ქართული წყაროებში — **ჯრისი**), რომელსაც VI ს. დასასრულისათვის სწორედ **აბაზგია** გამოეყოფა. ეს უკანასკნელი შემდგომ აერთიანებს **სანიკეთის**, **მისიმიანეთის**, **აფხილიის** და სხვ. მიწა-წყალსაც და, შესაბამისად, ფართოვდება ტერმინ **აბაზგია/აფხაზეთის** შინაარსი.

კიდევ უფრო გაფართოვდა **აფხაზეთის** მნიშვნელობა VIII ს. დამლევს, როდესაც განხორციელდა *აფხაზეთისა* და *ჯრისის* გაერთიანება. ამ დროიდან **აფხაზეთი** უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავს, ხოლო ეთნონიმი **აბაზგ-/აფხაზ-** ქართველის პარალელური ცნებაა და საზოგადოდ დასავლეთ საქართველოს მკვიდრს ნიშნავს.¹⁷ გასარკვევია ოღონდ, თუ როდის და რა ვითარებაში ხდება საკუთრივ ქართულ ენობრივ სამყაროში **აფხაზ-** ცნების ხელახალი დაეიწროება და მისი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მკვიდრ ეთნოსზე — საკუთრივ **აფსუა-აფხაზეზზე** გადატანა. ეთნოლოგიაში ცნობილია ამგვარი მაგალითები ეთნონიმის მნიშვნელობის გაფართოება-დაეიწროებისა და ერთი ეთნოსის სახელის მეორეზე გადატანა-გავრცელებისა (შდრ. ამ მხრივ, მაგალითად, თურქული **ბულგარ-** ეთნონიმის ისტორია).¹⁸

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

ქართულსა და აღმოსავლურ წყაროებში დადასტურებული **აფხაზ-/აბხაზ** ეთნონიმი პირველადი ფორმაა და თავდაპირველად

¹⁷ იხ. მარიამ ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 9–10.

¹⁸ ერთ-ერთ სლავურ ენაზე მოლაპარაკე თანამედროვე *ბულგარელების* სახელწოდება მომდინარეობს თურქულენოვანი *ბულგარებისაგან*, რომლებიც ახ. წ. VII საუკუნეში ბალკანეთში გადასახლდნენ და სლავებს შეეროვნენ.

შესაძლებელია დასავლურ-ქართველური წარმომავლობის სატომო სახელწოდება ყოფილიყო **ლან-**, **სან-**, **სანიგ-**, **მაკრონ-**, **ჰენიონ-** და მისთ. ეთნონიმთა მსგავსად.

ბერძნულში მის ეკვივალენტად დადასტურებული 'Αβαϋ-/აბაზგ- ფორმა პირველადი **აფხაზ-** ფორმის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგს წარმოადგენს ბერძნული ფონეტიკური ნორმებისა შესაბამისად და არავითარ კავშირში არ არის ერთი შეხედვით მსგავს **Abaza** სახელთან, რომელიც თანამედროვე აფხაზ-აბაზების საერთო სახელწოდებაა.

თვით ეს უძველესი **Abaza** ფორმა დასაბამს აძლევს თანამედროვე აფხაზთა თვითსახელ **აფსჟა-**ს, რომელიც უნდა წარმოადგენდეს **Abaza** ფორმის ხმოვანრედუცირებულ ვარიანტს: **აბაზა**⇒**აბზა**⇒**აფსა**. ეს **აფსა-** ძირი საფუძვლად უდევს თანამედროვე აფხაზთა თვითსახელს: **აფსა-ჟა**⇒**აფსჟა**.

Apsa- ეთნონიმი თავს იჩენს უძველეს ეპოქაში **აფს-ილ-/აფშ-ილ-** და **აფს-არ-** ფორმათა სახით, რომლებიც, შესაბამისად, აფხაზურ-ადილურ ტომთა აღმნიშვნელ სახელებად უნდა მივიჩნიოთ.

თვით **აფხაზ-** ეთნონიმი და შესაბამისად მისი ბერძნული ეკვივალენტი 'Αβαϋ-, თავდაპირველად ერთი გარკვეული დასავლურ-ქართველური ტომის აღმნიშვნელი, მოგვიანებით მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის აღსანიშნავად იხმარება, ხოლო ტერმინი **აფხაზეთი** მთელი დასავლეთ საქართველოს სამეფოს სახელწოდება ხდება.


ერთიანი **აფხაზეთის სამეფოს** დაშლის შემდეგ ხდება **აფხაზ-** ეთნონიმის დავიწროება და ამ სახელით ქართულ ენობრივ სამყაროში მხოლოდ იმ ხალხის აღნიშვნა, რომლებიც თავიანთ თავს **აფსჟებს** უწოდებდნენ. გასარკვევია ოღონდ, თუ როდის დაუკავშირდა საქართველოში მკვიდრ **აფსჟებს** ეს **აფხაზ-** ეთნონიმი, რომელიც ადრე გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა. ყოველ შემთხვევაში, უდავოა, რომ **აფსჟა-** ხალხის **აფხაზებად** სახელ-

დება საკუთრე ქართულენოვან სამყაროში მოხდა და აქედან გავრცელდა იგი სხვა თანამედროვე ენებში.

***apxaz** და ***abaza** ეთნონიმთა დეროგაციული ხე

დასავლურ-ქართველური

აფხაზურ-ადიღური





„კულტურის ეკოლოგია“¹

სერძინი „ეკოლოგია“ თავისი ეტიმოლოგიური შინაარსით ნიშნავს მეცნიერებას „საცხოვრებლის“, „გარემოს“, „გარემოცვის“ შესახებ. თვით „გარემოცვის“ ცნებას აზრი აქვს გარკვეული **ცენტრის**, იმ **ცენტრალური წერტილის** დაშვების შემთხვევაში, რომელშიც ადამიანი იმყოფება.

„ეკოლოგიის“ ამგვარი განსაზღვრისას უნდა დავადგინოთ, თუ რა ხასიათის „გარემოსთან“, „გარემოცვასთან“ გვაქვს საქმე: ადამიანისათვის ეს გარემო არის **ფიზიკური** და **ბიოლოგიური**, თუ საკუთრივ ადამიანური — **კულტურულ-სოციალური**. შესაბამისად, საჭიროა გავარჩიოთ ადამიანის **ფიზიკურ-ბიოლოგიური ეკოლოგია** და **ეკოლოგია კულტურულ-სოციალური**, რომელიც განიხილავს „ეკოლოგიის“ ჰუმანიტარულ ასპექტებს და რომლისთვისაც შეიძლება **„კულტურის ეკოლოგია“** გვეწოდებინა.

¹ გამოქვეყნდა კრებულში «**ონზარი**», ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი: „**შემატებანი**“, თბილისი, 2002, გვ. 113–115.

„კულტურის ეკოლოგია“ განიხილავს ადამიანს არა როგორც **ბიოლოგიურ ობიექტს**, რომელზედაც ზემოქმედებას ახდენს ფიზიკური გარესამყარო, არამედ როგორც **სოციალურ-კულტურულ ობიექტს**, რომელიც გარკვეულ ურთიერთობებს ამყარებს ადამიანურ გარემოსთან და რომელზედაც ზემოქმედებას ახდენს ესა თუ ის სოციალური გარემო.

„ეკოლოგიისადმი“ მიძღვნილ შეკრებებზე ჩვენ მთელ ყურადღებას მივაპყრობთ ხოლმე **ფიზიკურ-ბიოლოგიურ ეკოლოგიას** და თითქმის მთლიანად უგულებელვყოფთ **„კულტურის ეკოლოგიის“** პრობლემებს, მაშინ როდესაც მთელი მსოფლიოს ხალხებს, და განსაკუთრებით მცირერიცხოვან ერებს, ფიზიკური გარემოს სიწმინდის დაცვაზე არანაკლებ მწვავედ აწუხებთ ეროვნული კულტურისა და ენის გადარჩენის, თავიანთ ესთეტიკურ და ეთნიკურ ფასეულობათა დაცვის საკითხები — და ყოველივე ეს ტოტალური გლობალიზაციის ეპოქაში.

ამგვარ ენათა და კულტურათა მოსპობა-გადაშენება ისეთივე კატასტროფაა **კულტურულ-ეკოლოგიური თვალსაზრისით**, როგორიც გარესამყაროს დაბინძურება — **ფიზიკურ-ბიოლოგიური ეკოლოგიის თვალსაზრისით**.

ჩვენ „წითელ წიგნში“ შეგვაქვს იმ ცხოველთა და მცენარეთა სახელები, რომელთაც გადაშენება ემუქრებათ და ამით ვაფრთხილებთ კაცობრიობას, მაგრამ ხშირად გვავიწყდება თვითონ **ადამიანი** და მისი **კულტურა**, როდესაც გულგრილად შევცქერით ხალხებისა და მათი ენების გადაშენებას, ხალხებისა, რომლებიც თავად წარმოადგენენ კაცობრიობის ისტორიისა და საკაცობრიო კულტურის ნაწილს.

ასეთი ხალხებისა და ენების დაკარგვით კაცობრიობა უფრო ღარიბი და ერთგვაროვანი ხდება; კაცობრიობა კარგავს რაღაც ნაწილს თავისი ისტორიული მენსიერებისა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ხალხების ეროვნულ გრძნობებზე, რომელთაც ისტორიულმა ბედმა არგუნა გამხდარიყვნენ ცოცხალი მოწმენი თავიანთი ეროვნული

ენებისა და ეროვნული კულტურების შებღაღვისა, ზოგჯერ კი — სრული გადაშენებისა დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა ფარგლებში.

ხშირად სწორედ ეს იწვევს გარეშე დამკვირვებლისათვის გაუგებარ ეროვნულ მღელვარებას, რომელსაც თავისი ინტენსივობით ვერ შეედრება ვერავითარი უკმაყოფილება, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური თუ სხვა პირობებით გამოწვეული.

თანამედროვე სამყაროს საერთო-ეროვნული კულტურულ-ენობრივი ფაქტორი განსაზღვრავს „კულტურის ეკოლოგიის“ პრობლემათა კომპლექსს. საჭიროა სასწრაფოდ შევქმნათ დაკარგვის საშიშროების წინაშე მყოფი ენებისა და ხალხების „წითელი წიგნი“ და დაუყოვნებლივ მივიღოთ სამეცნიერო-ორგანიზაციული ზომები ამ ენებისა და ხალხების გადასარჩენად.

ყველა ეს პრობლემა შედის სწორედ „კულტურის ეკოლოგიის“ სფეროში და აუცილებელია ამ საკითხებზე ფართო დისკუსიების გამართვა, **კულტურულ-ეკოლოგიური პრობლემების** განხილვა საერთაშორისო მასშტაბით, რათა ჩამოყალიბდეს „კულტურის ეკოლოგიის“ მეცნიერული საფუძვლები. ეს უკანასკნელი „ფიზიკურ-ბიოლოგიურ ეკოლოგიასთან“ კომპლექსში შექმნის **ერთიან ეკოლოგიურ დისციპლინას**, რომელსაც შეიძლება საზოგადოდ „**ადამიანისა და საზოგადოების ეკოლოგია**“ ეწოდოს.





**„ტრანსკავკასია“ თუ „სამხრეთი კავკასია“?
გეოპოლიტიკური ნომენკლატურის
დაზუსტებისათვის***

„**წ**მიერკავკასიას“ დასავლურ ენებზე, ჩვეულებრივ, „ტრანსკავკასიას“ უწოდებენ, რაც რუსულ „*Закавказье*“-ს თარგმანს წარმოადგენს, ლათინური „ტრანს“- თავსართის გამოყენებით რუსული „за“- პრეფიქსის შესაბამისად. „ტრანსკავკასია“ — „*Закавказье*“, მაშასადამე, ნიშნავს „კავკასიის ქედის, კავკასიის მიღმა ტერიტორიას“, რაც ქართულად როგორც „იმიერკავკასია“ გადმოითარგმნება.

კავკასიონის ქედის სამხრეთით მდებარე ტერიტორიის „ტრანსკავკასია“ — „*Закавказье*“ (ე.ი. „იმიერკავკასია“) ტერმინით აღნიშვნა გულისხმობს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მომცველი ამ ტერიტორიის დანახვას და სახელდებას ჩრდილოეთიდან, „კავკასიის“ სამხრეთი ნაწილის შეფასებას ჩრდილოელი დამკვირვებლის თვალთ, რის გამოც ეს ტერმინი გარკვეულ პოლიტიკურ, ასე ვთქვათ, „კოლონიურ“ შეფერilloბას იძენს.

* დაიბეჭდა თავდაპირველად გაზეთ „*Свободная Грузия*“-ში, 1997.

კავკასიის რეგიონი ანუ „კავკასია“, რომელიც მოიცავს ტერიტორიას კავკასიონის ჩრდილოეთით და სამხრეთით, ამ ქედის ბერძნულ „კაუკასოს“ სახელს უკავშირდება. თავად ბერძნული „კაუკასოს“ ტერმინი ძველი ირანული „კაპკაპ“ სახელწოდებისაგან უნდა მომდინარეობდეს, რაც „დიდ მთას“ ნიშნავს.

ამგვარად, „კავკასია“ გეოგრაფიულად წარმოადგენს გარკვეულ ტერიტორიას შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის, რომელსაც კავკასიონის ქედი ორ ნაწილად ყოფს — ჩრდილოეთ კავკასიად და სამხრეთ კავკასიად. „კავკასიის“ სამხრეთ ნაწილს ჩვენ სავსებით ბუნებრივად „ამიერკავკასიას“, ანუ კავკასიის ქედის „აქეთ“, „ამიერ“ მდებარე რეგიონს ვუწოდებთ.

ამისგან განსხვავებით, რუსულ და დასავლურ სიტყვახმარებაში ჩრდილოეთ კავკასიას „*Северный Кавказ*“-ს უწოდებენ, ხოლო სამხრეთ კავკასიას ლოგიკურად მოსალოდნელი და გეოგრაფიულად გამართლებული „*Южный Кавказ*“-ის ნაცვლად გარკვეული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე „*Закавказье*“ — „ტრანსკავკასია“ (ე.ი. „იმერკავკასია“) ტერმინით აღნიშნავენ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ტერმინი „ტრანსკავკასია“ — „*Закавказье*“ მიზანშეწონილია ამ ენებში შეიცვალოს პოლიტიკურად ნეიტრალური და გეოგრაფიულად ზუსტი ტერმინებით „ჩრდილო კავკასია“ — „*Северный Кавказ*“, „*North Caucasus*“ და „სამხრეთ კავკასია“ — „*Южный Кавказ*“, „*South Caucasus*“; ქართულად „სამხრეთ კავკასია“ ტერმინის პარალელურად ტრადიციული „ამიერკავკასიაც“ შეიძლება ვიხმაროთ (საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მომცველი ტერიტორიის აღსანიშნავად).

ეს საკითხი არაერთხელ დასმულა სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო-პოლიტიკურ კონფერენციებზე კავკასიის შესახებ და დადებითად იქნა აღქმული აღნიშნული ფორუმების მონაწილეთა მიერ.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ტრადიციული ტერმინები „ტრანსკავკასია“ — „*Закавказье*“ იმდენად ფეხმოკიდებულია საერთაშორისო სიტყვაზმარებაში, რომ ამათ ნაცვლად ტერმინ „სამხრეთ კავკასიის“ დამკვიდრებას ალბათ გარკვეული დრო დასჭირდება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მუდამ უნდა შევახსენოთ და მივუთითოთ ჩვენს დასაუღელ და ჩრდილოელ კოლეგებს „კავკასიის“ მიმართ ამგვარი ტერმინოლოგიური ცვლილებების აუცილებლობაზე, შესაბამისად უნდა შეიცვალოს უცხოურ ორგანიზაციათა ამიერკავკასიასთან დაკავშირებული პროექტების ტერმინოლოგია: „ტრანსკავკასია“ — „*Закавказье*“ ტერმინის ნაცვლად უნდა იხმარებოდეს ტერმინი „სამხრეთ კავკასია“, „*Южный Кавказ*“, „*South Caucasus*“, ქართულად აგრეთვე — „*ამიერკავკასია*“.

ტერმინი „ტრანსკავკასიური“ (მაგალითად, „ტრანსკავკასიური მაგისტრალი“) დარჩება მხოლოდ მიუღს „სამხრეთკავკასიაში“ გამავალი, გამჭოლი გზის, „დერეფნის“ აღსანიშნავად აღმოსავლეთ-დასავლეთის (ან დასავლეთ-აღმოსავლეთის) მიმართულებით (ლათინური წინდებული „*ტრანს*“- გარდა „*იბიერ*“- მნიშვნელობისა, რუს. „*за*“-, გამოხატავს აგრეთვე მნიშვნელობებს „*-ში*“, „გასწვრივ“, რუს. „*через*“, „*сквозь*“; შდრ. ტერმინები „ტრანსატლანტიკური“, „ტრანსციმბირული“ და სხვ.).





„მტკვარი“ ჰიდრონიმის ეტიმოლოგიისათვის*

Ὁν οἱ τινὲς φησὶν εἶναι ἀποτμήσκει νέος – „ვინც ღმერთებს უყვართ, ახალგაზრდა კვდება“. მენანდრეს ეს სიტყვები შესანიშნავად ესადაგება **გფი მაჭყარაინს** – ბრწყინვალე მეცნიერსა და არაჩვეულებრივ ადამიანს, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ და საერთაშორისო ენათმეცნიერებაში. მე პირადად მქონდა ბედნიერება მასთან ერთობლივი მეცნიერული მუშაობისა მრავალი წლის მანძილზე; სწორედ მან შემიყვანა მე ქართველური ენათმეცნიერების საოცარ სამყაროში; სწორედ მასთან ერთად შეიქმნა ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის ის სურათი, რომელიც თავის დროზე ფაქტობრივად ქართველური შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების ახალ პარადიგმას წარმოადგენდა. ეს პატარა სტატიაც მე მინდა მიუძღვნა ჩვენი დაუვიწყარი მეგობრისა და კოლეგის **გფი მაჭყარაინის** ხსოვნას.

ჰიდრონიმი „მტკვარი“ ქართულ წყაროებში დასტურდება უძველეს ჰაგიოგრაფიულ და ისტორიულ ძეგლებში *მტკუარ-ი* / *მტკურ-ის[ა]* ფორმით, სადაც უნიშანი (დიგრაფი) უმარცვ-

* «ენათმეცნიერების საკითხები» 4(16). ეძღვნება გფი მაჭყარაინის დაბადების 75 წლისთავს, თბილისი, 2002 წ.: «ფ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი».

ლო [ჟ] ბგერას უნდა გადმოგვცემდეს, ე.ი. გვექონდა ხმოვანმონაცვლე *მტკაჟარ-მტკაჟრ*- ფუძე:...ხოლო ქუეყანასა ამას შინა არიან მდინარენი უდიდესნი *მტკუარი* და ჭოროხი (*ქართლ. ცხ. IV, 661, 9—10*); ამიერ ერთეულნი *მტკურისანი* (*ქართლ. ცხ. IV, 83, 17*) და სხვ.

„*მტკვარი*“ ჰიდრონიმის ეტიმოლოგიზაციის ცდა ბოლო დროს მოცემული აქვს პროფ. ვ.სერგიას, რომელიც მას ლაზ. *მტკარი* („ტყიური“) ადიექტივს უკავშირებს და ლაზურიდან მომდინარედ მიიჩნევს: ლაზური *‘მტკარი’* // ქართული *მტკვარი*, ე.ი. „ტყიანი, ძლიერი, დაუდგრომელი“ (ვ.სერგია, *მტკვრის ეტიმოლოგიისათვის — „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“*, ტ. 146, №2, 1992, გვ. 221—228); აქვეა მოცემული მრავალი სხვა ავტორის უფრო აღრინდელი მოსაზრებები „*მტკვარი*“ ჰიდრონიმის წარმომავლობასთან დაკავშირებით: ნ.მარი, არნ. ჩიქობავა, ვ. სტრუვე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ს. ჯიქია, ზ. ჭუმბურიძე, ა. ახუნდოვი, ...).

ქართ. „*მტკვარი/მტკვრის*“ ჰიდრონიმის ამგვარი ეტიმოლოგიზაცია გაჭირდება უკვე იმის გამო, რომ ლაზური „*მტკარი*“ ფორმა საკმაოდ გვიანდელია (მეორეული თავკიდურა #მ- თანხმოვნით და *ტყ-* // *ტკ-* გადასვლით: შდრ. მეგრ. *ტყარი* „ტყიური“) და ვერ ჩაითვლება ამოსავლად ქართ. *მტკვარი* ჰიდრონიმისათვის (შდრ. აგრეთვე ამგვარი დაკავშირების შემთხვევაში ლაზ. -ო- // ქართ. -ვა- გადასვლის დაშვება, რასაც პარალელი არ უნდა მოეპოვებოდეს, რომ აღარაფერი ვთქვათ ამგვარი დაკავშირების სემანტიკურ სირთულეებზე).

ანალოგიური ფორმალურ-სემანტიკური სირთულით ხასიათდება „*მტკვარი*“ ჰიდრონიმთან დაკავშირებული ყველა სხვა წარმოდგენილი ეტიმოლოგიზაცია.

სულ სხვა სურათი გვექნება იმ შემთხვევაში, თუ *მტკვარ*- ჰიდრონიმის განვიხილავთ როგორც წარმოშობით პარტიციპიალურ ფორმას: ქართ. „*მტკვარი/მტკვრის*“ სახელი აშკარა კავშირს ავლენს წარმოების მხრივ მ- -არ- პრეფიქს-სუფიქსიან პარტიციპიალურ

(მიმღეობურ) ფორმებთან, ძვ. ქართ. *მდინარი* ≈ *მ-დინ-არ-ი* ტიპისა: შდრ. „...წყალი აღმომცენარე, *მდინარი* და შუენიერი“ (ზარზმ. 324, 17).

მ-დინ-არ-ი ფორმის პარალელური პარტიციპიალური ფორმაა ძველ ქართულში *მ-დინ-არ-ე*: შდრ. „...ცრემლნი, ვითარცა *მდინარენი* წყალნი“ (სას. წ. II 5, 7) (ამგვარი პარალელური წარმოებისათვის შდრ. აგრეთვე ძვ. ქართ. *მ-ძინ-არ-ი* და *მ-ძინ-არ-ე*).

მიმღეობა *მ-დინ-არ-ე* უკვე ძველ ქართულში გასუბსტანტივებულია და იხმარება არსებითი სახელის მნიშვნელობით, როგორც თანამედროვე ქართულის *მდინარე*.

ანალოგიურ გასუბსტანტივებულ პარტიციპიალურ წარმოებას გვიჩვენებს ძვ. ქართ. *მ-კუდ-არ-ი*, ახ. ქართ. *მკედარი*, სიტყვა, რომელიც **კუდ-* “კვდომა” ზმნური ძირის ნულსაფეხურიან **კუდ-/კუდ-* ფორმას წარმოადგენს.

სწორედ მსგავსი მიმღეობური წარმოება ჩანს ჰიდრონიმი „*მტკვარი*“ ფორმაშიც, ე.ი. *მ-ტკვ-არ-ი*, სადაც გამოიყოფა პარტიციპიალური *მ- -არ-* ცირკუმფიქსი და უხმოვნო *ტკუ-* ძირი, რომლის სრულსაფეხურიანი ფორმა იქნებოდა **ტეკუ-* (შდრ. ნულსაფეხურიანი პარტიციპიალური *მ-კუდ-არ-ი* ფორმა, საპირისპიროდ სრულსაფეხურიანი *კუდ-* ზმნური ფორმისა).

ეს სავარაუდო სრულსაფეხურიანი **ტეკუ-* ძირი ემთხვევა საერთო-ინდოევროპულ **tekw-* ზმნურ ძირს, რომელიც მრავალ ისტორიულ ინდოევროპულ ენაში “დინების”, “სწრაფად მოძრაობის” სემანტიკას გამოხატავს: შდრ. ძვ. ინდ. *tákti* “ისწრაფვის”, “მიედინება”, სლავ. (რუს.) *meub* “დინება”, ძვ. სლავ. *teko*, რუს. *meky* “გავრბივარ, მივედინები”, ტოქ. *cake* “მდინარე”, ძვ. ირანული (ავესტური) *taçaiti* “მიედინება”, *taçi-pā* “მდინარე წყალი” (შდრ. ძვ. ქართ. “*მდინარენი წყალნი*”).

მაშასადამე, *მ-ტკვ-არ-ი* თავდაპირველად “დინების” გამოხატველი პარტიციპიალური ფორმა უნდა ყოფილიყო და ფორმალურად და სემანტიკურად *მ-დინ-არ-ი* // *მ-დინ-არ-ე* მიმღეობური წარმოე-

ბის ანალოგს წარმოადგენდა; გასუბსტანტივებული *მტკვარი* სიტყვა თანდათან უკვე კონკრეტული მდინარის საკუთარ სახელად აღიქმება და საკუთრივ ჰიდრონიმის სტატუსს იძენს.

საგარაუდო **ტკუ* ზმნური ძირი, რომელიც ინდოევროპულიდან მომდინარე მდიხნევა და "დინების" მნიშვნელობას უნდა გამოხატავდეს, არ ჩანს პროდუქტიული საკუთრივ ქართულში და მხოლოდ *მტკვარ-* სახელში უნდა დასტურდებოდეს [თუ ეგვე ძირი არ ვივარაუდებთ ქართ. *მტკნარ-* < **მ-ტკუ-ნ-არ-* (?) ფორმაში, ე.ი. "მდინარი": შდრ. ძვ. ქართ. *სისხლი მტკნარი*, ან "მტკვრისეული" = "მდინარისეული": შდრ. *მტკნარი წყალი* "გამდინარი, უმარილო წყალი"]. ამიტომ პარტიციპიალური *მ-ტკუ-არ-* ფორმის წარმოება, ყოველ შემთხვევაში, საერთო ქართულ-ზანურ დონეზე უნდა ვივარაუდოთ, როდესაც ინდოევროპულიდან მომდინარე **ტკუ* ზმნური ძირი "დინების" მნიშვნელობით სხვა კონსტრუქციებშიც უნდა გვქონოდა, რაც ცალ-ცალკე უკვე მეგრულ-ლაზურსა და ქართულში აღარ დასტურდება (თუ ასეთად არ ჩაეთვლით ზემოთ განხილულ *მტკნარ-* ფორმას).

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა (ასევე ინდოევროპულიდან მომდინარე) უძველესი *დინ-* ძირი, რომელიც პროდუქტიული რჩება თვით ძველსა და თანამედროვე ქართულში (შდრ. *დინ-ებ-ა*, *მი-ე-დინ-ებ-ა*, *მ-დინ-არ-ე*, *ს-დი-ს*, *დენ-ი*, *დნ-ობ-ა* და სხვ.: შდრ. ინდ.-ევრ. **d^hen-* "დინება"; "მდინარე", "წყარო": ძვ. სპარს. *danuvatiy* "მდედინება", ტოქ. *tsän-* "დინება", ლათ. *fōns/fontis* "წყარო", ავ-ესტ. *dānu-* "მდინარე", ოსურ. *don* "მდინარე", "წყალი" და სხვ.).

ქართული *მ-ტკუ-არ-* ფორმის სიძველეს, ყოველ შემთხვევაში ქართულ-ზანურ ქრონოლოგიურ დონეზე არსებობას, მხარს უჭერს "მტკვრის" აღმნიშვნელი ბერძნული ჰიდრონიმი *Κῆρις*, რომელიც ამოსავლად სწორედ ზანურ **(მ)ტკურ-* ფორმას უნდა გულისხმობდეს (შდრ., ერთი მხრივ, ქართ. *ცხვარი/ცხვრის* და მეგრ. *შხურ-*, ლაზ. *ჩხურ-* "ცხვარი" და, მეორე მხრივ, ქართ. *მტკვარი/მტკვრის* და საგარაუდო ზან. **(მ)ტკურ-*, რომლისგანაც ბუნებრივად გამ-

ოიყვანება ამ ჰიდრონიმის ძვ. ბერძნული ვარიანტი). სავარაუდო ზან. ***მტკურ-** ფორმაში ბერძნულისათვის უჩვეულო **#მტკ-** კომპლექსის **#tk → k** ბუნებრივი გამარტივებით ვიღებთ ისტორიულ ბერძნულ ფორმას **Kῆρις** “მტკვარი” (აქედან უნდა მომდინარეობდეს უკვე “მტკვრის” აღმნიშვნელი სახელები, თურქულ-აზერბაიჯანული *kur*, რუსული *Кыра*, დასავლური *Kura* და სხვ.).

ყოველივე ეს გვაგვარაუდებინებს ინდოევროპულიდან მომდინარე ***ტეჟ-** ზმნური ძირის ქართველურში ოდინდელ პროდუქტიულობას “დინების” მნიშვნელობით, ყოველ შემთხვევაში იმ ქრონოლოგიურ დონეზე, რომელიც წინ უსწრებდა ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლას (ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ზემოთ განხილული **დენ-/დინ-** < ი.-ე. ***d^hen-** ძირის პროდუქტიულობა ქართულში).





**„ქართუ“ – “kartu” როგორც „ქართველის“,
„ქართველთა ძველის“ აღნიშვნელი უძველესი
ქართველური სახელი***

ქეგრულ-ლაზური *ქართუ* „ქართველი“ ეთნონიმი ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ეპოქისათვის **ქართუ* სიტყვა-ფორმას უნდა გულისხმობდეს „ქართველის“, „ქართველთა ქვეყნის“ მნიშვნელობით.

უძველეს ქართულში **ქართუ* ფორმა არ დასტურდება, მაგრამ გვაქვს –ელ- ბოლოსართით (სუფიქსით) ნაწარმოები *ქართუ-ელ-ი* ~ *ქართუ-ელ-ი* ~ *ქართველ-ი* (*უ/უ* სონანტის ქართულში ვთანხმოვანში გადასვლის შედეგად), რაც უფრო ადრეულ ეპოქაში სწორედ ამგვარი სიტყვა-ფორმის არსებობას გვაპარაუდებინებს.

მაშასადამე, ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობისათვის უნდა დავუშვათ **ქართუ* სახელის არსებობა „ქართველის“, „ქართველთა ქვეყნის“ მნიშვნელობით, რომელმაც მეგრულ-ლაზურში მოგვცა კანონზომიერად *ქართუ* „ქართველი“ ფორმა (ზანური ხმოვანთგადაწვევის შედეგად), ხოლო საკუთრივ ქართულში –ელ-ბოლოსართის დართვით მივიღეთ ისტორიულად დადასტურებული ქართველ-ი ფორმა.

* დაიბეჭდა გაზეთში „24 საათი“, 2006 წლის 8 აპრილი.

თავის მხრივ, ქართულ-ზანური **ქართუ* შედგენილი ფორმა უნდა იყოს **ქართ-* ძირისა და *-უ-* ბოლოსართის საშუალებით, რაც ნათლად ჩანს *ქართლ-ი* ტოპონიმის არსებობიდან ქართულში, რომელიც ნაწარმოებია *ქართ-* ძირზე *-ლ-* ბოლოსართის დართვით.

ამავე **ქართ-* ძირზე *-ულ-* ბოლოსართის დართვით ვიღებდით **ქართ-ულ-* ფორმას, რომელმაც ქართულში მოგვცა კანონზომიერად *ქართ-ულ-ი*, ხოლო მეგრულსა და ლაზურში *ქართ-ულ-ი* ფორმები (ლაზურში — „ქლიაჯის სპეციფიკური ჯიშის“ მნიშვნელობით). ეს თავდაპირველი ქართველური **ქართ-* ძირი ტოპონიმის მნიშვნელობით შესაძლებელია დაეინახოთ აგრეთვე სვანურ *ქართ* ფორმაში „ქალაქ თბილისის“ მნიშვნელობით.

მაშასადამე, ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ეპოქაში უნდა გვექონოდა **ქართ-* ძირი, რომელზედაც *-უ-* სუფიქსის დართვით ვიღებდით **ქართ-უ* ფორმას „ქართველის“, „ქართველთა ქვეყნის“ მნიშვნელობით, ხოლო *-ლ-* სუფიქსის დართვით — სპეციფიკურ ტოპონიმს *ქართ-ლ-ი* „ქართველთა ქვეყანა“; უკვე ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ეპოქაში (ე.ი. ჯერ კიდევ „ხმოვანთა ზანურ გადაწვეამდე“) უნდა ვივარაუდოთ ქართველურ ტომთა სახელწოდებებში გარკვეული არეალური სხვაობები: აქ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ფორმები **ქართუ* და **ზან-*. ეს უკანასკნელი **ზან-* ფუძე მხოლოდ სვანურს შემორჩა *მეზან* „მეგრელი“, *ზან* „სამეგრელო“ ფორმების სახით, ხოლო საკუთრივ მეგრულსა და ლაზურში იგი შეიცვალა **მეგრულ-* [მარგალ, ე.ი. „ეგრის მობინადრე“, შდრ. ქართული *მ-გრ-ი*] ეთნონიმით.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ: ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ეპოქაში არსებობდა „ქართველთა“ აღმნიშვნელი სახელი **ქართუ*, რომელიც მეგრულსა და ლაზურში გარდაიქმნა კანონზომიერად *ქართუ* ფორმად „ქართველის“ მნიშვნელობით, ხოლო საკუთრივ ქართულში *-ელ-* სუფიქსის დართვით მოგვცა ისტორიულად დადასტურებული *ქართვ-ელ-ი* ეთნონიმი.





ვიფორია თუ ეუფორია || ევფორია?*

ძღვევანდელ ქართულში ხშირად ისმის სიტყვა „ეიფორია“, რაც ნიშნავს „აღტკინებას“, „აღტაცებას“, „ამაღლებულ განწყობილებას“.

ბერძნული წარმომავლობის ეს სიტყვა ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ევროპულ ენაში (შდრ. რუს. *эйфория*, ინგლ. *euphoria*, ფრანგ. *euphorie* და სხვ.).

ბერძნული სიტყვა $\epsilon\upsilon\phi\omicron\iota\rho\iota\alpha$ ორი ნაწილისგან შედგება: $\epsilon\upsilon$ - და $-\phi\iota\omicron\iota\rho\iota\alpha$, მნიშვნელობებით — „კარგი, კეთილი, ბარაქიანი“ და „ტარება“, რაც მთლიანობაში გვაძლევს მნიშვნელობას „ბარაქიანობა“, „ნაყოფიერება“, „კარგი მოსაჯალი“ და ა.შ.

$\epsilon\upsilon$ - „კარგი, კეთილი“, როგორც შემადგენელი ნაწილი, მრავალ სხვა სიტყვაშიც იჩენს თავს ძველ ბერძნულში: შდრ. $\epsilon\upsilon$ - $\gamma\epsilon\upsilon\eta\varsigma$, „კეთილშობილი“ (აქედან საკუთარი სახელი „*ევგენი*“), $\epsilon\upsilon$ - $\epsilon\pi\acute{\alpha}\rho\eta\varsigma$ „კარგად მოსაუბრე“, $\epsilon\upsilon$ - $\gamma\rho\alpha\phi\acute{\iota}\varsigma$ „კარგად ნაწერი“ (შდრ. საკუთარი სახელი „*ევგრაფი*“), $\epsilon\upsilon$ - $\phi\iota\mu\omicron\delta\varsigma$ „კეთილის მთქმელი“, $\epsilon\upsilon$ - $\phi\iota\mu\sigma\mu\omicron\delta\varsigma$ „კარგად თქმული“, შდრ. „*ევფემიზმი*“ და მრავალი სხვა.

* დაიბეჭდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, 2007 წლის 9 აგვისტო.

ბერძნული €პ- „კეთილი, კარგი“ ქართულში გადმოიცემა, როგორც წესი, ეუ-/ევ- მიმდევრობით, გარდა ზემოთ განხილული შემთხვევისა, ე.ი. გარდა სიტყვისა *ეიფორია*, რომელიც რუსული *эйфория* ფორმის გავლენას ამჟღავნებს; უფრო ზუსტად – რუსული *эйфория* კანონზომიერი ასახვაა ბერძნული €პ-φoρiα სიტყვისა, რამდენადაც ბერძნული €პ- გადმოიცემა რუსულში *эй-* დიფთონგით (შდრ. აგრეთვე ბერძნ. *νέυρου* „მეყისი, ნერვი“ და რუს. *нейрон* „ნეირონი“), და ეს რუსული *эйфория* გადმოტანილ იქნა ქართულში „*ეიფორია*“-ს სახით.

ამდენად, ქართულისათვის უფრო კანონზომიერი იქნებოდა ბერძნული წარმომავლობის ეს ფორმად გავრცელებული სიტყვა არა *ეიფორია* ფორმით გვეხმარა (შდრ. რუს. *эйфория*), არამედ ქართულისათვის უფრო ბუნებრივი და კანონზომიერი *ეუფორია* (ან *ევფორია*) ფორმით.

თვით *ნეირონი* ტერმინიც ქართულში რუსულიდან არის შემოსული (შდრ. *нейрон*); უფრო კანონზომიერი იქნებოდა მისი *ნეურონ/ნევრონ* ფორმით ხმარება ბერძნული *νέυρου* სიტყვის შესაბამისად (ეს ფორმა კანონზომიერად არის წარმოდგენილი *ნევროლოგია* ტერმინში). ამდენად, უფრო მართებული იქნებოდა ქართულისათვის არა *ნეიროქირურგია* (რაც რუსული *нейрохирургия*-ს იმეორებს), არამედ *ნევროქირურგია*; რაც შეეხება იმავე სემანტიკის მქონე ქართ. *ნერვი*-ი სიტყვას და რუსულსა და სხვა ენებში გავრცელებულ შესაბამის ტერმინებს, ისინი ლათინურ *nervus* „ნერვი“ ფორმას ასახავენ და სათანადოდ გადმოიცემიან ხსენებულ ენებში.



ღრღრ
ქანტუპულა
ხანტუპუცინუხანტუ

აქაქი მანოქე
ბიბიბი აბუღეღიანი
ანნულუ ჩიქიპაპა
ბიბიბი ბეხეღეღი



აკაკი შანიძე — ახალი ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელი

ქართული მეცნიერების ისტორიაში აკაკი შანიძე განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მას პეტერბურგის უნივერსიტეტში კლასიკური თეორიულ-ლინგვისტური მომზადება არ გაუვლია (იგი უფრო როგორც ფართო პროფილის ფილოლოგოსი გადიოდა მომზადებას, ვიდრე საკუთრივ ლინგვისტი-თეორეტიკოსი), აკაკი შანიძე, მის მიერ შექმნილი ქართული გრამატიკული სისტემის წყალობით, ენათმეცნიერებაში ფაქტობრივად იმ თეორიულ-ლინგვისტური მიმდინარეობის წინამორბედი აღმოჩნდა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს როგორც სტრუქტურულ-ფუნქციური; მიუხედავად იმისა, რომ აკაკი შანიძეს არ მოუცია თავისი ლინგვისტური კონცეფციისა და მეთოდოლოგიის მთლიანი ფორმულირება, ენისადმი (ამ შემთხვევაში ქართული ენისადმი) მთელი თავისი მეცნიერული მიდგომითა და ენობრივი ანალიზის გამოყენებული ხერხებისა და მეთოდების მიხედვით, აკაკი შანიძის ლინგვისტური თეორია უნდა განვიხილოთ როგორც სტრუქტურულ-ფუნქციური და ენათმეცნიერების ისტორიაში იგი იმ მიმდინარეობებს შევადაროთ, რომლებიც შემდგომ *ფერდინანდ დე სოსიურის სინქრონიული თეორიისა და პრადის*

საენათმეცნიერო სკოლის სტრუქტურალიზმის სახით ჩამოყალიბდნენ.



აღნიშნულთან დაკავშირებით საკმარისია დაგასახელოთ ენობრივ ელემენტთა დაპირისპირების, „ოპოზიციის“ ცნება, რომელსაც, როგორც ენობრივი ანალიზის საფუძველს, ასე ფართოდ იყენებს აკაკი შანიძე; სწორედ ლინგვისტური ოპოზიციის პრინციპზე

აიგება არსებითად სტრუქტურულ-ფუნქციურ მიმართულებათა ძირითადი კონცეფციები თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

აკაკი შანიძის მიერ შექმნილ გრამატიკულ სისტემაში წინადადების ცენტრს, მის სტრუქტურულ ღერძს წარმოადგენს ზმნა, რომლის გარშემოც თავს იყრის წინადადების ყველა დანარჩენი წევრი და მას გარკვეული შინაგანი კავშირით ერწყმის; ზმნა განსაზღვრავს წინადადების შინაგან სტრუქტურას, არსებითად, ენის მთელ გრამატიკულ წყობას. ამგვარი გაგება წინადადებისა ყალიბდება აკაკი შანიძესთან საკმაოდ ადრე, ქართული ზმნის ანალიზის პირველი ცდებისთანავე, რაც ბუნებრივად ნაკარნახები იყო თვით ქართული ზმნის სტრუქტურული ხასიათით, მისი მრავალპირიანობით, რითაც იგი განსხვავდება სხვა ცნობილ ენათა ზმნური სტრუქტურებისაგან.

ეს კონცეფცია მარტივი წინადადების სტრუქტურაში ზმნის ცენტრალური ადგილის შესახებ ევროპულ მეცნიერებაში ფორმდება გაცილებით უფრო გვიან, XX ს. 30-იან წლებში, ფრანგი მეცნიერის ტენიერის „სტრუქტურული სინტაქსის“ თეორიის სახით.

ქართულ ენათმეცნიერებაში ეს პრინციპები მწყობრ კონცეფციად საკმაოდ ადრე ჩამოყალიბდა, რაც ღღეს ამერიკისა და ევროპის ენათმეცნიერების ასეთ დიდ ინტერესს იწვევს ქართული ენისა და ქართული ენათმეცნიერების მიმართ და რაც აკაკი შანიძის ნამოღვაწარს ამ ინტერესის ცენტრში აყენებს. ქართველმა მეცნიერმა ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის თანმიმდევრული ანალიზისა და შესწავლის პროცესში ემპირიული გზით ფაქტობრივად ჩამოაყალიბა იმ მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები, რომელიც უფრო გვიან თეორიულ საფუძველს უქმნის ზემოთ დასახელებულ მიმდინარეობებს ენათმეცნიერებაში. ამდენად, აკაკი შანიძემ ქართული ენის მწყობრი გრამატიკული სისტემის ჩამოყალიბებით ისეთი ენათმეცნიერული ღირებულებანი შექმნა, რომლებიც მნიშვნელოვანია არა მარტო ქართულ-ქართველური ენების შესწავლის თვალსაზრისით, არამედ თეორიულ-ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც

საზოგადოდ და ლინგვისტურ თეორიათა და ენათმეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით — განსაკუთრებით.

XX ს. საუკუნის დასაწყისში, უფრო ზუსტად — ოციან წლებში, ენათმეცნიერებაში, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებში, იწყება ფენომენოლოგიური ანალიზის პერიოდი, როდესაც საგანთა და მოვლენათა ისტორიულ შესწავლას ცვლის მათი სისტემური ანალიზი, საგანთა და მოვლენათა გააზრება შინაგან სტრუქტურულ მიმართებათა გამოვლენისა და შესწავლის გზით. მეოცე საუკუნის მეცნიერებისათვის დამახასიათებელია ისტორიზმის, ევოლუციონისტური თვალსაზრისის ერთგვარი შესუსტება და მთელი ყურადღების გადატანა მოვლენათა და მიმართებათა შინაგან სინქრონიულ ანალიზზე.

სწორედ ეს პრინციპებია დამახასიათებელი ამ საუკუნის პირველი ნახევრის თეორიული ენათმეცნიერებისათვის; იგივე პრინციპები დაედო საფუძვლად, ძირითადად, ქართული ენის აკაკი შანიძისეულ ანალიზს.

აქ ეძლევა დასაბამი სწორედ ახალ ქართულ ენათმეცნიერებას. „ახალ ქართულ ენათმეცნიერებაში“ და „ახალ ქართულ მეცნიერებაში“ საზოგადოდ მე ვგულისხმობ ქართულ სამეცნიერო დარგებს, რომლებიც ჩამოყალიბდა ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ და რომლებსაც წინა პერიოდში ნიადაგი მოუშადა ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა, პირველ რიგში *ფანე ჯავახიშვილის*, სამეცნიერო შრომებმა. სწორედ ამ შრომებმა ჩაუყარა საფუძველი ახალ ქართულ მეცნიერებას საზოგადოდ, რომელშიც საპატიო ადგილი აკაკი შანიძის საენათმეცნიერო შემკვიდრობას უკავია.

ამ პერიოდამდე ქართული ენა, ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურა არ იყო საკმაოდ შესწავლილი და შეიცავდა მრავალ ბუნდოვან და გაურკვეველ პრობლემას. ქართული ენის შესწავლა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სხვა ცივილიზებული ერების ენათა შესწავლას. ამ ჩამორჩენის ლიკვიდაცია და ქართული ენის გრამატიკისა და ქართული ენის, როგორც ქართველი ხალხის ეროვნუ-

ლი ენის, შესწავლის მეცნიერულ ნიადაგზე დამყარება აკაკი შანიძის დიდი და უცილობელი დამსახურებაა. იქ, სადაც სტრუქტურული ქაოსი და გაურკვევლობა სუფევდა, აკაკი შანიძემ არაჩვეულებრივი სიცხადე შეიტანა და სტრუქტურული წესრიგი დაამყარა. ამით მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალი ქართული ენათმეცნიერების ფართო ასპარეზზე გამოსვლას და აკაკი შანიძე საერთაშორისო წრეებში ერთხმად აღიარეს კავკასიური ენათმეცნიერების პატრიარქად.

დღეს ქართველი ხალხის წარმოჩინება, საზოგადოდ, და საერთაშორისო ასპარეზზე — განსაკუთრებით, სწორედ ქართული მეცნიერების, ქართული კულტურის მეშვეობით უნდა ხდებოდეს, ამ ცნებათა ფართო გაგებით. ეს ერთგვარი ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცება უნდა იყოს ქართველი ხალხისა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში.

ამა თუ იმ ხალხის საყოველთაო აღიარების საფუძველს მხოლოდ მის მიერ შექმნილი ობიექტური, ნამდვილი და გაუზვიადებელი მეცნიერული თუ კულტურული ღირებულებები ქმნის, რომლებიც საბოლოო ანგარიშით ამ ხალხის მუდმივ ღირებულებებად იქცევა და რომელთა მიხედვითაც ფასდება მისი წვლილი და ადგილი საკაცობრიო ცივილიზაციაში. სწორედ ამგვარი ჭეშმარიტი მეცნიერული და კულტურული ღირებულებანი უნდა გახდეს ჩვენი ხალხის თვითდამკვიდრების უპირატესი საფუძველი.

ამგვარ გარდაუვალ ღირებულებად იქცა სწორედ ჩვენი კულტურისათვის აკაკი შანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა; სწორედ ამგვარ მუდმივ ღირებულებას წარმოადგენს ჩვენი ერისათვის **აკაკი შანიძე**.

ეს ჩვენი დიდი მამულიშვილი უნდა იქცეს ქართული მეცნიერების, მთელი ქართული კულტურის მარადიულ სიმბოლოდ.





გიორგი ახვლედიანი — ახალი ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსი*

იორგი ახვლედიანის სახელი მჭიდროდ უკავშირდება ახალი ენათმეცნიერების ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას. მან აკაკი შანიძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ახალ საენათმეცნიერო აზროვნებას საქართველოში. გიორგი ახვლედიანი და აკაკი შანიძე არიან ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებლები და, მაშასადამე, კლასიკოსები ამ მეცნიერების თვალსაზრისით.

გიორგი ახვლედიანი ეკუთვნის ახალი ქართული მეცნიერების აღორძინებასთან დაკავშირებულ მეცნიერთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელსაც დიდი ივანე ჯავახიშვილი მეთაურობდა. ახალი ქართული მეცნიერების ეს აღორძინება თან მოჰყვა ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებას, რისი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გიორგი ახვლედიანიც იყო. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით: „**ტფილისის უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფესორ იოსებ ყიფშიძის, პროფესორ აკაკი შანიძის და**

* იხ. «ენათმეცნიერების საკითხები», 2002: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროფესორ გიორგი ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამსუხარულოდ, უდროოდ გარდაცვალების გამო უდიდესი ტვირთი ორს უკანასკნელს დააწვა“.



ეს „უდიდესი ტვირთი“ დიდ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს — გიორგი ახვლედიანსა და აკაკი შანიძეს — შარაფანდელით მოსაგვს და მეცნიერული აზრის განვითარების ისტორიაში ღირსეულ

ადგილს მიაკუთვნებს — როგორც ქართული სულიერი კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენლებს.

საოცრად ფართოა გიორგი ახვლედიანის მეცნიერული ინტერესების სფერო; ძნელია დასახელებულ იქნეს ენათმეცნიერების ისეთი დარგი, რომელშიც მას თავისი მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეტანოს. გიორგი ახვლედიანი არის თეორიული ენათმეცნიერების საფუძვლების ჩამყრელი საქართველოში; იგი სათავეში ჩაუდგა ზოგადი ენათმეცნიერების კათედრას თბილისის უნივერსიტეტში და ნახევარ საუკუნეზე მეტხანს განაგებდა მას; მან წაიკითხა პირველი საუნივერსიტეტო კურსი და შექმნა სახელმძღვანელო ამ დარგში — „ენათმეცნიერების შესავალი“ (1918—19), რომელიც, ამავე დროს, თბილისის უნივერსიტეტში შექმნილი და აქ გამოცემული პირველი სახელმძღვანელოა საზოგადოდ.

ამრიგად, გიორგი ახვლედიანი ახალი საენათმეცნიერო აზროვნების პიონერია საქართველოში, და თუ დღეს ჩვენში თეორიული ენათმეცნიერება ასეთ მაღალ დონეზეა, ეს უპირველესად გიორგი ახვლედიანის მეცნიერულ მოღვაწეობას უნდა მიეწეროს.

გიორგი ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალი“ დიდი ისტორიული ფაქტია ქართული მეცნიერების განვითარებაში, რამდენადაც ამ წიგნში პირველად ქართულ ენაზე განიმარტა ზოგადლინგვისტური ცნებები და პირველად ჩაერთო ამ წიგნის საუნივერსიტეტო კურსში ქართული ენის მონაცემები თეორიული ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემების საილუსტრაციოდ.

მაგრამ „ენათმეცნიერების შესავლის“ მნიშვნელობა და ღირებულება არ ამოიწურება მხოლოდ ზემოთ მოყვანილი ასპექტებით. ამ ნაშრომს, ისევე როგორც უფრო გვიან გამოსულ მის გამოკვლევებს — „*მკვეთრი ხშულნი ქართულში*“ (1922 წ.), „*ქართულ თანხმოვანთა განდასება*“ (1926 წ.), „*ზოგადი და ქართული ფონეტიკის საკითხები*“ (1938), „*ბგერათმონაცვლეობის ზოგიერთი საკითხი ქართულში*“ (1948 წ.), სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული ენათმეცნიერებისათვის, ქართული ენის

ბგერითი შედეგების შესწავლის თვალსაზრისით, არამედ ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც, რამდენადაც აქ გიორგი ახვლედიანი ენის ბგერითი სისტემის შესწავლის ახალ პრინციპებს აყალიბებს და *ფონოლოგიის* — ანუ *ფუნქციონალური ფონეტიკის* ერთ-ერთ პიონერად გვევლინება.

ფონოლოგიამ — ფუნქციონალურმა თვალსაზრისმა ენის ბგერითი შედეგების შესწავლაში — რაც დასრულებული სახით ჩამოყალიბდა პრადასა და შემდგომ ვენაში დიდი რუსი ენათმეცნიერის — *ნიკოლოზ ტრუბეცკოის* მიერ XX საუკუნის ოცდაათიან წლებში, სრულიად ახალი პერსპექტივები გადაშალა ენათმეცნიერების წინაშე.

გიორგი ახვლედიანის დასახელებულ ნაშრომებში ამკარად ვლინდება ფუნქციონალური თვალსაზრისი ენის ბგერითი შედეგების ანალიზში და, თუმცა აქ ჯერ არა გვაქვს „*დიფერენციალური ნიშნის*“ ცნება, შემოტანილი მეცნიერებაში უფრო გვიან *რომან იაკობსონისა* და *ნიკოლოზ ტრუბეცკოის* მიერ, მაგრამ უკვე ამკარად იჩენს თავს დაპირისპირება კონკრეტულ ბგერასა და ფონემას როგორც ენის ფუნქციონალურ ერთეულს შორის.

ეს იყო იმ დროისათვის უდიდესი მიღწევა, ერთ-ერთი ყველაზე აღრინდელი ნიმუში ენათმეცნიერების იტორიაში ენის ბგერითი ერთეულის განხილვისა ფუნქციონალური თვალსაზრისით. გიორგი ახვლედიანი დასახელებულ ნაშრომებში იკვლევს ქართულ ფონემათა მიმართებებს სისტემასა და ტექსტში, ადგენს ქართული ენის პარადიგმატულ და სინტაგმატურ სტრუქტურებს.

ენობრივ მოვლენათა განხილვა ამგვარი სისტემურ-ფუნქციონალური თვალსაზრისით, რაც გიორგი ახვლედიანის ჯერ კიდევ აღრინდელ ნაწერებში იჩენს თავს, შესაძლებელია მისი მასწავლებლის — *შჩერბას* და საერთოდ იმდროინდელი რუსული ენათმეცნიერების გავლენას მიეწეროს, რომლის ბრწყინვალე ტრადიციების გამგრძელებლად საქართველოში გიორგი ახვლედიანი მოგვევლინა, ხოლო თვით რუსეთში, სამწუხაროდ, ჩაკვდა „ახალი საენათ-

მეცნიერო მოძღვრების“ მოძღვრების გამო. სწორედ ამ ტრადიციებმა მოგვცა შემდგომ ე.წ. „პრადის სკოლის“ ფონოლოგიური მოძღვრება, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ფონოლოგიურ თეორიებს.

გიორგი ახვლედიანის მიერ გატარებული ფუნქციონალური თვალსაზრისი ამ ბრწყინვალე ტრადიციების ასახვას წარმოადგენს, გადმოტანილს ქართულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში. ამით გიორგი ახვლედიანის ღვაწლი და ნააზრვეი სცილდება საკუთრივ ქართული ენათმეცნიერების ფარგლებს და თვალსაჩინო ადგილს იმკვიდრებს მსოფლიო ენათმეცნიერების ისტორიაში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ახვლედიანი, სხვა გამოჩენილ ენათმეცნიერებთან ერთად, *ფონოლოგიური თეორიის* ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი წარმომადგენელია და მის მიერ თანამედროვე ფონოლოგიის ჩამოყალიბებაში შეტანილი ეს მნიშვნელოვანი წვლილი სათანადოდ უნდა შეფასდეს ენათმეცნიერების ისტორიაში.

ქართული ენის ბგერითი შედგენილობის ანალიზმა ფუნქციონალური თვალსაზრისით საშუალება მისცა გიორგი ახვლედიანს დაედგინა მთელი რიგი ენობრივი კანონზომიერებანი, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ქართველური ენების შესასწავლად სინქრონიულ თუ დიაქრონიულ ასპექტში. მთელ რიგ ფონეტიკურ-ფონოლოგიური ხასიათის შრომებში, რომლებიც ქართული ენის ბგერითი შედგენილობის აღწერას მიეძღვნა, გიორგი ახვლედიანმა გამოიკვლია თანხმოვანთმეერთების წესები, რის საფუძველზედაც მან შემდგომ ჩამოაყალიბა „აქცესიურ-დეცესიურობის“ თეორია, დაადგინა ქართული „აბრუპტივებისა“ და „მჟღერი ხშულეების“ ფონეტიკურ-ფონოლოგიური ბუნება, გაარკვია კომბინატორული ხასიათის ბგერათა ცვალებადობის მექანიზმი ქართულში და მრავალი სხვა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული ენის აღწერისა და შესწავლის თვალსაზრისით, არამედ ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც, როგორც ენობრივი სისტემის ფონეტიკურ-ფონოლოგიური კვლევის ბრწყინვალე ნი-

მუშებს. აქვე ჩამოყალიბებულია ფუნქციონალური ხმოვანთმონაცვე-
ლეობის — „აბლაუტის“ (აპოფონიის) ძირითადი სახეები და გან-
საზღვრულია მისი როლი ქართულ ენობრივ სისტემაში.

გიორგი ახვლედიანის თეორია „აქცესიური“ და „დეცესიური“
კომპლექსების შესახებ, რომელიც მან ქართველური ენების მო-
ნაცემების საფუძველზე შეიმუშავა, ზოგადლინგვისტური ხასია-
თისა აღმოჩნდა, რამდენადაც აქ დადგენილი კანონზომიერებანი
თანხმოვანთა შეერთებისა დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ენა-
თა დიდი უმრავლესობისათვის. როგორც ბოლო ხანებში გაირკვა,
„აქცესიურ-დეცესიურობის“ თეორია ეფექტური საშუალებაა
აგრეთვე ინდოევროპულ ენათა მთელი რიგი ისტორიული კანონ-
ზომიერების გამოსავლენად და ასახსნელად, რაც ამ თეორიას ინ-
დოევროპული ენების შედარებით-ისტორიული შესწავლის
სამსახურში აყენებს და, ამდენად, გიორგი ახვლედიანის სახელს
ინდოევროპული ენათმეცნიერების ისტორიაშიც თვალსაჩინო აღ-
გილს უმკვიდრებს.

გიორგი ახვლედიანის ფონეტიკურ-ფონოლოგიური ნააზრევი შე-
ჯამებულია მის ცნობილ „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“,
რომელიც 1949 წელს გამოიცა და რომელიც სამაგიდო წიგნად
იქცა ზოგადი და ქართული ფონეტიკის საკითხებით დაინტერესე-
ბულთათვის; იგი რამდენიმე წლის წინ ხელახლა დაისტამბა.

მაგრამ გიორგი ახვლედიანის ეს დიდი ღვაწლი თეორიული ენათ-
მეცნიერების წინაშე, სამწუხაროდ, ნაკლებადაა ცნობილი საერ-
თაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

ჩვენი წმინდა მოვალეობაა ფართოდ გავაცნოთ გიორგი ახვლე-
დიანის ეს ნააზრევი და მას სათანადო, მის მიერ დამსახურებული
აღგილი მიუხეობით მსოფლიო ენათმეცნიერების ისტორიაში. ეს
გახლავთ აღგილი ერთ-ერთი პიონერისა ისეთ ენათმეცნიერულ მიმ-
დინარეობაში, როგორიცაა ენის ფუნქციონალურ-ფონოლოგიური
ანალიზი, რომელმაც შესაძლებელი გახადა საზოგადოდ ენის

როგორც საკომუნიკაციო სისტემის ადეკვატური აღწერა და შესწავლა.

დღეს ენის ბგერითი შედგენილობის ფუნქციონალური ანალიზი უკვე საყოველთაოდ აღიარებული და გავრცელებული მეთოდია და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს, რომ ამ საენათმეცნიერო მიმდინარეობის სათავეში ქართველი ენათმეცნიერიც დგას.



არნოლდ ჩიქობავა – დიდი ქართველი სწავლული და საზოგადო მოღვაწე*


წიკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა განსაკუთრებული მოვლენაა ქართული მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. მის სახელთან დაკავშირებული „იბერიულ-კავკასიური თეორია“ წმინდა ენათმეცნიერული ღირებულების გარდა დღემდე განიხილება როგორც კავკასიელი ხალხების ერთ-ერთი დამაკავშირებელი და გამაერთიანებელი ფაქტორი.

ტერმინებში „იბერიულ-კავკასიური ენები“ და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ მკვლევრები დღეს განსხვავებულ მნიშვნელობებს დებენ.

პალეოკავკასიური (ანუ კავკასიის არაინდოევროპული, არასემიტური და არათურქული) ენების ჯგუფის გენეტიკურ ერთიანობას ჯერ კიდევ *ნიკო მარი* ამტკიცებდა; შემდგომ *ივანე ჯავახიშვილმა* უძღვნა ამ თეზისს ვრცელი გამოკვლევა. მაგრამ ეს დებულება ცალკე კონცეფციის სახით და „იბერიულ-კავკასიური თეორიის“ **სახელწოდებით სწორედ არნოლდ ჩიქობავასთან** ჩამოყალიბდა.

*სიტყვა, წარმოთქმული არნ.ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო სხდომაზე; დაიბეჭდა «*ევროპის ლინგვისტური საზოგადოების აქტებში*».

ამავე დროს, ქართულ საენათმეცნიერო სკოლაში ეს კონცეფცია ემყარება ცალკეული ჩრდილოკავკასიური ენის აღწერასა და სინქრონიულ შესწავლას. ამ სკოლის უდიდეს დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ სწორედ ის, რომ შესაძლებელი გახდა შესწავლილიყო



პრაქტიკულად ყველა ჩრდილო-კავკასიური ენა და შექმნილიყო ცალკეული ენების აღწერითი გრამატიკები, ენებისა, რომელთა

შორის, ამავე დროს, ნათესაური, გენეტიკური კავშირები იქნა პოსტულირებული და ჩრდილო-კავკასიური ენები სამხრეთ კავკასიურ (ქართველურ) ენებთან საერთო „იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში“ იქნა გაერთიანებული.

მეცნიერთა სხვა ჯგუფი „იბერიულ-კავკასიურ ენებს“ განიხილავს როგორც საერთო არეალურ-ტიპოლოგიურ ჯგუფში შემავალ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიურ ენებს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსება ვლინდება, რაც მათ საერთო კულტურულ არეალში ისტორიულ ურთიერთობასა და კავშირებს მოწმობს მრავალი საუკუნის მანძილზე. ორივე ეს თვალსაზრისი „იბერიულ-კავკასიურ ენებს“ შორის არსებულ ხანგრძლივ კულტურულ-ისტორიულ კავშირ-ურთიერთობებს გულისხმობს. ამ მხრივ ეს ენები უმდიდრეს მასალას აწვდის თანამედროვე ენათმეცნიერებას ისტორიულ-გენეტიკური თუ ისტორიულ-ტიპოლოგიური კვლევისათვის. უდიდესი ღვაწლი ამ თეორიული კვლევის საფუძვლების შექმნისა სწორედ არნ. ჩიქობავას ეკუთვნის იმ სკოლის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისათვის, რომელიც დღეს „ქართველ კავკასიოლოგთა სკოლის“ სახელწოდებით არის მთელ მსოფლიოში ცნობილი.

ისევე როგორც ივ. ჯავახიშვილის მიერ თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება იყო არა მხოლოდ უმაღლესი განათლების კერის აღორძინება საქართველოში, არამედ უმნიშვნელოვანესი ეროვნული აქტი ახალი ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის მაღალი მეცნიერულ-კულტურული დონის უზრუნველსაყოფად, ასევე არნ. ჩიქობავას მიერ „იბერიულ-კავკასიური სკოლის“ შექმნა და მისი წარმატებით ფუნქციონირება არის წინაპირობა დღეს მრავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტის რეალიზაციისა, მათ შორის ე.წ. „საერთო კავკასიური სახლის“ შექმნისა, იმ უმნიშვნელოვანესი იდეის განხორციელებისა და საბოლოო დამკვიდრებისა, რასაც „მშვიდობიანი კავკასია“ და „კავკასიაში კულტურათა დიალოგი“ ეწოდება; ეს იდეა განიხილება დღეს მსოფლი-

ომი როგორც ერთგვარი ანტითეზა დასავლეთში ფართოდ გავრცელებული კონცეფციისა „ცივილიზაციათა შეტაკების“ შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის კავკასიაშიც; სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ, არსებითად, დღეს „იბერიულ-კავკასიური თეორიის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მეცნიერულ-პოლიტიკურ მნიშვნელობას.

არსებობს ენათმეცნიერების კიდევ ერთი დარგი — შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება, რომლის ჩვენს ქვეყანაში აღორძინებასა და დამკვიდრებაში არნ. ჩიქობავამ გადამწყვეტი როლი შეასრულა. ეს მოხდა ნიკო მარისეული „ენის შესახებ ახალი მოძღვრების“ წინააღმდეგ გალაშქრების შედეგად.

ნიკო მარი განსაკუთრებული მოვლენა იყო მეცნიერებაში საზოგადოდ და, კერძოდ, კავკასიოლოგიაში; ეს იყო სრულიად განსხვავებული „განზომილება“ მეცნიერების ისტორიაში; იგი სცილდება იმდროინდელი მეცნიერებისათვის დამახასიათებელ რაციონალისტურ ფარგლებს და შემოაქვს ახალი, ინტუიტიურ დონეზე დამყარებული მეცნიერული „პარადიგმა“ (ამ ტერმინის თომას კუნისეული გაგებით).

მე მქონდა შემთხვევა სპეციალურად განმეხილა მარისეული „იფეთქებული თეორიის“ ოთხელემენტოვანი ანალიზი სხვა ოთხელემენტოვან საინფორმაციო სისტემებთან კავშირში და აღმენიშნა, რომ ნიკო მარის „ოთხელემენტოვანი სისტემა“ ალოგიკურია ლინგვისტური ანალიზის თვალსაზრისით, და ამ მხრივ, არნ. ჩიქობავას მძაფრი კრიტიკა აღნიშნული მეთოდიკისა — მეტყველების ე.წ. პალეონტოლოგიური ანალიზისა — საყსებით კანონზომიერი და გამართლებული იყო; მაგრამ მარისეული „ოთხელემენტოვანი სისტემა“, ამისდა მიუხედავად, ღრმა შინაარსის მატარებელია ზოგად-თეორიული და ზოგადფსიქოლოგიური თვალსაზრისით, როგორც კიდევ ერთი ცდა მეცნიერების ისტორიაში სინამდვილის აღწერისა „ოთხელემენტოვანი“ სიმბოლური საინფორმაციო სისტემის საშუალებით, რომელიც, თავის მხრივ, როგორც გაირკვა, საფუძვლად

უღვეს „გენეტიკური კოდის“ სტრუქტურას (მაშასადამე, ყოველივე „ცოცხალს“) და რომლის ცოდნა, როგორც ჩანს, ადამიანში ქვეცნობიერად არის მოცემული.

ამაში ვხედავ მე *ნიკო მარის* გენიალურ ინტუიციასა და განჭვრეტის უნარს, მიუხედავად იმისა, რომ მან ამით იმდროინდელი შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება, რომელსაც დასავლეთში უკვე კლასიკური შედეგები ჰქონდა მოპოვებული სხვადასხვა ჯგუფის — და განსაკუთრებით ინდო-ევროპული ენების — ისტორიული შესწავლის დარგში, ფაქტობრივად ჩიხში მოაქცია და ჩაახშო კიდევაც გარკვეული „იდეოლოგიური“ არგუმენტების მოშველიებით.

არნ. ჩიქობავას უდიდეს დამსახურებად ენათმეცნიერების ისტორიაში უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი თავიდანვე წინ აღუდგა მარისეულ „ახალ მოძღვრებას“ და თვით იოსებ სტალინის მეცნიერულ პოლემიკაში ჩართვით შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება მთელი იმდროინდელი „კავშირის“ მასშტაბით ნორმალური, მთელ მსოფლიოში აღიარებული გზით წარმართა.

მხოლოდ ორმოცდაათიანი წლებიდან, ენათმეცნიერების საკითხებზე ცნობილი დისკუსიის შემდეგ, დაიწყო ჩვენში შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების აღმავლობა, რამაც არსებითად ხელი შეუწყო მთელი თეორიული ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებას.

დღეს საქართველოში შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება უკვე უმაღლეს დონეზეა აყვანილი და გარკვეულ დარგებში თვით განსაზღვრავს ამა თუ იმ დისციპლინის განვითარების დონეს მსოფლიო მასშტაბით.

ყოველივე ამის საწყისი არნ. ჩიქობავას მეცნიერულ მოღვაწეობასა და საქმიანობაში უნდა ვეძიოთ, ამით განისაზღვრება სწორედ არნ. ჩიქობავას ისტორიული როლი და წვლილი, რომელიც მან მსოფლიო ენათმეცნიერების განვითარებაში შეიტანა.

მაგრამ ეს სრულებით არ აკნინებს ნიკო მარს როგორც დიდ ქართველ მეცნიერ-ფილოლოგსა და მოაზროვნეს.

თუ ჩვენ **არნოდლ ჩიქობავას** განვიხილავთ როგორც შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების ამალორძინებელს ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, პირველ რიგში — რუსეთსა და საქართველოში, და „*იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების*“ შემქმნელს, ხოლო **ფანე ჯავახიშვილს** — როგორც საზოგადოდ ახალი ქართული მეცნიერების ფუძემდებელსა და სულისჩამდგმელს, **ნიკო მარი** უნდა დავაყენოთ ამ დიდ ქართველ მეცნიერთა სათავეში, როგორც იმდროინდელ რუსეთში მოღვაწე დიდი ქართველი მეცნიერი-ფილოლოგოსი, რომელმაც სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტსა და რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში საფუძველი ჩაუყარა XX საუკუნის დამდეგს ქართულ-კავკასიურ კვლევა-ძიებას, დასაბამი მისცა იმ დროისათვის მოწინავე ქართულ-კავკასიურ ფილოლოგიურ და ისტორიულ მეცნიერებასა და შექმნა ბრწყინვალე კავკასიოლოგიური სკოლა, სადაც მრავალი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი აღიზარდა.

სწორედ ამას მოჰყვა შემდგომ ჩვენს ქვეყანაში ხსენებული დარგებისა და მათთან დაკავშირებული დისციპლინების განსაკუთრებული აღმაშენებლობა და განვითარება; სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა უფრო გვიან **ნიკო მარის** უპირველესი მოწაფის — დიდი **ფანე ჯავახიშვილის** მიერ ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, ქართველ მეცნიერთა ბრწყინვალე პლეადა, რომელთა შორის აკადემიკოსი **არნოდლ ჩიქობავა** ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და თვალსაჩინო ადგილს იკვიდრებს.

საქვეყნოდ აღიარებული სწავლული*



ავიდა ჩვენგან ქართველი სწავლული, საქვეყნოდ აღიარებული ენათმეცნიერი - კავკასიოლოგი. *არნოლდ ჩიქობავა* ფაქტიური ინიციატორი და ძირითადი განმახორციელებელი იყო ორმოცდაათიან წლებში იმ „გადატრიალებისა“, რომელიც მოხდა მთელი საბჭოთა ენათმეცნიერების წიაღში. ამის შედეგად გახდა სწორედ შესაძლებელი ის დიდი მიღწევები მსოფლიო ენათმეცნიერების თვალსაზრისით, რაც დღეს საბჭოთა და, კერძოდ, ქართულ ენათმეცნიერებას აქვს. შესაძლებელია, ზოგი რამ, რაც ამის შემდგომ გაკეთდა, არნოლდ ჩიქობავასათვის მეცნიერულად მიუღებელიც ყოფილიყო, მაგრამ ეს არ არის ამ შემთხვევაში არსებითი და მთავარი.

ჩემთვის პირადად უადრესად მნიშვნელოვანია ის, რომ ერთ-ერთი ბოლო წიგნთაგანი, რომლებსაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ეცნობოდა, ჩვენი წიგნიც იყო ინდოევროპელების შესახებ. აქაც, ალბათ, მისთვის საკამათო ბევრი რამ იქნებოდა, მაგრამ ერთი რამ უდავოა: *არნოლდ ჩიქობავა* ყოველი ჩვენგანისათვის იყო ერთგვარი „შინაგანი ცენზორი“, რომელიც „აკონტროლებდა“ ყოველივე იმას, რასაც ვქმნიდით; ყოველი ავტორი ცდილობდა თავისი ნაშრომისათვის *არნოლდ ჩიქობავას* თვალთ შეეხედა... ალბათ, ბევრ ენათმეცნიერს მოაკლდება ახლა ბატონ არნოლდის „თვალი“, რომ არაფერი ვთქვათ მის მიერ შექმნილ იბერიულ-კავკასიურ სკოლაზე, რომელსაც ამიერიდან მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები უნდა ჩაუდგნენ სათავეში...



* გამოქვეყნდა თავდაპირველად ჟურნალში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 19.., № 3—4, თბილისი, გვ. 220.

აკადემიკოსი გიორგი წერეთელი*

(დაბადების 100 წლისთავის გამო)

ი ამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ფართოდ ცნობილ არაბისტსა და სემიტოლოგს, *აკადემიკოს გიორგი წერეთელს* 2004 წლის 21 ოქტომბერს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. მეცნიერი-ფილოლოგისათვის არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე (იგი გარდაიცვალა ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 1973 წლის 9 სექტემბერს) გიორგი წერეთელმა უდიდესი სამეცნიერო შედეგები მოიპოვა და სახელი გაითქვა საერთაშორისო მეცნიერებაში როგორც უმაღლესი რანგის მკვლევარმა-აღმოსავლეთმცოდნემ, რომელმაც მნიშვნელოვანი ნაშრომები შესძინა ფილოლოგიურ მეცნიერებასა და აღმოსავლეთმცოდნეობას და მით დაიმკვიდრა დიდი მეცნიერის სახელი მსოფლიო მეცნიერებაში.

განუზომლად ფართო იყო აკადემიკოს გიორგი წერეთლის სამეცნიერო ინტერესების სფერო. იგი მოიცავს არაბულ ენათმეცნიერე-

* გამოქვეყნდა გაზეთში „**24 საათი**“, 2004, 23 ოქტომბერი, შაბათი, № 252; იხ. აგრეთვე: თამაზ გამყრელიძე, *აკადემიკოსი გიორგი წერეთელი (1904-1973)*, თბილისი 2004: «ენა და კულტურა».

ბასა და ფოლკლორს, ებრაისტიკასა და არამეისტიკას, ახლო აღმოსავლეთის ძველ ენებსა და დამწერლობათა ისტორიას, ქართველურ ენათმეცნიერებას, ქართული და შედარებითი ლექსთწყობის საკითხებს, თეორიული ლინგვისტიკის პრობლემებს... თითოეულ ამ დარგში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და მისმა შრომებმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ჰუმანიტარული მეცნიერების საგანძურში.

მრავალმხრივმა და ღრმა ერუდიციამ, მაღალი კლასის მეცნიერულმა ნაშრომებმა, ამავე დროს, არაჩვეულებრივმა ორგანიზატორულმა უნარმა დამსახურებული ავტორიტეტი მოუპოვა მსოფლიო მეცნიერებაში გიორგი წერეთელს და მის მიერ შექმნილ საენათმეცნიერო სკოლას, ხოლო გიორგი წერეთლის ინიციატივით დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს, მისი ხელმძღვანელობით მსოფლიო ორიენტალისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად იქცა.


თავის ერთ-ერთ გამოსვლაში მაშინდელი საკავშირო აკადემიის პრეზიდენტი *მსტისლავ კელდიში* აღნიშნავდა:

„...საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია ძალიან დიდ სამეცნიერო დაწესებულად გაიზარდა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ აქ ჩამოყალიბდა მსოფლიოში განთქმული, საერთაშორისო მნიშვნელობის მთელი რიგი სამეცნიერო სკოლები...“

ეს გახლავთ მათემატიკური სკოლა, რომელიც თავის საწყისს აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილისაგან იღებს, სკოლა ფიზიოლოგიის დარგში, რომელსაც საფუძველი ივანე ბერიტაშვილმა ჩაუყარა, სააღმოსავლეთმცოდნეო სკოლა, რომელსაც აკადემიის წევრი გიორგი წერეთელი უდგას სათავეში“.

გიორგი წერეთლის საერთაშორისო აღიარების დასტური იყო ის, რომ იგი არჩეულ იქნა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების საპატიო წევრად და აგრეთვე საპატიო წევრად პოლონეთის ორიენტალიტთა საზოგადოებისა.

1968 წ. გიორგი წერეთელს, უკვე მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერს, მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურებისათვის ირჩევენ მაშინდელი საკავშირო აკადემიის ნამდვილ წევრად. გიორგი წერეთ-



ლის არჩევა საკავშირო აკადემიის აკადემიკოსად ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობამ მიიჩნია მისი მრავალმხრივი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის სამართლიან აღიარებად.

გიორგი წერეთლის როგორც მეცნიერის სიდიადე განისაზღვრება არა გამოქვეყნებულ შრომათა რაოდენობით, არამედ მის მიერ შექმნილ გამოკვლევათა ხასიათით, რომელთაგან თითოეული თავისებურ აღმოჩენას წარმოადგენს და წარუშლელ კვალს ტოვებს ეროვნული და მსოფლიო მეცნიერების სათანადო დარგებში.

გიორგი წერეთელი თავის თავში აერთიანებდა ფაქტობრივად რამდენიმე სამეცნიერო დარგის სპეციალისტსა და ღრმა მცოდნეს, რაც მას საშუალებას აძლევდა ახლებურად, თავისებური თვალთახედვით შეეხედა თითოეული ამ დარგისათვის; იგი იყო საქვეყნოდ აღიარებული სემიოლოგი, უბადლო ირანისტი და ქართველოლოგი; იგი იყო ბრწყინვალე ფილოლოგოსი და ენათმეცნიერი, რომელიც ყოველთვის იდგა მსოფლიო ფილოლოგიისა და ლინგვისტიკის უახლეს მიღწევათა დონეზე და ხშირად თავისი გამოკვლევებით თვით განსაზღვრავდა ამ დონეს...

გიორგი წერეთელი განეკუთვნება იმ ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა რიგს, რომელთაც მეცნიერებაში გადალახეს საკუთრივ ეროვნული საზღვრები, თავიანთი შემოქმედების ზოგადმეცნიერული ღირებულებისა და მნიშვნელობის წყალობით ფართო ასპარეზზე გავიდნენ და მით ეროვნულ მეცნიერებას საერთაშორისო მეცნიერებაში განსაკუთრებული ადგილი დაუშკვიდრეს და საყოველთაო აღიარება მოუპოვეს...

სწორედ ასეთი პიროვნებები უთქვამენ საქვეყნოდ სახელს ქართულ ეროვნულ მეცნიერებასა და კულტურას, მთელ ქართველ ხალხს და მას მსოფლიოს თვალში თანამედროვე ცივილიზებული და კულტურულად მოწინავე ერების რიგში აყენებენ, სწორედ ეს არის **გიორგი წერეთლის** დიდი დამსახურება ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის წინაშე.

დღეს ქართველი ხალხის წარმოჩინება საერთაშორისო ასპარეზზე უპირატესად ქართული მეცნიერებისა და ქართული კულტურის მეშვეობით თუ შეიძლება მოხდეს. ამა თუ იმ ხალხის საყოველთაო აღიარების საფუძველს მხოლოდ მის მიერ წარმოქმნილი მეცნიერ-

რული თუ კულტურული ღირებულებანი ქმნიან, რომელთა მიხედვითაც ფასდება ამ ხალხის წვლილი და ადგილი საკაცობრიო ცივილიზაციაში.

ერთ-ერთი ასეთი მეცნიერთაგანი, რომელთაც სახელი გაუთქვეს მსოფლიოში მთელ ქართულ მეცნიერებას, რომელთა მიხედვითაც მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებრიობას წარმოდგენა ექმნება ქართული მეცნიერებისა და კულტურის უმაღლესი საერთაშორისო დონის შესახებ, სწორედ აკადემიკოსი *გიორგი წერეთელი* გახლდათ.

გიორგი წერეთლის სიცოცხლე მოულოდნელად შეწყდა იმ დროს, როდესაც იგი ჯერ კიდევ აღსავსე იყო ახალი მეცნიერული იდეებით, ახალ-ახალი სამეცნიერო წამოწვევებით. ამ იდეების განხორციელება მას აღარ დასცალდა; მაგრამ ის, რისი შექმნაც მან მოასწრო, სამუდამოდ შვეა ქართული და საერთაშორისო მეცნიერების საგანძურში.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა თავის სასიქადულო შვილს მუდმივი ადგილსამყოფელი დაუმკვიდრა ქართული მეცნიერების ტაძარში, ეროვნული უნივერსიტეტის მიწაზე, სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა გვერდით...



სარჩმვი

რედაქტორისაგან 5

ენობრივი ნიშანი და „დამატებითობის პრინციპი“ 7

თანამედროვე დიაქრონიული ლინგვისტიკა და
ქართველური ენები 24

ახალი პარადიგმა ინდოევროპულ შედარებით-ისტორიულ
ენათმეცნიერებაში: ინდოევროპული ფუძე-ენისა და
ინდოევროპული პროტო-კულტურის რეკონსტრუქციის
პრობლემა 58

ფუძე-ენის რეკონსტრუქცია და მისი ქრონოლოგიური დონეები . . 82

ინდოევროპელები, ქართველები, სემიტები 89

„არაცნობიერი“ და იზომორფიზმი გენეტიკურ კოდსა და
სემიოტიკურ სისტემებს შორის 103

თეორიული ენათმეცნიერების ისტორია როგორც
«ლინგვისტურ პარადიგმათა» ცვალებადობა
დროსა და სფეროებში 111

ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“ 113

დამწერლობის ტიპოლოგია, ბერძნული ანბანი
და ანბანურ დამწერლობათა წარმოშობა ქრისტიანულ
აღმოსავლეთში 134

ძველი კალხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან
(აფხაზ- ~ აბაზგ- და აბაზა ~ აფსუა ეთნონიმთა
ისტორიულ-ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის) 154

„კულტურის ეკოლოგია“ 166

„ტრანსკავკასია“ თუ „სამხრეთ კავკასია“? (გეოპოლიტიკური
ნომენკლატურის დაზუსტებისათვის) 169

„მტკვარი“ ჰიდრონიმის ეტიმოლოგიისათვის 172

„ქართუ“ — “KARTU” როგორც „ქართველის“, „ქართველთა
ქვეყნის“ აღმნიშვნელი უძველესი ქართველური სახელი 177

ეიფორია თუ ეუფორია|| ეფორია? 179

დიდი ქართველი ენათმეცნიერები: 181

აკაკი შანიძე — ახალი ქართული ენათმეცნიერების
ფუძემდებელი 182

გიორგი ახვლედიანი — ქართული ენათმეცნიერების
კლასიკოსი 187

არნოლდ ზიქობაჟა — დიდი ქართველი სწავლული
და საზოგადო მოღვაწე 194

აკადემიკოსი გიორგი წერეთელი
(დაბადების 100 წლისთავის გამო) 201